

ამერიკის
ეთნოლოგია

Roland A. Topchishvili

The Ethnology of America

Ethnic History, Ethnic Culture

Textbook for Students

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

როლანდ თოფჩიშვილი

ამერიკის ეთნოლოგია

ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა

სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

„ამერიკის ეთნოლოგია: ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა“ განკუთვნილია სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების კუმანტარული ფაკულტეტების ისტორიული, ეთნოლოგიური, ფილოლოგიური მიმართულებების სტუდენტებისათვის. წიგნი გარკვეულ დახმარებას გაუწევს მათ, ვისაც პოლიტოლოგია, დიპლომატია, ხალხთა შორის ურთიერთობები, დასავლეთის ხალხების ეთნოგენეზისი, ეთნიკური ისტორია და ტრადიციული კულტურა აინტერესებს, მით უმეტეს დღევანდელ დღეს, როდესაც საქართველოს დასავლურ სტრუქტურებში აქტიური ჩართვა მიმდინარეობს.

The following textbook, ‘The Ethnology of America: Ethnic History, Ethnic Culture,’ is intended for the students of historical, ethnological and philological directions of the Humanities Faculty. The book will be of certain help for those who are interested in political science, diplomacy, international relations, the ethnogeny of European peoples, ethnic history and traditional culture. These issues are particularly important nowadays, especially in the context of Georgia’s integration in European structures.

რედაქტორები: პროფესორი ქეთევან ხუციშვილი
დოქტორი ინგა ლუტიძე

რეცენზენტები: პროფესორი აკაკი გეთიაშვილი
დოქტორი როზეტა გუჯეჯიანი
პროფესორი თინათინ ლუღუშაური

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009

ISBN 978-9941-13-025-0

წინათქმა

წინამდებარე წიგნის ავტორმა 2003 წელს **ვეროპისა და ამერიკის ხალხების სალექციო კურსი** დაბეჭდა, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის სტუდენტები ისმენდნენ. 2006 წლიდან **ამერიკის ეთნოლოგია** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებს ეკითხება. მოცემული სახელმძღვანელო აღნიშნული სალექციო კურსის გადამუშავებული, ფაქტობრივად, ხელახლა დაწერილი ვარიანტია. წიგნში განხილულია ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში წარმოშობილი ხალხები;

სახელმძღვანელო ეყრდნობა მრავალრიცხოვან ისტორიულ და ეთნოლოგიურ ლიტერატურას, ენციკლოპედიებს, რომლებიც ხალხებს, რელიგიებს, ლინგვისტიკას, დემოგრაფიას, ანთროპონიმებს ეხება. ავტორს მიაჩნია, რომ წიგნი „**ამერიკის ეთნოლოგია**“ მკითხველის წინაშე სრულყოფილი სახითაა წარმოდგენილი იმ თვალსაზრისით, რომ მასში ამ კონტინენტზე მცხოვრებ თითქმის ყველა, დიდ თუ პატარა, ეთნოსზეა საუბარი, თუმცა ის ამომწურავი არაა (ასეთი წიგნი საერთოდ არც არსებობს).

ქართველ ხალხს დასავლეთისადმი ინტერესი, მისწრაფება და დაახლოების სურვილი მთელი მისი არსებობის მანძილზე ჰქონდა. ქართველობამ დასავლურ ორიენტაციაზე განაცხადი დიდი ხნის წინ, IV ს-ის დასაწყისში, გააკეთა, როდესაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. საქართველოსა და ქართველი ხალხის მთელი შემდეგდროინდელი ისტორია აღმოსავლური სამყაროსაგან თავდახსნისა და დასავლეთისაკენ მისწრაფების სურვილით იყო განპირობებული. ქართველებმა კი დასავლეთისკენ კურსი სულ ახლახან, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აიღეს; საქართველო დასავლურ სტრუქტურებში გაერთიანდა. წიგნში ნახვენებია ამერიკელი ხალხების ეთნოგენეზი და ეთნიკური განვითარების პროცესი; დახასიათებულია თითოეული ხალხის ეთნიკური კულტურა (ყოფა-ცხოვრება, წეს-ჩვეულებები როგორც მატერიალური კულტურის, მეურნეობის, ისე სოციალურ ურთიერთობათა და სულიერი კულტურის სფეროში), ანთროპოლოგიური ტიპი, რელიგიისადმი და ენათა ოჯახისადმი მიკუთვნებულობა, დემოგრაფიულ-სტატისტიკური მონაცემები. ამდენად, წიგნი საინტერესო უნდა იყოს არა მარტო სტუდენტებისათვის, არამედ ყველა განათლებული ქართველისათვის, ვისაც ამერიკა და იქ მცხოვრები ეთნოსები აინტერესებს, მით უმეტეს დღეს, როდესაც ხა-

ნგროპლივი შესვენების შემდეგ, ქართველებს პირველად მოგვეცა დასავლეთის სამყაროსთან უშუალო კონტაქტისა და ურთიერთობის საშუალება.

ავტორი დიდ მადლობას უხდის პროფესორებს: ქეთევან ხუციშვილს, მიხეილ ქურდიანს და დოქტორ ინგა ლუტიძეს, რომლებმაც წიგნის ხელნაწერი ვარიანტი წაიკითხეს და საყურადღებო შენიშვნები და სურვილები გამოთქვეს.

ნაწილი I

ეთნოსთა კლასიფიკაციის საფუძვლები

1.1. ხალხები (ზოგადი მიმოხილვა)

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში მსოფლიოს მოსახლეობა ხუთ მილიარდზე მეტ ადამიანს ითვლიდა. ეს ხუთი მილიარდი ეთნიკური, ენობრივი, რასობრივი და რელიგიურ-კონფესიური თვალსაზრისით ფრიად ჭრელ სურათს ქმნის. მიიხნევენ, რომ დედამიწაზე ცხოვრობს დაახლოებით 6 ათასამდე ეთნოსი.

ტერმინი – „ხალხი“ გულისხმობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებულ ადამიანთა ერთობას, რომელსაც ახასიათებს სტაბილური კულტურული თავისებურებანი (ენის ჩათვლით), ფსიქიკა, თვითშეგნება. ყველა ეს ნიშანი საფუძველია იმისა, რომ ამა თუ იმ ხალხმა საკუთარი ერთობა სხვა ანალოგიური ერთობებისაგან განასხვავოს. ხალხის აღსანიშნავად მეცნიერებაში გამოიყენება ტერმინი „ეთნოსი“ (ძვ. ბერძნული – ხალხი, ტომი), აგრეთვე ეთნიკური ერთობა, მაგრამ ძველი ბერძნები იყენებდნენ აგრეთვე სიტყვა „დემოს“, რაც მოსახლეობის ძირითად მასას აღნიშნავდა. „დემოსისაგან“ მომდინარეობს ისეთი ტერმინი, როგორიცაა მაგალითად „დემოკრატია“, რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „ხალხის ხელისუფლება“; მომდინარეობს „დემოგრაფია“, როგორც მეცნიერების სახელწოდება (სიტყვასიტყვით „ხალხის აღწერა“), რომელიც სწავლობს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობას (რაოდენობას), მის სოციალურ, სქესობრივ და ასაკობრივ შემადგენლობას, შობადობას, ქორწინებას, სიკვდილიანობას, მოსახლეობის ბუნებრივ მატებას და მის მიგრაციებს (გადასახლებას). თუმცა ამ პრობლემათაგან ზოგიერთის მიმართ ინტერესი ისტორიასა და ეთნოგრაფიასაც აქვს.

ჩვენი ინტერესის საგანს კი წარმოადგენს ხალხები „ეთნოსის“ გაგებით; ხალხები, რომლებმაც საუკუნეთა მანძილზე დამოუკიდებელი ეთნიკური კულტურა შექმნეს.

ბევრი ხალხისათვის, განსაკუთრებით კი დიდი ხალხებისათვის, რომლებიც განსახლებულნი არიან ვრცელ ტერიტორიასა და რთულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში, დამახასიათებელია ეთნოგრაფიულ (და დიალექტურ) ჯგუფებად დაყოფა (რუსულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ასეთ ჯგუფებს ხშირად „სუბეთნოსებსაც“ უწოდებენ). ეთნოგრაფიული ჯგუფების წარმოქმნის მიზეზები სხვადასხვაა.

ისინი წარმოიქმნება ერთი ხალხის ტერიტორიული განცალკევების შედეგად (გეოგრაფიული ფაქტორი), ანდა ერთი ეთნოსის მიერ მეორე ეთნოსის, ანდა მისი ნაწილის ასიმილაციის შედეგად. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა აგრეთვე სოციალური სტატუსი (კახაკები რუსებს შორის) და რელიგიურ-კონფესიური მდგომარეობა.

მეცნიერებაში გამოყოფენ აგრეთვე მეტაეთნიკურ ერთობებს, მაგალითად, აღმოსავლეთ სლავებს, ლათინოამერიკელებს. მათი ასეთი სახით გამოყოფა გენეტიკური და ენობრივ-კულტურული სიხლავითაა განპირობებული. მეტაეთნიკურ ერთობებად მიიჩნევენ აგრეთვე ბალტიისპირელებს, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს. ამ მეტაეთნიკურ ერთობათა ჩამოყალიბება კი ერთიან ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქში ხანგრძლივმა ცხოვრებამ და კულტურულმა ურთიერთგავლენამ განაპირობა.

ეთნოსის უმაღლესი ფორმაა ნაცია (ერი). ერების ჩამოყალიბებამდე ეთნოსის ფორმას ტომი, ტომთა კავშირები წარმოადგენდა. მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება ნაციის (ერის) ისეთ განსაზღვრებას გვთავაზობდა, რომელიც არასდროს გაუზიარებიათ დასავლურ მეცნიერებაში. დასავლეთში ნაციის (ერის) თითქმის იმდენი განმარტებაა, რამდენიც მეცნიერი, მაგრამ მთავარი, რაშიც ისინი თანხმდებიან, ისაა, რომ ნაციად (ერად) მიიჩნევა ის ეთნოსები, რომელთაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა გააჩნიათ. ზოგიერთი ნაცია (ერი) წარმოიქმნა ერთი ხალხის ტრანსფორმაციის, ზოგი კი რამდენიმე ხალხის შერევის შედეგად.

1.2. ენა – ეთნოსის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი

მსოფლიოს ხალხები (ეთნოსები) ერთმანეთისაგან რამდენიმე ნიშნით განსხვავდებიან. პირველ რიგში ერთ-ერთ ასეთ მთავარ ნიშნად ენას ასახელებენ. როდესაც ერთი ხალხის ორი უცნობი წარმომადგენელი თავისი ქვეყნის გარეთ ხვდება, ისინი უპირველეს ყოვლისა ერთმანეთს ენით „ამოიცნობენ“. ასე რომ, ენა ხალხთა (ეთნოსთა) უმნიშვნელოვანესი ნიშანთაგანია. ერთი ხალხისადმი (ეთნოსისადმი) მიკუთვნებული ყველა ადამიანი, როგორც წესი, ერთ ენაზე ლაპარაკობს, რომელიც მათთვის მშობლიურია, ე.ი. რომელიც ბავშვობაში შეითვისეს მშობლებისა და სხვა პირებისაგან. ზემოთქმული იმას არ ნიშნავს, რომ დედამიწაზე იმდენივე ენაა, რამდენიც ხალხია. გასათვალისწინებელია ის, რომ ზოგჯერ დედამიწაზე განსახლებული დამოუკიდებელი ეთნოსები ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ, რაც კაცობრიობის ისტორიაში, განსაკუთრებით მის ახალ პერიოდში მო-

მხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების (მაგალითად ევროპიდან ახალ სამყაროში ხალხთა დიდი გადასახლების) შედეგია. ინგლისურ ენაზე ლაპარაკობენ არა მხოლოდ ინგლისელები, არამედ სხვა ხალხებიც: ამერიკელები, ანგლო-კანადელები, შოტლანდიელები, ოლსტერელები, ანგლო-ავსტრალიელები, ანგლო-ახალზელანდიელები... **ევროპაში, სადაც ინგლისური ენა წარმოიქმნა, ამ ენაზე მოლაპარაკეთა მხოლოდ 17% ცხოვრობს.** ესპანური ენა დედაენაა არა მხოლოდ ესპანელებისათვის, არამედ აგრეთვე ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის უმეტესი ხალხებისათვის (კუბელები, მექსიკელები, კოლუმბიელები, არგენტინელები, ვენესუელელები, ჩილელები, პერუელები, ურუგვაელები...). **ევროპაში, სადაც ესპანური ენა წარმოიქმნა, ესპანურ ენაზე მოლაპარაკეთა დაახლოებით 12% მკვიდრობს.** გერმანულ ენაზე გერმანელების გარდა ლაპარაკობენ აგრეთვე ავსტრიელები, გერმანო-შვეიცარიელები, ელზასელები (საფრანგეთში), ლუქსემბურგელები. პორტუგალიური, პორტუგალიელების გარდა, დედაენაა ბრაზილიელებისათვის. ამავე ენაზე ლაპარაკობენ აგრეთვე ესპანეთის ჩრდილოეთში მცხოვრები გალისიელებიც. ფრანგულ ენაზე ფრანგებს გარდა ლაპარაკობენ: ფრანკო-კანადელები, ფრანკო-შვეიცარიელები, ბელგიელი ვალონები. იტალიური ენით სარგებლობენ იტალო-შვეიცარიელები და კორსიკელები.

აზიის სამხრეთ-დასავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში დიდი ხანია გავრცელებულია არაბული ენა. მასზე ლაპარაკობენ არაბულენოვანი ხალხები, რომელთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანია: ეგვიპტელი არაბები (ეგვიპტელები), ალჟირის არაბები (ალჟირელები), მაროკოელი არაბები (მაროკოელები), ერაყის არაბები (ერაყელები), სუდანის არაბები (სუდანელები), სირიის არაბები (სირიელები), ტუნისის არაბები (ტუნისელები), საუდის არაბეთის არაბები...

ამრიგად, ნათელია, რომ დედამიწაზე არის ენები, რომლებიც მშობლიურია არა მხოლოდ ერთი ხალხისათვის, არამედ ეთნოსთა მთელი ჯგუფისათვის. ცალკეულ ხალხთა განსახლების საზღვრები და ენათა გავრცელების არეალები ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა. ენა ეთნიკურობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია, მაგრამ ის ეთნოსისათვის დამახასიათებელ ერთადერთ ნიშნად არ შეიძლება ჩავთვალოთ. საერთოდ, თუ ზემოთქმულს დავაკვირდებით და გავიხსენებთ თითოეული ხალხის (ეთნოსის) ისტორიას, დავინახავთ, რომ სხვა ხალხის მიერ ამა თუ იმ ევროპული ენის დედაენად აღიარება შედარებით ახალი მოვლენაა. თავდაპირველად, განსაკუთრებით კი ხალხთა (ეთნოსთა) წარმოქმნის საწყის სტადიაზე, ენა მართლაც იყო ეთნოსის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი და ყველა ეთნოსი მისთვის დამახასიათებელ ენაზე ლაპარაკობდა.

მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ხალხები, რომელთა ცალკეული ჯგუფები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. ცნობილია, რომ დღეს შოტლანდიელთა დიდი უმრავლესობა სალაპარაკო ენად იყენებს ინგლისურს, მაგრამ შოტლანდიის მთებში მკვიდრობს მოსახლეობის პატარა ჯგუფი, რომლის წარმომადგენლები თავს შოტლანდიელებად მიიჩნევენ და ყოფაში ინგლისურთან ერთად კელტური ჯგუფის განსაკუთრებულ ენაზე (ე.წ. გელურ ენაზე) ლაპარაკობენ, რომელიც წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ქვეყანაში. დღეისათვის მთიელ შოტლანდიელებს ანუ გელებს დაახლოებით 100 000-მდე ითვლიან. დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს კელტური ენობრივი ჯგუფის სხვა ხალხიც – ვალიელები ანუ უელსელები, რომლებიც ორენოვანნი არიან, ე.ი. ლაპარაკობენ როგორც ინგლისურ, ისე საკუთრივ ვალიურ ენებზე. იგივე შეიძლება ითქვას ირლანდიელთა შესახებაც.

ლინგვისტები დღეს ენათა ოცამდე ოჯახს გამოყოფენ, რომელთაგან ყველაზე კარგადაა შესწავლილი ინდოევროპულ ენათა ოჯახი და რომელზეც ევროპისა და ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობა მეტყველებს. **ინდოევროპულ ენებზე მსოფლიოს მოსახლეობის 45% ლაპარაკობს.** ინდოევროპული ენები, ევროპისა და ამერიკის გარდა, გავრცელებულია აგრეთვე აზიის მნიშვნელოვან ნაწილში. მხედველობაში გვაქვს ინდური (ჰინდი, ურდუ, ბენგალი, მარატხი...) და ირანული ჯგუფის ენები.

აფროაზიური ანუ სემიტურ-ქამიტური ენების ოჯახი გავრცელებულია აფრიკის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთში და აზიის სამხრეთ-დასავლეთში. ის შედგება ხუთი ჯგუფისაგან – სემიტური, ეგვიპტური, ბერბერული, ყუშიტური და ჩადური. ეგვიპტურ ენათა ჯგუფი XVII ს-ში გადაშენდა. ეგვიპტური ენის გვიანდელი ფორმა – კობტური გამოიყენება ეგვიპტელი ქრისტიანების მიერ ღვთისმსახურებისას.

ევროპაში, ინდოევროპული ენების გარდა, გავრცელებულია ურალურ ენათა ოჯახის ენები (უნგრეთი, ბალტიისპირეთი, ფინეთი, სკანდინავიის ჩრდილოეთი).

1.3. ენათა კლასიფიკაცია

მეცნიერები მსოფლიოს ხალხთა კლასიფიკაციისათვის სხვადასხვა კრიტერიუმებს იყენებენ. ეთნოლოგიაში მიღებულია გეოგრაფიული, ანთროპოლოგიური, სამეურნეო-კულტურული და ენობრივი კლასიფიკაცია. ხალხთა ეთნიკური ისტორიის შესასწავლად ენობრივი კლასიფიკაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კლასიფიკაციაა, რადგან თავ-

დაპირველად ენა და ეთნოსი ერთმანეთს ემთხვეოდა, ისინი იდენტურნი იყვნენ. ენა კონკრეტულ წარმოდგენას იძლევა ხალხების ეთნიკური ნათესაობის შესახებ. თანამედროვე მსოფლიოს ენობრივი პანორამა მრავალფეროვნებით ხასიათდება. როგორც აღვნიშნეთ, ლინგვისტები დაახლოებით 6000 ენას ითვლიან. მხოლოდ ერთ ენაზე ძალზე მცირე რაოდენობის ქვეყნებში საუბრობენ. ასეთ ქვეყნებს ძირითადად ევროპის ქვეყნები მიეკუთვნება. ზოგიერთ ქვეყანაში ათეულობით ენაზე მეტყველებენ, მათ შორის ნიგერიასა და რუსეთში ასე მეტი ენაა გავრცელებული. ზოგი ენა „დიდი“ ენაა, ზოგიც – „პატარა“. ყველაზე „დიდი“ ანუ გავრცელებული ენებია: ჩინური, ინგლისური, ჰინდი და მასთან ახლოს მდგომი ურდუ, ესპანური, რუსული, ბენგალური, ინდონეზიური, არაბული, პორტუგალიური, იაპონური, გერმანული, ფრანგული. ჩამოთვლილ ენებზე კაცობრიობის ორი მესამედი ლაპარაკობს. ენათა ერთი ნაწილი სახელმწიფო, ოფიციალური ენაა; ენათა მნიშვნელოვანი ნაწილი კი მხოლოდ საოჯახო სამეტყველო ენას წარმოადგენს. მსოფლიოში არის ისეთი ენებიც, რომლებზედაც არა მარტო რამდენიმე ასეული, არამედ მხოლოდ ერთი ასეული კაცი მეტყველებს. მაგალითად, **ლატვიაში დაახლოებით 130 კაცი ლაპარაკობს ლიეურ ენაზე, რუსეთში კი მხოლოდ ასი კაცია კერტა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი.** დღეს საერთაშორისო ურთიერთობის ენის ფუნქცია ინგლისურ ენას აქვს მოპოვებული, რაც, უდავოდ, მსოფლიოში აშშ-ის პოლიტიკური, ეკონომიკური დაწინაურების შედეგია. XVIII საუკუნეში ასეთი ენის ფუნქცია ფრანგულს ეკისრებოდა. **მსოფლიოს 6000 ენიდან მხოლოდ ას ენას აქვს დამწერლობა.**

ენათა კლასიფიკაცია ენათა ისტორიულ-ნათესაურ ურთიერთობას ემყარება. ისტორიულ-ნათესაური ურთიერთობების თვალსაზრისით, მსოფლიოში არსებული ენები ოჯახებადაა დაჯგუფებული. ენათა ოჯახებში მეტ-ნაკლებად ურთიერთმონათესავე ენები შედის. ენათა ოჯახი კი საკმაოდ ბევრია. მხოლოდ ამერიკის კონტინენტზე ინდიელთა შორის ასამდე ენათა ოჯახს გამოყოფენ. მეცნიერ-ლინგვისტთა გამოთვლით კი მხოლოდ თორმეტი ენათა ოჯახში შემავალ ენებზე მსოფლიოს მოსახლეობის 96% მეტყველებს. თითქმის ყოველი ენობრივი ოჯახი იყოფა შტოებად ანუ ჯგუფებად, ჯგუფებში კი ხშირად ქვეჯგუფებს გამოყოფენ.

მსოფლიოში გავრცელებულ ენათა ოჯახების გეოგრაფიული საზღვრები ხშირად იცვლებოდა. უკანასკნელი თორმეტი-ცამეტი საუკუნის მანძილზე ძალიან გაიფართოვეს არეალი არაბულმა, თურქულმა, ინგლისურმა, ესპანურმა ენებმა. VII საუკუნემდე არაბული ენით მხოლოდ არაბეთის ნახევარკუნძულის ცენტრალური და სამხრეთი

ნაწილის მოსახლეობა საუბრობდა. შემდეგ ის სამხრეთ-დასავლეთ აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკის დიდ ნაწილში გავრცელდა. მნიშვნელოვნად გაიფართოვა თავისი არეალი თურქულ ენათა ჯგუფში, რომელიც დღეისათვის გავრცელებულია ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან ციმბირის ჩრდილო-აღმოსავლეთამდე. ინგლისური ენა XVI საუკუნემდე მხოლოდ ბრიტანეთის კუნძულებზე იყო გაბატონებული, მოგვიანებით კი ის თითქმის ყველა კონტინენტზე შეიჭრა.

შანამ, სანამ მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციას შევხებით, უნდა აღინიშნოს, რომ **რამდენიმე ენა გენეალოგიური კლასიფიკაციის გარეშე რჩება, რადგან მათი ნათესაობა რომელიმე სხვა ენასთან დამტკიცებული არაა. ესენია: ბასკური, კეტური, ნივხური, აინური, კორეული, იაპონური, იუკაგირული, ბურუშული...**

ყველაზე კარგად შესწავლილია ინდოევროპულ ენათა ოჯახი. ამ ოჯახის ენებზე მსოფლიოს მოსახლეობის 45% ლაპარაკობს. ევროპის გარდა, ინდოევროპულ ენათა ოჯახის ენები გავრცელებულია აზიაში (ირანი, ავღანეთი, ინდოეთის სუბკონტინენტის ჩრდილოეთი), ამერიკის ქვეყნებში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში. ინდოევროპული ენები ახლოს მდგომი დიალექტებისაგან მომდინარეობენ, რომელზე მოსაუბრენიც ძვ.წ. III ათასწლეულში სამხრეთ-დასავლეთ აზიიდან, შავი და კასპიის ზღვების მიმდებარე ტერიტორიებიდან სხვადასხვა მიმართულებით განსახლდნენ. ინდოევროპულ ენათა დამწერლობის უძველესი ძეგლი ძვ.წ. II ათასწლეულით თარიღდება. ესაა მცირე აზიაში ნაპოვნი ხეთური ლურსმული დაწერილობანი. ამავე დროის ინდოევროპულ ენათა ოჯახის ბევრი ენა დღეს მკვდარია. მათზე აღარავინ ლაპარაკობს.

ინდოევროპულ ენათა ოჯახის **რომანულ ენათა ჯგუფში** შედის: **იტალიური, ფრანგული, პროვანსალური, სარდინიული, ესპანური, პორტუგალიური, კატალანური, რეტორომანული, რუმინულ-მოლდოვური** ენები. პორტუგალიურთან ძალიან ახლოს დგას **გალისიური** ენა. ამ ჯგუფის მკვდარი ენებია: ლათინური, ოსკური, უმბრიული ენები. ლათინური ენა საფუძვლად დაედო ყველა რომანულ ენას. ლათინური ენის უძველესი წერილობითი ძეგლები ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება. ლათინური ენა კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური ენაა.

გერმანულ (გერმანიკულ) ენათა ჯგუფი სამ ქვეჯგუფად იყოფა. პირველი ქვეჯგუფი (ჩრდილოგერმანული ანუ სკანდინავიური) აერთიანებს **დანიურ, შვედურ, ნორვეგიულ, ისლანდიურ და ფარერულ** ენებს. დასავლურგერმანულ ქვეჯგუფში შედის **ინგლისური, გერმანული, ჰოლანდიური, ფრიზული** ენები. ამავე ქვეჯგუფში შედის **აფრიკანსი და იდიში**. აღმოსავლურგერმანულ ქვეჯგუფში ორი მკვდარი ენა შეაქვთ. ესენია ვესტგუთური (ე.ი. დასავლურგუთური ენა) და

ოსტგუთური (აღმოსავლურგუთური ენა). ვესტგუთური ენა ყველაზე ძველი გერმანული დამწერლობის მქონე ენაა. IV საუკუნეში გუთური ანბანით დამწერლობა შექმნა ეპისკოპოსმა ვულფილამ. მანვე თარგმნა სახარება. ოსტგუთურმა ენამ შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსა და ყირიმში XVI-XVII საუკუნეებამდე იარსება.

სლავურ ენათა ჯგუფიც სამი ქვეჯგუფისაგან შედგება. აღმოსავლურ სლავურ ენებს მიეკუთვნება **რუსული, უკრაინული და ბელორუსული**. სლავური ენების დასავლურ ქვეჯგუფში შედის: **ჩეხური, სლოვაკური, პოლონური** და მასთან ახლოს მდგომი **ქაშუბური, ლუჯიური** ენები. სამხრეთული ქვეჯგუფი წარმოდგენილია **ბულგარულ-მაკედონური, სლოვენური და სერბულ-ხორვატული** ენებით. სლავურ ენათა ჯგუფის მკვდარი ენებია ძველი სლავური (ანუ ძველი საეკლესიო სლავური) ენა, პოლაბური ენა, სლოვინური ენა, პომორული ენა.

ინდოევროპულ ენათა ოჯახის **კელტურ ჯგუფში** ორ ქვეჯგუფს გამოყოფენ. **გელური (ირლანდიური ენა, შოტლანდიური ანუ გელური ენა, მენური ენა)** და **ბრიტული (ბრეტონული ენა და უელსური ანუ ვალიური ენა)**. გადაშენებული კელტური ენაა გალური, რომელზედაც საფრანგეთის ტერიტორიაზე მცხოვრებნი მეტყველებდნენ.

ინდოევროპულ ენათა ოჯახის **ბალტიურ ჯგუფში** მხოლოდ ორი ცოცხალი ენა – **ლიტვური და ლატვიური** შედის. ამ ჯგუფის მკვდარი ენაა **პრუსიული**. პრუსიული ენის წერილობითი ძეგლები XIV-XVII სს-ით თარიღდება. ინდოევროპულ ენათა ოჯახში შედის **ინდურ ენათა ჯგუფი**. ძველინდურ ენათა პირველი ძეგლები ძვ.წ. I ათასწლეულით თარიღდება. ამ ენათა ოჯახში შედის: **ჰინდი და მასთან ახლოს მდგომი ურდუ, ბენგალური, მარათჰი, ფანჯაბური, რაჯა-სტანი, გუჯარათი, ორია, ნეპალი, ლაჰნდა, სინდიჰი, ასამი, ქაშმირი** და სხვა ენები. ინდურ ენათა ჯგუფში შედის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს მოღებული **ბოშათა ანუ აწინკანთა** ენა. ინდოევროპულ ენათა ოჯახის ინდურ ენათა ჯგუფის გადაშენებულ ენებს მიეკუთვნება ვედების ენა და სანსკრიტი, პალი და პრაკრიტები.

ინდოევროპულ ენათა ოჯახის **ირანულ ენათა ჯგუფში** შედის **სპარსული (ფარსი) ენა, ტაჯიკური ენა, ავღანური ანუ პუშტუ ენა, ბელუჯური ენა, ქურთული ენა, ოსური ენა, თათური ენა, თალიშური ენა, იაღნობური ენა, პამირული ენა**. მკვდარი ენებია: ძველი სპარსული, ფალაური, მიდიური, პართიული, სოგდიური, სკვითური, ხორეზმული, საკური ანუ ხატაური.

ინდოევროპულ ენათა ოჯახში ცალკე ჯგუფებს ქმნიან ახალი **ბერძნული, ალბანური და სომხური ენები**. არსებობდა ძველბერძნული და საშუალობერძნული ანუ ბიზანტიური ენები (ფუნქციონირებდა

როგორც ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენა VI-XIV საუკუნეებში).

აფრაზიური ანუ სემიტურ-ქამიტური ენათა ოჯახი გავრცელებულია აფრიკის ჩრდილოეთსა და აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ენათა ეს ოჯახი ხუთი ჯგუფისაგან შედგება: **სემიტური, ეგვიპტური, ბერბერული, ყუშიტური და ჩადური**. სემიტურ ენათაგან დღეს ყველაზე გავრცელებულია არაბული ენა (20-მდე სახელმწიფოში). ის მუსლიმთა საერთაშორისო, კულტის ენაა. არაბული დამწერლობის უძველესი ძეგლი ახ. წ. IV ს-ით თარიღდება. ბერბერული, ყუშიტური და ჩადური ენები აფრიკის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთს მოიცავს. ბერბერული ენა შემონახულია მხოლოდ მადრიბის მთიან ოლქსა და საქარის ოაზისში. ბერბერულ ენაზე მოლაპარაკენი არაბულადაც ლაპარაკობენ. ცოცხალი სემიტური ენებია: ამჰარული, თიგრე, თიგრინია (სამივე ენა ეთიოპიაშია გავრცელებული), აისორული ენები (ეს უკანასკნელი არამეული ენის შთამომავალია).

მკვდარი სემიტური ენებია: აქადური (ასურულ-ბაბილონური) – ამ ენაზე შესრულებულია ლურსმული წარწერები ძვ.წ. 2800-650 წლებში; უგარიტული, ძველებრაული ენები. დღეს ეს უკანასკნელი გარკვეული ცვლილებებით აღდგენილ იქნა ისრაელის სახელმწიფო ენად – ივრითის სახელწოდებით; არამეული ენა (წინა აზიაში გავრცელებული იყო ძვ.წ. III – ახ.წ. IV სს-ში. ის ბიბლიის გვიანდელი წიგნების ენაა); ფინიკიური ენა (ფინიკიური თანხმოვანი ანბანით; დამწერლობის უძველესი ძეგლი ძვ.წ. XIII ს-ით თარიღდება), რომელიც ფაქტობრივად ბიბლიის ებრაულთან ერთად, ერთი, ქანანური ენის დიალექტს წარმოადგენდა.

ურალურ ენათა ოჯახი განფენილია ერთმანეთისაგან დაშორებულ გეოგრაფიულ არეალში. ის ორი ჯგუფისაგან შედგება: ფინურ-უგრული ანუ უგრო-ფინური და სამოიდური. ფინურ-უნგრული ჯგუფი მოიცავს შემდეგ ქვეჯგუფებს: ა) ბალტიისპირული (**ფინური, კარელიური და ესტონური ენები**); ბ) პერმიაკული (**კომი-ზირიანული, კომი-პერმული და უდმურტული ენები**); გ) ვოლგისპირული (**მარი ენა, მორდოვული ენა**) და დ) უნგრული (**უნგრული ანუ მაღიარული, მანსი და ხანტი ენები**). აღნიშნულ ენათა ოჯახის სამოიდური ჯგუფის ენებიდან შეიძლება დავასახელოთ: ნენცური, ევენკური, იგანანსური და სელკუპური.

ალთაურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება: თურქული, მონგოლური და ტუნგუსურ-მანჯურიული ჯგუფის ენები. თურქულ ენათა ჯგუფში შედის: **ჩუვაშური, თურქული, აზერბაიჯანული, თურქმენული, საღარული, გაგაუზური, თათრული, ბაშკირული, ყაზახური, ყირგიზული, ყარაყაღღაქური, ყარაჩაულ-ბალყარული, ყუმუხური, ნოღაური, კარა-**

იმული, უზბეკური, უიღურული, იაკუტური, დოღგანური, ალთაური, ხაკასური, თუვიური და სხვ. ენები. მკვდარი თურქული ენებია: ორ-ხონული, პაჭანიკური, ყივჩაღური, ძველი უიგურული, ჩალატაური, კოლგისპირა ბულგარული, ხაზარული.

თანამედროვე მონღოლურ ენებს მიეკუთვნება: საკუთრივ მონღოლური, ბურიატული, ყალმუხური, ოირატული. ტუნგუსურ-მანჯურიული ენებში შედის მანჯურიული (ჩინეთში, რომელიც სულ უფრო იშვიათად იხმარება), ევენკური, ევენური და სხვ.

ადრე ენათა ერთ ოჯახად იყო წარმოდგენილი იბერიულ-კავკასიური ენები. ცნობარებსა და ენციკლოპედიებში დღეს ცალ-ცალკეა შეტანილი ქართველურ და ჩრდილოკავკასიურ ენათა ოჯახები. ეს უკანასკნელი შემდეგი ჯგუფების სახითაა წარმოდგენილი: აფხაზურ-ადიღეური და ნახურ-დაღესტნური.

სამხრეთ ინდოეთში გაბატონებული დრავიდული ჯგუფის ენები შვიდი ჯგუფისაგან შედგება.

საპარის სამხრეთით აფრიკის მოსახლეობა ძირითადად სამი ოჯახის ენებზე ლაპარაკობს.

ამერიკის კონტინენტზე ასეულობით ენა იყო გავრცელებული. დღეს ბევრი მათგანი გადაშენებულია. ამერიკელ ინდიელთა შორის დღეს ყველაზე გავრცელებული ენებია: კეჩუა (პერუში, ეკვადორში, ბოლივიაში, ჩილეში, კოლუმბიაში, არგენტინაში), გუარანი (პარაგვაი, ბრაზილია, ბოლივია, არგენტინა) და აიმარა (ბოლივია, პერუ). ამერიკის ადგილობრივი მოსახლეობის ენები სუსტადაა შესწავლილი და მათი ლინგვისტური კლასიფიკაცია არგუმენტირებული არაა.

1.4. ტერიტორია – ეთნოსის ერთ-ერთი ნიშანი

ეთნოსები (ხალხები) წარმოდგენილია ტერიტორიის გარეშე. ყველა ხალხი (ეთნოსი) გარკვეულ ტერიტორიაზე ყალიბდებოდა. ტერიტორიის არსებობა აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ნებისმიერი ეთნოსის წარმოქმნისათვის. ჩვეულებრივ, ეთნიკური ტერიტორიები, ე.ი. ხალხთა საბინადრო ადგილები ისტორიულად ხშირად იცვლებოდა. მაგალითად, რუსების ეთნიკური ტერიტორია განუწყვეტლივ ფართოვდებოდა. იგივე შეიძლება ითქვას სხვა დიდი ხალხების ეთნიკური ტერიტორიის შესახებ. მაგალითად შეიძლება არაბები და ჩინელები დავასახელოთ. ქართველთა ეთნიკური ტერიტორია კი პირიქით – დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიკვეცა. ამა თუ იმ ხალხის განსახლებისას თუ მისი ცალკეული ჯგუფები გეოგრაფიულად გაეთიშება ერთმანეთს, რაც ჩვეულებრივ საზღვაო გზით ხდება, მაშინ ძირითადი („დედისეული“) ხალხიდან (ეთნოსიდან) გამოცალკე-

დება ახალი დამოუკიდებელი ეთნოსი. ასე დაემართათ ინგლისელებს, ფრანგებს, ესპანელებს, პორტუგალიელებს და ზოგიერთ სხვა ხალხს კოლონიურ პერიოდში (XVI-XIX სს.) ამერიკაში, აფრიკასა და ავსტრალიაში განსახლებისას.

ეთნიკური ტერიტორია ხშირად მცირდებოდა დაპყრობითი ომების, ეპიდემიების, შრომისა და ყოფის მიძიმე პირობების შედეგად, მაგრამ ძირითად როლს ეთნიკური ტერიტორიების შემცირებაში მაინც ასიმილაციური პროცესები თამაშობდა. ისტორიამ შემდეგი მაგალითებიც იცის: ამა თუ იმ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ხალხი (ეთნოსი) ნაწილობრივ, ზოგჯერ კი მთლიანად, ტოვებს მას და განსახლდება სხვადასხვა მიმართულებით. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ებრაელების ისტორია. ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე ებრაელი ხალხი ბინადრობდა თანამედროვე პალესტინაში. ეგვიპტესთან, ასირიასთან, ბაბილონთან, სპარსეთთან ომების შედეგად ძვ.წ. VII-II სს-ში ებრაელთა მნიშვნელოვანი მასები თავისი სამშობლოდან მიგრირდნენ. დაახლოებით ამავე დროს **ებრაელთა სალაპარაკო ენა – ივრითი შეიცვალა სხვა სემიტური ენით – არამეულით**. გვიან, ძვ.წ. II ს-ში პალესტინა რომაელებმა დაიპყრეს. ახ.წ. 69 წელს, რომაელთა ხელისუფლების წინააღმდეგ ებრაელთა რიგი აჯანყებების შემდეგ, პალესტინის დედაქალაქი იერუსალიმი დაანგრიეს და ებრაელთა დიდი ნაწილი რომის იმპერიის სხვადასხვა ნაწილში განსახლდა. ჩვენი ერის პირველ საუკუნეებში ებრაელები განსახლებულნი აღმოჩნდნენ დიდ სივრცეში: ევროპის, ჩრდილოეთ აფრიკისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის ქვეყნებში (ძირითადად ქალაქებში) როგორც რომის იმპერიის ფარგლებში, ასევე მის გარეთაც, სასანიდების სპარსულ სახელმწიფოსა და ინდოეთშიც კი. ევროპელი ებრაელები, რომლებიც იდიშზე ლაპარაკობდნენ, **აშქენაზებად** იწოდებოდნენ. ებრაელთა სხვა ჯგუფები, რომლებიც განსახლებულნი იყვნენ ესპანეთში, პორტუგალიაში, თურქეთში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მცირე აზიაში, სირიაში, ნაწილობრივ, ირანსა და ჩრდილო აფრიკაში და რომლებიც ლაპარაკობდნენ სახემეცველი ძველესპანურ ენაზე (სპანოლი), იწოდებოდნენ **სეფარიდებად**. ძველებრაული ენა, რომელზედაც შექმნილია მდიდარი ლიტერატურა, შემონახული იყო როგორც საკულტო ენა. დღეს ის აღიარებულია ისრაელის სახელმწიფოს ოფიციალურ ენად.

თავდაპირველი ეთნიკური ტერიტორიის დაკარგვის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბოშები, რომლებიც ჩრდილოეთ ინდოეთიდან გამოსულთა შთამომავალნი არიან. აქედან დაიწყო მათ განსახლება დასავლეთის მიმართულებით ახ.წ. I ათასწლეულის დასასრულს და XIV ს-ში მიაღწიეს ევროპას, სადაც ორი გზით მოხვდნენ – მცირე

აზიის გავლით ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ეგვიპტისა და ჩრდილო აფრიკის სხვა ქვეყნების გზით – ესპანეთში. დღეისათვის მთელ მსოფლიოში 1,5 მილიონ ბოშას ითვლიან, რომელთაგან 21,5% ცხოვრობს ჩეხეთში, 17,7% - რუმინეთში, 20% - ბულგარეთში, 16% ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. საკმაოდ ბევრი ბოშაა ყოფილ იუგოსლავიასა და უნგრეთში. სხვა ქვეყნებში ბოშათა რაოდენობა დიდი არაა, მაგრამ მათი ცალკეული ჯგუფები ყველგან გვხვდება. ბოშებმა შეინარჩუნეს თავიანთი ენა, აგრეთვე ცხოვრების მონეტალე წესი.

თავიანთი თავდაპირველი ეთნიკური ტერიტორიიდან განსახლებულნი არიან თათრები და სომხები. ერთგვარად ცალკე დგანან ლიტვასა და პოლონეთში მცხოვრები თათრები, სადაც მათ დაივიწყეს დედაენა, ლაპარაკობენ ადგილობრივ ენებზე, მაგრამ შენარჩუნებული აქვთ ეთნიკური თავისთავადობა ძირითადად მუსლიმური რელიგიის საშუალებით.

1.5. ეთნიკური კულტურა – ხალხთა ერთ-ერთი ნიშანი

ეთნოსთა ერთმანეთისაგან გამმიჯნელი უმნიშვნელოვანესი ნიშანია აგრეთვე კულტურული თავისებურება, რომელსაც ცალკეული ხალხები (ეთნოსები) ისტორიული განვითარების პროცესში ქმნიან, ავითარებენ და შემდეგ თაობიდან თაობას გადასცემენ. ასეთი ტრადიციები, რომლებსაც მეცნიერებაში „ეთნიკურ ტრადიციებს“ უწოდებენ, ყალიბდება ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში. ეთნიკური ტრადიციები განპირობებულია აგრეთვე ეთნოსის სოციალ-ეკონომიკური განვითარებითა და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით. წარმოქმნის შემდეგ ისინი მნიშვნელოვან მდგრადობას იძენენ და შემოინახებიან დიდხანს, მაშინაც კი, როცა ხალხის (ეთნოსის) ცხოვრების პირობები რადიკალურად იცვლება.

კულტურული იერსახის თავისებურება იმ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს, რითაც განსხვავდებიან ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხები (ეთნოსები), რომლებიც დიდი ხანია საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობენ და ეკონომიკურადაც მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ყოფილ იუგოსლავიაში მცხოვრები სერბები, ხორვატები, ჩერნოგორიელები და ბოსნიელები ლაპარაკობენ ერთსა და იმავე სერბიულ-ხორვატულ ენაზე, მკვიდრობენ მოსახლვრე ტერიტორიებზე, ჰქონდათ საერთო ეკონომიკური ბაზა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავიანთი თვითმყოფადი კულტურებით დამოუკიდებელ ეთნოს

სებს წარმოადგენდნენ. თითოეული მათგანის კულტურის თვითყოფადობა კი ძირითადად რელიგიური ფაქტორებითაა განპირობებული. ჩინეთში ჩინელები და ხუეიელები ლაპარაკობენ ერთ ჩინურ ენაზე, განსახლებულნი არიან „ხოლებრივად“ ქვეყნის სხვადასხვა რაიონში (ხშირად ერთსა და იმავე ქალაქსა და სოფელში), მაგრამ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი კულტურულ-ყოფითი თავისებურებებით, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია იმით, რომ ხუეიელები მუსლიმები, ჩინელები კი სხვა რელიგიების (ბუდიზმი, დაოსიზმი, კონფუციანიზმი) მიმდევარნი არიან.

ხალხი (ეთნოსი) თუ კარგავს თავის კულტურულ სპეციფიკას, ის, როგორც დამოუკიდებელი ეთნოსი, არსებობას წყვეტს. ასე დაემართა არაერთ ხალხს, რომლებიც ბიოლოგიურად თუმცა არ გადაშენდნენ, მაგრამ ისტორიის არენიდან გაქრნენ, რადგან კულტურული თვალსაზრისით მთლიანად შეერწყნენ მეზობელ ეთნოსებს. მაგალითად, აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე არაერთი დასავლეთ სლავური მოდემის ხალხი მდინარეების – ელბისა და ოდერის აუზებში გერმანელთაგან ასიმილირდა და მათ შემადგენლობაში შევიდა. ენობრივ-კულტურული ასიმილაციის ნათელ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ძველი ეგვიპტელების არაბიზაცია, ბალტიურენოვანი პრუსების გერმანიზაცია, კავკასიელი ალბანელების არმენიზაცია, თურქიზაცია და სხვა.

ეთნოსთა გამიჯვნის, ეთნიკური თვითშეგნების ერთ-ერთი განმსაზღვრელია აგრეთვე ამა თუ იმ ხალხისათვის დამახასიათებელი სოციალური ურთიერთობები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დაღესტნის მაგალითი. მართალია, დაღესტანში 30-ზე მეტი ხალხი (ეთნოსი) მკვიდრობს, რომლებიც ერთმანეთისთვის გაუგებარ (თუმცა მონათესავე) ენებზე ლაპარაკობენ, მაგრამ მათ აქვთ საერთო, რაც დაღესტნის საერთო სახელწოდებაში მოქცევის განმაპირობებელია. მხედველობაში გვაქვს ქორწინების სისტემა – ენდოგამიური ქორწინება. ახლა ჩანნები და ინგუშები ავიღოთ, რომლებიც ერთი ენის ორ დიალექტზე მეტყველებენ, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან გამიჯნულნი არიან სოციალური ურთიერთობების განსხვავებული ფორმებით. ამ თვალსაზრისით ჩანჩური და ინგუშური ტრადიცია, რომელიც ეთნიკური ტრადიციის სახითაა წარმოდგენილი, დიამეტრალურად განსხვავებულია. ინგუშებს თუ მტკიცე ოჯახი აქვთ, ჩანჩური ოჯახი ამის საპირისპიროა. ჩანჩებში მეუღლესთან გაყრა, ანუ ქმრის მიერ ცოლის გაშვება, პრობლემა არაა. ასე რომ, ჩანჩებში ქალი შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე რამდენიმე მამაკაცის ცოლი იყოს და მან პირველი ან მეორე მეუღლის ოჯახში დატოვებული შეილება აღარც კი ნახოს.

ამრიგად, ეთნიკურ თვითშეგნებას არა მარტო ენა, არამედ ეთნიკური კულტურაც განსაზღვრავს. ეთნოსს (ხალხს) ადამიანთა მხოლოდ ის ერთობლიობა წარმოადგენს, რომელიც თავს შეიმეცნება როგორც ასეთს, რომელიც მას სხვა ანალოგიური ერთობებისაგან განასხვავებს. ეთნოსის წევრების ჯგუფური ერთობის შეიმეცნებას ეთნიკურ თვითშეგნებას უწოდებენ, რომლის გარეგანი გამოხატულებაც თვითსახელწოდება (ეთნონიმი) ასე რომ, ეთნოსის (ხალხის) წევრების თვითშეგნება ფოკუსირდება წარმოდგენებში საერთო ტერიტორიის (სამშობლოს), ენის (დედაენის), კულტურის შესახებ და ფსიქიკის ნიშანდობლივ თავისებურებებში. აგრეთვე ეთნოსის (ხალხის) წევრებს საერთო წარმოდგენა აქვთ წარმოშობის შესახებ და ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან საერთო ისტორიული ბედით.

1.6. ხალხთა სახელწოდებანი - ეთნონიმები

დედამიწაზე ისტორიულად არსებულ ყველა ხალხს (ეთნოსს) საკუთარი სახელი ჰქონდა. ხალხთა (ეთნოსთა) სახელებს მეცნიერები ეთნონიმებს (ბერძნ. **ethnos**–**ხალხი** და **onyma**–**სახელი**) უწოდებენ. ეთნონიმი ხალხის ეთნიკური თვითშეგნების, ცნობიერების, იდენტობის გამოხატულებაა. რადგან ეთნონიმის წარმოქმნა მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ისტორიასთან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეთნიკურ ისტორიასთან, ამიტომ ხალხთა საკუთარი სახელების შესწავლა გვეხმარება გავარკვიოთ მათი წარმოშობის საიდუმლოებანი და სხვადასხვაგვარი ეთნიკური კავშირები. ეთნონიმების ისტორიული სემანტიკის გარკვევა მხოლოდ ლინგვისტური ანალიზითაა შესაძლებელი, მაგრამ ეთნონიმიკურ კვლევაში საუკეთესო შედეგის მიღება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ეთნონიმების ლინგვისტურ ანალიზთან ერთად მკვლევრები იყენებენ ყველა ხელმისაწვდომ ისტორიულ მონაცემსაც (ეთნონიმების ერთი ნაწილი ისტორიულ წყაროებში ძალიან ბევრჯერაა მოხსენიებული; ზოგიერთი მხოლოდ ერთხელაა დაფიქსირებული. უამრავი ეთნონიმი კი მხოლოდ ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ ტექსტებში შეიძლება მოვიძიოთ). თავდაპირველად ეთნონიმების მნიშვნელოვანი ნაწილი გარკვეული ხალხის სახელის აღმნიშვნელი არც იყო. ისინი საზოგადო სახელები იყო. ამავე დროს, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბევრი ეთნონიმის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „ადამიანები“, „ხალხი“. ამგვარი მნიშვნელობა ჰქონია თავდაპირველად გერმანელთა თვითსახელწოდებას „ლოიჟეს“, „ნონხოსის“, „ნენცს“, „ნივსს“, „აინუს“ და ა.შ.

ეთნოსის სახელწოდება (ეთნონიმი) შეიძლება მომდინარეობდეს ტერიტორიის სახელიდან (ტოპონიმიდან), რომელზეც ის ცხოვრობს. მაგალითად, კავკასიელი ჩაჩნებისა და ინგუშების სახელწოდებანი დასახლებული პუნქტების – „ჩაჩანაულის“ და „ანგუშტის“ (თანამედროვე კახაკთა სოფელი „ტარსკაია“ ოსეთში) სახელწოდებებიდან მომდინარეობს (ორივე ეს ეთნონიმი ხალხთა გარე სახელწოდება ანუ ეგზოეთნონიმია. პირველი თავის თავს „ნოხჩოს“ უწოდებს, მეორე – „ღაღღაის“, შესაბამისად ქართულ წყაროებში „ძურძუკები“ და „ღლიღვები“. მათივე აღმნიშვნელი ქართული ეთნონიმია „ქისტიც“). უკრაინელთა სახელი ყოფილი რუსეთის იმპერიის ისტორიული ტერიტორიის სახელიდან მომდინარეობს (Украина – განაპირა მხარე). ეს სახელი უკრაინელებს რუსებმა შეარქვეს. თვით უკრაინელები თავიანთ თავს ჯერ კიდევ XVII ს-ში „რუსებს“ უწოდებდნენ და ძველ რუსთა ნამდვილ შთამომავლებად მიიჩნევდნენ. მაშინ „უკრაინელს“ ეთნიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა და ის უბრალოდ მხოლოდ განაპირა მხარის მკვიდრთ აღნიშნავდა. ტოპონიმი უდევს საფუძვლად რუსთა უკრაინულ და პოლონურ სახელწოდებას „მასკალ“ (ე.ი. მოსკოველი). ეთნონიმი „აზერბაიჯანელი“ კი ძველი ირანის პროვინციის ატროპატენის სახელწოდების სახეცვლილი ფორმიდანაა მიღებული. ისტორიაში დადასტურებულია პირიქითი ფაქტებიც: გეოგრაფიული სახელწოდება (ქვეყნის სახელი) მიღებულია ეთნონიმებისაგან. შორს რომ არ წავიდეთ, ამ რიგის მაგალითად „საქართველო“ შეიძლება დავასახელოთ: „ქართველი“ → „სა-ქართველო“, თუმცა „ქართველი“, როგორც ეთნონიმი, ქვეყნის სახელიდან (გეოგრაფიული სახელწოდებიდან) – „ქართლი“ იყო წარმოქმნილი. ისტორიაში ცნობილია ისეთი ფაქტებიც, როდესაც ამა თუ იმ ეთნოსმა სახელწოდება ცნობილი მმართველების საკუთარი სახელებიდან მიიღო. მაგალითად შეიძლება ეთნონიმები „უზბეკი“ და „ნოღაელი“ დავასახელოთ. ისინი მომთაბარე ტომობრივი ჯგუფების ხანთა საკუთარი სახელებიდან მომდინარეობს. როგორც მეცნიერებაში აღიარებულია, ნოღაელები ერთ დროს ძლიერი თურქულენოვანი ხალხის „გუზების“ შთამომავალნი არიან, რომლებიც ჯერ კიდევ X-XI სს-ში კასპიის ზღვის ჩრდილოეთით, მდინარეებს, ვოლგასა და ურალს შორის ვრცელ ტერიტორიაზე ბინადრობდნენ.

მოფლიოს ძალიან ბევრ ხალხს რამდენიმე სახელი აქვს. სამართლიანადაა შენიშნული (შ. აფრიდონიძე), რომ „ეთნონიმია“ საკუთარ სახელებს შორის (ტოპონიმები, ანთროპონიმები, ზოონიმები, კოსმონიმები) ერთადერთია, რომელიც აუცილებელი პარალელიზმით ხასიათდება. ეთნონიმთა შორის ორი ჯგუფი გამოიყოფა. ერთი მათგანი აუცილებლად თვითსახელწოდებაა (ენდოეთნონიმია), მეორე კი გა-

რესახელწოდება (ეგზოთნონიმია). მაგალითად, ქართველები ქართველს მხოლოდ ჩვენ თავს ეუწოდებთ. ამ სახელით საქართველოს ტერიტორიის გარეთ არავინ არ გვიცნობს. სომხებისათვის „ვრაც“-ები ვართ (ძველსომხურად „ვირკ“), რუსებისათვის – „გრუზინ“-ები, ირანელებისა და თურქებისათვის (აგრეთვე მაჰმადიანი ჩრდილოკავკასიელებისათვის) – „გურჯ“-ები, ფრანგებისათვის – „ჟეორჯიენ“, ესპანელებისათვის – „ხეორხიანოს“, ინგლისელებისათვის – „ჯორჯიან“. ყაზარდოელებისათვის ქართველი „სონე“-ა, ბალყარელისათვის – „ებზე“. გერმანელთა თვითსახელწოდებაა (ენდოთნონიმია) „ლოი“, რუსები მათ „ნემეც“-ს უწოდებენ, ინგლისელები – „ჯიომენ“-ს, ფრანგები „ალემან“-ს, იტალიელები – „ტედესკო“-ს, ფინელები – „საქსალაინენ“-ს, სერბები – „შვაბ“-ს. რაც შეეხება ეთნონიმს „გერმანელი“, ის სხვადასხვა ხალხში კელტებიდან გავრცელდა. ამრიგად, ეთნონიმებიდან აშკარად ჩანს, რომ ამა თუ იმ ეთნიკური სახელის მატარებლებს გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ეთნიკური ჯგუფის ერთიანობა და რომ სხვა ეთნოსებს ისინი სახელით (ეთნონიმით) უპირისპირდებიან (ფორმულა „ჩვენ“ – „ისინი“). ყველა ეთნოსი სახელით გამოარჩევს თავის თავს სხვა ეთნიკური ერთობებისაგან.

საისტორიო ტრადიციით ეთნონიმთა ნაწილი წინაპრის სახელთაა დაკავშირებული. მაგალითად, სომეხთა თვითსახელწოდებაა „ჰაი“. სხვები სომეხებს ძირითადად „არმენ“-ების სახელით იცნობენ (თურქულენოვანი ხალხები მათ „ერმენლი“-თ მოიხსენიებენ). სომხური საისტორიო ტრადიციითაც სომეხები ორი ძმის, „ჰაიკის“ და „არმენიკის“ შთამომავალნი არიან. გადმოცემით ყაზარდოელების მამთავარს სახელად ერქვა „ყაზარდა“, რომელმაც თავისი ხალხი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მიიყვანა. ეთნონიმიც აქედან მომდინარეობს. ქართული საისტორიო ტრადიციითაც ეთნონიმი „ქართველი“ ეთნარქიდან – ქართლოსი მომდინარეობს, თუმცა ეს მხოლოდ ლეგენდაა და ამდენად დამაჯერებლობას მოკლებულია.

ეთნონიმთა უმეტესობა დროთა განმავლობაში გავრცელების არეს იცვლიდა. თავდაპირველად ესა თუ ის ეთნონიმი მხოლოდ ხალხის ერთი ნაწილის, პატარა ჯგუფის აღმნიშვნელი იყო. შორს რომ არ წავიდეთ, ისევ ეთნონიმის – „ქართველი“ შესახებ შეიძლება ვთქვათ. „ქართველი“ თავდაპირველად საქართველოს ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – ქართლის მკვიდრებს აღნიშნავდა. შემდეგ ეს ეთნონიმი საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებზე გავრცელდა – ის მიეკუთვნა იმერელსაც, მეგრელსაც, სამცხელსაც, ტაოელსაც, აფხაზსაც, დვალსაც, სვანსაც, კახელსაც, ჰერსაც, ფხოველსაც... რადგან ქართული ტომების არა მარტო ერთ პოლიტიკურ ორგანიზაცი-

აში (სახელმწიფოში), არამედ ერთ კულტურულ-ისტორიულ არეალში გაერთიანება ქართლისა და ქართლელთა გარშემო მოხდა. ასე გაიფართოვა გავრცელების არეალი ეთნონიმმა „ფრანგი“. თავდაპირველად ის დღევანდელი საფრანგეთის ერთი პროვინციის, მეფის დომენის, ილ-დე-ფრანსის მაცხოვრებლებს მიეკუთვნებოდა. შემდეგ, აღნიშნული ეთნონომი სხვა პროვინციების, ნავარას, ბეარნის, ბურგუნდიის, აკვიტანიის, ელზასის, ლოტარინგიის, პროვანსის მკვიდრებზედაც გავრცელდა. IX ს-მდე „ჩეხები“ დასავლეთ სლავების ერთ პატარა ტომს ეწოდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ მრავალი სლავური ტომი გააერთიანეს, ახალმა ეთნიკურმა ერთობამ გამაერთიანებელი ჩეხების სახელწოდება მიიღო, გაერთიანებული ტომების სახელწოდებანი კი გაქრა. სხვა მაგალითები რომ არ მოვიყვანოთ, უნდა დავასკვნათ, რომ ხშირად ამა თუ იმ ეთნოგრაფიული ჯგუფის სახელწოდება მთელ ხალხებს გადაეცემა. იგივე შეიძლება ითქვას ეგვიპტე-ეთნონიმებზეც. მაგალითად, ფრანგებისათვის გერმანელები „აღმამანები“ არიან, ლატვიელებისათვის რუსები – „კრივიჩები“. აღმამანები გერმანელთა ერთ-ერთი ტომობრივი გაერთიანება იყო, რომელთანაც ფრანგებს ხშირი კონტაქტი ჰქონდათ. კრივიჩები კი ლატვიელებთან ახლოს განსახლებული ერთ-ერთი აღმოსავლეთ-სლავური ტომი გახლდათ.

რადგან ეთნოგრაფიული ჯგუფები ვახსენეთ, ორიოდ სიტყვით მათი სახელწოდების შესახებაც უნდა აღვნიშნოთ. ხალხთა (ეთნოსთა) უმეტესობა ეთნოგრაფიულ ჯგუფებად იყოფა, რომელთა წარმოქმნა განპირობებულია ამა თუ იმ ეთნოსის ისტორიული ცხოვრებით, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით. ერთი სიტყვით, ეთნოსთა ეს დანაყოფები ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ყოფა-ცხოვრებით, წეს-ჩვეულებებით, სპეციფიურობით ხასიათდება. ამავე დროს ყველა ეთნოსის ეთნოგრაფიული ჯგუფისათვის დამახასიათებელია შესაბამისი დიალექტი, კილოკავი ანდა ენობრივი განსხვავებულობაც კი. *ესპანელების ეთნოგრაფიული ჯგუფები არიან კასტილიელები, ასტურიელები, ლეონელები, ესტრემადურიელები, არავონელები, ანდალუსიელები, ვალენსიელები... იტალიელებისა – ვენეციელები, ლიგურიელები, კალაბრიელები, ლომბარდიელები, პიემონტელები, ტოსკანელები, სიცილიელები.* დასახელებული ეთნოგრაფიული ჯგუფების სახელწოდებანი ეთნონიმები არაა (ზოგჯერ არასწორად მათ ეთნონიმებად წარმოიდგენენ). ეთნონიმებია მხოლოდ ზემოთ დასახელებული ჯგუფების გამაერთიანებელი სახელწოდებანი – ესპანელები, იტალიელები. იგივე შეიძლება ითქვას ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფების სახელწოდებებზეც (ქართლელი, კახელი, იმერელი, აჭარელი, გურული, მეგრელი, სვანი, მესხი, ჯავახი).

მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური ისტორიის გაცნობა გვარწმუნებს, რომ **ხშირად ეთნონიმი არა მხოლოდ ფონეტიკურად იცვლებოდა, არამედ ობიექტსაც იცვლიდა.** დადასტურებულია არაერთი შემთხვევა ეთნიკური კონტაქტების შედეგად ეთნონიმის ერთი ხალხიდან მეორე ხალხზე გადაცემისა. ასეთ შემთხვევაში ხშირად ეთნონიმების: ბულგარელის, ფრანგის, რომაელის და სხვათა მგავალითები მოჰყავთ. დღეს ბულგარელები სლავები არიან. თავდაპირველად კი ეთნონიმი „ბულგარელი“ თურქულენოვანი ხალხის სახელწოდება იყო, რომელიც ვოლგისპირეთისა და სამხრეთ რუსეთის სტეპებში მომთაბარეობდნენ. თრაკიაში სლავი ტომები თურქმა ბულგარელებმა დაიპყრეს. მათ აქ სახელმწიფოც შექმნეს და ზედა ფენასაც ისინი წარმოადგენდნენ. ქვეყანას ბულგარეთი ეწოდა და ქვეყნის მკვიდრიც ბულგარელებად იწოდნენ (მოსული ბულგარელები სლავებში გაითქვიფნენ). ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ბულგარელთა ეთნონიმმა განვითარება პოვა აგრეთვე სხვა თურქულენოვან ხალხში – ბალყარელებში, რომლებიც დღეს ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის მკვიდრი არიან. გერმანულენოვანმა ფრანკებმა რომანიზებული გალია დაიპყრეს. რომანიზებული გალების თვითსახელწოდება (და ეგზოეთნონიმიც) „**ფრანსე**“ („**ფრანგი**“) გახდა. მაკედონიელები დღეს სლავები არიან, მაგრამ ოდესღაც დღევანდელი მაკედონიის ტერიტორიაზე სხვა ხალხი – მაკედონიელები ცხოვრობდა (ალექსანდრე მაკედონელი ამ ეთნოსის წარმომადგენელი იყო), რომელსაც არავითარი საერთო არც ეთნიკური კულტურის, არც ენობრივი თვალსაზრისით არ ჰქონდა დღევანდელ მაკედონელებთან. მაკედონიის ტერიტორიაზე VI ს-ში მოსულმა სლავებმა აქ ანტიკურ პერიოდში მცხოვრები ხალხის ეთნონიმი საკუთარ ეთნონიმად აქცია. ბალტიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ბალტიელი ხალხი – პრუსები (ლიტველებისა და ლატვიელების მონათესავენი) მკვიდრობდნენ. XII-XIII სს-ში მათი ტერიტორია გერმანელებმა დაიკავეს. პრუსების ნაწილი გერმანელებმა გაანადგურეს, ნაწილი კი ასიმილირებულ იქნა. პრუსიის მიწაზე შექმნილი გერმანული სახელმწიფო პრუსიად იწოდა და აქ მცხოვრები გერმანელები – პრუსიელებად. დადგენილია, რომ ეთნონიმი „**რუსი-რუსი**“ არასლავურია. სხვადასხვა ჰიპოთეზებს შორის დღეს რუსულ მეცნიერებაში უმეტესად გაზიარებულია თეორია, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ეთნონიმი თავდაპირველად ირანული ტომების საკუთრება იყო და ადგილობრივი ირანულენოვანი მოსახლეობის სლავიზაციის შედეგად მათი ეთნიკური სახელწოდება სლავების მიერ იქნა შეთვისებული (ვ. სედოვი). როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, ეთნონიმის შინაარსის კარდინალური შეცვლა ძველი ისტორიის პერიოდშიც ხდებოდა. მაგალითად, მცირე აზიაში თავდა-

პირველად **ხათები** მკვიდრობდნენ. მათი ეთნიკური რაობის და ენის შესახებ არაფერია ცნობილი. ძვ.წ. II ათასწლეულისა და I ათასწლეულის დასაწყისში ისინი ინდოევროპელებმა დაამარცხეს. გამარჯვებულებმა დაამარცხებულთა ეთნონიმი „ხეთ“-ის ფორმით მიიღეს.

ამრიგად, აშკარაა, რომ ეთნონიმები საუკუნეების განმავლობაში არსებობდნენ, მაგრამ ისტორიის ერთ ეტაპზე ესა თუ ის სახელოდება თუ ერთ რომელიმე ხალხს აღნიშნავდა, მეორე ეტაპზე – მეორეს, შესაძლებელია, მესამე ეტაპზე მესამე, სრულიად სხვა ხალხი აღნიშნოს. აქედან გამომდინარე, მკვლევრებს დიდი სიფრთხილე მართებთ საისტორიო წყაროებში ამა თუ იმ ეთნონიმის ამოკითხვისას. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურა, რომელშიც ეთნონიმი „**აფხაზი**“ გვხვდება არა დღევანდელ აფხაზთა აღსანიშნავად, რომელთა თვითსახელოდება „**აფსუა**“, არამედ ის სინონიმია ეთნონიმისა „**გურჯი**“, ე.ი. ქართველის.

ეთნონიმის შინაარსი მისი ობიექტის შეცვლისაგან დამოუკიდებლადაც შეიძლება შეიცვალოს. ხშირად ერთი ხალხის ეთნონიმი მეორე ხალხზე გადაჰქონდათ. შავიზღვისპირეთში XIX ს-ში მოღვრელებს ზოგჯერ ბერძნებისა და ციგნების სახელებით მოიხსენიებდნენ. XX ს-ის 20-იან წლებამდე რუსეთში ეთნონიმი „**ყირგიზი**“ აღნიშნავდა არა ყირგიზებს (მათ ყარაყირგიზებს უწოდებდნენ), არამედ ყაზახებს. VIII ს-ის შუა აზიაში ტერმინი „**ტაჯიკი**“ არაბს (ე.ი. ხალიფას მომარს) აღნიშნავდა, შემდეგ კი ის აქაური სპარსულენოვანი ხალხის ეთნონიმად იქცა. უეჭველია, რომ ეთნონიმების ერთი ხალხიდან მეორეზე გადატანა უფრო ხშირი იყო დამწერლობის შექმნამდე, უდამწერლობო ხალხებში და ის ძირითადად მეზობელი თუ შორეული ხალხების ისტორიის არასაკმარისი ცოდნით იყო განპირობებული. რაღა შორს წავიდეთ, XVIII ს-ში რუსეთში „**ნემეცი**“ აღნიშნავდა არა მხოლოდ გერმანელს, არამედ სხვა გერმანიკული მოდგმის ხალხსაც, მაგ., პოლანდიელსაც, დანიელსაც და ა.შ. „**ლიტვანი**“ ბელორუსსაც მიესადაგებოდა; პუშკინის მიხედვით, პოლონელსაც. ფრანგი ბევრ ხალხში (და მათ შორის, ქართველებშიც) ევროპელთა, უფრო სწორად, ევროპაში მოსახლე სხვადასხვა კათოლიკე ხალხთა სინონიმიც იყო. ძველი ისტორიკოსები ხშირად სხვადასხვა ხალხთა ნაკრებს ერთი ეთნონიმით, ყველაზე ძლიერი და დიდი ხალხით ასახელებდნენ, მაგალითად, ელინიზმის ეპოქაში. ამის მაგალითად „**ხაზარები**“ და „**სკვითები**“ შეიძლება დავასახელოთ. ელინიზმის ეპოქაში ეთნონიმს „სკვითი“ შავიზღვისპირეთიდან თითქმის შუა აზიამდე განსახლებულ მომთაბარე ტომებსაც მიუსადაგებდნენ. მეცნიერი ხშირად შეცდომაში შეიძლება შეიყვანოს ძველ წყაროთა

ჩვენებებმა. გვიანდელი ისტორიკოსები ზოგჯერ, როდესაც აღწერენ დაახლ. ათასი წლის წინანდელ მოვლენებს ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულზე, სადაც ეთნოსი შეცვლილია, ძველი ეთნოსის სახელწოდების აღსანიშნავად მის დროს მცხოვრები ხალხის ეთნონიმს იყენებენ. მაგალითად, „ქართლის ცხოვრება“, როდესაც აღწერს ჩრდილოეთ კავკასიურ მოვლენებს V საუკუნისათვის, სმირად ახსენებს ოსებს, სინამდვილეში კი ჰუნები იგულისხმება.

ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში შეიცვალა, გაფართოვდა, სხვა ხალხებს მიეკუთვნა ეთნონიმები: „თურქი“, „თათარი“, „რომაელი“. თავდაპირველად რომაელი („რომეი“) თუ აპენინის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ლათინურენოვან ეთნოსს მიესადაგებოდა, შემდეგ ეს ეთნონიმი ბიზანტიურმა ეთნოსმა მიისაკუთრა და „რომეი“ მათ თვითსახელწოდებად იქცა („ურუმს“ უწოდებდნენ თავიანთ თავს თურქეთიდან 1830-იან წლებში საქართველოში, თრიალეთში გადმოსახლებული თურქულენოვანი ბერძნები). თუმცა, სინამდვილეში ისინი რომისა და რომაელთა მესაფლავენი იყვნენ და მომდინარეობდნენ მცირე აზიის, სირიის, ეგვიპტის პოლიეთნიკური ქრისტიანული თემებიდან. შემდეგ სახელწოდება „რომაელი“ რუმინელებზეც გავრცელდა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთ ხალხში ეთნონიმი „ფრანგი“ ევროპის მკვიდრ სხვადასხვა კათოლიკე ხალხის სინონიმი იყო. თითქმის იგივე შეიძლება ითქვას ეთნონიმის – „თათარი“ შესახებაც. ამ ეთნონიმმა განვითარების რთული გზა გაიარა. თავდაპირველად აღნიშნულ ტერმინს ჩინელი მემპატონაეები ჩინეთის ჩრდილოეთით მცხოვრებ ყველა „სტეპნიაკს“ მიუსადაგებდნენ. უხეშად რომ შევადაროთ, მას თითქმის ისეთივე შინაარსი ჰქონდა, როგორც ევროპელს, რომელშიც იტალიელსაც ვგულისხმობთ და დანიელსაც, პოლონელსაც და უნგრელსაც. სინამდვილეში ეთნონიმი „თათარი“ მრავალრიცხოვანი სტეპური ტომებიდან ერთ-ერთის სახელწოდება იყო. თათრები მონღოლებთან მტრულ განწყობილებაში იყვნენ, მაგრამ მალე ისინი საერთო მონღოლურ სახელმწიფოში შევიდნენ. მონღოლებმა როგორც სხვა ტომების, ისე თათრების ასიმილირება ადვილად მოახდინეს. მას შემდეგ მონღოლებმა მეორე სახელწოდება „თათარი“ მიიღეს. გვიან ეს ეთნონიმი მაჰმადიანური სარწმუნოების რამდენიმე თურქულენოვანმა ხალხმა მიიღო (ყირიმის თათრები, ყაზანელი თათრები, ასტრახანელი თათრები). ქართველთათვის (საერთოდ ქრისტიანთათვის) „თათარი“ იყო ყველა მუსლიმური სარწმუნოების ხალხი, მათ შორის, მაჰმადიანი ქართველიც ამ ეპითეტის მატარებელი ხდებოდა (ანალოგიურ ვითარებასთან გვექონდა საქმე, როდესაც ბიზანტიის იმპერიაში მცხოვრები ოცამდე სხვადასხვა მართლმადიდებელი სარწმუნოების ეთნოსი ბიზანტიელად, ე.ი. ბერძნად

(თვითსახელწოდება „რომი“) იქცა. ამ მხრივაც ხდებოდა ხალხების (ეთნოსების) მიერ სახელების შეცვლა. მაგალითად, ხაზართა შთამომავლების გარკვეული ნაწილი ოქროს ურდოს ეთნიკურ კონგლომერატში გაითქვიფა და მუსლიმური სარწმუნოების გამო ისინი მექანიკურად თათრებად იქცნენ. ასევე თათრებად იწოდნენ ღონისპირეთის ყივჩაყები, რომლებიც ადრე თათარ-მონღოლთა დაუძინებელი მტრები იყვნენ.

ეთნონიმებთან მიმართებაში მეცნიერებს შემჩნეული აქვთ შემდეგი გარემოებაც, ესაა რამდენიმე ხალხის მიერ ერთი სახელწოდების ტარება, რაც ძირითადად გარესახელწოდებაზე (ეგზოეთნონიმებზე) ვრცელდება. მაგალითად, ანტიკური წყაროები იბერიელებს უწოდებენ აღმოსავლეთ ქართველებს და პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ მოსახლეობას – ესპანეთის ძველ მკვიდრებს. ალბანელები ეწოდებოდათ ქართველთა მეზობელ, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მკვიდრ ეთნოსს და ალბანელებს უწოდებენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ხალხს, რომელთა თვითსახელწოდებაა „შიეპტარ“. „ავარები“ ერქვა ერთ-ერთ თურქულენოვან ხალხს, რომელიც VI ს-ის შუახანებში დუნაისპირეთში შეიჭრა და პანონიაში დასახლდა. მემბტიანეებს მათ თავი იმით დაამახსოვრეს, რომ ისინი თარეშობდნენ გერმანიის, იტალიის და ევროპის სხვა ქვეყნების სიღრმეებში. მხოლოდ VIII ს-ის ბოლოს შეძლეს კარლოს დიდის მხედართმთავრებმა ავარების განადგურება და მას შემდეგ, როგორც ეთნოსი, ისინი გაქრნენ. რა თქმა უნდა, თურქულენოვან ავარებთან არავითარი საერთო არა აქვს დაღესტნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ეთნოსს „ავარიელებს“ (ქართულად „ხუნძებს“. ავარიელთა ქართული სახელწოდება „ხუნძები“ ტოპონიმიდან, სოფლის სახელიდან – „ხუნძახი“ მომდინარეობს), რომლის თვითსახელწოდებაა „მარულად“, რაც მათ ენაზე მთიელს ნიშნავს. ეს საერთო ეთნონიმი მხოლოდ შემთხვევითია. როგორც აღვნიშნეთ, ძველი ავარები თურქები იყვნენ, კავკასიელი ავარიელები (ხუნძები) კი კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ჯგუფის ერთ-ერთ ენაზე ლაპარაკობენ.

ეთნონიმებთან დაკავშირებით მოკლედ უნდა აღინიშნოს ერთი მოვლენის შესახებ, რომელიც ბოლო დროს შეიმჩნევა. ესაა ადრინდელი სახელწოდების (მკვდარი ეთნონიმის) თანამედროვე ეთნოსებისათვის მიკუთვნება. ამის ნათელი მაგალითია ოსების მიერ თავიანთი საცხოვრებელი ტერიტორიისათვის (ოსეთისათვის) მეორე სახელის – ალანეთის და, შესაბამისად, ეთნონიმის – ალანების მისაკუთრება. სამართლიანადაა შენიშნული (შ. აფრიდონიძე), რომ ადრინდელი სახელების თანამედროვე თაობებისათვის თავს მოხვევას

„აზრი არა აქვს არა მარტო როგორც უბრალოდ ანაქრონიზმის აღორძინების, არამედ რიგ (და უმეტეს) შემთხვევაში ეს ეთნიკურადაც გაუმართლებელია, რამდენადაც პრაქტიკულადაც ვნებს ხალხთა შორის ურთიერთობას“. ეთნონიმი „აღანი“ ოსებისათვის უცნობი იყო. ის მათი არც ენდოეთნონიმი და არც ეგზოეთნონიმი. იმ თვალსაზრისითაცაა მიუღებელი ოსების თვითსახელწოდებად „აღანების“ გამოყენება, რომ ისინი, როგორც ეთნოსი, კავკასიაში ადგილობრივი კავკასიური ტომების და მოსული ირანულენოვანი ეთნიკური ერთეულის შერევის შედეგად ჩამოყალიბდნენ. ამასთანავე, ცნობილია, რომ სახელწოდება „აღანი“ I-IV სს-ში ევრაზიის სტეპებში მცხოვრებ ყველა ნომადზეც ვრცელდებოდა, თუ ისინი წეს-ჩვეულებებით, ცხოვრების ველური წესითა და შეიარაღებითაც მათ ჰგავდნენ. სხვათა შორის, მეგრულ მეტყველებაში აღანები ეწოდებოდა ჩრდილოეთკავკასიელ თურქულენოვან ხალხს – ყარაჩაელებს. ასევე გაუმართლებელი იქნებოდა ქართველებს საქართველოსათვის „იბერია“ და ქართველებისათვის „იბერიელები“ გვეწოდებინა, რადგან ამ სახელწოდებებმა ისტორიას, დროს ვერ გაუძლო, ხოლო დღევანდელი ეგზოეთნონიმები კი ტრადიციულადაა ჩამოყალიბებული. წარუმატებელი აღმოჩნდა XVIII ს-ში საქართველოს და ქართველების აღსანიშნავად მკვდარი სახელწოდების „იბერიის“ და „იბერიელების“ („ივერიისა“ და „ივერიელების“ ფორმით) აღორძინება.

მსოფლიოში დღეს 6.000-მდე ეთნოსს ითვლიან, მაგრამ ეთნონიმა რაოდენობა ბევრად დიდია, რადგან ხალხთა უმეტესობას ენდოეთნონიმიდან ერთად რემდენიმე ეგზოეთნონიმიც აქვს. კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ბევრი ეთნონიმი გაქრა, ეთნიკურ სახელთა შედარებით მცირე რაოდენობამ კი დროს გაუძლო და დღესაც განაგრძობს სიცოცხლეს. ბევრმა ეთნონიმმა ჩვენამდე საერთოდ ვერ მოაღწია. ზოგიერთი აწ არარსებული ხალხის ეთნონიმი კი შეიძლება სადმე რომელიმე ხალხის მეტყველებაში ახლაც აღმოვანინოთ. მაგალითად, ანტიკურ წყაროებს ევრაზიის სივრცეში, დაახლოებით კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე ფიქსირებული ჰყავთ **სავირები** (ფიქრობენ, რომ ისინი ჰუნთა ერთ-ერთი ტომი იყო. სხვა მოსაზრებით, მადიარებს ანდა თურქებს ენათესავებოდნენ). დასავლეთ საქართველოს მთიელთა – სვანთა მეტყველებაში დღეს სავირებს ჩრდილოეთ კავკასიის თურქულენოვან ბალყარელებს უწოდებენ (ზოგჯერ ოსებსაც). ეს მასალა კი უდავოდ გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ დღევანდელი ბალყარეთის ტერიტორიაზე ოდესღაც სავირებსაც უცხოვრიათ, რომელთა სახელი ჯერ აქ მოსულ ირანულენოვან ხალხზე, ოსებზე გადავიდა, შემდეგ

კი თურქულენოვან ბალყარელებზე. მეგრულ მეტყველებაში თურქულენოვანი ყარაჩაელების აღმნიშვნელი ეთნონიმი, როგორც აღვნიშნეთ, არის „აღანები“, რაც ასევე იძლევა საშუალებას დანამდვილებით დავასკვნათ, რომ ყარაჩაელების მიწა-წყალზე მათ მოსვლამდე ოსთა ახლო მონათესავე აღანები მკვიდრობდნენ (რომლებიც კავკასიის ველებში ჰუნთა შემოსევების შემდეგ გამოჩნდნენ) და ადრინდელი მოსახლეობის სახელი შემდეგ მოსულებს მიეკუთვნა.

მეცნიერები ხშირად სვამენ კითხვას: როდის წარმოიქმნა ეთნომიმები? პასუხი მარტივია: როდესაც ეთნოსები (ხალხები) ჩამოყალიბდნენ, რომლებსაც გამოკვეთილი ეთნიკური თვითშეგნება ჰქონდათ. ეს კლასობრიობამდელ საზოგადოებაში მოხდა. თუმცა ეთნონიმთა წარმოქმნა, ახლის შექმნა, დავიწროება თუ გაფართოვება მუდმივი მოვლენა იყო, რადგან ეთნოსები (ხალხები) ისტორიის ყველა ეტაპზე ფორმირდებოდნენ. ერთი რამ კი აშკარაა – შეიძლება ერთი ენობრივი ერთეული ჩამოყალიბებულიყო, მაგრამ ერთი ეთნიკური თვითშეგნება არ ჰქონოდა და არც ერთი ეთნონიმის მატარებელი იყო. ამის დამადასტურებელი მაგალითები დადესტნიდან შეიძლება მოვიყვანოთ: «Известно, что в прошлом, даже вплоть до Октябрьской революции, у многих дагестанских народов, в том числе и наиболее крупных, не было своих единых этнических имен, как например, в настоящее время – аварцы, даргинцы, табасаранцы, лезгинцы и др. А. Дир писал: «У некоторых народностей Дагестана мы встречаем странное явление: у них не существует общего названия для обозначения народа и области, в которой распространен язык данного народа» (И.Х. Абдулаев, К.М. Микаилов. К истории дагестанских этнонимов лезг и лак – Этнография имен, М., 1971, с. 16). ნიშანდობლივია, რომ დადესტნურ ენებში ეთნონიმი და ტოპონიმი ერთი და იგივე სიტყვით გამოიხატება. მაგალითად, სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ლაკებში ყოველი სოფლის სახელწოდება აღნიშნავს როგორც აუღს, ისე მასში მცხოვრები ხალხის ერთობლიობას. ლაკური აუღის სახელწოდება ერთდროულად ეთნონიმურიცაა და გეოგრაფიულიც. არ ჰქონდათ საერთო სახელწოდება აგრეთვე ოსებს, თუმცა მეზობელი ხალხები მათ ერთიან ხალხად აღიქვამდნენ. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში დადასტურებული აღნიშნული მოვლენა, როგორც ჩანს, ამ ხალხების იზოლაციური ცხოვრების შედეგი იყო. ამავე დროს აშკარაა, რომ საერთო ენის ჩამოყალიბების პროცესი წინ უსწრებდა ერთიანი ეთნიკური თვითშეგნების, იდენტობის გამოხატულებას და შესაბამისად საერთო ეთნონიმის წარმოქმნასაც, რისთვისაც საჭირო იყო საერთო ისტორიული ბედი და პოლიტიკური

ორგანიზაციის შექმნა. ამასთანავე, ერთიან ენობრივ კოლექტივს საერთო ეთნონიმისათვის (ენდოეთნონიმისათვის) აუცილებლად სჭირდებოდა სხვა ეთნოლინგვისტურ ჯგუფთან დაპირისპირება.

ამრიგად, ასეთია მხოლოდ ზოგიერთი მონაცემი ეთნონიმების შესახებ. ერთი სიტყვით, ეთნონიმები ისტორიის შესანიშნავი მოწმეები არიან, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც გაუშიფრავია.

1.7. მოსახლეობის მიგრაციები და ეთნოსები

თანამედროვე მსოფლიოს ეთნიკური რუკა განსხვავდება ძველი მსოფლიოს ეთნიკური რუკისაგან. ხალხები (ეთნოსები) მთელი ისტორიის მანძილზე იცვლებოდნენ, რაზედაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა დაპყრობები, მიგრაციები... ეთნოსები ერთმანეთს ერწყმოდნენ, დიდი ეთნოსები პატარა ეთნოსების ასიმილირებას ახდენდნენ. დროდადრო იცვლებოდა მსოფლიოს ეთნიკური რუკაც. არ შევუდგებით იმის აღწერას, თუ როგორი იყო მსოფლიოს ეთნიკური შემადგენლობა ძველად, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ძველ ხალხთა (ეთნოსთა) მხოლოდ მცირე რაოდენობამ მოაღწია ჩვენამდე.

ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ეთნიკური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ე.წ. ხალხთა დიდ გადასახლებებს, რომლებიც IV-IX სს-ში მიმდინარეობდა. ამ გადასახლებებს, განპირობებულს პირველყოფილი საზოგადოების დაშლით, მოსახლეობის მატებით, ექსტენსიური მეურნეობით, წინ უსწრებდა ევროპის ჩრდილო-დასავლეთიდან გუთების შავიზღვისპირეთში გადასახლება (II ს. დასასრული – III ს. დასაწყისი) და სხვა მიგრაციები. ძველი იმპერიების ნანგრევებზე ქვეყნების უმეტესობაში ჩამოყალიბდა ფეოდალური სახელმწიფოები და მასთან ერთად დაიწყო ახალ ეთნოსთა ჩამოყალიბების პროცესი, რომელთაგან ბევრი დღესაც არსებობს. სწორედ ამ დროს მოხდა სლავების განსახლება აღმოსავლეთ ევროპაში და თითქმის მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულის ათვისება მათ მიერ; გერმანელების დასახლება ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში და მათი შედწევა ბრიტანეთის კუნძულზე, სადაც ადრე კელტები ცხოვრობდნენ. ამავე დროს მოხდა რომის ყოფილი იმპერიის სხვადასხვა პროვინციაში ლათინიზირებული მოსახლეობის შერევა ბარბაროს ტომებთან და რომანული ენებისა და, შესაბამისად, ეთნოსების ჩამოყალიბება.

IV ს-ში ჰუნებმა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადანაცვლებით მიაღწიეს ევროპას, სადაც მათ დუნაის აუზში ეთნიკურად ძალზე შერეული საკმაოდ დიდი, მაგრამ არამტკიცე სახელმწიფო დააფუძნეს. ჰუნების ნაკვალევზე მოვიდნენ აღმოსავლეთ ევროპაში სხვა

თურქული ტომები – ხაზარები, ავარები, ბულგარელები, პაჭანიგები, ყივჩაყები და სხვ. ბულგარელთა ერთმა ჯგუფმა ვოლგის აუზში გადაინაცვლა. მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს თათრებისა და ჩუვაშების ეთნოგენეზში. ბულგარელების მეორე ჯგუფი 679 წელს დუნაიზე გადავიდა, სამხრეთით მცხოვრებ სლავებში გაითქვიფა და თანის სახელწოდება გადასცა დღევანდელ ბულგარელ ხალხს. VIII-IX სს-ში სამხრეთ ურალიდან შუა დუნაიზე გადასახლდნენ უნგრელები (მადიარები), რომლებიც ენობრივად მონათესავენი იყვნენ დასავლეთ ციმბირელი უგრებისა – ხანტებისა და მანსებისა. თურქული მოდემის ხალხების მასობრივი გადასახლება მოხდა სამხრეთ ციმბირში, ცენტრალურსა და შუა აზიაში, სადაც ახ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში ჩამოყალიბდა ერთმანეთის შემცველი სატომო გაერთიანებები და სახელმწიფოები, რომლებშიც სხვადასხვაგვარი ეთნიკური ერთობები შევიდნენ. VI საუკუნესა და VII საუკუნის დასაწყისში დაიწყო არაბთა დაპყრობები, რასაც თან ახლდა არაბთა განსახლება წინა აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში და მათ მიერ ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილაციის პროცესი.

წყაროებით გადასახლებებში მონაწილე ხალხების ზუსტი რაოდენობის დადგენა გაძნელებულია. ზოგიერთი მონაცემით, ვესტგუთები, რომლებმაც რომის პროვინცია – მეზია დაიკავეს, 376 წელს 15 ათას კაცს ითვლიდნენ. ვანდალები, რომლებიც 406 წ. იტალიისაკენ მიემართებოდნენ, 200 ათასიდან 400 ათასამდე იყვნენ. ბალკანეთში გადასახლებული სლავები 100 ათასის ფარგლებში იყვნენ.

ხალხთა დიდი მიგრაციები ფრანგულ ისტორიოგრაფიაში „გერმანელთა თარეშებადაა“ სახელდებული. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ მიგრაციებმა თუ თარეშებმა ვერაზიის ვეებერთელა სივრცე მოიცვა და რადიკალურად შეცვალა სამყაროს ეთნიკური, კულტურული და პოლიტიკური იერსახე. ხალხთა დიდი გადასახლებები იყო გარდამავალი ეპოქის უნიკალური ისტორიული ფენომენი. ეს ფაქტობრივად იყო ძველი ცივილიზებული სამყაროს – რომისა და ბარბაროსული გერმანული, თურქული, სლავური, ირანული ეთნოსების ჭიდილი. შვიდსაუკუნოვან მიგრაციებს, თარეშებს დიდი სისხლის ღვრა და ახალი ცივილიზაციების წარმოქმნა მოჰყვა. წარმოიქმნა ახალი სახელმწიფოები, ახალი ხალხები, ახალი სოციალ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, მორალი, ფასეულობები, სულიერი სამყარო.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხალხთა დიდ მიგრაციებს ანტიკურობასა და შუა საუკუნეებს შორის დროებით „ღრიჭოს“ უწოდებენ და მას სამ ეტაპად ყოფენ: პირველი (II-IV საუკუნეები) – „გერმანული“, მეორე (IV-V საუკუნეები) – „ჰუნური“, მესამე (VI-VII საუკუნეები) –

„სლავეური“. მაგრამ ამ სამ ეტაპს აუცილებლად მეოთხე (VIII-IX საუკუნეები) – „თურქულ-მადიარული“ უნდა დაემატოს, რადგან ის თურქთა და მადიართა მიგრაციებს არ ასახავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, VIII–IX საუკუნეებში ევროპაში აღმოსავლეთის ხალთა მიგრაცია-თარეშები მადიარებმა (უნგრელებმა) დაავიროვეს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რამ გამოიწვია ხალხთა დიდი გადასახლებები? ხალხთა დიდი გადასახლებების წინ გერმანულ და სლავეურ ტომთა ცხოვრებაში თვისობრივი ცვლილებები მოხდა (საზოგადოებრივი ქონებისა და ნაყოფიერ შრომაში დაუსაქმებელი ადამიანების რაოდენობის ზრდა). სატომო ელიტა ქონების დაგროვებისკენ მიისწრაფოდა. ქონების მოპოვებისა და დაგროვების საშუალებას კი იმპერიის ტერიტორიაზე ლაშქრობები წარმოადგენდა. ეს ლაშქრობები, თავის მხრივ, რომის სახელმწიფოს ფარგლებში გადასახლებებისათვის ნიადაგს ამზადებდა. ამასთანავე, რომის იმპერიაც ხშირად ბარბაროსების მიგრაციას უწყობდა ხელს. ჰუნების ცენტრალურ ევროპაში გამოჩენამ მიგრაციული პროცესები მკვეთრად დააჩქარა და ადგილობრივი ეთნოსები აამოძრავა. ჰუნების გადასახლების მიზეზი რამდენადმე სხვა ფაქტორებით იყო განპირობებული, ვიდრე ბინადარი ხალხებისა. ბუნებრივი ფაქტორები კი ნომადთა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე უფრო დიდ გავლენას ახდენდა, ვიდრე მიწათმოქმედებზე. „მომთაბარულმა ფაქტორმა“ და გერმანულ და სლავეურ საზოგადოებებში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურმა ძვრებმა და რომის იმპერიის კრიზისმა ევრაზიის სივრცეში ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნიდან IX საუკუნემდე შეუჩერებელი მიგრაციული პროცესები გამოიწვია.

ახ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში აზიისა და ევროპის ეთნიკურ ისტორიაზე დიდი გავლენა მოახდინა მონღოლთა დაპყრობებმა. მათ სხვა, უპირატესად თურქული მოდგმის ხალხები დაიპყრეს, რომლებიც XIII ს-ში ჩინგის-ხანისა და მის მემკვიდრეთა ფართო, თუმცა ეფემერული იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ. ვრცელ ტერიტორიაზე მონღოლთა დაპყრობებს თან ახლდა მთელ რიგ ეთნიკურ ერთობათა გადაადგილებანი, რასაც შედეგად მოჰყვა სრულიად სხვადასხვა წარმოშობის ხალხების ერთმანეთთან შერევა და შეიქმნა წინაპირობები ცენტრალური, შუა და წინა აზიის, კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ახალი ეთნოსების ფორმირებისა. ამ ეთნიკური პროცესების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თათრების სხვადასხვა ჯგუფის გამოჩენა ციმბირში, ვოლგა-კამასა და ყირიმში. მონღოლ-თათართა კვალდაკვალ კავკასიასა და მცირე აზიაში, ოდნავ მოგვიანებით კი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, შეიჭრა თურქული მოდგმის ხალხების ახალი ჯგუფი – ოღუზები, რომლებიც

თანამედროვე შუაზიელი თურქმანების მონათესავენი იყვნენ. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ და არსებითი როლი ითამაშეს ახალი ეთნოსების ჩამოყალიბებაში, მათ შორის ახერბაიჯანელებისა და თურქოსმაღლებისა, რომლებმაც XV ს-ში გაანადგურეს ბიზანტია და რამდენიმე საუკუნით დაიპყრეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის ბევრი ხალხი. XV ს-ში აზიაში, ევროპასა და აფრიკაში ჩამოყალიბდა თითქმის ყველა ეთნოსი, რომელიც დღევანდლამდე არსებობს.

მთელი მსოფლიოს ეთნიკური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვასა და განვითარებას, რასთანაც დაკავშირებულია XVI-XIX სს-ში ევროპელთა დიდი ჯგუფების ამერიკაში, ავსტრალიაში, ოკეანისა და სამხრეთ აფრიკაში გადასახლება. ამ გრანდიოზულ მიგრაციებში მთავარი და წამყვანი როლი თავდაპირველად ესპანელებმა და პორტუგალიელებმა ითამაშეს. ამერიკის კონტინენტზე მიგრირებულმა, მშობლიურ ეთნოსებს მოწვევტილმა ევროპელებმა უცხო საბინადრო ადგილებში ახალ ეთნიკურ ერთობებს მისცეს დასაბამი. ახალი ეთნოსების ჩამოყალიბებაში ერთ შემთხვევაში მთავარი როლი ითამაშა კოლონიური ქვეყნების ადგილობრივმა აბორიგენმა მოსახლეობამ, მეორე შემთხვევაში კი – ევროპიდან გადასახლებულთა შთამომავლებმა, რადგან ადგილობრივი, აბორიგენი მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში თითქმის მთლიანად გაანადგურეს, ხელოვნურად იზოლაციაში მოაქციეს და თავიანთი ეთნიკური ტერიტორიიდან გააძევეს. პირველი გზით მოხდა მექსიკის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ბევრი ხალხის ფორმირება. ეთნიკური განვითარების მეორე გზა დამახასიათებელი იყო კანადელებისათვის, აშშ-თვის, არგენტინისათვის, ურუგვაისათვის, ავსტრალიისათვის, ოკეანის ბევრი კუნძულისათვის (ახალი ზელანდია, ჰავაი და სხვ.). ანალოგიური გზით სამხრეთ აფრიკაში ჰოლანდიიდან გადასახლებულთა შთამომავლებისაგან (ე.წ. ბურები) ჩამოყალიბდა ახალი ეთნოსი – აფრიკანერები, რომლებიც ლაპარაკობენ „აფრიკანისის“ განსაკუთრებულ ენაზე (6 მლ. მეტი). ის ახლოსაა ჰოლანდიურთან და ამავე დროს მისგან ბევრი თავისებურებით განსხვავდება. ზოგიერთ ამერიკულ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი კარიბის ზღვის აუზის კუნძულებზე, ვენესუელის, ბრაზილიისა და გაიანის ეთნიკურ ისტორიაში ევროპელების გვერდით დიდი როლი ითამაშეს ინდიელებმა და აფრიკული წარმოშობის მონათა შთამომავლებმა.

ამა თუ იმ ეთნოსში სხვა ხალხთა (ეთნოსთა) წარმომადგენლების შეღწევა მოხდა ანტიკური სამყაროს მონათმფლობელური საზოგადოებრივი ურთიერთობების დროს. ამ საზოგადოების

მოსახლეობის უმეტესობა, როგორც წესი, თავისუფალი მეთემეებისაგან შედგებოდა, რომლებიც უპირატესად მიწათმოქმედი იყვნენ. ძირითადი ექსპლუატირებული კლასი, მონები, მონათმფლობელებისა და თავისუფალი მეთემეებისაგან ეთნიკური მიკუთვნებულობით განსხვავდებოდა. მონები უცხო ეთნოსთა წარმომადგენლები იყვნენ და, ბუნებრივია, თავდაპირველად არ შედიოდნენ არც ბერძნულ და არც რომაულ ეთნოსში. რომის იმპერიაში მონათა უმეტესობა სხვადასხვა ხალხის (ეთნოსის) წევრი იყო, რომელთანაც რომაელები დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ. მონებად ჰყავდათ ათასობით სამხედრო ტყვე: თრაკიელები, ილირიელები, გალები (კელტები), გერმანელები, სლავები და ბევრი სხვანი, რომელთა მიწები ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და დასავლეთ აზიაში რომაელთა ჯარების მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ იყო დაპყრობილი. მონათა ყველაზე დიდი აჯანყების ბელადი სპარტაკი (ძვ.წ. I ს.) წარმოშობით თრაკიელი იყო. ახალი ერის პირველ საუკუნეებში, როდესაც რომის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება თანდათანობით დასუსტდა, ბევრმა შორსმჭვრეტელმა რომაელმა მონათმფლობელმა თავისი მონების მიწაზე დასმა დაიწყო. ამასთანავე, მათ ნებას რთავდნენ დაქორწინებულიყვნენ და შეექმნათ ოჯახები. თავისთავად ცხადია, ამ მონათა შთამომავალნი შედიოდნენ იმ ხალხის (ეთნოსის) შემადგენლობაში, რომელთა გარემოცვაშიც ცხოვრობდნენ.

1.8. რელიგია და ხალხები

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე თითქმის ყველა ხალხის ცხოვრებაში რელიგია არსებით როლს თამაშობდა. რელიგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა არა მარტო მატერიალურ კულტურაზე, საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფაზე, არამედ ეთნიკურ განვითარებაზეც. პირველყოფილ საზოგადოებაში ყველა ტომს მისთვის დამახასიათებელი რწმენა-წარმოდგენები ჰქონდა. იმ დროისათვის ეს იყო მაგია, ტოტემიზმი, ანიმიზმი, შამანიზმი, წინაპართა კულტი, ბუნების კულტი, ფეტიშიზმი, სატომო ბელადების კულტი, სხვადასხვაგვარი სამიწათმოქმედო და მეცხოველეობასთან დაკავშირებული კულტები და მრავალი სხვა.

ძველი მსოფლიოს ცალკეული რელიგიები პოლითეისტურ და მონოთეისტურ რელიგიებად იქცნენ. ასეთი რელიგიებიდან აღსანიშნავია ძვ.წ. II ათასწლეულში ებრაელებში წარმოშობილი და ჩვენამდე მოღწეული იუდაიზმი. სხვა ძველი რელიგიის – ზოროასტრიზმის საფუძველი, რომელიც ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ძველ ირანელთა შორის წარმოიშვა და ტრანსფორმირებული სახით დღეს შე-

ნარჩუნებულია ფარსებში, გებრებსა და იეზიდების ეთნოკონფესიურ ჯგუფებში, იყო დუალიზმი, ე.ი. წარმოდგენა კეთილი და ბოროტი საწყისის ურთიერთბრძოლის შესახებ. აზიაში არაერთი სხვა პოლითეისტური რელიგია წარმოიშვა, მაგრამ ისინი მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიებად ვერ იქცნენ. მსოფლიო მნიშვნელობის მონოთეისტური რელიგიებია: **ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი**. ბუდიზმის შესახებ მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ის ძვ.წ. VI-V სს-ში წარმოიშვა სამხრეთ აზიაში და ორი ძირითადი მიმართულებისაგან შედგება.

ახ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში წარმოიშვა ქრისტიანობა (ახალი წელთაღრიცხვა ქრისტეს შობიდან ათვლდება). XI ს. შუა ხანებში ქრისტიანობა ორ მიმართულებად – მართლმადიდებლობად და კათოლიკობად დაიყო. XVI ს-ში, რეფორმაციის შედეგად, კათოლიციზმს გამოეყო პროტესტანტიზმი, რომელიც რამდენიმე თვითმყოფად მიმდინარეობას მოიცავს, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია **ანგლიკანიზმი** (ყველაზე ახლოს დგას კათოლიციზმთან), **ლუთერანიზმი** და **კალვინიზმი**. კალვინიზმი სამ ძირითად განშტოებად იყოფა: **რეფორმატიზმი, პრესვიტერიანიზმი, კონგრეგაციონიზმი**. ანგლიკანიზმიდან არის გამოსული **მეთოდიზმი**. მეთოდიზმთან კი მჭიდროდაა დაკავშირებული სექტა „**ხსნის არმია**“, რომელიც სამხედრო ყაიდაზეა მოწყობილი. კალვინიზმთან გენეტიკურადაა დაკავშირებული **ბაპტიზმი**. ბაპტიზმთა რიგებს გამოეყო **50-იანელთა სექტა**; გამოეყო აგრეთვე **ადვენტიზმი**, ადვენტიზმს **იელოვას მოწმეების სექტა**.

ქრისტიანობის სამ ძირითად მიმდინარეობასთან ერთად (**მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი**) არსებობს აგრეთვე ორი ნაკლებად გავრცელებული მიმართულება, რომელიც ახ.წ. V ს-ში წარმოიშვა: **მონოფიზიტობა** (მას მიეკუთვნებიან **სომეხი გრიგორიანელები, ეთიოპიელები, კოპტები**) და **ნესტორიანობა** (**ნესტორიანელები** არიან **ასირიელები**). **ლიტურგია სრულდება ძველ ასირიულ ენაზე**. ნესტორიანულ ტაძრებში არაა ხატები და ქანდაკებანი. საქართველოში ცხოვრობს 6 ათასი ნესტორიანელი). რელიგიური წესჩვეულებებით ნესტორიანობა და, განსაკუთრებით, მონოფიზიტობა ძალზე ახლოს დგას მართლმადიდებლობასთან.

ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო რელიგიაა **ისლამი**. ის წარმოიშვა ახ.წ. VII ს-ში არაბებში. წარმოშობისთანავე ისლამი დაიყო სამ მიმართულებად: **სუნიზმი, შიიზმი და ხარიჯიზმი**. ფართოდ გავრცელდა მხოლოდ პირველი ორი. სუნიზმიდან და შიიზმიდან წარმოიშვა მთელი რიგი სექტები. სუნიზმიდანაა გამოსული **ვაჰაბიზმი**. ძირითადი შიიტური სექტაა **ზეიდიზმი**.

სხვადასხვა რელიგიის, მათი მიმართულებების, მიმდინარეობების და სექტების გავლენა ერთნაირი არაა. ზოგიერთი მათგანი ითვლის ასეულ მილიონობით მიმდევარს, სხვები კი აერთიანებენ მხოლოდ რამდენიმე ათას, ანდა ასეულ კაცს.

1996 წლის მონაცემებით მსოფლიოში ითვლებოდა 1 მილიარდ 955 მილიონი ქრისტიანი (მსოფლიოს მოსახლეობის 36%); მუსლიმები – 1 მილიარდ 126 მილიონი (მთელი მსოფლიოს მოსახლეობის 19%), ინდუისტები – 793 მილ., რაც მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 14% შეადგენს; ბუდისტები – სხვადასხვა მონაცემებით 500 მილიონი და 325 მილიონი (მსოფლიოს მოსახლეობის 6%); კონფუციანელები და დაოსტები – 203 მილ.; იუდაისტები – 14 მილიონი; სიკხები – 19 მილიონი. ქრისტიანებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი არიან კათოლიკეები – 900 მილ.; პროტესტანტები – 600 მილ.; მართლმადიდებლები – 182 მილიონი. პროტესტანტებიდან ლუთერანები არიან 100 მილ., 50-იანელები – 51 მილ., ანგლიკანები – 51 მილ., ბაპტისტები – 75 მილ., რეფორმისტები (პრესვიტერელებთან ერთად) – 46 მილ., იელოვას მოწმეები – 5 მილ., ადვენტისტები – 5 მილ., „ხსნის არმიის“ მიმდევარია 4 მილიონი. მუსლიმებს შორის ჭარბობენ სუნიტები.

მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი რელიგია ქრისტიანობაა. ქრისტიანთა უმეტესი ნაწილი თავმოყრილია ამერიკასა და ევროპაში; მცირე ჯგუფები ცხოვრობენ აფრიკასა და აზიაში. ევროპის მხოლოდ სამ ქვეყანაში (ალბანეთი, ბოსნია და თურქეთის ევროპული ნაწილი) და ამერიკის ერთ ქვეყანაში (სურინამი) ქრისტიანები არ შეადგენენ უმრავლესობას. ავსტრალიასა და ოკეანიაში ყველა ქვეყანა უმეტესად ქრისტიანულია, გარდა ფიჯისა, სადაც ქრისტიანობას მხოლოდ მოსახლეობის ნახევარი მისდევს. აზიაში ქრისტიანები მცირე რაოდენობით მოსახლეობენ. ისინი ჭარბობენ მხოლოდ კვიპროსში და ფილიპინებში (კათოლიკეები), ლიბანში კი მოსახლეობის დაახლოებით 2/5-ს შეადგენენ.

ლათინური ამერიკის მოსახლეობის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა კათოლიკეა. კათოლიკეა აგრეთვე კანადის მოსახლეობის 46%, ამერიკის მოსახლეობის 27%. კათოლიციზმის მიმდევრები ცხოვრობენ იტალიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ავსტრიაში, ირლანდიაში (მოსახლეობის უმეტესობა). კათოლიკეები არიან აგრეთვე პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, უნგრელები, ხორვატები. გერმანიის, ნიდერლანდების, შვეიცარიის მოსახლეობის ნახევარი კათოლიკეა.

მართლმადიდებლები არიან: ბერძნები, ქართველები, რუსები, რუმინელები, მოლდოველები, ბულგარელები, სერბები, მაკედონელები, ჩერნოგორელები, ესტონელების ნაწილი.

პროტესტანტიზმის ბურჟია ჩრდილოეთი და ცენტრალური ევროპა. სკანდინავიის ქვეყნებსა და ფინეთში ის გაბატონებულია ლუთერანიზმის ფორმით, დიდ ბრიტანეთში – ანგლიკანიზმის ფორმით. პროტესტანტიზმს მისდევს გერმანიის მოსახლეობის ნახევარი (ლუთერანები), ნიდერლანდიელები და შვეიცარიელები. აშშ-ში მოსახლეობის 64% პროტესტანტია.

მონოფიზიტები არიან სომხები და ეთიოპიელები. მონოფიზიტებს მიეკუთვნებიან ეგვიპტელი კოპტები, სირიელი იაკობიტები. ნესტორიანელობა გავრცელებულია ასირიელებს შორის ძირითადად ირანში (13 ათასი), ერაყში (82 ათასი), სირიაში (40 ათასი), ინდოეთში (15 ათასი).

ისლამის მიმდევრები ძირითადად აზიაში ცხოვრობენ, განსაკუთრებით არაბულ ქვეყნებში. ბევრი მუსლიმი ცხოვრობს აფრიკაში. ევროპაში ისლამის მიმდევრები არიან თურქები, ალბანელები, ბოსნიელები და ბულგარელთა უმნიშვნელო ნაწილი. უმეტეს ქვეყნებში ისლამი გავრცელებულია სუნიზმის ფორმით. საუდის არაბეთში გაბატონებულია სუნიზმის მიმდინარეობა ვაჰაბიზმი. შიიზმი მკვეთრად ჭარბობს ირანელებში. ერაყში, ბახრეინსა და იემენის არაბთა რესპუბლიკაში შიიტები მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ.

იუდაიზმის მიმდევრები ყველა კონტინენტზე ცხოვრობენ. ამ რელიგიის მიმდევრები მხოლოდ ებრაელები არიან. ისტორიაში იყო ერთადერთი სხვა ეთნოსი – თურქულენოვანი ხაზარები, რომლებიც ასევე იუდაიზმის მიმდევრები იყვნენ.

1.9. ადამიანთა რასები

ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები არა მხოლოდ ენით, კულტურითა და რელიგიით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ ფიზიკურადაც. ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილებით ვხედავთ, რომ ეთნიკური სხვაობის გარდა ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფიზიკურადაც (სხეულებრივად). საერთოდ, ფიზიკურად (სხეულებრივად) ორი ერთმანეთის სავსებით მსგავსი ადამიანი არ არსებობს და არც შეიძლება იყოს. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის ფიზიკურ ტიპს, მის ცვლილებებს, ანდა როგორც მათ უწოდებენ – ფიზიკური ტიპის ვარიაციებს, ცნობილია „ანთრო-

პოლოგის“ (ბერძნ. „ანთროპოს“—ადამიანი) სახელწოდებით. ადამიანთა განსხვავებულ ფიზიკურ ტიპებს რასები ეწოდება.

ადამიანთა რასები, ესაა ხალხთა იტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან წარმომავლობით, რაც გამოიხატება მემკვიდრეობითი და ფიზიოლოგიური ნიშნებით. ყველა ძირითადი მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მახასიათებლებით ადამიანთა რასებს შორის მსგავსება დიდია, განსხვავება კი გამოხატულია შედარებით მცირე ნიშნებით. ნებისმიერ რასის ქორწინების შედეგად იბადება სრულიად სიცოცხლისუნარიანი და ნაყოფიერი შთამომავლობა. ანთროპოლოგიის, პრიმატოლოგიისა და პალეონტოლოგიის მონაცემები ადასტურებს, რომ ადამიანთა ყველა რასა მომდინარეობს ერთი ან რამდენიმე ახლოს მდგომი ნამარხი ჰომინიდიდან.

Homo Sapiens-ს შორის პირველ რიგში გამოიყოფა უფრო მსხვილი დანაყოფები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, დიდ რასებს უწოდებენ. ესენია **ევროპეიდული (ევრაზიული), მონგოლოიდური (აზიურ-ამერიკული) და ნეგრო-აგსტრალიდური (ეკვატორიული).** ბევრი მკვლევარი ერთიანი ეკვატორიული რასის ნაცვლად გამოყოფს ორ დამოუკიდებელ რასას – **ნეგროიდულს (აფრიკულს) და აგსტრალიდურს (ოკეანურს).** მეცნიერებაში უფრო გაზიარებულია თვალსაზრისი ოთხი დიდი რასის არსებობის შესახებ.

დიდი რასების საკონტაქტო ზონებში არსებობს გარდამავალი და შერეული რასობრივი ტიპები. შერეული და გარდამავალი რასობრივი ტიპები ჩამოყალიბდა არა მარტო ძველად, შუა საუკუნეებში, არამედ ყალიბდება დღესაც მეტისადაც გზით. მაგალითად, აფრიკის აღმოსავლეთში გარდამავალ რასად მიიჩნევა ეთიოპური რასა. ის ნეგროიდებსა და ევროპეიდებს შორის გარდამავალია. ცხვირის ფორმითა და სახის ჩონჩხით ეთიოპეიდები თითქმის არ განსხვავდებიან ევროპეიდებისაგან, მაგრამ კანი მათ ისეთივე მუქი აქვთ, როგორც ზანგებს. შერეული ტიპის ტიპური წარმომადგენლები არიან ამერიკის მეტისები და მულატები. დიდი რასების შიგნით გამოყოფენ უფრო დანაწილებულ რასობრივ ერთეულებს.

ნეგროიდებისათვის დამახასიათებელია ხუჭუჭი შავი თმა, თაფლისფერი თვალები, სუსტად ან საშუალოდ განვითარებული მესამეული თმის საფარი, ზომიერად გამოწეული დაწვის ძვალი. ნეგროიდებს აქვთ ძალიან მუქი (შოკოლად-ყავისფერი) კანი. სახე, როგორც წესი, აქვთ ვიწრო და დაბალი. ნეგროიდული ტიპი გამოირჩევა საკმაოდ განიერი ცხვირით, იმდენად, რომ ზოგჯერ სიგანე სიმაღლის ტოლია. ისევე როგორც ევროპეიდებს, თვალები აქვთ ფართოდ გახსნილი, განლაგებული ჰორიზონტალურად. ნეგროიდებს ახასიათებთ სქელი

(მსხვილი) ტუნჩები. ზედა ქუთუთოს ნაკეცი (ნაოჭი) უმეტეს შემთხვევაში დიდი არა აქვთ. რაც შეეხება სახის ყბის ნაწილს, ის უმეტეს შემთხვევაში წინ წამოწეულია (პროგნატიზმი – პრო-წინ).

ევროპეიდები გამოირჩევიან სხვადასხვა შეფერილობის ტალღოვანი და სწორი რბილი თმებით, ღია ან შავგვრემანი კანით, თვალის გარსის ნაირფერადი შეფერილობის დიდი სხვადასხვაობით (თაფლისფერი, ღია ნაცრისფერი, ცისფერი). ევროპეიდებს მესამეული თმის საფარი ძლიერ განვითარებული აქვთ, კერძოდ, მამაკაცებში – წვერი. მათთვის დამახასიათებელია ღაწვის ძეღის სუსტად ან საშუალოდ გამოწევა, ყბაც უმნიშვნელოდაა წინ წამოწეული (ორტოგნატიზმი). ევროპეიდებს ახასიათებთ ვიწრო და ოდნავ წამოწეული ცხვირი, თხელი ან საშუალო სისქის ტუნჩები. ევროპეიდების ფორმირების კერაა სამხრეთ-დასავლეთი აზია, ჩრდილოეთ აფრიკა, სამხრეთ ევროპა. ევროპეიდთა სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: სამხრეთის (შავგვრემანი კანით, უმეტესად მუქი თვალებითა და თმით), ჩრდილოეთის (ღია ფერის კანით, ცისფერი თვალებით, ქერა თმებით) და გარდამავალი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საშუალოდ ინტენსიური პიგმენტაცია. სამხრეთ ევროპეიდებს, მათი განსახლების არეალიდან გამომდინარე, ინდონეზელთაშუაზღვისპირულ რასას უწოდებენ.

ევროპეიდები თავისი არეალის აღმოსავლეთ საზღვრებზე უძველესი დროიდან მონგოლოიდებთან ურთიერთქმედებდნენ. ადრეულ ხანაში მათი შერევის შედეგად, რომელიც ჯერ კიდევ მეზოლითის ეპოქაში დაიწყო, ციმბირის ჩრდილო-დასავლეთსა და ევროპის უკიდურეს აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა ურალური რასა (ხანტი, მანსი და სხვ.), რომელთათვისაც დამახასიათებელია მონგოლოიდურ-ევროპეიდული თავისებურებების შუალედური შეთანაწყობა. ურალურთან ბევრი ნიშნითაა ახლოს ლაპონოიდური რასა ძალიან დაბალი სახით (საამები). ზოგიერთი ანთროპოლოგი ამ ორ რასას ერთ – ურალო-ლაპონოიდურ რასაში აერთიანებს, რომლის თავისებურებანი უფრო იშვიათი ფორმებით გამოხატულია უდმურტებში, კომი-პერმელებში, მარიელებში, მორდოველთა ზოგიერთ ჯგუფში. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ურალური რასის ფორმირებაში მონაწილეობა მიიღო ძველი მონგოლოიდური რასის დეპიგმენტირებულმა (დეპიგმენტაცია – კანის ბუნებრივი ფერის დაკარგვა) პოპულაციამ. გვიან (ახ.წ. I ს-დან) ურალსა და ენისეის შორის არსებულ სტეპურ ზოლში მონგოლოიდებისა და ევროპეიდების შერევის პროცესში ჩამოყალიბდა სამხრეთ ციმბირული რასა ძალიან ფართო სახითა და მოკლე თავით. შუა საუკუნეებში შუა და ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა შერეული ევროპეიდულ-მონგოლოიდური ახალი პოპულაციები (უზბეკების ნაწილი, უიღურები, საღარები).

მონგოლოიდებისათვის დამახასიათებელია სწორი, ხშირად უხეში მუქი თმა და მესამეული თმის საფარის სუსტად განვითარება, კანის მოყვითალო შეფერილობა, თაფლისფერი თვალები, შემჭიდროებული სახე ძლიერად გამოწეული ღაწვის ძელებით, დაბალი და საშუალო სიგანის ცხვირი. მონგოლოიდ მამაკაცებს წვერ-ულვაში გვიან აჩნდებათ და იშვიათად აღწევს დიდ სიხშირეს. მათ აქვთ ფართო, მაღალი სახე, ვიწრო თვალები და ძლიერ განვითარებული ზემო ქუთუთო. ამ ანთროპოლოგიური ტიპისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ეპიკანტუსი – განსაკუთრებული კანის ნაკეცი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად ფარავს საცრემლე ბორცვს თვალის შიდა კუთხეში. სახის ყბის ნაწილი გამოწეული აქვთ სუსტად ან საშუალოდ. მონგოლოიდების (მონღოლების) შესანიშნავ დახასიათებას გვაწვდის ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი: „ხოლო იყვნეს ტანითა სრულ, გუამითა ახოვან და ძლიერ ფერკითა, შუენიერ და სპეტაკ კორცითა, თუალითა მცირე ჭურიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო, თავით დიდ, თმითა შავ და კშირ, შუბლ-ბრტყელ, ცხვრითა მდაბალ ესოდენ, რომელ დაწუნი უმაღლს იყვნიან ცხვირთა და მცირედნი ოდენ ნესტუნი ჩნდიან ცხვირთა; ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ, ყოვლად უწუერული, ესევეთარი აქუნდა უმსგავსო სახე“.

ბევრი ნიშან-თვისებით მონგოლოიდებთან ახლოს დგანან ამერიკელი ინდიელები. აზიელი მონგოლოიდები ორ ძირითად ჯგუფად იყოფიან – კონტინენტური და წყნაროკეანური. კონტინენტური მონგოლოიდები წყნაროკეანელებისაგან გამოირჩევიან ნაკლებად ინტენსიური პიგმენტაციით, ჩონჩხის უფრო მასიურობით, უფრო ფართო სახითა და უფრო თხელი ტუჩებით.

რასობრივი განსხვავებანი, ჩვეულებრივ, კარგად შეიმჩნევა ერთმანეთისაგან შორს მდგომ ჯგუფებს შორის. **რასების შერევა გრძელდება მრავალი ათასწლეულის განმავლობაში და ის უწყვეტ პროცესს წარმოადგენს, რომელიც უფრო და უფრო ჩქარდება (დედამიწის მთელი მოსახლეობის 30% შერეულ და გარდამავალ რასობრივ-ჰეტეროგენულ ჯგუფებს შეადგენს).**

დიდი ხალხები შეიძლება ერთგვაროვანი ჩანდნენ დიდი რასების დონეზე, მაგრამ თითქმის ყოველთვის ჰეტეროგენულები არიან ამ რასების დანაყოფების თვალსაზრისით. ევროპის ხალხები, მაგალითად, მიეკუთვნებიან დიდ ევროპეიდულ რასას, მაგრამ თითქმის ყველა მათგანი ამ დიდი რასის ორ ან სამ შტოს წარმოადგენს. დიდი ევროპეიდული რასის დანაწევრებულ რასობრივ ტიპთა საზღვრები ეთნიკურ საზღვრებს არ ემთხვევა. ასევე არ ემთხვევა საზღვრები რასებსა და ენობრივ დანაყოფებს შორის. მაგალითად, თურქული

ჯგუფის ენები გავრცელებულია მონგოლოიდური რასის წარმომადგენლებსა (იაკუტები, ტუვები) და ევროპეიდებს შორის (აზერბაიჯანელები, თურქები). ბევრი თურქულენოვანი ხალხი რასობრივი თვალსაზრისით შერეული ტიპისაა. სხვადასხვა დიდ რასებს მიეკუთვნებიან ხალხები, რომლებიც ურალურ ენებზე ლაპარაკობენ.

ახალი ეთნოსების ჩამოყალიბებაში რასების ინტენსიური შერევის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ამერიკის ქვეყნების უმეტესობა. ძველი სამყაროსაგან განსხვავებით, სადაც მეტისაციის პროცესი მიმდინარეობდა ძველ და შუა საუკუნეებში, აქ ის განხორციელდა უკანასკნელი 3-4 საუკუნის განმავლობაში და ინტენსიურად გრძელდება დღესაც. ამერიკის თანამედროვე ხალხების უმეტესობა ჩამოყალიბდა ორი ან სამი რასობრივი კომპონენტის შერევის შედეგად. მაგალითად, კუბასა და ბრაზილიაში წამყვანი ეთნიკური კომპონენტის როლში მოგვევლინენ ნეგროიდები, რომლებიც ირგვლივ მყოფ სხვადასხვა ეთნიკურ და რასობრივ ერთეულებს შეერვივნენ.

ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქაში (IV-VII სს.) ცენტრალური აზიის მონგოლოიდური მოსახლეობის მასები შეიჭრნენ დასავლეთ ციმბირის სტეპების ზოლში, ყაზახეთში, შუა აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში, რომლის მოსახლეობა ძირითადად ევროპეიდულ ტიპს მიეკუთვნებოდა. ამის შემდეგ აქ ჩამოყალიბდნენ შერეული რასობრივი ტიპები: სამხრეთციმბირული, რომელიც ძირითადად გავრცელებულია თანამედროვე ყაზახებსა და ყირგიზებში (მათში მონგოლოიდური ნიშნები აშკარად ჭარბობს) და შუააზიური, რომელიც დამახასიათებელია თურქმენებისათვის, ნაწილობრივ უზბეკებისა და ტაჯიკებისათვის (აქ ავტოქტონური მოსახლეობა უფრო ხშირი იყო და მონგოლოიდური მინარევი უფრო ნაკლებ შესამჩნევია).

ევროპის მოსახლეობა, საამების გამოკლებით, მთლიანად მიეკუთვნება ევროპეიდულ რასას. ევროპის უკიდურესი ჩრდილოეთისა და სამხრეთის მცხოვრებნი საკმაოდ განსხვავებიან რასობრივი ტიპით. მსგავსების მხრივ ცოტა საერთო ნიშანი შეიძლება ვიპოვოთ მალაღ, ქერა და ცისფერთვალეობა ნორვეგიელებსა (ჩრდილო ევროპელები) და დაბალ, მუქთმიან და მუქთვალეობა სამხრეთ იტალიელებს შორის (სამხრეთ ევროპელები). ევროპის მოსახლეობის 17% მიეკუთვნება ჩრდილო ევროპეიდულს, 32% - სამხრეთულს და ნახევარზე ოდნავ მეტი - გარდამავალ და შუაევროპულ ფორმებს.

ჩრდილოეთ ევროპაში საამები მიეკუთვნებიან შერეულ ლაპონოიდურ რასას, რომლის ფორმირებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ევროპული, ისე ურალური ერთობის წარმომადგენლებმა. სუსტად გამოხატული მონგოლოიდური ნიშნები შეიმჩნევა უნგრელებში, აგრეთ-

ვე გერმანიისა და ფინეთის მოსახლეობის მცირე ნაწილში. ევროპის უკიდურეს სამხრეთში აქა-იქ შეიმჩნევა მცირე ნეგროიდული მინორევი.

ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ძალზე რთულია აზია. აქ ოთხივე დიდი რასის წარმომადგენელი გვხვდება. ევროპეიდები აზიის მოსახლეობის 29%-ს შეადგენენ (სამხრეთი შტოს სხვადასხვა რასები: ხმელთაშუაზღვისპირული, წინააზიური, ინდო-ავღანური, პამირულ-ფერგანული). აზიელი მონგოლოიდები შეადგენენ 31%-ს. აქვეა, მონგოლოიდურ და ავსტრალიდურ რასებს შორის შერეული და გარდამავალი ფორმები. აზიაში ავსტრალიდური რასის წარმომადგენლები ბევრნი არ არიან (დაახლ. 9 მილ. კაცი), მაგრამ განსახლებულნი არიან ფართოდ.

აფრიკის მოსახლეობის 54% მიეკუთვნება დიდ ნეგროიდულ რასას; მოსახლეობენ საჰარის უდაბნოს სამხრეთით. სხვადასხვა რეგიონების ზანგები საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რასობრივი ნიშნებით. მაგალითად, კანის ფერი მერყეობს ძალიან შავიდან ღია ყავისფრამდე. განსხვავებაა ტუჩების სისქეში, ცხვირის სიგანეში, აგრეთვე ტანის (სხეულის) სიგრძეში (მსოფლიოში ყველაზე მაღლებიდან ყველაზე დაბლებამდე), თუმცა ყველას აქვს ხუჭუჭი თმა.

სამხრეთ ევროპეიდები (ხმელთაშუაზღვისპირული) აფრიკის მოსახლეობის 1/4-ზე მეტს შეადგენენ და განსახლებულნი არიან კონტინენტის ჩრდილოეთში საჰარის უდაბნომდე. მას მიეკუთვნება არაბთა დიდი ნაწილი და ბერბერები. აფრიკის სამხრეთში მკვიდრობს ხუთი მილიონი ევროპეიდი, რომლებიც ევროპიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფრიკაში ევროპეიდებსა და ნეგროიდებს შორის გარდამავალ, შუალედურ ფორმას მიეკუთვნებიან ეთიოპეიდები. შერეული ფორმის ანთროპოლოგიურ ტიპს მიეკუთვნება სუდანის მოსახლეობაც, რაც ნეგროიდებში არაბულენოვანი სამხრეთ ევროპეიდების შეჭრამ განაპირობა.

ამერიკის მოსახლეობის რასობრივი შემადგენლობა დიდი სიჭრელით გამოირჩევა. სამყაროს ამ ნაწილის მოსახლეობის ფორმირებაში მონაწილეობდა სამი დიდი რასა. აბორიგენული მოსახლეობა (ინდიელები, ესკიმოსები და ალეუტები) კომპაქტურად მხოლოდ ცალკეულ ოლქებში მოსახლეობს, უპირატესად მექსიკის მთიანეთში, ანდებში, სამხრეთ ამერიკის შიდა მხარეებში. ადგილობრივი, ამერიკელ ინდიელთა, მოსახლეობა მონგოლოიდური რასის სხვადასხვა ქვერასებს მიეკუთვნება. ყველა დანარჩენ ადგილას რასობრივი თვალსაზრისით ან შერეული მოსახლეობა, ან შედარებით გვიან მოსული ევროპეიდები და ნეგროიდები ჭარბობს. დღეისათვის ამერიკაში დიდი რასებიდან ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია ევროპეიდული

რასა (აშშ-სა და კანადის მოსახლეობის 9/10, ლათინური ამერიკის მოსახლეობის 1/4-ზე მეტი). ლათინურ ამერიკაში ევროპეიდებს შორის ჭარბობენ სამხრეთის ჯგუფის წარმომადგენლები: ესპანელები, პორტუგალიელები, იტალიელები.

ამერიკაში რაოდენობის მხრივ მეორე ადგილი უკავიათ მეტისთა რასობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს, რომლებიც ინდიელთა და ევროპელთა ქორწინებისა და ქორწინების გარეშე კავშირების შთამომავალი არიან. ლათინურ ამერიკაში ისინი ჭარბობენ მექსიკაში, ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში: ვენესუელაში, ჩილეში, პარაგვაიში და სხვ. შედარებით მცირერიცხოვანი არიან მულატები (ევროპეიდებისა და აფრიკული მოსახლეობის ნარევი). მულატების მნიშვნელოვანი ჯგუფები ცხოვრობენ აშშ-ში, ბრაზილიაში, კუბაში, ვენესუელაში. ზოგიერთ შემთხვევაში ძნელდება მეტისებისა და მულატების ერთმანეთისაგან გარჩევა, რადგან სამი რასის შერევის შედეგად მიღებული მოსახლეობაც გვაქვს. რაც შეეხება ინდიელთა და ნეგროიდთა ნარევს, ის სამბოს სახელითაა ცნობილი. ინდიელ-ნეგროიდ-ევროპეიდთა შერევის შედეგად მიღებული რასობრივი ერთეულის რიცხვი განუსაზღვრელად იზრდება. მთლიანად ამერიკის კონტინენტზე ევროპეიდები მთელი მოსახლეობის 51% შეადგენენ, მეტისები – 23%, მულატები – 13%, ნეგროიდები – 7%, მონგოლოიდ-ინდიელები – 5,5%-ს.

ავსტრალიასა და ოკეანიაში ევროპელები მოსახლეობის 77%-ს შეადგენენ, მელანეზიელები და პაპუასები – 16,5%, პოლინეზიელები და მიკრონეზიელები – 4,2%-ს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რასობრივი ნიშანია სხეულისა (ტანის) და მისი ცალკეული ნაწილების ზომა. ტანის (სხეულის) საშუალო სიგრძე (სიმაღლე) მამაკაცებისათვის 165 სმ-ია, ქალებისათვის – 154 სმ. სხვადასხვა ხალხში ქალთა და მამაკაცთა შორის სიმაღლეში სხვაობა 8-12 სმ-ის ფარგლებში მერყეობს. ყველაზე დაბლებია პიგმეები – საშუალო სიმაღლე ზრდასრული მამაკაცებისთვის – 141 სმ და ყველაზე მაღლები ჩადის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრებნი – საშუალო სიმაღლე ზრდასრული მამაკაცებისა 182 სმ. ასეთი აღამიანები აღრიცხულნი არიან ნეგროიდებში. ევროპაში სიმაღლით გამოირჩევიან ჩერნოგორიელები, შოტლანდიელები, შვედები, ნორვეგიელები.

მსოფლიოს მასშტაბით მამაკაცების საშუალო წონა 64 კგ-ის ფარგლებშია, ქალებისა – 56 კგ-ის. მეცნიერები გამოყოფენ ტანის (სხეულის) სამ ძირითად ტიპს: 1) **ბრახიმორფულს** (ბერძნ. „ბრახოს“ – მოკლე და „მორფა – ფორმა), რომლისთვისაც დამახასიათებელია შედარებით მოკლე კიდურები, გრძელი ტანი, ფართო მხრები და მენ-

ჯი; 2) **დოლისმორფულს** („დოლისოს“ – გრძელი), რომელიც გამოირჩევა შედარებით გრძელი ხელებითა და ფეხებით, მოკლე ტანით, ვიწრო მხრებითა და მენჯით; 3) **მეზომორფულს** („მეზოს“ – საშუალო), რომელსაც პირველ და მეორე ტიპებს შორის საშუალო მდგომარეობა უჭირავს.

საერთოდ, ქალები მამაკაცებთან შედარებით ბრახიმორფულები არიან. როგორც წესი, ქალებს შედარებით ვიწრო მხრები და განიერი მენჯი აქვთ. რასების გამოყოფისას დიდი მნიშვნელობა აქვს თავის მონაცემებს: სიგანეს, სიმაღლეს; მნიშვნელოვანი რასობრივი ნიშნების მატარებელია ცხვირი და მისი მიდამოები, აგრეთვე პირი და, პირველ რიგში, ტუჩების სისქე.

ნაწილი II – ამერიკელები

2.1. ამერიკის ხალხები

ამერიკის კონტინენტის დღევანდელი ეთნოსები ძირითადად ახალი ჩამოყალიბებულნი არიან, რაც XV საუკუნის ბოლოდან და XVI საუკუნის დასაწყისიდან ევროპელთა მასობრივმა მიგრაციამ გამოიწვია, თუმცა აქამდე ამერიკის კონტინენტი დაუსახლებელი არ ყოფილა. აქ ასეულობით დიდი და პატარა ეთნოსი მკვიდრობდა, რომლებიც ენობრივად ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებოდნენ. ამერიკის ადგილობრივ, მკვიდრ, ეთნოსთა მრავალფეროვნებისა და მრავალრიცხოვნობის მაჩვენებელია ისიც, რომ ისინი ენათა 100-მდე სხვადასხვა ოჯახში იყვნენ გაერთიანებულნი.

ამერიკის ადგილობრივი, ავტოქტონური ეთნოსები საზოგადოებრივი განვითარების დონით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. ერთნი თუ პირველყოფილი თემური წყობილების სხვადასხვა სტადიაში იყვნენ, სხვებს სახელმწიფო და მაღალი კულტურა ჰქონდათ შექმნილი.

ამერიკის კონტინენტზე მოსახლეობის გაჩენის შესახებ მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. სხვადასხვა დროს მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ ამერიკის კონტინენტზე ადამიანთა დასახლება 20, 30, 40 ათასი წლის წინანდელი მოვლენაა. მეცნიერთა უმეტესობა ერთ რამეშია შეთანხმებული – ამერიკაში მოსახლეობის მიგრაცია აზიის კონტინენტიდან მოხდა. ანთროპოლოგიური ნიშნებით ამერიკის კონტინენტის მკვიდრნი რასობრივად მონღოლოიდებთან იდგნენ ახლოს. შეიძლება დავასახელოთ ისეთი ნიშნები, როგორიცაა: სწორი, უხეში თმა, წინ წამოწეული ღაწვები, მუქი თვალები და თმები, კანის მუქი პიგმენტაცია (მოყვითალო-მოწითალო), სუსტად განვითარებული მესამეული თმის საფარი. მიაჩნიათ, რომ ამერიკის ადგილობრივ მკვიდრთა წინაპრების – ინდიელების აზიის კონტინენტიდან ამერიკაში გადასახლება მოხდა მაშინ, როდესაც მონღოლოიდური რასა ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო ფორმირებული. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ სხვადასხვა ბუნებრივ გარემოში ცხოვრებამ და ხანგრძლივმა იზოლაციამ ამერიკელ ინდიელებში ზოგიერთი განსაკუთრებული ანთროპოლოგიური ნიშნის გაჩენა გამოიწვია, რაც აზიელ მონღოლოიდებს არ ახასიათებთ. ფიქრობენ, რომ ამერიკის მატერიკის ძველი მობინადრენი პროტომონღოლოიდურ და პროტოაზიურ ჯგუფებს მიეკუთვნებოდნენ, რომლებიც გენეტიკურად ალთაურ, ფინურ-უგრულ და სინო-ტიბეტურ ჯგუფებთან იყვნენ დაკავშირებულნი.

დღეს არსებული მოსაზრებით, აზიელთა ამერიკაში გადასახლება მოხდა არა საზღვაო გზით, ბერინგის სრუტით, არამედ სახმელეთო გზით, რომლითაც ამერიკისა და აზიის კონტინენტები ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. ეს სახმელეთო გზა ერთმანეთთან აკავშირებდა ალასკასა და ჩუკოტკას.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ამერიკაში სხვადასხვა ხალხების მრავალგზისი გადასვლა მოხდა, რომელთა შორის მონდოლოიდებთან ერთად იყვნენ ევროპეიდები და ნეგრო-ავსტრალიელები. არ გამორიცხავენ, რომ ერთ-ერთი მიგრაციული მიმართულება ოკეანიიდან ამერიკაში საზღვაო გზა იყო.

ამერიკის ადგილობრივ მკვიდრთა ისტორიაში ახალი ეტაპი XV-XVI საუკუნეების მიჯნიდან იწყება, როდესაც ევროპელებმა კონტინენტი აღმოაჩინეს. ამ დროისათვის ინდიელთა რაოდენობა დაახლოებით 15-20 მილიონი იყო. ევროპელთა აქ მოსვლა-დამკვიდრებამ ბევრი ადგილობრივი ეთნოსის კულტურისა და ცივილიზაციის მოსპობა გამოიწვია. რაც შეეხება ცნებას – „ინდიელი“, ის ხალხის (ეთნოსის) აღმნიშვნელი არაა. ევროპელებისათვის ის იყო კრებითი სახელი, რომელიც მათ მიერ აღმოჩენილი ახალი კონტინენტის ყველა მცხოვრებს მიემართებოდა. პირველ მეზღვაურებს ეგონათ, რომ მათ მიერ აღმოჩენილი მიწა ინდოეთი იყო და ამის გამო კონტინენტის ყველა მკვიდრს „ინდიელი“ ეწოდა. ინდიელები კი თავიანთ თავს სხვადასხვა სახელებს უწოდებდნენ – ტომებისა და ხალხების თვითსახელწოდებანი უმეტეს შემთხვევაში ტოპონიმებიდან იყო ნაწარმოები.

ამერიკის ისტორიაში ორი პერიოდი გამოიყოფა. პირველი დაიწყო მაშინ, როდესაც ამერიკა ადამიანების მიერ 20-30 ათასი წლის წინ პირველად იქნა აღმოჩენილი და დასახლებული; მეორე პერიოდის საწყის სტადიად ითვლება XV საუკუნის დასასრული – ქრისტეფორე კოლუმბისა და მისი თანამგზავრების მიერ ამერიკის მეორედ აღმოჩენა. პირველ შემთხვევაში ამერიკა აღმოაჩინეს როგორც დაუსახლებელი კონტინენტი, მეორე შემთხვევაში კი როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი დასახლებული მხარე. მაგრამ დღეს დადასტურებულია, რომ ამერიკაში ევროპელები კოლუმბამდეც ყოფილან. IX-X საუკუნეებში ნორმანების ჯგუფი გრელანდიაში გადასახლებულა. დაახლოებით 1000 წელს მათ აქ კოლონია დაუარსებიათ, მაგრამ გრელანდიის ევროპული მოსახლეობა გაურკვეველი მიზეზების გამო გამქრალა. ფიქრობენ, რომ ისინი ესკიმოსებმა გაანადგურეს. ამერიკის ისტორიაში ნორმანთა დასახლებას რაიმე მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია.

სხვადასხვა ისტორიული თუ ლეგენდარული ცნობებით, ნორმანების გარდა, კოლუმბამდე ამერიკაში სხვადასხვა დროს ჩასულან ჩი-

ნელი ბუდისტი ბერები, ევროპელები პირენეის ნახევარკუნძულიდან, ირლანდიელები, არაბები. ზოგიერთი მეცნიერი იმასაც ამტკიცებს, რომ XII საუკუნის ბოლოს სამხრეთ ამერიკას – პერუს რაიონს, პოლინეზიელებმა მიაღწიეს.

XV საუკუნის დასასრულიდან ახალი სამყაროს აღმოჩენებად ესპანელები და პორტუგალიელები გვევლინებიან, რამაც ამერიკის ხალხთა ისტორიაში ძალზე დიდი და ზოგჯერ საშინელი ცვლილებები გამოიწვია, რადგან მთელი რიგი ადგილობრივი ეთნოსები ევროპელმა კოლონიზატორებმა გაანადგურეს. მიაჩნიათ, რომ იმ დროისათვის აქ 600-ზე მეტი ასეთი ეთნოსი იყო; გადარჩენილ ეთნოსთა რიცხვი 200-ის ფარგლებშია. დიდი კატაკლიზმების მიუხედავად, დღეს ადგილობრივ ინდიელთა ენებზე დაახლოებით 36 მილიონი კაცი ლაპარაკობს.

ამერიკის აღმოჩენამ დიდი ცვლილებები გამოიწვია ევროპაში, აზიასა და განსაკუთრებით აფრიკაში. აფრიკაში დაიწყო ადამიანებზე ნადირობა; ამერიკაში აქედან მილიონობით მონა ზანგი წაიყვანეს.

ევროპელთა ამერიკაში შეჭრის მომენტისათვის ინდიელთა დიდი უმეტესობა და ყველა ესკიმოსური ტომი პირველყოფილი თემური წყობილების განვითარების სხვადასხვა სტადიაში იმყოფებოდა. ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ინდიელი ხალხები კლასობრივი საზოგადოების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ.

ცენტრალური და სამხრეთ ამერიკისათვის პერიოდს XVI საუკუნიდან, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკისათვის XVII საუკუნის დასაწყისიდან XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე კოლონიურს უწოდებენ, რადგან ამ დრომდე ამერიკაში არც ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო. აქ იყო ესპანეთის, პორტუგალიის, ინგლისის, საფრანგეთის, პოლანდიის კოლონიები. კოლონიურ პერიოდში ახალი ერების (ნაციების) ჩამოყალიბების რთული პროცესი დაიწყო. ჩრდილოეთ ამერიკაში აშშ-სა და კანადის ერები ჩამოყალიბდნენ, რაც აქ ახალი სახელმწიფოების შექმნას ახლდა თან. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში განმათავისუფლებელი ბრძოლების შედეგად 20 ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოყალიბდა, რომლებშიც გაბატონებული იყო რომანული წარმოშობის ენები – 18 სახელმწიფოში – ესპანური, ერთში (ბრაზილიაში) – რამდენადმე სახემეცვლილი პორტუგალიური, ჰაიტში – ფრანგული. ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში რომანული ენების გაბატონების გამო ამ ქვეყნებს ლათინური ამერიკა უწოდეს. ამერიკის კონტინენტზე ახალი ერების წარმოქმნისა და განვითარების გზა სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა. ზოგან ევროპულმა კომპონენტმა შეასრულა გადაამწვეტი როლი, ზოგან ინდიელებისა და მოსული მოსახლეობის მინა-

რევი თანაბარი იყო, ზოგან კი ადგილობრივმა ინდიელებმა შეასრულეს გადამწყვეტი როლი, რამდენიმე შემთხვევაში ენის შენარჩუნების გზითაც კი.

მანამ, სანამ ამერიკის ახალი ერების შესახებ ვისაუბრებთ, აუცილებელია ზოგიერთ ადგილობრივ ეთნოსს გავეცნოთ, რომელიც აქ დახვდა ევროპელებს და განსაკუთრებული და ორიგინალური კულტურები შექმნა.

2.2. ესკიმოსები

ესკიმოსთა ეთნოსი დღესაც ამერიკის კონტინენტზე მკვიდრობს. ისინი ცხოვრობენ აშშ-ში (ალასკაზე – 38 ათასი კაცი), ჩრდილოეთ კანადაში (28 ათასი კაცი), დანიაში (კ. გრენლანდიაზე – 48 ათასი კაცი) და რუსეთში (ჩუკოტკაზე – 1500 კაცი). ესკიმოსთა საერთო რაოდენობა 115 ათასი კაცია. ესკიმოსების ეთნიკური ერთობა ჩამოყალიბდა ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულამდე ბერინგის ზღვის მიდამოებში. ახ.წ. I ათასწლეულში ესკიმოსების წინაპრები ჩუკოტკასა და ამერიკის არქტიკული სანაპიროს გასწვრივ გადასახლდნენ.

ესკიმოსები 15 ეთნოგრაფიულ ჯგუფად იყოფიან. ესკიმოსთა ყოფისა და კულტურის ფორმები არქტიკის საცხოვრებელი პირობებითაა განპირობებული. მათთვის სატომო ორგანიზაციის გაუფორმებლობა, XIX ს-ში გვარების არარსებობა იყო დამახასიათებელი. თუმცა XVIII ს-ში ზოგიერთი ჯგუფი უკვე გაქრისტიანებული იყო. ესკიმოსებში შემორჩენილი იყო ანიმისტური რწმენა-წარმოდგენები, შამანიზმი.

ესკიმოსებში ხუთი სამეურნეო-კულტურული კომპლექსი გამოიყოფა. ესენია: ზღვის დიდ ცხოველებზე – ღომ-ვეშაპებსა და ვეშაპებზე ნადირობა, სელაპებზე ნადირობა, მეთევზეობა, მოხეტიალე ნადირობა ირემ-კარიბუზე და კარიბუზე ნადირობა, რომელიც ზღვის ცხოველებზე ნადირობასთანაა შეხამებული.

XX საუკუნის შუა ხანებისათვის ესკიმოსების ოთხი დამოუკიდებელი ეთნოპოლიტიკური ერთობა ჩამოყალიბდა: 1. გრენლანდიის ესკიმოსები, 2. კანადის ესკიმოსები (თვითსახელწოდება – ინუიტ), 3. ალასკის ესკიმოსები და 4. აზიელი ესკიმოსები. კანადის ესკიმოსებში საკუთარ ენასთან ერთად გავრცელებულია ინგლისური და ფრანგული ენები. მათ XIX საუკუნის დასაწყისიდან შექმნეს დამწერლობა სილაბიური ანბანის საფუძველზე. ალასკის ესკიმოსები უმეტესად ინგლისურენოვანნი არიან. ისინი ნაციონალურ-კულტურული კონსოლიდაციის გამოკვეთილი ტენდენციით გამოირჩევიან. აზიელ ესკიმოსებში გავრცელებულია რუსული ენა.

ესკიმოსებს ემოსათ ბეწვიანი ტყავის ორფენოვანი ტანსაცმელი, ტყავის მაღალი ფეხსაცმელი, თევზის ტყავის ლაბადები. ბუნება ესკიმოსებისათვის მკაცრი იყო, მაგრამ ცხოვრებასთან ბრძოლის პარალელურად, ისინი მხატვრულ შემოქმედებასაც არ ივიწყებდნენ, რაც თავის გამოხატულებას პოულობდა სიმღერებსა და ცეკვებში, ხეზე, ქვასა და რქაზე კვეთაში, ტანსაცმლის ორნამენტირებაში, ტატუირებაში, გადაადგილების ორიგინალურ საშუალებათა გამოგონებაში (ციგები, რომლებშიც ძაღლები და ირმები იყვნენ შებმული).

2.3. ალეუტები

ალეუტები ალეუტის კუნძულების (აშშ) მკვიდრი მოსახლეობაა (ალასკის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთით). ალეუტების რაოდენობა აქ დაახლოებით ორი ათასი კაცია. XIX საუკუნის დასაწყისიდან ისინი ცხოვრობენ რუსეთშიც, კომანდორის კუნძულებზე (644 სული). ალეუტური ენა ესკიმოსურ-ალეუტურ ენათა ოჯახში შედის. ამ ენას სამი დიალექტი ჰქონდა. მშობლიური ენა ალეუტთაგან ცოტამ შეინარჩუნა. გადასულები არიან ინგლისურ და რუსულ ენებზე. ფიქრობენ, რომ ალეუტთა წინაპრები აზიიდან ამერიკაში 10-12 ათასი წლის წინ გადასახლდნენ.

ვეროპელებთან კონტაქტამდე ალეუტების მთავარი ტრადიციული საქმიანობა ზღვის ცხოველებზე ნადირობა და მეთევზეობა იყო. დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა შემგროვებლობას. ამზადებდნენ მეთევზეობისა და ნადირობისთვის საჭირო იარაღებს. იცოდნენ ტყავგადაკრული ნავეების დამზადება. XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის ალეუტებში არსებობდა ქონებრივი დიფერენციაცია, სამხედრო ორგანიზაცია. ალეუტების სოფელი ჩვეულებრივ ორი-ოთხი ნახევრად მიწურისაგან შედგებოდა. ტრადიციული რწმენა-წარმოდგენებიდან დამახასიათებელი იყო რწმენა სულის შესახებ, შამანიზმი. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ალეუტებმა ამერიკული კულტურის გავლენა განიცადეს.

2.4. ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელები

წყნარი ოკეანის სანაპიროსა და ჩრდილოეთ კანადაში მცხოვრები ინდიელები სოციალურად შედარებით დაწინაურებულები იყვნენ. ჩრდილო-დასავლელ ინდიელებს ჰყავდათ მონები, მაგრამ აქ მონები არა მონათმფლობელებს, არამედ მთელ თემს ეკუთვნოდა. კალიფორნიელ ინდიელებს კი მუდმივი საცხოვრებელი არ ჰქონდათ და საკვების ძებნაში მომთაბარებოდნენ. მათთვის უცნობი იყო მეთუნეობა,

თუმცა შესანიშნავ კალათებს წნავდნენ. ისინი ისე მჭიდროდ იყო დაწნული, რომ წყალს არ ატარებდა. მათ არც ქსოვილის დამზადება იცოდნენ და მსუბუქ ტანსაცმელს ატარებდნენ: მამაკაცები თეძოზე ირმის ტყავს იკრავდნენ, ქალები კი ხის ლაფნისაგან დამზადებულ მოკლე ქვედატანს იცვამდნენ. კალიფორნიელი ინდიელები ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა შორის განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ.

ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთის ტყიანი ოლქების მოსახლეობა, მისისიპიდან ატლანტის ოკეანემდე, სხვადასხვა ეთნოსებისგან (ტომებისაგან) შედგებოდა, რომელთა შორის იროკეზები გამოირჩეოდნენ. ისინი მობინადრე ცხოვრებას ეწეოდნენ და თოხურ მიწათმოქმედებას მისდევდნენ. ამერიკის კონტინენტზე სამიწათმოქმედო კულტურის ჩასახვა ძვ.წ. 6.500-1.500 წლებში მოხდა. *მოყავდათ პარკოსნები, ყაბაყი, სიმინდი, მხესუმშირა, გოგრა, საზამთრო. იცოდნენ მეთუნეობა, ქსოვა.* ამ რეგიონის გულუხვი და სტუმართმოყვარე მიწათმოქმედები ერთ საათში შეიძლება დისციპლინირებულ და დაუმარცხებელ მეთომრებად გადაქცეულიყვნენ, რომლებიც იროკეზების ლიგის მსგავსად კავშირებში იყვნენ გაერთიანებულნი. **იროკეზები თავის თავს „ხოდენოსაუნს“ – გრძელი სახლის ადამიანებს უწოდებდნენ,** რადგან ისინი დიდ საცხოვრებლებში ცხოვრობდნენ, რომლებიც ქერქისაგან იყო გაკეთებული და რამდენიმე ოთახისა და კერისაგან შედგებოდა. ის დაახლოებით ას კაცს იტევდა.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთში მცხოვრებ **პუებლოს ხალხში** განვითარებული იყო საირიგაციო სისტემა. თითოეული არხის სიგრძე სამას მილს აღწევდა. საირიგაციო სისტემის საშუალებით ისინი დიდ მოსავალს იღებდნენ. პუებლოს ინდიელთა შრომით უდაბნო აყვავებული იყო. მოჰყავდათ გოგრა, ბამბა, ლობიო, სიმინდი. პუებლოელები არა მარტო კარგი მიწათმოქმედნი და მშენებლები, არამედ რჩეული ხელოსნებიც იყვნენ. მათ მიერ დამზადებული კერამიკა ძალიან ჰგავდა ძველადმოსავლურ და ევროპულ სამეურნეო ნაწარმს.

ამერიკის კონტინენტის ცივილიზაციის ისტორიაში ცალკე გამოსაყოფია *მეზოამერიკა*. კონტინენტის ცენტრალურ ნაწილში ოდითგანვე მრავალრიცხოვანი ტომები და ხალხები მკვიდრობდნენ. ისინი ენათა სხვადასხვა ოჯახებს მიეკუთვნებოდნენ. **მეზოამერიკის მაღალგანვითარებულმა აგროქტონურმა კულტურამ ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციის დონეს მიაღწია.** აქ მცხოვრები ყველა ხალხის ეთნიკური კულტურა ღრმად ინდივიდუალური იყო, მაგრამ ამასთანავე ყველა მათგანისთვის დამახასიათებელი იყო საირიგაციო მიწათმოქმედება, ტერასები, ისეთი კულტურების მოყვანა, როგორიცაა: *სიმინდი, ბამბა,*

გოვრა, ლობიო, პომიდორი, კაკაო, ანანასი, წიწაკა, ქლიავი; წარმოების ერთიანი ტექნოლოგია, შრომისთვის საჭირო პრიმიტიული ქვის იარაღები. ისინი არ იცნობდნენ სამეთუნეო ჩარხს, ბორბლიან საზიდ საშუალებებს, არ ჰყავდათ სასაპალნე და გამწვევი ცხოველები. მეზოამერიკაში განვითარებული იყო ვაჭრობა. კლასობრივი საზოგადოება შედგებოდა ზედაფენის, ქურუმებისა და მდაბიოებისაგან. ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის გაბატონებული ფორმა იყო ქალაქი-სახელმწიფოები. ჰქონდათ ზუსტი რიტუალური კალენდარი, იეროგლიფური დამწერლობა. განვითარებული იყო მეცნიერება, განსაკუთრებით მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა, ფილოსოფია, მონუმენტური არქიტექტურა. შესანიშნავია ინდიელთა მიერ შექმნილი ქანდაკებები.

მეზოამერიკაში ადამიანის ნაკვალევი 20 ათასი წლის წინ ჩანს. ყველაზე მაღალი კულტურა ჰქონდა ხალხს, რომელიც ატლანტის ოკეანის სანაპიროზე დღევანდელი ვერაკრუსის შტატის ადგილზე ცხოვრობდა (ძვ.წ. 1500-1000 წლები). მას **ოლმეკის კულტურას** უწოდებენ. სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი ხშირად იაგუარის **ინდიელებად** იწოდებოდნენ, რადგან თავს იაგუართან აიგივებდნენ და მას თავის ტოტემად მიიჩნევდნენ. ლეგენდის თანახმად, მომავლად ქალთან ღვთაებრივი ცხოველის კავშირის შედეგად გაჩნდა ოლმეკების ტომი – მიწისა და ზეცის შვილები, რომლებიც ერთდროულად ადამიანებიც იყვნენ და იაგუარებიც. ამის გამო მთელი ოლმეკური ხელოვნება წმინდა ცხოველის გამოსახულებებითაა დატვირთული.

მოპოვებული ფიგურებით ვიგებთ ზოგიერთ რამეს იაგუარის ხალხის ტანსაცმლისა და წეს-ჩვეულებების შესახებ. ყველა მამაკაცი გრძელ კაბასა და დაუმუშავებელი კაუჩუკის სანდლებს ატარებდა. მეომრები მშვილდებითა და ჩუგლუგებით (ცულებით) იყვნენ შეიარაღებული. თავის ქალის შუბლ-კეფის არე დეფორმირებული ჰქონდათ, სხეული – ტატუირებული, თავი – გადაპარსული, წვერი – დაწნული. მიიჩნდათ, რომ მათი წინაპრები ასე გამოიყურებოდნენ და მათთან მსგავსება კეთილშობილების გამოხატულება იყო. ყველა ოლმეკი საიუველირო ნაწარმს ატარებდა (ობსიდიანი და სხვადასხვა ელფერის მზის ქვა – ნეფრიტი). იაგუარებს საყოველთაო დიდება მონუმენტურმა ქანდაკებებმა მოუტანა. მეცნიერთა აზრით, ამერიკაში პირველი იმპერია ოლმეკებმა შექმნეს. **ოლმეკები** არა მარტო თავიანთი ქალაქებითა და სარიტუალო (სპორტული) თამაშებით გამოირჩეოდნენ, არამედ ამერიკის კონტინენტზე მათ **პირველებმა შექმნეს დამწერლობა. ეს იყო იეროგლიფური დამწერლობა. ისინი წერდნენ მარცხნიდან მარჯვნივ, ზევიდან ქვევით** და უფრო გვიანდელი მეზოამერიკული (მაია, საპოტეკები) დამწერლობის არქაულ ვარიანტს

წარმოადგენდა. ოლმეკებმა წერტილებისა და ხაზების სხვადასხვა შეთანაწყობით ციფრების ორიგინალური სისტემა გამოიგონეს. **თელის სისტემაში მათ პირველებმა შემოიტანეს ნულის ცნება.**

ოლმეკურისაგან განსხვავებულია **ტეოტიუაკანური კულტურა** (ახ.წ. 100-650 წლები). ლეგენდის თანახმად აქ შეიქმნა მზისა და მთვარის ღმერთები. ისინი მისდევდნენ მიწათმოქმედებასა და ხელოსნობას; იყვნენ შესანიშნავი მეთუნეები, ხუროთმოძღვრები და მხატვრები. ტეოტიუაკანის მთელი ტერიტორია მოკირწყლული იყო თაბაშირის ფილებით. ძვ.წ. 200 წლისათვის აქ მოქმედებდა საირიგაციო სისტემა – ტბიდან გამოსული წყალი არხების ქსელში ნაწილდებოდა. ტეოტიუაკანაში ყველაზე გასაოცარი და შთამბეჭდავია არქიტექტორული ნაგებობანი – *პირამიდები, რომლებიც არა განსასვენებელი, არამედ რელიგიური რიტუალების ჩასატარებელი ადგილი იყო.* მთვარის 42-მეტრიანი პირამიდა თავდაპირველ წყვილადსა და სიბნელეს ასახიერებდა. მის ქვეშ სატაძრო ნაგებობათა მთელი კომპლექსი მდებარეობდა. ყველაფერი მორთული იყო მრავალფეროვანი ბარელიეფებით, ფრესკებითა და ზომორფული ღვთაებების ქანდაკებებით. ტეოტიუაკანის ცენტრში იდგა თავისი უბრალოებით მკაცრი და პირქუში „მზის პირამიდა“, რომლის სიმაღლე 64,5 მეტრს შეადგენდა. მეცნიერთა გამოანგარიშებით, მის მშენებლობაში 80 წლის მანძილზე დაახლოებით 20 ათასი კაცი მონაწილეობდა. ტეოტიუაკანი ახ.წ. 650 წელს ბარბაროსული ტომების შემოსევების შედეგად დაეცა.

განვითარების ბარბაროსულ საფეხურზე იდგნენ მექსიკის ველზე მცხოვრები **ტოლტეკები**, რომლებმაც ტეოტიუაკანის დაცემის შემდეგ მისი კულტურა (IX-XII საუკუნეები) მემკვიდრეობად მიიღეს. ქალაქი ტოლანი დაახლოებით XII-XIII საუკუნეებში ხანძრისაგან განადგურდა. მისი მცხოვრებნი მეზომერიკის სხვადასხვა რაიონში დაიფანტნენ, მათ მიწაზე კი დაახლოებით XIV საუკუნეში აცტეკები მოვიდნენ.

2.5. მაია

მეზომერიკის ცივილიზაციებს შორის ყველაზე ორიგინალურად და განვითარებულად **მაიას ცივილიზაცია** (ძვ.წ. 3000-ახ.წ. XVI საუკუნე) მიიჩნევა. *მაიას ხალხი დღესაც ცხოვრობს სამხრეთ მექსიკაში, გვატემალასა და დასავლეთ პონდურასის მოსაზღვრე რაიონებში, აგრეთვე სალვადორსა და ბელიზაში. მაიას ინდიელთა ჯგუფის ხალხის რაოდენობა 4 მილიონიდან 7 მილიონამდეა.* მაიას ხალხის კულტურა ოლმეკური ცივილიზაციის ბადალია. ძნელად გამავალ ჯუნგლებში, წყლებისაგან დაშორებით, მაიამ უნიკალური ქალაქები ააშე-

ნა. მაიას ხალხის ისტორიასა და კულტურას სამ ძირითად პერიოდად ყოფენ: 1. ფორმირების პერიოდი – ძვ.წ. 3000-ახ.წ. 317 წ., 2. ძველი სამეფო (ახ.წ. 317-987 წწ.), 3. ახალი სამეფო (987წ. – XVI საუკუნე).

ეთნოგენეტიკური ლეგენდებით მაიას წინაპრები ჩრდილოეთიდან მოვიდნენ (ნავეებით მოცურდნენ), რაც ლინგვისტური მონაცემებითაც დასტურდება. სხვა თვალსაზრისით მაიამ განსახლება მთიანი წინარესამშობლოდან გვატემალის ჩრდილო-დასავლეთით III ათასწლეულის დასასრულს დაიწყო. ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს მაიაენოვანმა ოლმეკებმა მეზომერიკაში პირველი საქალაქო ცივილიზაცია შექმნეს. მაიას ახალ ტერიტორიას სამკუთხედის ფორმა ჰქონდა. მის კუთხეებში სამი ქალაქი იყო განლაგებული. გვიან წარმოშობილი დანარჩენი ცენტრები სამკუთხედის კიდეებსა და მის შიგნით მდებარეობდა. მიწების გაფართოება პერიფერიებიდან ცენტრისაკენ ხდებოდა და არა პირიქით.

ძველბერძნულის მსგავსი მაიას ქალაქი-სახელმწიფოები ხელისუფლებისა და კულტურის ცენტრები იყო. ბირთვი (სარიტუალო, სატაძრო ზონა) ბორცვებზე იყო განლაგებული. მის ირგვლივ ქურუმებისა და ზედაფენის სასახლეები მდებარეობდა. გორაკების ძირში, პერიფერიებში, ხის ორ და ოთხოთახიანი ქოხები იყო განლაგებული უბრალო მოქალაქეებისათვის.

ქალაქი-სახელმწიფოს სათავეში იდგა ხალაჩ-ვინიკი (დიდი ადამიანი), რომლის ხელისუფლება მემკვიდრეობითი და განუსაზღვრელი იყო და მის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა. მასთან არსებობდა სახელმწიფო საბჭო, რომელშიც ზედაფენისა და ქურუმების საუკეთესო წარმომადგენლები შედიოდნენ. უბრალო ხალხი ორ ჯგუფად იყოფოდა: დამოკიდებულ, მაგრამ პირადად თავისუფალ მიწათმოქმედებად, მუშებად, ხელოსნებად და მონებად. უბრალო ადამიანები ერთად ქმნიდნენ სამეზობლო თემს, სადაც მიწა საერთო საკუთრებაში ჰქონდათ. მათი საქმიანობა უპირატესად მიწათმოქმედება და მეფრინველეობა (ინდაური, იხვი) იყო. ისინი აგებდნენ პირამიდებსა და სასახლეებს, ქალაქებს შორის გაჰყავდათ ფართო, ქვით მოკირწყლული „თეთრი გზები“. გზების საშუალო სიგანე 10 მეტრი იყო, სიგრძე – 100 კმ.

მაიას ხალხი ძლიერი, სიცოცხლისმოყვარული და ლამაზი იყო. მათთვის სილამაზის ეტალონი წითელი მალამოთი (რომელსაც არომატული მცენარეების წვესს უმატებდნენ) შეღებილი სხეული და აგრეთვე ქალების სიელმე იყო. მამაკაცების ატრიბუტი იყო სარკე. ისინი ქალებზე მდიდრულად იყვნენ ჩაცმულნი. მიიჩნევდნენ, რომ ქალის

საუკეთესო სამკაული თავდაჭერილობაა. თუ ისინი მამაკაცს თავისუფლად შეხედავდნენ, ამისათვის თვალებზე წიწაკას უსვამდნენ.

მაიას ხალხი ძალზე რელიგიური იყო. ისინი რამდენიმე ღვთაებას სცემდნენ თავიანთს. მაიამ ოლმეკური იეროგლიფური დამწერლობა ახალი ელემენტებით განავითარა, გაამდიდრა და გაართულა. მათ იეროგლიფებს მკაცრად განსაზღვრული ფონეტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ის მარცვალს წარმოადგენდა. სიმღერა, მუსიკა მაიას ხალხის ცხოვრების ნაწილი იყო. როგორც წესი, მუსიკასა და სიმღერას თან ახლდა ცეკვა, რომელიც მთელ დღეს გრძელდებოდა და მასში რვაასამდე კაცი მონაწილეობდა. ეს ცეკვები, უპირველეს ყოვლისა, რიტუალურ ხასიოს ატარებდა.

დღეს მაიას ხალხში ქრისტიანობამდელი კულტები და რწმენა-წარმოდგენები მჭიდროდაა გადაჯაჭვული კათოლიციზმთან: მთების, გამოქვაბულების, ჭების, ჯვრისა და დასახლების ცენტრში არსებული წმინდა ხეების კულტები დაკავშირებულია წინაპრებისა და წვიმის კულტებთან. მივარდნილ ოლქებში შემორჩენილია საცხოვრებლის იატაკის ქვეშ დაკრძალვა, ბავშვებსა და მოხუცებს კი მღვიმე-გამოქვაბულებში კრძალავენ. რიტუალებში იყენებენ ძველი მაიას კალენდარს.

1541-1546 წლებში, გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მაიას ხალხი ესპანელებმა დაიმორჩილეს. მაიას სახელმწიფოებრიობა და კულტურა დაინგრა. ისინი ძალით გააქრისტიანეს. დღეისათვის მაია იუკატანის სოფლის მოსახლეობის უმეტესობას შეადგენს.

2.6. აცტეკები

მეზოამერიკის კოლუმბამდელი უკანასკნელი დიდი ცივილიზაცია აცტეკებმა შექმნეს (1200-1521). ეს იყო სახელმწიფო გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის ძლიერი გადმონაშთებით. დღეს აცტეკები ლათინური ამერიკის სახელმწიფოს – მექსიკის მკვიდრები არიან და მათი რაოდენობა 1 მილიონ 107 ათასია. მათი თვითსახელწოდებებია: ტენოჩტი, ასტეკი, ნაუა, მასეუალი (უძველესი თვითსახელწოდება, რაც „ირმებზე მონადირეებს“ ნიშნავს), მეშიკა. ლაპარაკობენ აცტეკურ ენაზე, რომელსაც ოთხი დიალექტი აქვს. მათი ორი მესამედი მეტყველებს აგრეთვე ესპანურ ენაზე. დამწერლობა შექმნილი აქვთ ლათინური ანბანის საფუძველზე. აცტეკები კათოლიკეები არიან.

აცტეკები თავიანთ მითიურ წინარესამშობლოდ მიიჩნევენ ასტლანს („ყანების ადგილი“ – აქედანაა თვითსახელწოდება). მექსიკის (ანაუაკის – „წყლის ქვეყანა“) ველზე გამოჩნდნენ XII საუკუნეში ნაუას სხვა მომთაბარე ტომებთან ერთად. ანაუაკის ველზე კი ამ

დროს მკვიდრობდა ბინადარი ხალხი **ჩინიშეკები** („ბარბაროსები“). ამ ტომებმა რამდენიმე ტაღლით დაიპყრეს ველი და მისი მოსახლეობის ასიმილაცია მოახდინეს (ახ.წ. I ათასწლეულის სახელმწიფო ნაუა – ტეოტიუაკანის კულტურის მემკვიდრეები). მოსულებმა მიიღეს მათი კულტურა. შეითვისეს აგრეთვე მიშტეკა-პუებლოს კულტურა. დაახლოებით 1325 წელს დააარსეს **ტენოჩტიტლანი (თანამედროვე მეხიკო)**. 1427 წელს აცტეკებმა ანაუაკის ველი დაიქვემდებარეს, შემდეგ კი მთელი ცენტრალური და მექსიკის დასავლეთი და სამხრეთი ნაწილი. XV საუკუნის შუა ხანებში აცტეკებმა სახელმწიფო ჩამოაყალიბეს.

აცტეკთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდნენ ქურუმები. მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ მიწათმოქმედები და ხელოსნები (თავისუფალი მეთემეები). მიწა კოლექტიურ საკუთრებაში იყო. საზოგადოებაში საკმაოდ მაღალი მდგომარეობა ეჭირათ ვაჭრებს. აცტეკებმა არ იცოდნენ სასწორი. *ფულის ფუნქციას ფრინველთა ფრთის დერები ასრულებდა. ფულად ეკვივალენტს წარმოადგენდა აგრეთვე კაკაოს ნაყოფი, რომლისაგანაც ამზადებდნენ გემრიელ წმინდა სასმელს – შოკოლადს, რომელსაც უმატებდნენ ვანილს, თაფლსა და ავაგის წვეს.*

აცტეკთა საზოგადოებაში განსაკუთრებული პატივით სარგებლობდნენ მეომრები. ჯარისკაცად ითვლებოდა ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო. სამხედრო საქმის შესწავლას თხუთმეტი წლის ასაკიდან იწყებდნენ. მათი იარაღი იყო მშვილდი და ისარი, შურდული, ხელშუბი და ლახვარი. ყველა მეომრის მიზანი ტყვის ხელში ჩაგდება იყო. ზრდასრულ ადამიანს მამაკაცად არ თვლიდნენ, თუ ტყვედ ერთი ადამიანი მაინც არ ჰყავდა ჩაგდებული. ასეთებს აიძულებდნენ ეტარებინათ ბავშვის ვარცხნილობა.

აცტეკები სტუმართმოყვარეობითა და არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ. განვითარებული იყო საირიგაციო მიწათმოქმედება (მაისი, პარკოსნები, გოგრა, ბამბა, ავავა, თამბაქო...). ხელოსნობიდან აღსანიშნავია ბამბის მოხატული ქსოვილების დამზადება, პოლიქრომიული (მრავალფეროვანი) და მოჩუქურთმებული კერამიკა, დიდებულია ფრინველთა ბუმბულისაგან დამზადებული ლაბადები და ქუდები, სპილენძისა და ოქროს ჭედურობა (საიუველირო საქმე) და ხელოვნება (არქიტექტურა, მონუმენტური ფერწერა, სკულპტურა, მოზაიკა და სხვ.). ტენოჩტიტლანი სანაპიროს უერთდებოდა დამბებით, იყო გამაგრებული, ჰქონდა აკვედუკები, რეგულარული დაგეგმარება: იყოფოდა ოთხ კვარტლად, რომლებიც სიმბოლურად დაკავშირებული იყო სამყაროს მხარეებთან. შესაბამისად, **ტომები იყოფოდა ფრატრიებად და გვარებად.** განვითარებული იყო მითოლო-

გია, კალენდარული წეს-ჩვეულებები, ომის ღმერთებისა და ნაყოფიერების კულტები ადამიანთა მსხვერპლშეწირვით, თვითგვემით, ცეკვებით, ბურთის რიტუალური თამაშითა და სხვ. აცტეკებმა იცოდნენ პიქტოგრაფიული დამწერლობა. *აცტეკთა სახელმწიფო 1519-1521 წლებში ესპანელებმა დაიპყრეს*, რის შემდეგაც მათ მექსიკელთა ზეგავლენით მნიშვნელოვანი აკულტურაცია განიცადეს და ძველი კულტურა ძირითადად დაკარგეს.

2.7. ინკები (კეჩუა)

ევროპელებს სამხრეთ ამერიკაში **ინკების ცივილიზაცია** დახვდათ. ინკების ქვეყანა მატერიკის სამხრეთ-დასავლეთში მდებარეობდა და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ათას კილომეტრზე იყო გადაჭიმული. ინკების კულტურის აღმასვლის დროს (1200-1572) ყველა მისი წინამორბედი სამხრეთამერიკული ცივილიზაცია ისტორიის არენიდან გაქრა. აყვავების პერიოდში ინკების ქვეყნის ტერიტორიაზე 15-16 მილიონი კაცი ცხოვრობდა. დაპყრობილ ადგილობრივ მკვიდრებს ინკების სახელმწიფოს შიდა ოლქებში ასახლებდნენ. მათ მიწებზე კი იმპერიის ცენტრალური რაიონებიდან გადმოსულები მკვიდრდებოდნენ. 100-მდე სხვადასხვა ხალხი ცხოვრობდა ინკების იმპერიაში. **ინკების სახელმწიფოს სახელმწიფო ენა კეჩუას ენა იყო.**

ინკები თავის სახელმწიფოს „ტაუანტინსუიუ“-ს უწოდებდნენ, რაც „მიწის ოთხ ნაწილს“ ნიშნავს. მართლაც, იმპერია დაყოფილი იყო ოთხ ნაწილად (პროვინციად). თავის მხრივ, პროვინციები ოკრუგებად იყოფოდა. ოკრუგში შედიოდა რამდენიმე სადი. თითოეული მათგანი ერთ ან რამდენიმე გვარს მიეკუთვნებოდა. გვარი სავარგულების მკაცრად განსაზღვრულ ფართობს ფლობდა.

იმპერიაში მთელი მიწა სამ ნაწილად იყოფოდა: ა) **სათემო მინდვრებად;** ბ) **„მზის მიწად“** (რომლისაგან მიღებული შემოსავალი ქურუმების შენახვასა და მსხვერპლშეწირვას ხმარდებოდა), გ) **სახელმწიფოსა და ინკების მინდვრებად** (სახელმწიფო აპარატის მებრძოლების შესანახად, მშენებლობისათვის, აგრეთვე შემთხვევითი უბედურების, ქვრივ-ობლების, ღარიბების, მოხუცების შესანახად). მიწის ფონდის მეორე და მესამე ნაწილს თავისუფალი მცხოვრებნი თავისუფალ დროს ამუშავებდნენ. ქვეყანაში არ იყო დამშეული და ღარიბი. ვისაც მუშაობა არ შეეძლო, სახელმწიფო აუცილებელი მინიმუმით უზრუნველყოფდა.

ინკების მეურნეობის საფუძველი მიწათმოქმედება და მეცხოველეობა იყო. მათ აშენებული ჰქონდათ სარწყავი ნაგებობანი: დამბები და არხები. ინკებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს მეტალურგიაში (სპილენ-

ბი, ვერცხლი). განსაკუთრებით იყო დაწინაურებული საფეიქრო საქმე.

ინკების იმპერიაში მოქალაქეთა ათი კატეგორია იყო გამოყოფილი. მამაკაცთა პირველი სამი ჯგუფი ცხრა წლამდე ბავშვებისაგან შედგებოდა („მოთამაშე ბავშვები“). მეოთხე ჯგუფი მოიცავდა ბავშვებს 9-დან 12 წლამდე („მახით, კაკანათით ნადირობა“). მეხუთე ჯგუფი 12-დან 18 წლამდე ასაკის მამაკაცებით შემოიფარგლებოდა (მათ საქონლის დაცვა ევალებოდათ). 18-დან 25 წლამდე ასაკისანი მეექვსე ჯგუფში იყვნენ გაერთიანებულნი და მათ სამხედრო და საკურიერო საქმე ევალებოდათ. მეშვიდე ჯგუფი 25-დან 50 წლამდე პერიოდს მოიცავდა. ისინი იყვნენ გამოსადგების გადამხდელები და საზოგადოებრივი საქმისათვის მომუშავენი. მერვე ჯგუფის წარმომადგენლებს (50-დან 80 წლამდე) ბავშვების აღზრდა ევალებოდათ. მეცხრე ჯგუფში შედიოდნენ 80 წელს გადაცილებული მამაკაცები („ღრმა მოხუცები“). მეათე ჯგუფი ასაკობრივი ზღვარის გარეშე ავადმყოფებითა და უძლურებით (სნეულებით) იყო დაკომპლექტებული. ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში გადასვლის დროს ადამიანს სახელს უცვლიდნენ.

ინკების საზოგადოებაში დიდი ყურადღება ექცეოდა ტანსაცმლის სისუფთავესა და, საზოგადოდ, სიფაქიზეს. მამაკაცები მოკლე (მუხლებამდე) შარვლებსა (მოწიფულობის ნიშნად) და პერანგს (სახელოების გარეშე) ატარებდნენ, ქალები კი უბრალო, გრძელ შალის კაბას. ფეხზე ეცვათ ლამის ტყავის სანდლები. ცივ ამინდში ყველა ინიკი გრძელ და თბილ ლაბადას იცვამდა.

ტაუანტისნაუში დაწერილი კანონები არ ჰქონდათ, მაგრამ ისინი აშკარად იყოფოდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონებად. დაუშვებელი იყო ღვთის გმობა, უღმერთობა, უსაქმურობა, სიზარმაცე, ტყუილი, ქურდობა, მრუშობა და მკვლელობა. საკითხს დანაშაულის შესახებ მოსამართლენი – თემების ხელმძღვანელები და ზედაფენების წარმომადგენლები წყვეტდნენ. არისტოკრატის მიერ ჩადენილი დანაშაული უფრო მძიმედ ითვლებოდა (მის საქმეს თვით უზენაესი ინიკი განიხილავდა). დასჯის ფორმები იყო: გაძევება, გამათრახება, წამება, სახალხოდ გაკიცხვა. ყველაზე გავრცელებული კი იყო სიკვდილით დასჯა (ჩამოსრჩობა, ხელ-ფეხისა და თავის მოკვეთა, ჩაქოლება და სხვ.). პირს, რომელიც სახელმწიფოს უშიშროებას საფრთხეს უქმნიდა, მოფუთფუთე გველებითა და მტაცებელი ცხოველებით საგსე დილეგში ათავსებდნენ. იმ სოფელს, რომელშიც დანაშავე ცხოვრობდა, მიწასთან ასწორებდნენ, იქ მცხოვრებლებს კი ხოცავდნენ. ასეთი მკაცრი კანონების გამო, დანაშაული იშვიათად ხდებოდა.

ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგია იყო *მზის კულტი*, რომელსაც ყოველწლიურად თეთრ ღამეებს სწირავდნენ.

ინკების დედაქალაქ კუსკოში XVI საუკუნეში 200 ათასი მცხოვრები და 25 ათასზე მეტი სახლი იყო. კუსკოში იყო წყალგაყვანილობის სისტემებიც და კანალიზაციაც. დედაქალაქი ზღვის დონიდან 3000 მეტრზე მაღლა მდებარეობდა. ველი, რომელზედაც კუსკო იყო განლაგებული, ყოველი მხრიდან მთებით იყო შემოზღუდული. ის მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იყო გახსნილი. ქალაქის მოხაზულობა პუმის ტანს ჰგავდა და ამიტომ ის ქალაქის სიმბოლო იყო.

კუსკოს ცენტრში არსებულ „სიხარულის მოედანს“ ყველაზე დიდი ოქროს ძეწკვი ჰქონდა შემოვლებული (სიგრძე 350 ნაბიჯი). მოედანსა და ახლომდებარე ქუჩებზე ტაძრები იდგა. ყველაზე მთავარი ტაძარი მზის ტაძარი იყო. მის ახლოს იდგა მთვარის ტაძარი.

მართალია, ინკების სამხრეთამერიკული ცივილიზაცია ესპანელებმა მოსპეს, მაგრამ თვით ინკების სახელმწიფოს ძირითადი ეთნოსი – **კეჩუა დღესაც ცოცხალია. ისინი ცხოვრობენ პერუში, ბოლივიაში, ეკვადორში და აგრეთვე არგენტინის ჩრდილო-დასავლეთსა და ჩილეს ჩრდილოეთში.** მათი საერთო რაოდენობა 14,9 მილ. კაცია, მათ შორის პერუში 7,7 მილ., ბოლივიაში – 2,5 მილ., ეკვადორში – 4,3 მილ. ლაპარაკობენ კეჩუას ენაზე. ის ბოლივიის რესპუბლიკისა (ესპანურ და აიმარას ენებთან ერთად) და პერუს რესპუბლიკის (ესპანურ ენასთან ერთად) ოფიციალური ენაა. ფიქრობენ, რომ ინკების სახელმწიფოში არსებობდა იდეოგრაფიკული ტიპის დამწერლობა.

XVI საუკუნიდან კეჩუანური ენის ტექსტების ჩასაწერად ლათინურ ანბანს იყენებდნენ. XVI საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე კეჩუაზე ძირითადად რელიგიური ლიტარატურა გამოიცემოდა. XVII-XVIII საუკუნეებში კეჩუას ენაზე დრამატული ნაწარმოებები შეიქმნა, XIX-XX საუკუნეებში დიდ განვითარებას მიაღწია პოეზიამ. 1954 წელს კეჩუასა და აიმარას ენებისათვის ერთიანი ანბანი შეიმუშავეს, რომელიც ოფიციალურად 1975 წელს დამტკიცდა.

აიმარას ინდიელ ხალხს ძველად ანდების ოლქის მნიშვნელოვნად ვრცელი ტერიტორია ეკავა. აიმარას კულტურა XI-XV საუკუნეებში აყვავდა. XV საუკუნის მეორე ნახევარში აიმარა ინკებმა დაიმორჩილეს. აიმარას ტომთა ნაწილმა (ძირითადად ჩრდილო-დასავლეთში, ტიტიაკას ტბის ჩრდილო-დასავლეთით) კეჩუას ძლიერი გავლენა განიცადა და მათ მიერ იქნა ასიმილირებული. აიმარას ხალხი ესპანელებმა 1542 წელს დაიპყრეს.

აიმარას ეთნოსი ბოლივიის, პერუსა და ჩილეს მოსაზღვრე რაიონებში ცხოვრობს. მათი საერთო რაოდენობა 2 მილიონ 550 ათასი

კაცია, მათ შორის, ბოლივიაში – 1 მილიონ 800 ათასია, პერუში – 720 ათასი. აიმარას ენა ტიპოლოგიურად ახლოსაა კეჩუას ენასთან. ის ესპანურსა და კეჩუას ენებთან ერთად ბოლივიის ოფიციალური ენაა. XVII საუკუნიდან აქეთ დამწერლობა ლათინური ანბანის საფუძველზე – ძირითადად კი ესპანურიდან თარგმნილი რელიგიური ლიტერატურა. აიმარას ხალხი კათოლიკეა.

აიმარას ეთნოსი მიწათმოქმედებითაა დასაქმებული (სახვნელი, სარწყავი მიწათმოქმედება). დამხმარე მნიშვნელობა აქვს მეთევზეობას.

სამხრეთ ამერიკაში საკუთარი დამწერლობა აქვს **გუარანის** ეთნოსსაც. გუარანის ენა ძირითადად პარაგვაიში, აგრეთვე ბრაზილიისა და არგენტინის მოსაზღვრე რაიონებშია გავრცელებული. გუარანის ენამ ესპანური ენის დიდი გავლენა განიცადა. მართალია, პარაგვაიაში ოფიციალური ენა ესპანურია, მაგრამ გუარანიზე ლაპარაკობს მოსახლეობის 90% (3 მილიონი კაცი). გუარანის ენაზე იბეჭდება ლიტერატურა, გამოიცემა გაზეთები (ორენოვანი), არსებობს რადიოგადაცემები. მართალია, შეზღუდულად, მაგრამ გუარანი გამოიყენება სასკოლო სწავლებაში. დამწერლობა დაფუძნებულია ლათინურ ანბანზე. გუარანის ენაზე პირველი ტექსტი 1607 წელს გამოქვეყნდა, ეს იყო გუარანიულ-ესპანური და ესპანურ-გუარანიული ლექსიკონები.

2.8. ამერიკელები

ამერიკელები აშშ-ის ძირითადი მოსახლეობაა. მათი საერთო რაოდენობა 263 მილიონია. ამერიკელთა უმეტესობა სხვადასხვა ევროპული ეთნოსის შერევის შედეგადაა მიღებული. ამერიკელთა ფორმირებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე დიდი ნეგროიდული რასისა და ამერიკული რასის (ამერიკელი ინდიელები) წარმომადგენლებმა. ამერიკელები ინგლისური ენის ამერიკულ ვარიანტზე ლაპარაკობენ. გამოიყოფა ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის დიალექტები. ქვეყნის სამხრეთში გავრცელებულია აგრეთვე ესპანური ენა. ამერიკელთა უმეტესობა პროტესტანტია (ბაპტისტები, მეთოდისტები და სხვ.). მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კათოლიკეა. არიან იუდეველები, მუსლიმები, მრავალრიცხოვანი სექტებისა და არატრადიციული კულტების მიმდევრები. **თანამედროვე ამერიკის შეერთებულ შტატებში 250-ზე მეტი რელიგიური მიმდინარეობაა.** არაქრისტიანული რელიგიებიდან ყველაზე ბევრნი იუდაიზმის მიმდევრები არიან. XIX საუკუნის პირველ ნახევარში წარმოიქმნა **მორმონების** ამერიკული სექტა. მორმონები იმდენად არიან დაშორებული ქრისტიანულ მოძღვრებას, რომ არც შეიძლება ისინი ქრისტიანობის მიმდევრებად ჩაითვალოს. თავდაპირველად მორმონები აგიტაციას უწევდნენ მრავალ

ვალცოლიანობას, მაგრამ XIX საუკუნის ბოლოს ხელისუფლებისა და საზოგადოების ზეწოლით მასზე უარი თქვეს. ამერიკაში 5 მილიონამდე მორმონი ცხოვრობს, რომელთაგან 69,2% იუტას შტატში მკვიდრობს, აიხადოს შტატში – 30,5%, ვაიომინგსა და არიზონაში შესაბამისად 8,8% და 8,7%.

ამერიკელი ხალხის ეთნიკური ისტორიის დამახასიათებელი ნიშანი ყოველთვის იყო რასობრივი და ეთნიკური სხვადასხვაობა. თავდაპირველად ინგლისური კოლონიების სიჭარბის გამო ევროპიდან მოსულ ხალხებს შორის უმეტესობას ინგლისიდან გადმოსახლებულები შეადგენდნენ, რამაც განსაზღვრა ინგლისური ენისა და კულტურის წამყვანი როლი ჯერ ამერიკის კოლონიებში, შემდეგ კი – აშშ-ში. ამერიკაში ინგლისურმა ტრადიციებმა განვითარების თვითმყოფადი გეზი პოვა. მათ ევროპიდან მოსული სხვა ხალხებისა და აგრეთვე ინდიელებისა და აფრიკელების კულტურული გავლენაც განიცადეს, რასაც შერეული ქორწინებები განაპირობებდა. ევროპიდან მოსულებს შორის იყვნენ აგრეთვე ირლანდიელები და შოტლანდიელები, შვედები, გერმანელები, პოლანდიელები, XIX საუკუნის ბოლოდან – აღმოსავლეთ ევროპელები.

ამერიკის სახელმწიფო იმ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა, რომლებიც ინდიელებს წაართვეს. ევროპელთა კოლონიზაციის დროს აშშ-ის ტერიტორიაზე 400-მდე ადგილობრივი ტომი მკვიდრობდა, რომლებიც 200 ენაზე ლაპარაკობდნენ. რაოდენობრივად ინდიელები ორიდან სამ მილიონამდე იყვნენ. მისი საფუძველი ცამეტი ინგლისური კოლონია იყო, რომლებმაც მეტროპოლისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვეს და ამერიკის შეერთებული შტატები შექმნეს. XIX საუკუნის ბოლომდე ახალი სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოება ინდიელთა მიწების, XIX საუკუნის შუა ხანებში კი მეზობელი მექსიკის ხარჯზე ხდებოდა.

მიგრაცია ინგლისიდან ამერიკაში ჯერ კიდევ XVII საუკუნეში დაიწყო. ინგლისურ იმიგრაციაში განსაკუთრებული ადგილი ვალიელებს ეჭირათ. შოტლანდიელები ჩრდილოეთ ამერიკაში თითქმის ინგლისელებთან ერთად მოვიდნენ. აქ შოტლანდიური წარმოშობის ძალიან ბევრი გვარია. ირლანდიელთა მიგრაცია პირველად 1621 წელს მოხდა. 1850-1860 წლებში აშშ-ში 914.119 ირლანდიელი მოვიდა, წინა, 1820-1830 წლებში კი სულ 50.724.

ამერიკელთა ნაცია დამოუკიდებლობისათვის გაჩაღებული ომების პერიოდში (1775-1783 წწ.) ჩამოყალიბდა. XIX საუკუნის დასაწყისში ქვეყნის სამი დიდი ეკონომიკურ-გეოგრაფიული და კულტურული რეგიონის – სავაჭრო-სამრეწველო და ფერმერული ჩრდილოეთი, მონათმფლობელური სამხრეთი და დასავლეთი – მოსახლეობით

სწრაფი მოშენება მიმდინარეობდა. ამ სამი რეგიონის მოსახლეობა კულტურულ-ყოფითი და ენობრივი თავისებურებებით გამოირჩეოდა. XIX საუკუნის შუა ხანებში ევროპიდან აშშ-ში გლეხების, ხელოსნებისა და მუშების ნაკადის გადმოსახლებამ, რომელიც ათეული წლები გრძელდებოდა, მასობრივი ხასიათი მიიღო. 1860 წელს იმიგრანტები (უპირატესად ირლანდიელები და გერმანელები) მოსახლეობის 13-14%-ს შეადგენდნენ. მათი უმეტესობა მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროში მუშაობდა. ისინი, ამავე დროს, ძალიან დაბალ ან აზღაურებას იღებდნენ, უმნიშვნელო ნაწილი კი სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. 1846-1848 წლებში მექსიკური ომების შედეგად აშშ-ს შეუერთდა მექსიკისაგან დაპყრობილი მიწები. ამ მიწების მოსახლეობა ესპანელ-ინდიელთა მეტისეხსა და ესპანელთა შთამომავლებს წარმოადგენდა. მათ შორის ცოტა არ იყო ინდიელიც. უფრო ადრე – 1803 წელს ამერიკელებმა საფრანგეთისაგან ლუიზიანა იყიდეს. წართმეულ მიწებზე კალიფორნიის, ნევადის, არიზონას, ნიუ-მექსიკის, იუტას, კოლორადოს შტატები ჩამოყალიბდა. 1861-1865 წლების სამოქალაქო ომმა ამერიკის სახელმწიფოს გაძლიერება და ამერიკული ნაციის კონსოლიდაცია განაპირობა; გაანთავისუფლეს მონები. კვლავ გაძლიერდა იმიგრაცია, რომელმაც ეკონომიკური განვითარების სწრაფი ტემპები განაპირობა. მიგრანტებს შორის ჭარბობდნენ სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპიდან (იტალიიდან, რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიებიდან) გადმოსახლებულები. 1910 წლისათვის იმიგრანტები და მათი შვილები მთელი თეთრი მოსახლეობის თითქმის 40%-ს შეადგენდნენ.

XX საუკუნის 20-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში იმიგრაციის კანონი მიიღეს, რომელიც ქვეყანაში შესვლასა და იმიგრანტთა შეზღუდვას ითვალისწინებდა. ამით ამერიკაში თავისუფლად შესვლის ეპოქა მთავრდებოდა. შედარებით სტაბილურმა ეთნიკურმა შემადგენლობამ კი ასიმილაციური პროცესები და ეთნოსთა შორის კონსოლიდაციის გაღრმავება გამოიწვია.

ამერიკელთა შემადგენლობაში შემავალ მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებს, როგორც წესი, თავიანთი ეთნიკური ტერიტორია არ ჰქონდათ და ისინი ერთმანეთში შერეულად ცხოვრობდნენ. ამერიკელი ხალხი სხვადასხვა ეთნიკური და რასობრივი წარმომავლობის ხალხთა შერევის შედეგად იქცა ერთ მთლიანობად და ამიტომაც მათში ძლიერაა განვითარებული საერთო-ნაციონალური პატრიოტიზმის გრძნობა.

თანამედროვე იმიგრაციული კანონმდებლობით, ამერიკაში უპირატესი შესვლის უფლება აქვთ ქვეყნის მოქალაქეთა ნათესავეებს, მეცნიერებს, სპეციალისტებს.

ამერიკელებმა კონსოლიდაციის მაღალ საფეხურს მიაღწიეს. ინგლისურ ენაზე ლაპარაკობს ამერიკელთა დიდი უმრავლესობა, თუმცა უამრავი ახალი ემიგრანტი ყოფაში თავის მშობლიურ ენას იყენებს. ამის გამო მოსახლეობის ნაწილი ორენოვანია. ამერიკული ნაცია მთელ რიგ შეურეველ (თუმცა ძლიერ ამერიკანიზებულ) ეთნიკურ ჯგუფებს შეიცავს, რომლებიც მის სტრუქტურულ ელემენტებს წარმოადგენენ. ამის გამო ბევრ ამერიკელს ორმაგი ეთნიკური თვითშეგნება აქვს (მაგალითად: ამერიკელი იტალიელები, ამერიკელი პოლონელები და ა.შ.). ისინი, რა თქმა უნდა, უკვე ამერიკელები არიან, მაგრამ თავიანთი წინაპრების სამშობლოც ახსოვთ. ნაკლებასიმილირებულია მექსიკელთა დიდი ეთნიკური ჯგუფი, ანუ ჩიკანოსი (11 მილიონზე მეტი; ცხოვრობენ ძირითადად სამხრეთ-დასავლეთის შტატებში), რომელიც მუდმივად ივსება მექსიკიდან როგორც ლეგალური, ისე არალეგალური გადმოსახლეულებით. ამ უკანასკნელთ პუერტორიკოელებიც მიეკუთვნებიან (2 მილიონზე მეტი), რომელთაც მექსიკელებთან ერთად "ფერადებად" განიხილავენ.

ამერიკელების დიდი უმეტესობა ქალაქებში და ქალაქგარეთ ცხოვრობს. ისინი მოღვაწეობენ მრეწველობისა და მომსახურების სფეროში, მეცნიერებაში და ა.შ. ამერიკელები ძალიან მობილურები არიან, რასაც ავტომატიზაცია და ცხოვრების სფეროებში პრინციპული განუსხვავებლობა განაპირობებს. შიდა მიგრაციული პროცესები დღეს ძირითადად დასავლეთის შტატებში მიმდინარეობს.

ოჯახს ამერიკაში ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ის ნუკლიარული ტიპისაა, მაგრამ ზოგიერთი იმიგრანტული ეთნიკური ჯგუფი მჭიდრო ნათესაური ურთიერთობებით გამოირჩევა. მაგალითად შეიძლება იტალიელები დავასახელოთ, თუმცა სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის ხშირია შერეული ქორწინებები. **აშშ-ში ბევრია მატრიფოკალური ოჯახები, რომლებიც დედისა და შვილებისაგან შედგება.** ასეთი ოჯახები, ჩვეულებრივ, მატერიალურად ნაკლებ უზრუნველყოფილნი არიან; ბევრი მათგანი სახელმწიფო შემწეობას იღებს. მატრიფოკალური ოჯახის ბავშვები ძირითადად ქორწინებისგარეშე ფეხმძიმობის შედეგად არიან გაჩენილნი. ამერიკაში ლეგალურად არსებობს პომოსექსუალური კავშირები, მათ შორის, ერთსქესიანი ქორწინებები. წამოზრდილი შვილების უმეტესობა, რომლებიც ჯერ კიდევ დაქორწინებულები არ არიან, მშობლებს ტოვებენ და ცალკე სახლდებიან. უმეტეს შემთხვევაში ცალკე ცხოვრობენ მოხუცებულებიც. ოფიციალურად აშშ-ში არაა არც სახელმწიფო რელიგია და არც სახელმწიფო ეკლესია. აშშ-ის კონსტიტუციით მის ყოველ მოქალაქეს თავისუფალი აღმსარებლობის ნება ეძლევა. სხვადასხვა ეკლესიებისა და სექტების დიდი რაოდენობა გა-

ნპირობებუღია ქვეყნის ეთნიკური ისტორიით. საყურადღებოა სხვადასხვა პროტესტანტულ მიმდინარეობათა სიმრავლე (მეთოდისტები, ლუთერანები, პრესვიტერელები, მენონიტები და მრავალი სხვა), რაც XVII-XVIII საუკუნეების ევროპის რელიგიური დევნისა და ომების ნაკვალევია. ადრეკადმოსახლებულთა შორის იყვნენ კათოლიკეებიც, რომლებიც აშშ-ში პროტესტანტთა დევნის გამო თავშესაფარს ეძებდნენ (ინგლისელი კათოლიკეები იაკობ სტიუარტის მეფობის წლებში, ირლანდიელები კრომველის დროს). ირლანდიდან, იტალიიდან და პოლონეთიდან მოსულმა გვიანდელმა იმიგრანტებმა უფრო გაზარდეს კათოლიკური მოსახლეობის რაოდენობა. უკვე XIX საუკუნეში აშშ-ში მსოფლიოს თითქმის ყველა რელიგიის წარმომადგენელი ცხოვრობდა, მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვანნი მაინც პროტესტანტები იყვნენ. კათოლიკეები უმეტესობას წარმოადგენენ ლუიზიანაში (ფრანგთა შთამომავლნი), ტეხასსა (მექსიკელები) და კენტუკში. კათოლიკეთა დიდი რაოდენობა თავმოყრილია დიდ ქალაქებში (ჩიკაგო, ნიუ-იორკი, ბოსტონი). იუდაიზმიც ძირითადად დიდ ქალაქებშია გავრცელებული.

ამერიკელი ეთნოსი, რომელიც სხვადასხვა ეთნორასობრივი ჯგუფების შერევის შედეგადაა ჩამოყალიბებული, მთელი მსოფლიოდან დღესაც იკრებს სხვადასხვა ეთნიკურ ერთეულთა წარმომადგენლებს, რომლებიც ინგლისური ენის საფუძველზე ახალგაზრდა ამერიკელ ერში ასიმილირდებიან. სტატისტიკური მონაცემებით აშშ-ის მოსახლეობის 83% თეთრია, აფროამერიკელია 12,6%, ინდიელი 4,4%.

ამერიკელები ფართოდ აღნიშნავენ დამოუკიდებლობის დღეს (4 ივლისი), მადლიერების დღეს (ნოემბრის ბოლო ხუთშაბათი), დედის დღეს (მაისის მეორე კვირა) და სხვ.

აშშ მაღალგანვითარებული მეცნიერებისა და განათლების ქვეყანაა. ქვეყანაში არის ასობით უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, კოლეჯი; პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა 600 ათასს აჭარბებს, სტუდენტების რაოდენობა კი დაახლოებით 15 მილიონია. ამერიკის უნივერსიტეტები სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებიცაა. მასწავლებელთა და მეცნიერთა 10% სხვადასხვა ქვეყნიდანაა მოსული, რასაც ამერიკელები „ტვინის იმპორტს“ უწოდებენ.

ამერიკელები იყვნენ მსოფლიოში ცნობილი მწერლები: ვ. ირვინგი (1783-1859), ე. პო (1809-1849), ფ. კუპერი (1789-1851), ჰ. ბიჩერ-სტოუ (1811-1890), უ. უიტმენი (1819-1892), მ. ტვენი (1835-1910), თ. დრაიზერი (1871-1948), ჯ. ლონდონი (1876-1916), უ. ფოლკენერი (1897-1962), ე. ჰემინგუეი (1899-1961), ჯ. სტეინბეკი (1902-1968); კომპოზიტორები და მუსიკოსები: ჯ. გერშვინი (1898-1937), დ. ელინგტონი (1899-1974), ლ. ამსტრონგი (1898-1971)...

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში მთელ მსოფლიოში ცნობილი იყო ამერიკელი გამომგონებლების – **რ. ფულტონის, ს. მორზეს, დ. ვესტინგჰაუსის, ა. ბელის** და სხვათა სახელები. ამერიკელებმა დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში. ნობელის პრემიის ლაურეატთა რიცხვით (ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, მედიცინაში, ეკონომიკაში) ამერიკელები წინა პლანზე არიან. დღემდე მხოლოდ ამერიკელებმა შეძლეს 1969 წელს მთვარეზე დაჯდომა.

2.9. კანადელები

კანადელთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 30 მილიონია. აქედან კანადაში ცხოვრობს 25 მილიონი. მკვიდრი მოსახლეობა (ინდიელი ტომები, ესკიმოსები და სხვ.) მთელი მოსახლეობის დაახლოებით 2%-ს შეადგენს. კანადელებში ძირითადად ორი ჯგუფი გამოიყოფა – **ანგლოკანადელები** (10,8 მილიონი) და **ფრანკოკანადელები** (7,2 მილიონი). კანადელების შემადგენლობაში შედიან აგრეთვე გერმანელთა, იტალიელთა, უკრაინელთა, პოლონელთა, ამერიკელთა (აშშ), ებრაელთა მნიშვნელოვანი ჯგუფები. კანადელები ძირითადად ინგლისური ენის კანადურ ვარიანტსა და ფრანგული ენის კანადურ ვარიანტზე ლაპარაკობენ.

ანგლოკანადელები მიეკუთვნებიან კანადის გაერთიანებულ პროტესტანტულ ეკლესიასა და კანადის ანგლიკანურ ეკლესიას. არიან პრესვიტერელები, ლუთერანები, ბაპტისტები და სხვა პროტესტანტულ მიმდინარეობათა წარმომადგენლები. კანადაში ბევრი სექტაციაა. კანადის მოსახლეობის დაახლოებით მესამედი კათოლიკეა. კათოლიკეები ძირითადად ფრანკოკანადელები არიან.

კანადელები ევროპიდან და შემდეგ აშშ-დან მოსული (XVI-XX სს.) იმიგრანტული ჯგუფების ინტეგრაციის შედეგად ჩამოყალიბდნენ. კანადის დასახლება ევროპელებით 1534 წელს დაიწყო, როდესაც ბრეტონელმა მეზღვაურმა ჟაკ კარტიემ კუნძულ ნიუფაუნდლენდის ნაპირებს მიაღწია. ფრანგებს გარდა, ევროპელთაგან ძირითადად ინგლისელები, შოტლანდიელები, ირლანდიელები, უელსელები და, შედარებით მცირე რაოდენობით, გერმანელები და პოლანდიელები სახლდებოდნენ.

XVII საუკუნის დასაწყისში ფრანგმა გადმოსახლებულებმა *კოლონია ახალი საფრანკეთი* დააარსეს, 1605 წელს – *პატარა კოლონია აკადი*, ხოლო 1608 წელს *ქლაქი კეპბეკი*. კანადის ისტორიის ადრეული პერიოდისათვის ორი დიდი სახელმწიფოს (მეტროპოლის) – საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის –ბრძოლა იყო დამახასიათებელი.

ამ ბრძოლაში ჩათრეულ იქნენ ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ადგილობრივი *ალგინკინთა* და *იროკუზთა* ტომები. კოლონიზაციის პერიოდში პირველნი ფრანგებთან მოკავშირეობდნენ, მეორენი—ინგლისელებთან. თავდაპირველად კანადის ტერიტორიის კოლონიზაციაში წამყვანი როლი ფრანგებს ჰქონდათ, მაგრამ, იმის გამო, რომ საფრანგეთს ზედმეტი მოსახლეობის დიდი კონტიგენტი არ ჰყავდა, ამ ქვეყანამ ვერ შეძლო ემიგრანტთა რაოდენობის გაზრდა. სხვათა შორის, ამის შესახებ ფრანგი მინისტრი წერდა: „*კანადის დასახლების გამო უჭკუობა იქნებოდა, სამეფო მოსახლეობისგან გაგვექმნებინა*“. ჩრდილოეთ ამერიკულ კოლონიებს საფრანგეთი განიხილავდა როგორც ძვირფასი საქონლის წყაროს, ეკონომიკურ განვითარებაზე კი არ ფიქრობდა არც საფრანგეთის მთავრობა და არც სავაჭრო კომპანიები, რომელთა ინტერესს მხოლოდ სიმდიდრის გადაქაჩვა წარმოადგენდა. 1645 წელს ფრანგმა კოლონისტმა ახნაურებმა ახალი საფრანგეთის ტერიტორიაზე თავიანთი სავაჭრო კომპანია დააარსეს. ეს კომპანია მიწათმოქმედების განვითარებასა და საფრანგეთიდან გლეხთა გადმოსახლებაზე ზრუნავდა. მიგრირებული ფრანგი გლეხები განსახლების ახალ არეალშიც მიწათმოვლობელთა დამოკიდებულებაში რჩებოდნენ, თუმცა ფეოდალური ბეგარა აქ შედარებით მსუბუქი იყო. 1663 წლიდან ფრანგებით განსახლებულ ტერიტორიაზე ოფიციალურად სამეფო ადმინისტრაცია იქნა დაარსებული – გუბერნატორი ფაქტობრივად საფრანგეთის მეფისნაცვალს წარმოადგენდა. ფრანგულ კოლონიაში განუსაზღვრელი იყო კათოლიკური ეკლესიის გავლენა არა მხოლოდ იდეოლოგიური, არამედ ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისითაც. კანადის ბედი ბრძოლის არენაზე გადაწყდა და ეს ბრძოლა არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ ევროპაშიც მიმდინარეობდა. **1713 წელს დიდმა ბრიტანეთმა ფრანგული კოლონია აკადი დაიპყრო, 1763 წელს კი – ახალი საფრანგეთის კოლონია**, რასაც აქ ბრიტანეთიდან გადმოსახლებულთა ახალი ტალღის შემოჭრა მოჰყვა. ინგლისელთა მიერ განხორციელებული ამ დაპყრობის შემდეგ ფრანგ ფეოდალთა, ჩინოვნიკთა და ვაჭართა დიდი ნაწილი საფრანგეთში დაბრუნდა. აშშ-ის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში (1776-1783წწ.) აქედან კანადაში დაახლოებით 40 ათასი *ლოიალისტი (მეტროპოლის მომხრე)* გადასახლდა. მათი დიდი ნაწილი ახალ შოტლანდიაში დაფუძნდა, დანარჩენი კი – ფრანკოკანადური ტერიტორიის დასავლეთით. ამ ერთჯერადმა მიგრაციამ კოლონიის შემდგომ პოლიტიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, კერძოდ, დემოგრაფიული სიტუაცია ინგლისურენოვანი მოსახლეობის სასარგებლოდ შეიცვალა. გამწვავდა ნაციონალური ურთიერთობებიც. ნაციონალუ-

რი ურთიერთობების გამწვავებას კი კოლონიის ორ ნაწილად – *ქვემო კანადად (ყოფილი ახალი საფრანგეთის საზღვრებში)* და *ზემო კანადად (ძირითადად ინგლისურენოვანი მოსახლეობით)* – გაყოფა მოჰყვა. **1848 წელს ფრანკოკანადური ნაციონალური მოძრაობის დასუსტების მიზნით ქვემო კანადა და ზემო კანადა ერთ კოლონიად – კანადად გაერთიანდა.** ამავდროს, დიდი ბრიტანეთიდან დაიწყო მოსახლეობის დიდი რაოდენობით შემოსახლება, რათა ინგლისურენოვანი მოსახლეობის რაოდენობის უპირატესობა უზრუნველყო. 1848 წელს ფრანგმა და ინგლისელმა მარჯვენა რადიკალებმა გაერთიანებული მთავრობა შექმნეს, რამაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შეუწყო ხელი. 1867 წელს ოთხმა პროვინციამ კანადის ფედერაციის შექმნა გამოაცხადა. ეს წელი თანამედროვე კანადური სახელმწიფოს შექმნის თარიღად ითვლება. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე კანადაში ევროპიდან იმიგრანტთა ახალი ტალღა შეიჭრა. XIX საუკუნის პირველი სამი ათეული წლის განმავლობაში 4,6 მილიონი იმიგრანტი აღირიცხა, თუმცა ქვეყნიდან მოსახლეობის გასვლაც ხდებოდა, მაგრამ შემომსვლელთა რაოდენობა გამსვლელთა რაოდენობაზე ბევრად მეტი იყო. ამ პერიოდში ქვეყანამ სამეურნეო და სოციალური თვალსაზრისითაც იცვალა იერსახე. ფრანკოკანადელებს აქ მოსული სხვა ეთნიკური ერთობების წარმომადგენლებიც (შოტლანდიელები, ინგლისელები) შეერივნენ, რომელთაგანაც ბევრი გაფრანგდა, გადავიდა ფრანგულ ენაზე და გვარიც შეიცვალა. კანადაში ინგლისელი, შოტლანდიელი და ირლანდიელი კოლონიზატორების შერევა და ახალი ერთიანი ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბება განსახლების შერეულმა ხასიათმა და აგრეთვე უმეტეს მათგანში სხვადასხვა ენის არსებობამ განაპირობა; მაგრამ ახალი ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბება ერთგვარად ნელა მიმდინარეობდა აქ მოსული ხალხების კულტურული სხვადასხვაობისა და მუდმივად მიმდინარე იმიგრაციული ნაკადების გამო. საერთოდ, ანგლიკანური ეთნიკური ერთობა მნიშვნელოვან ეთნიკურ სიჭრელეს ინარჩუნებს, თუმცა სხადასხვა წარმოშობის ეთნიკურ ერთობათა (ბრიტანელები, გერმანელები, იტალიელები, უკრაინელები, სკანდინავიელები) ასიმილაცია დღესაც გრძელდება. მაღალი შემჭიდროებულობით ხასიათდებიან ფრანკოკანადელები, რაც საერთო წარმომავლობით, განსახლების კომპაქტურობით, კათოლიკური ეკლესიის ძლიერი გავლენითა და შერეულ ქორწინებათა უმნიშვნელო რაოდენობით არის განპირობებული. **1969 წელს ფრანგული ენა კანადის ერთ-ერთ ოფიციალურ ენად გამოცხადდა.** XX საუკუნის მთელ მანძილზე მუდმივად მწვავედ იდგა ფრანკოკანადელების პრობლემა. 1969 წლის ფედერალურმა კანონმა ენების შესახებ ფრანგული ენის

პოზიციები გაამყარა, რამაც ინგლისურენოვანი პროვინციების მოსახლეობის მწვავე უკმაყოფილება გამოიწვია. 1976 წელს კვებეკის ხელისუფლებაში სეპარატისტული პარტიის მოსვლის შემდეგ, ამ პროვინციის ფედერაციიდან გამოსვლის საკითხი დადგა, მაგრამ რეფერენდუმზე გასვლას მოსახლეობის მხოლოდ 20% მისცა ხმა.

ფრანკოკანადელთა და ანგლოკანადელთა დაპირისპირებას საფუძველი 1763 წლიდან ბრიტანეთის მიერ ახალი საფრანგეთის დაპყრობის დროს ჩაეყარა. აქედან მოყოლებული, დიდი ბრიტანეთიდან მოსულებს თითქმის ყოველთვის გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ. მათი წრიდან იყვნენ ჩინოვნიკები, მსხვილი ვაჭრები, ფრანკოკანადელები კი ძირითადად გლეხებად რჩებოდნენ. ეს ფაქტი ეთნიკურ დაპირისპირებას უფრო ამწვავებდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბრიტანული პოზიციების გამაგრების შემდეგ კანადაში საერთოდ შეწყდა ფრანგების მიგრაცია, მაშინ, როდესაც ევროპიდან ბრიტანელთა ახალ-ახალი ტალღები მოდიოდა. ანგლოკანადელთა რიგებს ინგლისელების, შოტლანდიელების, უელსელებისა და ირლანდიელების გარდა, სხვა ევროპელი მიგრანტებიც აგვებდნენ. ამის გამო, ანგლოკანადელთა ეთნიკური ერთობა შეკავშირებულობის შედარებითი სისუსტითაც გამოირჩეოდა, ვიდრე ფრანკოკანადელების. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს კონფესიური მომენტიც თამაშობდა. მთელი XX საუკუნის განმავლობაში ანგლოკანადელები განსახლების ტერიტორიას იფართოებდნენ, მაშინ, როდესაც ფრანკოკანადელები ერთსა და იმავე ტერიტორიაზე რჩებოდნენ. XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში ფრანკოკანადელები 6 მილიონს ითვლიდნენ, ანგლოკანადელები – 11 მილიონს; გარდამავალი ეთნიკური ჯგუფების რაოდენობა 4 მილიონს შეადგენდა, რომელთაც ძირითადად მიეკუთვნებოდნენ: გერმანელები, იტალიელები, უკრაინელები, პოლონელები, პოლანდიელები, სკანდინავიელები, რუსები, უნგრელები, ბერძნები, პორტუგალიელები, ჩინელები, იაპონელები. უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ ავტოქტონი ინდიელები (300 ათასი) და ესკიმოსები (20 ათასი).

საყურადღებოა, რომ ფრანკოკანადელებით დასახლებული ტერიტორია – კვებეკი ტერიტორიით თითქმის სამჯერ დიდია საფრანგეთზე. ამ პროვინციის მოსახლეობის 80% ფრანკოკანადელია.

კანადელებს დიდი რაოდენობით მოჰყავთ მარცვლეული კულტურები, პირველ რიგში, ხორბალი, რომლის ექსპორტით ქვეყანას მსოფლიოში, აშშ-ის შემდეგ, მეორე ადგილი უკავია. სოფლის მეურნეობა ძირითადად სამხრეთ კანადაშია განვითარებული. ჩრდილოეთ კანადაში კი მხოლოდ მეირმეობას, მონადირეობას და მეთევზეობას მისდევენ. ცენტრალური კანადა ქალაქის მოსახლეობას მებოსტნეობის,

მებაღეობის პროდუქტებით უზრუნველყოფს. აქვე განვითარებულია სარძევე მეცხოველეობა და მეფრინველეობა.

2.10. ლათინური ამერიკის კოლონიზაცია

ლათინური ამერიკის ქვეყნების კოლონიზაცია კოლუმბის პირველი მოგზაურობისთანავე დაიწყო, რასაც თან ახლდა ადგილობრივი მოსახლეობის დამორჩილება და მიწების დაპყრობა, ინდიელთა ნაწილის განადგურება და ცოცხლად გადარჩენილთა სამუშაო ძალად გამოყენება, მოსულთა ადგილობრივ მოსახლეობაში შერევა და ახალი ხალხების ჩამოყალიბება. ეს პროცესები მექსიკაში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში გაცილებით უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ახალი სამყაროს ჩრდილოეთ ნაწილში და უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე ამ უკანასკნელში. მნიშვნელოვანი განსხვავებაა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სხვა თვალსაზრისითაც. ჩრდილოეთ ამერიკაში კოლონიურ პერიოდში მოსულმა ევროპელებმა არა მარტო დაიპყრეს და აითვისეს მიწის უმეტესი ნაწილი, არამედ ადგილობრივი მოსახლეობაც განადგურეს და ამოხოცეს. ლათინურ ამერიკაში მრავალმილიონიანი ხალხები კოლონიზაციის შემდეგაც აგრძელებდნენ არსებობას; ისინი თავიანთ ძირძველ ეთნიკურ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და თვითმყოფად კულტურებს ავითარებდნენ.

1492 წლის 12 ოქტომბერს კასტილიიდან გამოსული ქრისტეფორე კოლუმბის სამეგობარი ექსპედიცია პირველად ბაჰამის კუნძულებს, გუანახამის კუნძულს მიადგა, რომელსაც ესპანელებმა სან-სალვადორი უწოდეს. კარიბის ზღვაში რამდენიმე თვის ცურვისა და დაკვირვების შემდეგ კოლუმბმა ახალ სამყაროში – კუნძულზე – პირველი ევროპული დასახლება დააარსა.

1493 წლის ბოლოს ჰაიტში კოლუმბის მეორე ექსპედიცია მოვიდა. მან აქ დაახლოებით 500-მდე ესპანელი მოიყვანა, რომელთა შორის სასჯელმოსხილი დამნაშავეებიც იყვნენ. ახალი სამყაროს კოლონიზაციიდან ნაწილი თავისი ნებით, ნაწილი კი იძულებით იყო წამოსული. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ესპანელები ჰაიტში მკვიდრად დაფუძნდნენ. მოიყვანეს მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ცხენი, სახედარი... დაინერგა სხვადასხვა მარცვლოვანი კულტურები (პირველ რიგში, ხორბალი), ვაზი, აგრეთვე შაქრის ლერწამი.

1498 წელს, მესამედ მოგზაურობისას, კოლუმბმა სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაპირებს მიადწია. 1502-1504 წლებში, თავისი უკანასკნელი მოგზაურობისას, კოლუმბი ცენტრალური ამერიკის ნაპირებთან

მივიდა, სადაც ახლა ჰონდურასის, კოსტა-რიკისა და პანამის სახელმწიფოებია.

კოლუმბის ოთხი ექსპედიციის შედეგად (1492-1505) აღმოაჩინეს დიდი ანტილისა და პატარა ანტილის ყველა კუნძული, ბაგამის კუნძულები და კარიბის ზღვის ყველა მცირე კუნძული. მან ისინი ესპანეთის ტახტს დაუქვემდებარა.

ახალაღმოჩენილი მიწების დაპყრობასა და კოლონიზაციას მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებდა, რადგან **ესპანეთში მიემგზავრებოდნენ არა ესპანეთის სამეფოს ჯარისკაცები, არამედ დაქირავებული რაზმები – კონკისტადორები. რაზმებს ავროელებდნენ და წინამძღოლობას უწევდნენ მეთაურები – ადელანტადოები.** ადელანტადოები მეფესთან მოლაპარაკების მიხედვით მოქმედებდნენ. თვით დაპყრობების დროს კი მეფის პირდაპირ მითითებებს არ ასრულებდნენ. ისინი ჯარს ხელმძღვანელობდნენ და დაპყრობილ მიწებზე წესრიგს თავიანთი შეხედულებისამებრ ამყარებდნენ. მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ მთავრდებოდა ადელანტადოს ხელისუფლება და ის უშუალოდ სამეფოს ხელში გადადიოდა.

კუნძული ჰაიტი ესპანელებმა მთლიანად XVI საუკუნის პირველ ათწლეულში დაიპყრეს, სადაც მეფის ნაცვალი დაინიშნა. კოლონიზაციის შემდეგი ობიექტი პანამის ყელი იყო. 1513 წელს ესპანელებმა **ვასკო ნუნეს ბალბოას მეთაურობით წყნარ ოკეანეს მიაღწიეს, რომელსაც „სამხრეთის ზღვა“ უწოდეს** და მასში არსებული ყველა კუნძული ესპანეთის სამფლობელოდ გამოაცხადეს. 1574 წელს პანამის ყელზე ესპანური კოლონია დაარსდა, რომელიც 1500-მდე კაცს ითვლიდა. იმავე წელს დაიპყრეს კუბა, საიდანაც **ერნანდეს დე კორდობას** კონკისტადორების რაზმი 1517 წელს გემით მატერიკის მიმართულებით გაემგზავრა. ექსპედიციას ქარიშხალი დაატყდა თავს. გემები იუკატანის ნაპირზე გაირიყა, სადაც ესპანელები პირველად შეეჯახნენ მაიას ინდიელებს და შეიარაღებული შეტაკების შემდეგ დიდი დანაკარგებით რაზმი უკან დაბრუნდა.

1519 წელს იუკატანში ახალი რაზმი გაემგზავრა. მის მეთაურად ახალგაზრდა **ლარიბო აზნაური ერნანდო კორტესი** დაინიშნა. კორტესმა მნიშვნელოვანი თანხის მოპოვების შემდეგ 500 ჯარისკაცი დაიქირავა. ფლოტილია 11 გემისა და 10 ქვემეხისაგან შედგებოდა. ოფიცრებისათვის თან წაიყვანეს 11 ცხენი. კორტესის რაზმი ტაბასკოში ადგილობრივ მოსახლეობას – მაიას ხალხს შეეჯახა. ცეცხლსასროლი იარაღის წყალობით ესპანელებმა გაიმარჯვეს. ტაბასკოში გამარჯვების შემდეგ ინდიელებმა კორტესს ძღვენი მიართვეს, რომელთა შორის ახალგაზრდა ტყვეებიც იყვნენ. ისინი მონათლეს და მეთაურებს ცოლებად დაურიგეს. წარმოშობით აცტეკი ტყვე ქალი (რომე-

ლიც მაიას მონობაში აღმოჩნდა) კორტესის ცოლი და თარჯიმანი გახდა. იუკატანიდან კორტესმა მოლაპარაკებები გამართა აცტეკთა მმართველ **მონტესუმას** წარმომადგენლებთან, რომელმაც თავისი მდიდარი საჩუქრებით დამპყრობთა მადა გააძლიერა.

ზოგიერთმა ადგილობრივმა ტომმა ესპანელთა მხარე დაიჭირა, რადგან ისინი აცტეკების მიერ იყვნენ დაპყრობილნი. როდესაც ესპანელები **ტენონტიტლანს** მიაღვინენ და დაინახეს დიდი ქალაქი თეთრი ქვის ტაძრებით, თავი ზღაპრული სიმდიდრით განთქმულ ქვეყანაში იგრძნეს. აცტეკებმა იცოდნენ ესპანელების ტაბასკოსთან გამარჯვების შესახებ და, მიუხედავად ამისა, **თეთრსახიანი ევროპელები ცის მცხოვრებლებად მიიღეს**. მონტესუმა კორტესს ისე მიესალმა, როგორც ღმერთ კეცალკოატლის გამოგზავნილს და სრული მორჩილება გამოუცხადა, მაგრამ მალე აცტეკები დარწმუნდნენ, რომ მათ წინაშე მოკვდავები იყვნენ. ესპანელების მოულოდნელი შეტაკებისას აცტეკებთან, რომელიც მოსულთა მიერ იყო პროვოცირებული, რამდენიმე ესპანელი იქნა მოკლული. კორტესმა მონტესუმა მძევლად აიყვანა და მას ქვეყნის მართვა ესპანელთა მითითებებისა და ბრძანებების მიხედვით მოსთხოვა.

მიღებული ძვირფასეულობიდან კორტესმა ერთი მეხუთედი ესპანეთის მეფისათვის შეინახა, მეორე მეხუთედი თავისთვის აიღო, ხოლო დანარჩენი ჯარისკაცებს გაუყო. შემდეგ დამპყრობლებს შორის შეხლა-შემოხლა და უთანხმოება დაიწყო. ყოველი მხარე აცტეკების თავისი ინტერესებისათვის გამოყენებას ცდილობდა, რომლებიც ახლა უკვე უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ იბრძოდნენ. ტენონტიტლანში ცხარე ბრძოლების დროს ესპანელებმა მონტესუმა აიძულეს ხალხის წინაშე გამოსულიყო და დამპყრობლებზე თავდასხმების შეწყვეტა ებრძანა, მაგრამ შეძახილების შემდეგ ხალხმა მას ქვები დაუშინა. რამდენიმე დღეში მონტესუმა ჭრილობებისაგან გარდაიცვალა. აცტეკების შემდეგ ბრძოლებს მონტესუმას ძმისშვილი და მემკვიდრე – კუაუტემოკი მეთაურობდა. ესპანელები ტენონტიტლანიდან გავიდნენ და ერთმანეთის მიყოლებით დაიპყრეს ანსუაკის ქალაქები. **1521 წლის აგვისტოში ესპანელებმა აცტეკები საბოლოოდ დაიმორჩილეს.**

შემდეგ წლებში დაპყრობილ იქნა მექსიკის ველის სამხრეთით მდებარე ქვეყნები. 1523-1524 წლებში ესპანელებმა დაიკავეს მიწები, რომლებზედაც ახლა გვატემალის, ჰონდურასისა და ნიკარაგუას სახელმწიფოები მდებარეობს.

იუკატანში მაიას ინდიელები ესპანელებს ჯერ კიდევ უწევდნენ წინააღმდეგობას. ესპანელებმა მათი დაპყრობა მხოლოდ XVI საუკუნის 40-იან წლებში შეძლეს. დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ ესპანელები მეხიკოს ველის ჩრდილოეთით მდებარე მიწების დაპყრობისას. მა-

თთვის უცხო ბუნებრივი პირობებისა და აქ მცხოვრები ტომების მხრიდან დიდი წინააღმდეგობის გაწვევის გამო კოლორადოს აუზისა და რიო-გრანდე-დელ-ნორტეს ოლქის მკვიდრთა დამორჩილება მხოლოდ XVI საუკუნის ბოლოს მოახერხეს.

ცენტრალურ ამერიკაში ესპანეთის კოლონიები ახალი ესპანეთის სახელწოდების ქვეშ გაერთიანდა. დანგრეული ქალაქის – ტენონჩიტლანის ადგილზე ააშენეს ქალაქი მეხიკო, რომელიც კოლონიის დედაქალაქად იქცა. კორტესი მის პირველ გუბერნატორად დაინიშნა.

ახალი სიმდიდრეების საძებნელად ამერიკაში ესპანელთა ახალ-ახალი ექსპედიციები მიემგზავრებოდა. 1536-1538 წლებში მათ ჩიბრა-მუისკას ქვეყანა (ახლანდელი კოლუმბია) დაიპყრეს. 1524 წელს ესპანელები სამხრეთისაკენ გაემგზავრნენ. **ინკების სახელმწიფო მხოლოდ 1572 წელს, ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ დაეცა.** პერუდან ესპანელები ახლანდელ ბოლივიასა და ჩრდილოეთ ჩილეში გადავიდნენ. 1539-1569 წლებში მათ ჩილეს მთელი სანაპირო დაიპყრეს, მაგრამ ქვეყნის შიგნით შეღწევის მცდელობისას ისინი ინდიელთა ტომის – **არაუკანელების** დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. აქ ბრძოლა ორასი წელი გაგრძელდა.

ამრიგად, XVI საუკუნის შუა ხანებისათვის ესპანური კოლონიები ძალიან ვრცელ სივრცეზე გადაიჭიმა – ჩრდილოეთ მექსიკიდან და ფლორიდიდან ამერიკის კონტინენტის სამხრეთამდე.

სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთი ნახევრის კოლონიზაციაში პორტუგალიური დაპყრობებიც დიდ როლს თამაშობდა.

ლათინური ამერიკის ინდიელთა მთელი რიგი ტომები ესპანელმა და პორტუგალიელმა კოლონისტებმა გაწვეიტეს. ინდიელთა სიკვდილს არა მარტო ევროპელთა უხეში ძალადობა, არამედ ყვავილის ეპიდემია და სხვა სნეულებანიც იწვევდა, რომელიც მათ აქ შემოიტანეს. 1554 წლისათვის ვესტ-ინდოეთის კუნძულებზე იმდენად ცოტა ინდიელი დარჩა, რომ ამ წელს ისინი გამოსადებისა და იძულებითი სამუშაოებისაგან გაათავისუფლეს. 1574 წელს პუერტო-რიკოში არ დარჩა არც ერთი ადგილობრივი ინდიელი. ინდიელთა კატასტროფულმა შემცირებამ სამუშაო ძალის ნაკლებობა გამოიწვია, რაც პლანტაციური მეურნეობის განვითარების შედეგად უფრო აშკარა გახდა.

XVII საუკუნეში ინგლისელებმა ვესტ-ინდოეთში ბრაზილიიდან შაქრის ლერწმის კულტურა შეიტანეს. XVII საუკუნის მეორე ნახევარში იამაიკა, ბარბადოსი და კუბა შაქრის ლერწმის წარმოების ცენტრები გახდნენ. პლანტაციებსა და ქარხნებში სამუშაოდ ბევრი მუშახელი იყო საჭირო. დაიწყო ევროპიდან მუშების შემოყვანა, აფრიკიდან კი – მონებისა. მუშების შეგროვებისა (გადაბირებისა) და მონებით ვაჭრობის საქმე ინგლისელებმა ჩაიგდეს ხელში. XVII საუ-

კუნის დასაწყისიდან ღარიბ ევროპელთა (თეთრების) მასები ამერიკაში გადასახლდნენ. გამგზავრების წინ ისინი კონტრაქტს გარკვეული ვადით აწერდნენ ხელს. კოლონიური პერიოდის განმავლობაში ამ კატეგორიის 250 ათასი ადამიანი ემიგრირდა. მათი უმეტესობა ცენტრალური ამერიკის კოლონიებისაკენ მიემართებოდა.

მიგრანტთა სხვა კატეგორიას პოლიტიკური მიზეზით გადასახლება უღლები წარმოადგენდნენ. კრომველმა ვესტ-ინდოეთში დაუმორჩილებელი ირლანდიელები და შოტლანდიელები გადაასახლა. დღესაც კი ბრიტანული ვესტ-ინდოეთის ბევრ რაიონში ირლანდიური მეტყველება ხშირად ისმის.

აფრიკიდან პირველი მონების შემოყვანა 1505 წლიდან დაიწყო. ზანგებს სამუშაოდ იყენებდნენ მადაროებსა და შაქრის ღერწმის პლანტაციებში. პლანტაციებში ევროპელებიც მუშაობდნენ, მაგრამ მათი მდგომარეობა სხვაგვარი იყო. დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ ევროპელებს შეეძლოთ მიწის მიღება, ზანგები კი სიცოცხლის ბოლომდე კოლონიზატორებზე იყვნენ დამოკიდებული.

ევროპელებისათვის აფრიკელი მონები უფრო სასარგებლონი აღმოჩნდნენ, ვიდრე ინდიელთა პირველყოფილი ტომები და ევროპელები. ისინი ძირითადად გვინეიდან მოჰყავდათ, სადაც განვითარებული იყო მიწათმოქმედება. გვინეის სახელმწიფოში ფართოდ გამოიყენებოდა მონების შრომა. **აფრიკელებს ერთმანეთთან ურთიერთობა არ შეეძლოთ, რადგან ხშირად ისინი სხვადასხვა ეთნოსებს მიეკუთვნებოდნენ და ერთმანეთის ენა არ ესმოდათ. ამიტომ თავდაპირველად მათ ბრძოლისა და გაქცევის საშუალება არ ჰქონდათ.** სპეციალურად ორგანიზებულ ინგლისურ მონათმფლობელურ კომპანიებს ვესტ-ინდოეთში მონები დასავლეთ აფრიკიდან შემოჰყავდათ. ამერიკის ინგლისურ კოლონიებში 1680 წლიდან 1780 წლამდე ორ მილიონზე მეტი აფრიკელი შემოიყვანეს.

XVII-XVIII საუკუნეებში ზანგი მონების მნიშვნელოვანი რაოდენობა ესპანეთის კოლონიებშიც შემოიყვანეს. პლანტაციებში სამუშაოდ მონათა შემოყვანამ ის შედეგი გამოიღო, რომ ლათინური ამერიკის მოსახლეობის შემადგენლობაში ახალი კომპონენტი – აფრიკელები შემოვიდნენ, რომლებმაც თავიანთი კულტურა მოიტანეს თან.

ინდიელთა რაოდენობა კი სწრაფად მცირდებოდა. ევროპელების, ძირითადად ესპანელების, რაოდენობა მთელი XVI საუკუნის განმავლობაში იზრდებოდა, მაგრამ კოლონიური პერიოდის მომდევნო საუკუნეებში მიგრანტ ესპანელთა რაოდენობა შემცირდა. გაჩნდა აგრეთვე მოსახლეობის სხვა ჯგუფი. ევროპიდან მოსული ესპანელების გვერდით სწრაფად იზრდებოდა ადგილზე დაბადებული ევროპული წარმოშობის ადამიანების საოდენობა, რომლებმაც **კრეოლის** სახელ-

წოდება მიიღეს. კრეოლები ისეთივე თეთრ ადამიანებად მიიჩნეოდნენ თავს, როგორადაც **გაჩუპინები** (ესპანეთიდან უშუალოდ მოსულები), რომლებიც ფაქტობრივად ინდიელებს ეწოდნენ.

კოლონიურ კანონმდებლობაში არაერთხელ წამოიჭრა ინდიელ ქალებთან ქორწინების საკითხი. ფართოდ იყო გავრცელებული ქორწინების გარეშე თანაცხოვრება. ესპანელი ჯარისკაცები, რომლებიც ახალ სამყაროში ცოლების გარეშე მოდიოდნენ, ადგილობრივ ქალებს ხარჭად ისვამდნენ. განვითარდა ხარჭებით ვაჭრობაც. ესპანეთის სამეფო კარი დაინტერესებული იყო ესპანელი კოლონისტებისაგან ბინადარი მოსახლეობა შეექმნა, ამიტომ მონათლულ ინდიელებთან კანონიერი ქორწინებებით ახალისებდნენ.

კანონიერი ქორწინებების გარდა, ბევრი იყო ქორწინებისგარეშე კავშირებიც. ამ კავშირების შედეგად გაჩენილი ბავშვები საცხოვრებლად უფრო ხშირად დედებთან (ინდიელებთან) რჩებოდნენ და ხშირად ინდიელებად ითვლებოდნენ. სხვა შემთხვევაში ეს თაობა **მეტი-სებს** მიეკუთვნებოდა. ასე უწოდებდნენ თეთრისა და ინდიელი ქალის ქორწინების შედეგად გაჩენილ ბავშვებს. ფაქტობრივად კრეოლებიც მეტისირებულნი იყვნენ. მათ შორის სხვაობა მეტად მცირეა. მეტი-სების ჯგუფი თანდათან იზრდებოდა. ესპანურ ამერიკაში 1810 წლისათვის 6 მილ. 122 344 კაცი ცხოვრობდა, რომელთაგანაც ინდიელი იყო 3 მილ. 676 281, ნარევი წარმოშობისა – 1 მილ. 97 ათასი. 1823 წლისათვის მექსიკაში ინდიელთა რაოდენობა 3 მილ. 700 ათასი იყო, გვატემალაში – 880 ათასი, კოლუმბიაში – 720 ათასი, პერუსა და ჩილეში – ერთად 1 მილ. 310 ათასი, ბუენოს-აირესსა და მის პროვინციებში – 1 მილ. 200 ათასი (სულ 7 მილიონ 530 ათასი).

ევროპელები და ევროპელთა შთამომავლები (ინდიელთა და ზანგთა სისხლის შერევის გარეშე), ე.წ. გააჩუპინები, აგრეთვე კრეოლები, მექსიკაში 1 მილ. 230 ათას კაცს ითვლიდნენ, გვატემალაში – 280 ათასს, კუბასა და პუერტო-რიკოში – 339 ათასს, კოლუმბიაში – 642 ათასს, პერუსა და ჩილეში – 468 ათასს, ბუენოს-აირესსა და მის პროვინციებში – 320 ათასს (სულ 3 მილ. 260 ათასი). ამავე დროს ზანგები კუბასა და პუერტო-რიკოში 389 ათასი იყვნენ, კონტინენტზე – 397 ათასი (სულ 776 ათასი).

შერეული წარმოშობის მოსახლეობა (მეტი-სები, მულატები, სამბო) მექსიკაში 1 მილ. 860 ათასი იყო, გვატემალაში – 420 ათასი, კოლუმბიაში – 1 მილ. 256 ათასი, პერუსა და ჩილეში – 853 ათასი, ბუენოს-აირესსა და მის პროვინციებში – 742 ათასი, კუბასა და პუერტო-რიკოში 197 ათასი (სულ 5 მილ. 328 ათასი).

ესპანურ ამერიკაში მთლიანად 7 მილიონ 530 ათასი (45%) ინდიელი, 3 მილიონ 276 ათასი (19%) თეთრი ადამიანი, 776 ათასი (4%)

ზანგი, 5 მილიონ 328 ათასი (32%) შერეული წარმოშობის ადამიანი იყო – სულ 16 მილიონ 910 ათასი. იმავე დროს ესპანური კოლონიების გარეთ ასეთი მდგომარეობა იყო: ინდიელები – 686 ათასი, თეთრები – 1 მილიონ 70 ათასი, ზანგები – 3 მილიონ 737 ათასი.

ცენტრალურ ამერიკასა და ანდის ქვეყნებში კოლონიზატორები განვითარებული კულტურის ადამიანებს შეხვედნენ. დიდი ინდიელი ხალხები (*აცტეკები, მაია, კეჩუა, აიმარა, არაუკანები*) არსებობას შემდეგაც აგრძელებდნენ და თავიანთ კულტურას ავითარებდნენ. მათმა მალაღმა კულტურამ თეთრებთან ფიზიკური და კულტურული ხასიათის შერევა დააჩქარა, რამაც მეტიცაა ჯგუფების ჩამოყალიბება გამოიწვია. ვესტ-ინდოეთში, არგენტინაში, ურუგვაიში შერეული ხასიათის კულტურები მივიღეთ. კოლონიზატორებმა პირველყოფილი თემური წყობილების საფეხურზე მდგომი ინდიელი მოსახლეობის უმეტესობა, მათი მიწების ხელში ჩაგდების მიზნით, გაწვევიტეს. ამავე დროს ევროპელებმა ვერ შეძლეს ინდიელთა შრომის ექსპლუატაცია. არგენტინელი და ურუგვაიელი ხალხების ფორმირებაში ევროპული წარმოშობის ჯგუფები (ძირითადად ესპანელები) პრევალირებდნენ. ინდიელთა და ზანგთა კომპონენტი აქ უმნიშვნელო იყო.

2.11. მექსიკელები

მექსიკელები, რომელთა თვითსახელწოდებაა **მეხიკანო**, ცხოვრობენ ლათინური ამერიკის ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოში. მექსიკა ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს, მაგრამ ისტორიული ბედით, ენითა და კულტურით მექსიკელები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ხალხებთან. მექსიკელთა თვითსახელწოდება მომდინარეობს აცტეკებისა და ანაუკის ველზე (ახლა მექსიკის ველი) მცხოვრები ხალხების თვითსახელწოდებისაგან (**მეშიკა, მეხიკა**). მექსიკის გარდა, მექსიკელები ცხოვრობენ აშშ-ის მოსაზღვრე რაიონებსა და დიდ ქალაქებში, აგრეთვე კანადაში. მცირე ჯგუფებად მკვიდრობენ ლათინური ამერიკის სხვადასხვა ქვეყანასა და ესპანეთში. მექსიკელების საერთო რაოდენობა 100 მილიონს აჭარბებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში 13 მილიონი მექსიკელი ცხოვრობს, კანადაში – 30 ათასი.

ანთროპოლოგიურად მექსიკელები ძირითადად მეტისები არიან, რომლებიც ინდოხმელთაშუაზღვისპირელების, ამერიკელებისა და ნეგროიდების (უმნიშვნელო რაოდენობით) ხანგრძლივი შერევის შედეგად ჩამოყალიბდნენ.

მექსიკელები ლაპარაკობენ ესპანურ ენაზე. მოსახლეობის 90%-ზე მეტი კოთლიკეა, დანარჩენი – პროტესტანტი (ბაპტიტები და სხვ.). ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა პროტესტანტების რაოდენობა (6%-მდე). ინდიელების გარკვეული ნაწილი თავისებური სიმბიოზური რწმენის – კათოლიციზმისა და ტრადიციული რელიგიის მიღევარია.

მექსიკელებს ძალიან რთული და თავისებური ეთნიკური ისტორია აქვთ. როგორც ლათინური ამერიკის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, აქაც ინდიელთა მკვიდრმა მოსახლეობამ თანამედროვე მექსიკური ეთნოსის ჩამოყალიბებაში პირველხარისხოვანი როლი ითამაშა. დღესაც მექსიკელთა გვერდით დიდი რაოდენობით მოსახლეობენ დიდი თუ პატარა ინდიელი ხალხები.

მექსიკის თანამედროვე ეთნიკური შემადგენლობის ფორმირება XVI საუკუნეში დაიწყო, როდესაც აქ ევროპიდან ესპანელები მოვიდნენ და მკვიდრი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გაწყვიტეს. 1517 წელს იუკატანის ნახევარკუნძულის ნაპირებზე ესპანელთა გემი გაირიყა. ესპანელებმა შეძლეს თავიანთი გემის გადარჩენა და ცურვა სამხრეთისაკენ განაგრძეს, სადაც მათ პირველად აღმოაჩინეს მაღალი ცივილიზაცია. ინდიელები ესპანელებს მტრულად შეხვდნენ. დამარცხებული ევროპელები უკან, კუნძულ კუბაზე დაბრუნდნენ.

ორი წლის შემდეგ კარგად მომზადებული ესპანელები **ერნანდო კორტესის** მეთაურობით კვლავ გაემართნენ მექსიკისაკენ. მექსიკის ყურეში დაიმორჩილეს **ტომი ჩონტალი**, შემდეგ კი ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ და შეხვდნენ აცტეკებს, რომლებსაც ძლიერი და მდიდარი „აცტეკური იმპერია“ ჰქონდათ შექმნილი. ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული და **ცხენებზე ამხედრებული ესპანელები აცტეკებმა ღმერთის გამოგზავნილებად მიიღეს**. ესპანელებმა აცტეკების დასამარცხებლად ინდიელთა სხვა ტომებიც გამოიყენეს, რომლებიც აცტეკებს ჰყავდათ დამორჩილებული. მთელი სამხრეთი მექსიკა, იუკატანის გამოკლებით, მალე კორტესს დაემორჩილა, რომელიც 1524 წელს ტაბასკოს გავლით ჰონდურასამდე მივიდა. ესპანელთა მიერ მექსიკის დაპყრობა მთლად იოლი არ აღმოჩნდა. ისინი ალგილობრივი ტომებისაგან დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ, რასაც ხშირად მათი განადგურება მოსდევდა. მექსიკის ჩრდილოეთის დაპყრობა თითქმის ორ საუკუნეს გაგრძელდა და XVII საუკუნისათვის დასრულდა, მაგრამ ახალი ესპანეთის (რომელშიც მექსიკაც შედიოდა) სხვადასხვა კუთხეში ჯერ კიდევ არსებობდა ინდიელთა დამოუკიდებელი ტომები.

გამანადგურებელი ომების შედეგად, რომლებიც ას წელზე მეტხანს გრძელდებოდა, აგრეთვე ეპიდემიებისაგან ინდიელთა რაოდენო-

ბა მნიშვნელოვნად შემცირდა. ესპანელთა მიერ შეტანილმა ეპიდემიამ, რომელიც 1545 წელს მთელი ექვსი თვე გაგრძელდა, დაახლოებით ერთი მილიონი ინდიელის სიცოცხლე შეიწირა. 1570 წელს 3,3 მილიონიდან ინდიელთა რაოდენობა 1646 წელს 1,3 მილიონამდე დავიდა. ინდიელთა რაოდენობის შემცირება გრძელდებოდა XVII საუკუნის პირველ ნახევარშიც. ამასთანავე, ესპანელთა დაპყრობებმა ადგილობრივი ტომების გადაადგილებაც გამოიწვია. ზოგიერთი მათგანი ძნელად მისაღვომ მთიან ადგილებში გადასახლდა. ამავე პერიოდში საკმაოდ გაიზარდა მეტისების რაოდენობა, რომელთა განსახლებაც ინდიელთა კუთვნილი ტერიტორიების შემცირებას იწვევდა. 1742 წელს ინდიელების რაოდენობამ 1,5 მილიონს მიაღწია, 1810 წელს – 3,7 მილიონს, მაგრამ ისინი უკვე ქვეყნის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 60%-სღა შეადგენდნენ.

თავდაპირველად მექსიკაში ესპანელთა რაოდენობა დიდი არ იყო. მაგალითად, 1570 წელს ისინი 6,5 ათასი იყვნენ. 1646 წელს მათმა რაოდენობამ 13.800-ს მიაღწია. ესპანელთა ნაწილი სამუდამოდ სახლდებოდა მექსიკაში. მათ კრეოლებს უწოდებდნენ.

მექსიკაში ზანგების შემოყვანა მისი დაპყრობისთანავე დაიწყო. 1570 წელს ზანგი მონების რაოდენობამ 20 ათასს მიაღწია. შემოყვანილი ზანგების რაოდენობა მექსიკაში მხოლოდ XVIII საუკუნის პირველ ათწლეულში შემცირდა, თუმცა ამ ქვეყანაში ზანგები არასდროს ისეთი დიდი რაოდენობით არ შეუყვანიათ, როგორც ბრაზილიასა და აშშ-ში.

კოლონიური პერიოდის ბოლოს მეტისური მოსახლეობა რაოდენობით მეორე ადგილზე იდგა. 1810 წლისათვის ინდიელ-ესპანელთა შთამომავლები 2 მილიონი იყვნენ და მულატებთან ერთად ისინი მთელი მექსიკის მოსახლეობის 39,5 %-ს შეადგენდნენ.

თანამედროვე მექსიკის ტერიტორიაზე ესპანელთა მმართველობა 300 წელი გაგრძელდა. 1810 წელს ქვეყანაში მღვდელ **მიგელ იდალგოს** მეთაურობით აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულები მონობის გაუქმებასა და მიწების ინდიელთა თემებისათვის დაბრუნებას თხოულობდნენ. ესპანელებმა აჯანყება ჩააქრეს, იდალგო კი დახვრიტეს. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ პარტიზანული ხასიათი მიიღო. მალე აჯანყებულებს სათავეში სხვა მღვდელი – **ხოსე მარია მორელოსი** ჩაუდგა. ამ გამოსვლებმაც მარცხი განიცადა. მაგრამ 1920 წელს თვით ესპანეთში მოხდა რევოლუცია და 1821 წელს მექსიკა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. 1836 წელს აშშ-ის მხარდაჭერით მექსიკას ტეხასი გამოეყო. ამერიკასთან 1846 – 1848 წლების ომის შედეგად მექსიკამ ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაკარგა (ტეხასი, ახალი მექსიკა, ზემო კალიფორნია). **XIX საუკუნეში ინ-**

დიელები თანდათან ესპანურ ენაზე გადავიდნენ. გაიზარდა ორენოვანი მოსახლეობის რიცხვი, ინდიელთა ზოგიერთმა ჯგუფმა კი მთლიანად დაკარგა მშობლიური ენა. XIX საუკუნე მექსიკელი ერის ფორმირებისთვის გადამწყვეტი ეტაპი იყო. ლათინური ამერიკის სახელმწიფოებს შორის მექსიკა იმ მცირე სახელმწიფოებს შორისაა, სადაც ადგილობრივმა ინდიელთა ელემენტმა ნაციის ჩამოყალიბებაში წამყვანი როლი ითამაშა. ბევრი დასახლებული პუნქტის სახელწოდება ადგილობრივი ენებით იხსნება. ამ პერიოდში გამოიკვეთა თავისებური მექსიკური კულტურა, რომელშიც შერწყმულია ესპანელთა მიერ მოტანილი და ადგილობრივ ინდიელთა ცივილიზაციის ელემენტები. დღევანდელ მექსიკელთა სასაუბრო ესპანურ ენაში ბევრი ნესესობა გვაქვს აცტეკთა ენიდან.

მექსიკელთა ნაწილი კვლავ ინდიელთა ენებზე ლაპარაკობს და ყოფასა და კულტურაში თავისებური ტრადიციები აქვთ შენარჩუნებული. 1950 წლის მონაცემებით 800 ათასმა კაცმა არ იცოდა საერთო-ეროვნული ესპანური ენა და მხოლოდ ინდიელთა სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. უფრო ადრინდელი – 1940 წლის აღწერით ინდიელთა ენებზე 2 მილიონ 945 ათასი კაცი ლაპარაკობდა. აქედან 1 მილიონ 253 ათასმა იცოდა ესპანური ენა და ორენოვანი იყო. დღევანდელი მონაცემებით მექსიკის მოსახლეობის 60% ინდიელ-ესპანელი მეტისები არიან; ინდიელები, რომლებიც 56 სხვადასხვა ტომს აერთიანებენ, 30%-ს შეადგენენ. ინდიელთა ენებს სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში; ამ ენებზე გამოდის ლიტერატურაც. ბევრი მეტისი თავს ინდიელად თვლის და ესპანურ გვარებს ინდიელთა გვარებით იცვლის. მექსიკაში მეტისებისა და ინდიელებს გარდა თეთრებიც ცხოვრობენ (9%); არაბები, ჩინელები და აფრიკელები ერთი პროცენტის ფარგლებში არიან.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ესპანელებმა მექსიკის ტერიტორიაზე მილიონობით ინდიელი გაწყვიტეს. დაახლოებით ოთხი საუკუნის განმავლობაში მექსიკის მოსახლეობა ნელა იზრდებოდა. XIX საუკუნის დასაწყისში ის კიდევაც შემცირდა. 1910 წელს თუ 15,2 მილიონი იყო, 1921 წელს 14,3 მილიონამდე დავიდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოსახლეობა სწრაფი ტემპებით მატულობს და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში ის ერთ-ერთ პირველ ადგილზე გადის. 1900-1975 წლების მონაკვეთში მოსახლეობა ოთხჯერ და მეტად გაიზარდა.

მექსიკა მთიანი მხარეა არა მარტო რელიეფური თვალსაზრისით, არამედ მოსახლეობის განსახლების ხასიათითაც. ქვეყნის მოსახლეობის 2/3 ზღვის დონიდან 1000 მეტრზე ზემოთაა კონცენტრირებული.

მექსიკისათვის ძირითადად დიდი სოფლებია დამახასიათებელი. პატარა სოფლები მხოლოდ ტყიან ტროპიკულ ზოლში გვხვდება.

მექსიკელების ტრადიციული საქმიანობა მიწათმოქმედებაა (სიმინდი, ლობიო, ბრინჯი, ხორბალი; ტექნიკური კულტურებიდან – ბამბა, შაქრის ლერწამი, ყავა; სუბტროპიკული კულტურები). განვითარებულია მეცხოველეობა (მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ცხვარი, ღორი). საერთოდ, *დღევანდელ მექსიკელთა როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურა ადგილობრივი – ინდიელთა და მექსიკელთა კულტურის ნაერთია, ფაქტობრივად, ის ახალი კულტურაა, რომელიც განსხვავდება ესპანური და ინდიელთა კულტურებისგან.* მიწათმოქმედებას თუ ინდიელთა საწყისები აქვს, მესაქონლეობა ესპანელთა წვლილის შედეგადაა ჩამოყალიბებული (*ესპანელთა მოსვლამდე მექსიკის ინდიელი ტომები მხოლოდ ძაღლსა და ინდაურს აშენებდნენ*). ინდიელები არც გუთანს იცნობდნენ. უცნობი იყო ბორბალიც, სამეთუნეო ჩარხიც. ძველ მექსიკელებს არც სასაპალნე ცხოველები ჰყავდათ. მთიან ქვეყანაში გადაადგილების ერთადერთი საშუალება ფეხით სიარული იყო. არ ჰქონდათ სანაოსნო ტრანსპორტიც. ყველანაირი ტვირთი ხელით გადაჰქონდათ. საგულისხმოა, რომ დღესაც კი მექსიკაში კვლავ არსებობს ტვირთის გადამტანის პროფესია. მათ ბარგზე გამობმული თასმა შუბლზე აქვთ მოდებული.

თანამედროვე მექსიკელები ძირითადად სიმინდით, ლობიოთი და ბრინჯით იკვებებიან; უყვართ ცხარე საჭმელები. ზღვის სანაპიროზე მცხოვრებნი კი თევზითაც იკვებებიან. პოპულარულია შოკოლადის სასმელი. მექსიკიდან ეს სასმელი მთელ მსოფლიოში გაავრცელდა, მაგრამ, სიძვირის გამო, დღეს ის ბევრისათვის ხშირად ხელმიუწვდომელია.

მართალია, მექსიკელები კათოლიკეები არიან, მაგრამ შემორჩენილია ადგილობრივ წმინდანთა კულტი. პირველ ადგილზეა **მექსიკელთა ნაციონალური წმინდანი – გვადალუპის დევისმშობელი**. მასში შეხამებულია ძველი აცტეკური წეს-ჩვეულებები, ნიღბებით ცეკვა. ტრადიციულია მიცვალებულებისადმი მიძღვნილი დღესასწაული. მექსიკელებმა ის სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების დღესასწაულად აქციეს. ამ დღესასწაულის მთავარი სიმბოლოა ადამიანის თავის ქალა. ცდილობენ თავის ქალის გამოსახულება რაც შეიძლება სასაცილო და თავშესაქცევი იყოს. სპეციალურად დღესასწაულისათვის თავის ქალას კარამელისა და შაქრისაგან ამზადებენ. კათოლიკური ტაძრების ზღუდე-გაღავნებში ძველი კერპები დგას.

მექსიკაში ტარდება ხარების ბრძოლა, რომელიც აქ ესპანელებმა გადმოსახლებისთანავე მოიტანეს. ხარების საყოველთაოდ ცნობილი

ბრძოლა მეხიკოში „პლასა დე ტოროს“ სპეციალურ სტადიონზე ტარდება.

მექსიკელთა მუსიკალური კულტურისთვის დამახასიათებელია მონხეტიალე ხალხური ორკესტრები, რომლებიც 3-12 მუსიკოსისაგან შედგება, რომელთაც „მარიახებს“ უწოდებენ; მათი ძირითადი ინსტრუმენტებია: ვიოლინო, გიტარა, პატარა არფა. თავისებურია მექსიკური ცაკეები. ყველაზე გავრცელებულია **ხარაბუ**, რომელსაც ყველარაიონში თავისი ვარიანტი აქვს.

მექსიკელთა ერთ-ერთმა წინაპარმა – მაიას ხალხმა თავიანთი იეროგლიფური დამწერლობა შექმნა. მრავალრიცხოვანი დამწერლობის ძეგლები დიდი ხნის განმავლობაში გაუშიფრავი იყო. **ინდიელთა დამწერლობა მხოლოდ ბოლო ხანებში რუსმა მეცნიერმა იური კნოროზოვმა (1922-1999 წლები) გაშიფრა**, რისთვისაც მას 1994 წელს უცხოელი მოქალაქეებისათვის მექსიკის უმაღლესი ორდენი – „აცტეკის არწივი“ მიენიჭა.

მექსიკელ მხატვრებს **დავიდ სიკეიროსსა (1898-1974) და დიეგო რივერას (1886-1957)** მთელ მსოფლიოში საყოველთაო სახელი აქვთ მონხეჭილი. მათ მურალისტებს (ფრანგული სიტყვიდან mur – „კედელი“) უწოდებენ. ისინი შიდა და გარე კედლებს ხატავდნენ. 1990 წელს ნობელის პრემია აქვს მიღებული პოეტ **ო. პასუს**.

2.12. გვატემალელები

გვატემალელები დასახლებულნი არიან გვატემალის სახელმწიფოში. მათი საერთო რაოდენობა 10,2 მილ. კაცია. ისინი ძირითადად ესპანელთა და ინდიელთა შერევის შედეგად წარმოქმნილი მეტისები (ლადინო) არიან; ევროპული წარმოშობისანი – ერთ პროცენტზე ნაკლებია. გვატემალელები ლაპარაკობენ ესპანური ენის გვატემალურ დიალექტზე. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კათოლიკეა, დაახლოებით 10% – პროტესტანტი (პრესვიტერელები, ანგლიკანები, ორმოცდაათიანელები).

ესპანელთა დაპყრობებამდე გვატემალის ტერიტორიაზე ინდიელთა მრავალრიცხოვანი ტომები ცხოვრობდნენ. **გვატემალა მაიას ცივილიზაციის კლასიკური ცენტრია (II-X საუკუნეები)**. ქვეყნის მთიან ნაწილში XIII-XV საუკუნეებში ჩამოყალიბდა მაია-კეჩეს ტომის სახელმწიფო, რომელსაც მაიას მეზობელი ხალხები ექვემდებარებოდნენ. 1524 წელს გვატემალის ტერიტორია ესპანელებმა დაიპყრეს. 1821 წელს გვატემალამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. გვატემალა ესპანელებმა მექსიკის ტერიტორიიდან დაიპყრეს (1523 წელს). 1524 წელს იქ, სადაც ახლა ქვეყნის დედაქალაქია, პირველი ესპანური დასახ-

ლება დაარსდა. ესპანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ინდიელებს ხელი ძველმა მტრობამ შეუშალა. ესპანელებმა ადგილობრივი მოსახლეობა ძალიან მოკლე დროში დაიმორჩილეს. მათ გვატემალაში შეიტანეს ხორბალი და შაქრის ლერწამი, მაგრამ სასაქონლო მნიშვნელობა მხოლოდ ორი კულტურის – კაკაოსა და ინდიგოს წარმოებას ჰქონდა. **ცენტრალური ამერიკა კაკაოს სამშობლოა, გვატემალა კი ამ კულტურის ერთ-ერთი ცენტრია. ცენტრალური ამერიკის ხალხები კაკაოს მარცვლებს საკვებად ფართოდ იყენებდნენ. კაკაოსა ან შოკოლადის ფილა პირველად გვატემალელმა ინდიელებმა გააკეთეს.**

ესპანელთა დაპყრობებმა და მუდმივმა კოლონიზაციამ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა არსებითად შეცვალა.

კონკისტადორების შემოსვლიდან 300 წლის შემდეგ, 1821 წელს, გვატემალამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

XX საუკუნის შუა ხანებში გვატემალაში ინდიელები მთელი მოსახლეობის 55,4%-ს წარმოადგენდნენ, "თეთრები და ლადინო" კი – 44,5%-ს. ინდიელების უმეტესობა ორენოვანია, მაგრამ ყველა მათგანმა მაინც არ იცის სახელმწიფო ენა.

ევროპელების მიერ მოტანილი ბევრი სიახლის მიუხედავად, ინდიელებმა არაერთი ტრადიცია შემოინახეს (ქოსების აშენების ტრადიციული წესები, საფეიქრო საქმე).

გვატემალელთა ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედებაა. ძირითადი საექსპორტო კულტურებია ყავა, ბანანი, შაქარი.

გვატემალელები კათოლიკეები არიან, მაგრამ მათში შემონახულია ინდიელთა ძველი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები. მართალია, ინდიელები ესპანელთა ბატონობის პირველივე საუკუნეში მონათლეს, მაგრამ მათი გაქრისტიანება უმთავარესად ძალადობრივად ხდებოდა. ამიტომაც მოსახლეობის შეგნებაში ახალმა რელიგიამ მყარად ვერ მოიკიდა ფეხი. გვატემალელები დღესაც მზესა და მთვარეს სცემენ თაყვანს. შემორჩენილია ქრისტიანობამდელი დღესასწაულები; სარგებლობენ 260-დღიანი კალენდრით. გვატემალელთა წინაპრების – მაიას მიერ შექმნილი უნიკალური იეროგლიფური დამწერლობა მხოლოდ XX საუკუნის ბოლოს გაშიფრა რუსმა ეთნოგრაფმა და ენათმეცნიერმა იური კნოროხოვმა.

2.13. ჰონდურასელები

ჰონდურასელები ცენტრალური ამერიკის ჰონდურასის (სახელწოდება მომდინარეობს ესპანური სიტყვიდან „ონდურას“, რაც სიდრმეს ნიშნავს) სახელმწიფოში ცხოვრობენ. მკვიდრობენ აგრეთვე აშშ-ში, მექსიკაში, ნიკარაგუაში და სხვ. მათი საერთო რაოდენობა 6,1 მილი-

ონი კაცია. ჰონდურასელთა უმეტესობა ესპანელ-ინდიელთა მეტისები (ლადინო) არიან. ევროპული წარმოშობის კრეოლები და აფრიკული წარმომავლობის ხალხი მოსახლეობის დაახლოებით 3%-ს შეადგენს. ლაპარაკობენ ესპანური ენის ადგილობრივ დიალექტზე. გავრცელებულია აგრეთვე ინგლისური ენა. ჰონდურასელები ძირითადად კათოლიკეები არიან – 92%.

ჰონდურასელთა ეთნორასობრივი ფორმირება ძირითადად XVI-XIX საუკუნეებში მიმდინარეობდა. XX საუკუნის შუა ხანების მონაცემებით ესპანელთა და ინდიელთა ნარევი წარმოშობის მოსახლეობა (ე.წ. ლადინო) 90%-ს შეადგენდა. დაახლოებით 6,7% ინდიელები იყვნენ, 2,1% – ზანგები და 1,2% – თეთრები.

ჰონდურასის ტერიტორია ესპანელთა აქ მოსვლამდე სხვადასხვა ინდიელი ტომებით იყო დასახლებული. ისინი პირველყოფილ-თემური წყობილების საფეხურზე იმყოფებოდნენ. მისდევდნენ პრიმიტიულ მიწათმოქმედებას; მათთვის უცხო არ იყო ხელოსნობის სხვადასხვა დარგი; ადნობდნენ ვერცხლსა და ოქროს; აქტიურად ვაჭრობდნენ მეზობელ აცტეკებთან. ესპანელთა დაპყრობების ეპოქაში ინდიელები სასოფლო თემებად ცხოვრობდნენ. თემებს სათავეში კასიკი და სათემო საბჭო ედგა. ინდიელები მიწას კოლექტიურად ამუშავებდნენ; მოსავალს კასიკი მოსახლეობას საჭიროების მიხედვით უყოფდა.

ესპანელთა მიერ ჰონდურასის კოლონიზაციამ (XVI საუკუნის 20-იანი წლებიდან) ქვეყნის სანაპირო რაიონებში ავტოქტონური ინდიელი მოსახლეობის თითქმის სრულ განადგურებამდე მიგვიყვანა. 1537 წელს ინდიელები კასიკ ლემპირის მეთაურობით ესპანელებს აუჯანყდნენ. აჯანყებული ინდიელების არმია 30 ათას კაცს ითვლიდა. მოლაპარაკებისას ლემპირი (ჰონდურასის ფულის ერთეულს მისი სახელი ჰქვია) ესპანელებმა ვერაგულად მოკლეს. ის დღესაც ჰონდურასელთა ნაციონალური გმირია. XVI ს-ის 90-იანი წლებიდან XVIII ს-ის ჩათვლით ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში ესპანელ-ინდიელთა მეტისები გვატემალიდან გადმოსახლდნენ. XVIII-XIX საუკუნეში ატლანტის ოკეანის სანაპიროზე გარიფები და ბრიტანეთის ვესტ-ინდოეთიდან წამოსულები განსახლდნენ, რომლებიც ჰონდურასელებთან ასიმილირდნენ. ნაციონალური მოძრაობის შედეგად, 1821 წელს, ჰონდურასი კოლონიური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლდა. 1838 წელს ის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. 30 წლის განმავლობაში (1845-1876 წწ.) ქვეყანამ თორმეტი სამოქალაქო ომი გადაიტანა.

XVI საუკუნეში ევროპელებმა თან ევროპული კულტურა მოიტანეს. ჰონდურასელთა ხელოსნობის ერთ-ერთი საყვარელი სახეა ნაირფერი კერამიკული ნაწარმის დამზადება (ტურტკელი, სათამაშოები

და სხვ.). ჰონდურასელების უმეტესობა სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული (ბანანი, ყავა, ბრინჯი, სიმინდი, ბამბა, თამბაქო და სხვ). ეროვნული კერძების საფუძველს სიმინდის ცომი წარმოადგენს. ჰონდურასელთა სადღესასწაულო კერძია *ტოპატო* – ქოქოსის რძესა და ბოსტნეულში ჩაშუშული ხორცი. ფოლკლორში მნიშვნელოვანია ინდიელთა გაველენა.

2.14. საღვადორელები

საღვადორელების თვითსახელწოდებაა **საღვადორენოს**. ცხოვრობენ ცენტრალურ ამერიკაში მდებარე საღვადორის სახელმწიფოში. მათი რაოდენობა 5 მილიონ 800 ათასი კაცია. ლაპარაკობენ ესპანური ენის ლათინურ-ამერიკულ ვარიანტზე. მოსახლეობის დიდი ნაწილი კათოლიკეა. არიან ორმოცდაათიანელები, მორმონები, იელოველები და ადვენტიტებიც. I-VII საუკუნეებში საღვადორი დასახლებული იყო მაიას ტომის ხალხით, VII-XV საუკუნეებში – ტოლტეკებით, XV-XVI საუკუნეებში ინდიელი პიპილისა და ლენკას ტომებით. სამეცნიერო ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ ძველად ამ ქვეყნის სახელწოდება იყო „*კუსკატლანი*“, რაც „ბედნიერების მიწას“ ნიშნავს. საღვადორის ტერიტორიის დაპყრობა ესპანელებმა 1524-1528 წლებში მოახდინეს. 1560 წლიდან 1821 წლამდე ის ესპანელთა გვატემალას სამფლობელოში შედიოდა. კოლონიური უღლის გადაგდების ორი ცდა 1811 და 1814 წლებში წარუმატებელი აღმოჩნდა. 1841 წლიდან საღვადორი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. საღვადორელთა ფორმირება XVI-XIX საუკუნეებში ესპანელი მიგრანტებისა და ინდიელების (პიპილი, ლენკა, მაია) შერევის საფუძველზე მიმდინარეობდა. მეტიცები ქვეყნის მთელი მოსახლეობის 80%-ს შეადგენენ. მეტიცისი მოსახლეობა ესპანელი მამაკაცებისა და ინდიელი ქალების შეუღლების შედეგად წარმოიქმნა. ცნობილია, რომ **ესპანეთის ხელი-სუფლება გაუთხოვარ ესპანელ ქალებს კოლონიებში გადასახლების ნებას არ აძლევდა**. ქალების გარეშე ამერიკაში წასული მამაკაცები იძულებულნი იყვნენ ადგილობრივ ინდიელ ქალებზე დაქორწინებულიყვნენ. მათი შთამომავლობა მეტიცების სახელს ატარებს. თეთრი მოსახლეობა დაახლოებით 8-10%-ია, ინდიელები – 10%. კოლონიალიზმის პერიოდში ინდიელთა დიდი რაოდენობა გაწყდა. ოთხი საუკუნის განმავლობაში ისინი ოთხჯერ შემცირდნენ. საღვადორში უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობენ აგრეთვე ზანგები და ჩინელები. აქ გვაქვს ბევრი ტერმინი, რომელიც ქვეყნის მკვიდრთა სისხლის პროცენტულ შემადგენლობაზე (ინდიელების, ზანგების, თეთრი ადამიანების) მიუთითებს. ამის მიხედვით *მოსახლეობის 14 კატეგორიას*

გამოყოფენ. ესპანელისა და ინდიელის შთამომავალს ჰქვია *ლადინო*. ესპანელისა და ლადინოს შთამომავალს – *კასტისო*. კასტისოსა და ესპანელისას – *ესპანოლი*, ზანგისა და ესპანელისას – *მულატი*, ესპანელისა და მულატი ქალისას – *მორისკო*, მორისკოსი და ესპანელი ქალისას – *ალბინო* და სხვ.

ესპანელთა დაპყრობებამდე საღვადორში განვითარებული იყო მიწათმოქმედება. იყვნებდნენ ხელოვნურ მორწყვას. მნიშვნელოვანი რაოდენობით იყვნენ ხელოსნები. თავისი განვითარების დონით ცენტრალური ამერიკის ამ ნაწილის მოსახლეობა ბევრად არ ჩამოუვარდებოდა აცტეკებისა და მაიას სახელმწიფოებს.

საღვადორი აგრარული ქვეყანაა. მთავარი საექსპორტო კულტურაა ყავა. მოჰყავთ აგრეთვე სიმინდი, ლობიო, ბამბა, კაკაო, თამბაქო, ინდიგო. მესაქონლეობა განვითარებულია ქვეყნის ჩრდილოეთში. **წყნარი ოკეანის სანაპიროზე ბალზამის ხეებიდან (სამედიცინო და პარფიუმერიული მრეწველობის ნედლეული) პერუანულ ბალზამს იღებენ. საღვადორი ბალზამის მოპოვების ერთადერთი ადგილია. სახელწოდება „პერუანული“ კი მან იმიტომ მიიღო, რომ კოლონიურ პერიოდში ევროპაში ის პერუს გავლით შეჰქონდათ.**

საღვადორის ყველა სოფელს თავისი მფარველი წმინდანი ჰყავს და ყოველწლიურად მათ დღეებს განსაკუთრებული ცერემონიებით აღნიშნავენ. მიუხედავად ამისა, შემორჩენილია ბევრი რწმენა-წარმოდგენა. მაგალითად, წვიმის ღმერთს – ტლალოკს სწირავენ ინდაურს; მისთვის სპეციალურად მიაქვთ ხილი, ყვავილები. როგორც ინდიელთა, ისე ლადინთა დღესასწაულები ცეკვებით ტარდება.

2.15. ნიკარაგუელები

ნიკარაგუელების თვითსახელწოდებაა **ნიკარაგუენსეს**. ცხოვრობენ ცენტრალური ამერიკის ნიკარაგუას სახელმწიფოში, აგრეთვე კოსტა-რიკაში, აშშ-ში, პანამაში. **ქვეყნის სახელი ერთ-ერთი ინდიელი ბელადის – ნიკარაოს სახელიდან მომდინარეობს, რომელიც ესპანელთა შემოსვლის წინ მართავდა მას. მათი რაოდენობა 4 მილიონ 500 ათასია. მოსახლეობის უმეტესობა (85-90%) ინდიელ-ევროპელ-აფრიკელი მეტისია, დანარჩენები – ესპანეთიდან გადმოსახლებულთა შთამომავალნი. ნიკარაგუელები ესპანური ენის ადგილობრივ დიალექტზე ლაპარაკობენ. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელებულია ინგლისური ენა. ნიკარაგუელების უმეტესობა კათოლიკეა. აღმოსავლეთ პროვინციებში მცხოვრები ინგლისურენოვანი მოსახლეობა პროტესტანტია („მორავიელი ძმები“, ორმოცდაათიანელები, ბაპტისტები, ანგლიკანები). პროტესტანტთა რაოდენობა**

თანდათან მატულობს – XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებისათვის მათმა რაოდენობამ 15%-ს გადააჭარბა.

ევროპელთა მოსვლამდე ნიკარაგუას ტერიტორიაზე მაკრონიბას ენათა ოჯახის ენებზე მოლაპარაკე ინდიელთა ტომები ცხოვრობდნენ. ისინი ათ ენასა და დიალექტზე ლაპარაკობდნენ, რომელთაგანაც დღეს მხოლოდ ხუთიღაა შემორჩენილი და თანაც მათზე მხოლოდ მოსახლეობის 2,5% ლაპარაკობს. საერთოდ ინდიელთა წილი ქვეყნის მოსახლეობაში (ძირითადად მისკიტო) 5-6%-ია. ნიკარაგუას ტერიტორია კოლუმბმა 1502 წელს აღმოაჩინა. XVI საუკუნის პირველი მეოთხედიდან ნიკარაგუაში მოსვლა დაიწვეს ესპანელმა კოლონისტებმა. მათ აქ ორი კოლონია – გრანადა და ლეონი დააარსეს. ინდიელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ესპანელებმა გაანადგურეს; მეორე ნაწილი ევროპელთა მიერ შემოტანილმა დაავადებებმა იმსხვერპლა, რადგან ახალი ავადმყოფობების მიმართ ადგილობრივ მოსახლეობას იმუნიტეტი არ ჰქონდა. იმის გამო, რომ ნიკარაგუაში ოქროსი და ვერცხლის დიდი საბადოები ვერ აღმოაჩინეს, გრანადა და ლეონი ესპანეთის აგრარულ კოლონიებად იქცა. XVII-XVIII საუკუნეებში პლანტაციებში სამუშაოდ აფრიკელი მონები შემოჰყავდათ, თუმცა მათ პლანტაციებში შედარებით მცირე მასშტაბით იყენებდნენ. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში დაიწყო ნიკარაგუელთა მეტისური ნაციის ჩამოყალიბება (მეტისები 69% არიან). კოლონიური დამოკიდებულების პერიოდში ზანგები თითქმის მთლიანად ადგილობრივ მეტისურ მოსახლეობაში გაითქვიფნენ. ნიკარაგუა დამოუკიდებელია 1821 წლიდან. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც 1894 წლამდე ინგლისის პროტექტორატს წარმოადგენდა, ეთნიკური განვითარება ცალკე მიმდინარეობდა. ამ კუთხეს ეთნოკულტურული სპეციფიკა ახასიათებს. ნიკარაგუას აღმოსავლეთ მხარეში – მოსკიტის სანაპიროზე, არაჯანსაღი კლიმატისა და უღრანი ტყეების გამო, ესპანელი კოლონისტები ფაქტობრივად არ დასახლდნენ. სამაგიეროდ ის ინგლისელი პირატების თავშესაფარებელ ადგილად იქცა. ინგლისელი კოლონისტების დროს მოსკიტის ნაპირებზე იამაიკიდან და პატარა ანტილიის კუნძულებიდან გადმოსახლებული ზანგები და მულატები მოვიდნენ. ინგლისელებმა, თავიანთი პოზიციების განმტკიცების მიზნით, მოსკიტში ზანგთა მეფის არჩევნები ჩაატარეს. ესპანელებთან შეიარაღებული შეტაკებების მიუხედავად, ინგლისელებმა მოსკიტზე კონტროლი XIX საუკუნის შუა ხანებამდე შეინარჩუნეს. აღმოსავლეთ ნიკარაგუაში მცხოვრებთ განიხილავენ როგორც ნიკარაგუელი ხალხის ეთნოგრაფიულ ჯგუფს, რომელსაც თავისი ანთროპოლოგიური ტიპი, ენა და კულტურული თავისებურებები ახასიათებს. ზანგები ნიკარაგუას მოსახლეობის 9%-ს შეადგე-

ნენ. რაც შეეხება თეთრებს (ესპანელთა და სხვა ევროპელ იმიგრანტთა შთამომავლები), ისინი 17%-ის ფარგლებში არიან.

მართალია ნიკარაგუას მოსახლეობის უმეტესობა კათოლიკეა, ვესტ-ინდოეთიდან მოსული ზანგები – პროტესტანტები, მაგრამ ეს უკანასკნელები ძველი რწმენა-წარმოდგენების მიმდევრებიც არიან, შემორჩენილია ძველი აფრიკული კულტები, ანიმიზმი. საერთოდ ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური და სამეურნეო თვალსაზრისით ქვეყნის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ჯერ კიდევ თვალში საცემია განსხვავებულობა. სხვათა შორის, მოსკიტის მცხოვრებნი ნიკარაგუელებს „ესპანელებს“ უწოდებენ, დასავლეთის მოსახლეობისათვის აღმოსავლეთის მკვიდრნი „უცხო რჯულისანი“ არიან.

ნიკარაგუელთა უმეტესობა სოფელში მცხოვრები გლეხები და პლანტაციის მუშები არიან. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოფლის თემი. მატერიალური კულტურა ახლოსაა მექსიკელების კულტურასთან. მიწათმოქმედებას ძველი ტრადიციები აქვს. ესპანელთა მოსვლამდე ინდიელებს სიმინდი გადამწვარი ტყეების ადგილას მოჰყავდათ. მიწათმოქმედების ეს სისტემა ინდიელებში დღესაცაა შემორჩენილი. ნიკარაგუაში დასახლებულმა ესპანელებმა ძირითადად პლანტაციური კულტურები განავითარეს. ძირითადი საექსპორტო კულტურებია ბამბა, ყავა; მოჰყავთ აგრეთვე: კაკაო, ბანანი, შაქრის ღერწამი, კუნჯუტი, თამბაქო. ნიკარაგუელების სადღესასწაულო კერძია „ნაკატამალი“ – სიმინდის ფქვილით გამომცხვარი ღვეხელი, ქათმის ხორცისა და ბოსტნეულის შიგთავსით. მთავარი დღესასწაულია კარნავალი. ხალხური დღესასწაულების ყველაზე საყვარელი გმირია – **მანო რატონი** – მოხერხებული, გაქნილი და მხიარული თავუნია.

2.16. კოსტარიკელები

კოსტარიკელები ცენტრალური ამერიკის ყველაზე პატარა ქვეყანაში – კოსტა-რიკაში ცხოვრობენ. 1998 წლის მონაცემებით კოსტარიკელების რაოდენობა 3,6 მილიონი იყო. 25 ათასი კოსტარიკელი ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. ისინი ესპანურ ენაზე ლაპარაკობენ, მულატებისა და ზანგების უმეტესობა – ინგლისური ენის ვესტინდურ დიალექტზე. ქვეყნის მოსახლეობის 95% კათოლიკეა, დანარჩენები (ზანგები და მულატები) პროტესტანტები არიან.

კოსტა-რიკა ცენტრალური ამერიკის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ესპანელ ემიგრანტთა შთამომავალია. მათი რაოდენობა 80%-ია, რომლებიც ქვეყანაში XVI-XVII საუკუნეებში (ძირითადად გალისიიდან, აგრეთვე არაგონიდან და ბისკა-

იდან) დასახლდნენ. ესპანელთა პირდაპირი შთამომავლები დასახლებული არიან ქალაქებსა და ცენტრალურ პლატოზე. მოსახლეობის 10-12% მეტისია (ლადინო), რომლებიც ეთნოკულტურულად ახლოს ღვანან თეთრებთან და რომლებთანაც თანდათანობით ასიმილირდებიან. მეტისები ძირითადად წყნარი ოკეანის სანაპიროზე ცხოვრობენ. ზანგები და მულატები(2%) ვესტ-ინდოეთიდან შემოყვანილი მონების შთამომავლები არიან – ისინი ძირითადად კარიბის ზღვის სანაპიროზე მკვიდრობენ. ინდიელები ქვეყნის მთელი მოსახლეობის 1%-ს შეადგენენ. ისინი თავის თავს ტალამანკის უწოდებენ. ინდიელები ჩაკეტილი თემების სახით ცხოვრობენ. ენობრივი თვალსაზრისით კოსტარიკელი ინდიელები კოლუმბიელი ჩიბჩას ენობრივი ოჯახის მონათესავეები არიან.

ესპანელთა კოსტა-რიკაში მოსვლამდე ადგილობრივ ინდიელთა (უეტარი, ჩოროტეგო, კოკო და სხვ.) რაოდენობა 27 ათასს აღწევდა. მისდევდნენ მონადირეობას, მეთევზეობას, პრიმიტიულ მიწათმოქმედებას. დახელოვნებულნი იყვნენ კერამიკული ნაწარმისა და ოქროს ნაკეთობების დამზადებაში. კოსტა-რიკის სანაპირო ქ. კოლუმბო 1502 წელს აღმოაჩინა. ტერიტორიის დაპყრობა კი 1513 წელს დაიწყო, რაც XVI საუკუნის შუა ხანებამდე გაგრძელდა. ამ დროს ქვეყანას ესპანელებმა „კოსტა-რიკა“ უწოდეს, რაც „მდიდარ ნაპირს“ ნიშნავს. მაგრამ ესპანელები იმედგაცრუებულები აღმოჩნდნენ – ოქრო მხოლოდ მცირე რაოდენობით აღმოჩნდა.

კოსტა-რიკაში ყველაზე ღარიბი ესპანელი გლეხები გადმოსახლდნენ, რომლებმაც აქ პლანტაციების მეურნეობა განავითარეს, მაგრამ პლანტაციებს ინგლისელი, ფრანგი და შოლანდიელი პირატები ანადგურებდნენ. ამას გარდა, ისინი კოსტა-რიკის მკვიდრთაც იტაცებდნენ, რომლებსაც ვესტ-ინდოეთში მონებად ჰყიდდნენ. 1560 წლიდან კოსტა-რიკა ესპანელთა გვატემალას სამფლობელოში შედიოდა. 1821 წელს კოსტა-რიკელებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, მაგრამ რეალურ დამოუკიდებლობას მხოლოდ 1848 წელს მიაღწიეს. იქამდე მექსიკის იმპერიის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნსა და ცენტრალური ამერიკის პროვინციების შტატებში შედიოდა.

კოსტა-რიკა ერთ-ერთი იმ იშვიათ სახელმწიფოთა რიცხვში შედის, რომელსაც უკვე კარგა ხანია (1949 წლიდან) არმია არა ჰყავს.

კოსტა-რიკის ეკონომიკის საფუძველს ბანანის ექსპორტი წარმოადგენს (ამ კულტურის მთელი მსოფლიოს ექსპორტის 13,5%), აგრეთვე ყავა და ტანსაცმელი. ყოველწლურად საექსპორტო ბანანის რაოდენობა 81 მილიონ ყუთს აღწევს (ერთ ყუთში დაახლოებით 18 კილოგრამი ეტევა). კოსტარიკელებს მოჰყავთ კიდევ კაკაო, შაქრის ლერწა-მი.

კოსტარიკელთა საკვებში ჭარბობს სიმინდი, პარკოსნები, ხილი, პალმიტო (პალმის გულის ნაყოფი).

კოსტარიკელთა ხელოსნობის ტრადიციული დარგები (მეთუნეობა, ფეიქრობა, დაწვნა) ინდიელთა ხელოვნებიდან იღებს სათავეს. განვითარებულია ხის დამუშავება.

კოსტა-რიკაში შემორჩენილია ყოველკვირეული სეირნობა ქალაქების ცენტრალურ მოედნებზე; პოპულარულია ქალაქგარეთა პიკნიკები, ცეკვები, დოლი, მამლების ბრძოლა, ხარების ბრძოლა, რომლებშიც მონაწილეობა ნებისმიერ მაყურებელს შეუძლია. საერთოდ, კოსტარიკელების კულტურის ფორმირებაზე გადამწყვეტი გავლენა ესპანურმა კულტურამ მოახდინა. მიუხედავად ამისა, ის მაინც განსხვავდებოდა ესპანური კულტურისაგან, რაც კარგად ჩანს ფოლკლორში, ყოფით თავისებურებებსა და ცეკვებში.

2.17. პანამელები

ცენტრალური ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის ყველაზე ვიწრო ნაწილი პანამას უკავია, რომელსაც დასავლეთით კოსტა-რიკა ესაზღვრება, აღმოსავლეთით – კოლუმბია; ჩრდილოეთით მას აკრავს კარიბის ზღვა, სამხრეთით – წყნარი ოკეანე. პანამაში ცხოვრობს ხალხი, რომელთაც პანამელები ეწოდებათ (თვითსახელწოდებაა **პანამენოს**). პანამელები ცხოვრობენ აგრეთვე აშშ-ში, კოლუმბიაში, კოსტა-რიკაში, ნიკარაგუაში. მათი საერთო რაოდენობა 2 მილიონ 760 ათასი კაცია, აქედან პანამაში ცხოვრობს 1 მილიონ 930 ათასი. პანამელთა უმეტესობა კათოლიკეა, ნაწილი (ვესტ-ინდოეთიდან გადმოსახლებულები) – პროტესტანტი (ორმოცდაათიანელები, ადვენტისტები, ანგლიკანები, ბაპტისტები). ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევრები ჩილოს ეთნოგრაფიული ჯგუფი და ტყის ზანგები არიან.

ევროპელები პანამის ტერიტორიაზე პირველად 1501 წელს გამოჩნდნენ. 1503 წელს ქ. კოლუმბო პირველი დასახლებული პუნქტი – სანტა-მარია-დე-ბელენი დააარსა, ხოლო *გ. ნუნეს დე ბალობა* სამხრეთის ზღვა (წყნარი ოკეანე) აღმოაჩინა. 1821 წლამდე პანამა ესპანეთის შემადგენლობაში შედიოდა. შემდეგ ნებაყოფლობით შეუერთდა კოლუმბიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ხოლო მისი დაშლისთანავე 1830 წელს დეპარტამენტის უფლებით ახალ გრანადაში (1886 წლიდან – კოლუმბია) შევიდა. 1903 წელს ამერიკის მხარდაჭერით პანამამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1936 წლამდე ფაქტობრივად ამერიკის შეერთებული შტატების პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა. 1999 წლის 31 დეკემბერს პანამა აშშ-ის სამხედრო ბაზებისაგან საბოლოო-

ოდ განთავისუფლდა და პანამის არხი პანამას ნაციონალურ საკუთრებად იქცა.

პანამელები სამი ხალხის: ა) ინდიელების, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი ენა და ესპანურ ენაზე გადავიდნენ, ბ) ესპანეთიდან (XVI ს-ის დასაწყისი) და იტალიიდან (XIX ს-ის დასასრული – XX ს-ის დასაწყისი) გადმოსახლებული ხალხის და გ) აფრიკელების (XVII-XVIII სს-ში შემოყვანილი მონები) ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბდნენ. XIX საუკუნის შუა ხანებში იამაიკისა და ანტილიის კუნძულებიდან გადმოსახლებულთა შთამომავლებს ანტილიანოსები ეწოდებოდათ; მათ შეინარჩუნეს ზოგიერთი ენობრივი, კულტურული და რელიგიური თავისებურება. კოლუმბიის საზღვარზე, ტყიან რაიონებში, ცხოვრობენ ლტოლვილი ზანგი მონების შთამომავალი („ტყის ზანგები“). მათ შემონახეს ტრადიციული აფრიკული ყოფა და წესჩვეულებები. პანამელი ერის კონსოლიდაციის პროცესი XIX საუკუნის შუა ხანებში დაიწყო. პანამის მთიან რაიონებსა და ჯუნგლებში დაახლოებით 50 ათასი ინდიელია შემორჩენილი. ხუთი საუკუნის განმავლობაში პანამაში ყველა რასის ორმოცი ეთნოსის წარმომადგენლები შეერივნენ. პანამელთა 60%-ზე მეტი მეტისია. ინდიელები (8,3%) შემდეგი ეთნიკური ჯგუფების სახით არიან წარმოდგენილი: კუნა, ჩოკო, გუიამი, ბოკოტასი, ტერიბესი. ისინი ძირითადად სპეციალურ დეპარტამენტებში ცხოვრობენ. ინდიელთა თემებს წინა ეპოქების კოლორიტი აქვთ შემორჩენილი – ტიპური არქაული ცხოვრების ყაიდა, დასაქმებულობის ტრადიციული სახეები: ხელოსნობა, მეთევზეობა, მონადირეობა, თამბაქოს მოყვანა. პანამელი ერის ეთნოკულტურულმა მრავალგვარობამ თავისი დადი სულიერ კულტურასაც დააჩნია, რომლის ნათელი სიმბოლოც კარნავალია, რასაც აქ „ადამიანთა რასების შეყრას“ უწოდებენ. პანამელთა კულტურაში გვხვდება როგორც ესპანური, ისე ინდიელთა და ზანგთა კულტურის ელემენტები. ეს განსაკუთრებით ხალხურ შემოქმედებაში, უპირველეს ყოვლისა კი მუსიკასა და ცეკვებში იგრძნობა.

პანამელთა უმეტესობა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშები და გლეხები არიან.

2.18. კოლუმბიელები

კოლუმბიელებით დასახლებულია კოლუმბია, რომელსაც ესპანელებმა მისი აღმოჩენის დროს, „ზღაპრული სიმდიდრის ქვეყანა“ უწოდეს. მათი თვითსახელწოდებაა **კოლუმბიანოს**. კოლუმბიელების საერთო რაოდენობა 34,5 მილიონი კაცია, რომელთაგანაც კოლუმბიაში ცხოვრობს 32,5 მილიონი (1958 წლის მონაცემებით 13 მილიონ

522 ათასი). 1 მილიონ 750 ათასი კოლუმბიელი ცხოვრობს ვენესუელაში, აგრეთვე აშშ-სა და სხვა ქვეყნებში. კოლუმბიაში პირველი აღწერა 1825 წელს ჩატარდა. მაშინ მოსახლეობის რაოდენობა 1,2 მილიონის ფარგლებში იყო; 1940 წელს კოლუმბიელები 9 მილიონი იყვნენ, 1967 წელს – 18 მილიონი, 1980 წელს – 27 მილიონი.

კოლუმბია ლათინური ამერიკის ერთ-ერთი დიდი ქვეყანაა, რომელსაც ესაზღვრება: ვენესუელა (ჩრდილო-აღმოსავლეთით), ბრაზილია (სამხრეთ-აღმოსავლეთით), პერუ (სამხრეთით), ეკვადორი (სამხრეთით) და პანამა (ჩრდილო-დასავლეთით).

კოლუმბიელები ესპანური ენის კოლუმბიურ დიალექტზე ლაპარაკობენ. ძირითადად კათოლიკეები არიან; დაახლოებით 3% პროტესტანტია (პრესვიტერელები, ბაპტისტები და სხვ.).

თანამედროვე კოლუმბიის ტერიტორიაზე რამდენიმე არქეოლოგიური კულტურაა აღმოჩენილი. მეცნიერები განსაკუთრებით გამოყოფენ ინდიელთა **ტუმას** კულტურას, რომლებსაც მაღალგანვითარებული კერამიკული კულტურა ჰქონდათ შექმნილი. პირველ რიგში აღსანიშნავია *ნახევარადამიანთა და ნახევარმხეცთა (ადამიან-იგუარი) პატარა ქანდაკებები*. ძველი წელთაღრიცხვის V საკუნეში შექმნილმა სან-აგუსტიანის კულტურამ კი თითქმის 1500 წელი იარსება. ამ კულტურისათვის დამახასიათებელია შესანიშნავი მეგალითური ძეგლები (სალოცავები, ბარელიეფები, სტელები, ქანდაკებები). მიანჩით, რომ ამ უძველესი ამერიკული „პრაკულტურისაგან“ შემდეგ განვითარდა ანდის, მექსიკის და ცენტრალური ამერიკის კულტურები. კოლუმბამდელი ამერიკის ინდიელთა კულტურებიდან აღსანიშნავია **ჩინბა-მუისკას** კულტურა. ამ კულტურის მატარებელი ხალხის ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება (ტერასული მიწათმოქმედება ხელოვნური მორწყვით) წარმოადგენდა. ჩინბა-მუისკას მეურნეობა სიმინდის, კარტოფილის, ლობიოს, პომიდვრის, გოგრის, ბამბის, თამბაქოს, ანანასის და სხათა მოყვანას ემყარებოდა. ისინი მოიპოვებდნენ ოქროს, სპილენძს, ძვირფას ქვებს (ზურმუხტს). სხვათა შორის, კოლუმბიის დედაქალაქში არის მსოფლიოში ერთადერთი ოქროს მუზეუმი, სადაც ოქროსი და ზურმუხტის ის უნიკალური ნაკეთობებია თავმოყრილი, რომლებიც ესპანელთა ძარცვას გადაურჩა. ჩინბა-მუისკას ხალხს წარმოადგენა ჰქონდა ასტრონომიაზე, მათემატიკაზე, მედიცინაზე. ჩინბა ამერიკის ერთადერთი ხალხი იყო, რომელსაც *ესპანელთა დაპყრობებამდე ფულადი სისტემა გააჩნდა* – ამ მიზნით ისინი ოქროს ფირფიტებს იყენებდნენ. ესპანელთა მოსვლის დროს ჩინბა-მუისკას ხალხს ოცამდე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ჰქონდათ შექმნილი, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანი **ბაკატა** იყო, საიდანაც მომდინარეობს თანამედროვე კოლუმბიის

დედაქალაქის – ბოგოტას სახელწოდება. ერთ-ერთ მათგანში მდებარეობდა ჩინბა-მუისკას რელიგიური ცენტრი – *მზის ტაძარი*.

დღევანდელი კოლუმბიის სანაპიროებზე ესპანელები პირველად 1501 წელს გამოჩნდნენ. 1508 წელს აქ, ამერიკის კონტინენტზე, ევროპელთა პირველი დასახლება გაჩნდა. ქვეყნის სიღრმეში წაწვეა ევროპელებმა 1536 წელს დაიწყო. ესპანელები დაპყობების დროს ერთ-მანეთს უპირისპირებდნენ სხვადასხვა ინდიელ ხალხს და ფაქტობრივად ქვეყანას სხვათა ხელით იპყრობდნენ. დაპყრობებს თან ახლდა მოსახლეობის მასობრივი გაწვევტა, კულტურული ფასეულობების მოსპობა; შესანიშნავი ტაძრების, სასახლეების, ქალაქების და ძველი ცივილიზაციის ბევრი სხვა განუმეორებელი ძეგლების მოსპობა. ორ წელიწადში მათ დაიპყრეს ჩინბა-მუისკას სახელმწიფო. ინდიელები აქ, აღმოსავლეთ კორდილიერების ოლქში, მჭიდროდ იყვნენ დასახლებულნი და განვითარებული მიწათმოქმედებითა და ხელოსნობით გამოირჩეოდნენ. ჩინბას ხალხს ესპანელები არა მარტო სოფლის მეურნეობაში ამუშავებდნენ, არამედ ოქროსა და ვერცხლის, ზურმუხტისა და ქვის მარილის მოპოვებაშიც იყენებდნენ. ინდიელთა სხვა ტომები, რომელთაც ესპანელებმა მუშაობა ვერ აიძულეს, ძირითადად გაანადგურეს. XVIII საუკუნის ბოლოსათვის ადგილობრივი ინდიელი მოსახლეობა ესპანელი კოლონიზატორების მიერ უკვე განადგურებული, ან ასიმილირებული იყო. იმ დროისათვის კოლუმბიის ტერიტორიაზე მოსახლეობა 2 მილიონს აჭარბებდა, რომელთაგან 1,2 მილიონი ჩინბა-მუისკის სახელმწიფოში ცხოვრობდა. დღეისათვის თანამედროვე კოლუმბიის სახელმწიფოში ინდიელთა რაოდენობა მხოლოდ 350 ათასი კაცის ფარგლებშია.

1538 წელს დაარსდა ახლანდელი დედაქალაქი ბოგოტა. კოლონიზაციის პერიოდში კოლუმბიის მიწა ახალი გრანადის ვიცე-სამეფოში შედიოდა.

თანამედროვე კოლუმბიის მოსახლეობა ისტორიულად სამი ძირითადი ეთნიკური კომპონენტისაგან ჩამოყალიბდა (ინდიელები, ესპანელები, ზანგები). გვიან მათ დაემატნენ ევროპელი იმიგრანტები (ძირითადად იტალიიდან და გერმანიიდან).

მონა ზანგები კოლუმბიაში დასავლეთ აფრიკიდან პირველად XVII საუკუნის დასასრულს შემოიყვანეს. ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში. კოლონიზაციის პერიოდში მნიშვნელოვანი იყო ესპანელთა გადმოსახლება (ძირითადად კასტილიელები, ასტურიელები, ანდალუსიელები, ბასკები და კანარელები). XVIII საუკუნის დასასრულისათვის მოსახლეობის დიდ ნაწილს მეტისები წარმოადგენდნენ (45%), რომლებიც კოლუმბიური ეთნოსის საფუძვლად იქცნენ. ამ დროისათვის ე.წ. თეთრები (ესპანე-

თიდან მოსულები) მთელი მოსახლეობის 33% იყვნენ. ინდიელები მოსახლეობის მხოლოდ 17%-და შეადგენდნენ, ზანგების რაოდენობა კი 5%-ის ფარგლებში იყო. XX საუკუნის 40-იან წლებში ასეთი სურათი გვექონდა: ესპანელ-ინდიელი მეტისები – 46%, კრეოლები (თეთრები) – 26%, მულატები და სამბო – 22%, ზანგები – 4,4%, ინდიელები – 1,16 %. ამრიგად, კოლუმბია ამერიკის იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც **ნარევი მოსახლეობა ჭარბობს**. კოლუმბიელთა კულტურა ესპანელთა, ინდიელთა და ზანგთა კულტურის ნარევს წარმოადგენს.

კოლუმბიაში ევროპული, ზანგური და ადგილობრივი კომპონენტი არათანაბრადაა განსახლებული. მეცნიერები ხუთ ეთნოკულტურულ კომპონენტს გამოყოფენ: I. *კოსტენიო* (ესპანური სიტყვიდან „კოსტა“, რაც სანაპიროს ნიშნავს; II. *ანდიის ოლქი*; III. *სანტანდერის მხარე*; IV. *ანტიოკიის მხარე*; V. *ლიანოსის მხარე*. ამ ოლქებში განსახლებული მოსახლეობისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური ნიშნები როგორც ფიზიკური ტიპის, ისე ხასიათის, წეს-ჩვეულებების, ტრადიციების თვალსაზრისით.

კოლუმბიის ატლანტის ოკეანის სანაპირო მოსახლეობაში ძირითადად ზანგები და მულატები ჭარბობდნენ. აქ აშკარად შეიმჩნევა ზანგური კულტურის პრიორიტეტი როგორც მუსიკაში, ისე სახვით ხელოვნებასა, არქიტექტურასა და ლიტერატურაში. აქ წარმოიქმნა კოლუმბიელთა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ცეკვა – „კუმბია“. ნეგროიდული ელემენტი გაბატონებულია აგრეთვე წყნარი ოკეანის სანაპიროზეც. ანდებში მეტისური ეთნიკური ელემენტი დომინირებს. აქაურ მეტისებში უფრო მეტად ინდიელთა სისხლი ჭარბობს. მეტად თავისებური იერ-სახე აქვს ვენესუელის საზღვარზე სანტანდერის და ჩრდილოეთ სანტანდერის მოსახლეობას. სანტანდერის მეტისებში ესპანური სისხლი დომინირებს. ამ მხარეში ახალგაზრდებისათვის ყველაზე საუკეთესო საჩუქრად ითვლება. მოსახლეობა, სოფლის მეურნეობასთან ერთად, ვენესუელეებთან კონტრაბანდულ ვაჭრობასაც მისდევდა. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ მხარის მკვიდრნი სიახლოვეს ამჟღავნებენ არგენტინელებთან და ბრაზილიელ გაუჩოსთან. მისდევენ მესაქონლეობას, გამოირჩევიან მტკიცე და დამოუკიდებელი ხასიათით, ადვილად უმკლავდებიან სიძნელებს.

მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს ანტიოკიის დეპარტამენტის მცხოვრებთ, რომლებიც „ანტიოკენოსის“ სახელით არიან ცნობილი. ამ ჯგუფს საფუძველი ესპანეთიდან მიგრირებულმა ბასკებმა (XVII ს.) და ე.წ. „ახალმა ქრისტიანებმა“ (მონათლულმა ებრაელებმა) ჩაუყარეს. ამას გარდა, აქვე მოვიდნენ არაბთა ჯგუფები სირიიდან და ლიბანიდან. ამ უკანასკნელთა შთამომავლებს შორის არიან

როგორც ქრისტიანები, ისე მუსლიმები, რომლებსაც თურქებს უწოდებენ, თუმცა წარმოშობით არაბები არიან. „ანტიოკენოსთა“ შემადგენლობაში სომხებიც შედიან. მათი მთავარი საქმიანობა ვაჭრობაა. ანტიოკიელები იზოლირებულ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ. ისინი ინდიელებს არ ერეოდნენ და თავიანთ ტერიტორიაზე ზანგების შემოყვანას ეწინააღმდეგებოდნენ. ანტიოკიელებს ახასიათებთ პატრიარქალური ტრადიციები, შეხედულებებსა და გემოვნებაში კონსერვატიზმი, რელიგიურობა. შემორჩენილია დიდი ოჯახები (15-20 ბავშვით).

კოლუმბიელი ერის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1819 წელს დამოუკიდებლობის მოპოვება. მისი პირველი პრეზიდენტი იყო *სიმონ ბოლივარი*. 1830 წელს კოლუმბიას ვენესუელა და კიტო (დღევანდელი ეკვადორი) გამოეყო. რესპუბლიკის დარჩენილი ბირთვი 1863 წლამდე ახალი გრანადის სახელს ატარებდა. 1861 წელს ცხრა შტატის კონფედერაცია ჩამოყალიბდა, რომელიც ორი წლის შემდეგ კოლუმბიის შეერთებულ შტატებად იქცა. 1886 წელს ცენტრალიზაციის შედეგად შტატები დეპარტამენტებად გადაკეთდა. XX საუკუნეში კოლუმბიამ ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა. 1903 წელს ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა პანამა; 1932-1934 წლებში კი პერუსთან ომის შემდეგ პერუმ კაუჩუკით მდიდარი – ლეტოსის ოლქი შეიერთა.

კოლუმბიაში კათოლიკური ეკლესიის გავლენა უაღრესად დიდია. კოლუმბიელებმა შეინარჩუნეს იმ დღესასწაულთა ტრადიციები, რომელიც ესპანელებმა ანდალუსიიდან და ბასკეთის პროვინციიდან გადმოიტანეს.

მოსახლეობის ნახევარი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში (ყავა, ბანანი, ანანასი, ბამბა, თამბაქო, კაკაო, სიმინდი, ხორბალი, ბრინჯი და სხვ.). თანამედროვე კოლუმბიაში ყავის პლანტაციებს 1,1 მილიონ ჰექტარზე მეტი უკავია, სიმინდის ნათესებს – 1 მილიონი ჰექტარი. ბამბის პლანტაციებს – 200 ათასი ჰექტარი. დღემდე ყავა კოლუმბიელთა ძირითად სიმდიდრედ რჩება; ის ძირითადი საექსპორტო საქონელია. ყავის ქვეყნიდან გატანა პირველად 1827 წელს მოხდა. 1906 წელს მასზე ექსპორტის 42% მოდიოდა, 1923 წელს – 80%. კოლუმბიელთა კვების რაციონი ესპანურისაგან თითქმის არ განსხვავდება. ძნელია კოლუმბიელების წარმოდგენა ფინჯანი ყავის – „ტენტოს“ გარეშე, მაგრამ სოფლის მცხოვრებთათვის ტრადიციული სასმელია არა ყავა, არამედ შოკოლადი, რომელსაც ისინი სქელი მასის სახით ამზადებენ: კაკაოს მაისის ფქვილს, აგრეთვე წითელ წიწაკას, ვანილს, გაუსუფთაებულ შაქარს – პანელუს უმატებენ. მაისის მოსავლის დიდი ნაწილისაგან მაისის ლუდს – ჩიჩას ამზადებენ. კოლუმბიელთა ძირითად საკვებად მაისის ფაფა და მისგან გამომცხვ-

რი „არეპასი“ ითვლება. იციან ლერწმის არყის (აგუარდენტე) გამოხ-
ლაც.

კოლუმბიაში პოპულარულია ხარებისა და მამლების ბრძოლა. ნაციონალური დღესასწაულებიდან, რომელთა რიცხვი თვრამეტია, განსაკუთრებით აღნიშნავენ დამოუკიდებლობის დღეს (20 ივლისი) და ამერიკის აღმოჩენის დღეს (12 ოქტომბერი).

კოლუმბიელია მსოფლიოში აღიარებული მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი **გ. გარსია მარკესი** (დაიბადა 1928წ.).

2.19. პერუელები

პერუელების თვითსახელწოდებაა **პეროანოს**. ისინი ცხოვრობენ პერუში (25 მილიონი კაცი), აგრეთვე აშშ-ში, ესპანეთში, გერმანიასა და ლათინური ამერიკის რამდენიმე სხვა ქვეყანაში. **პერუელები ლაპარაკობენ ესპანურსა და კეჩუას ენებზე (ორივე ენა ოფიციალურ ენადაა გამოცხადებული)**. პერუელები ძირითადად (მთელი მოსახლეობის 95%) კათოლიკეები არიან; ნაწილი ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების მიმდევარია.

პერუ მდებარეობს სამხრეთ ამერიკის დასავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთით მას ეკვადორი და კოლუმბია, აღმოსავლეთით – ბრაზილია და ბოლივია, სამხრეთით ჩილე ესაზღვრება. დასავლეთიდან აკრავს წყნარი ოკეანე. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ცენტრალურ ნაწილსა და სანაპიროზე ცხოვრობს. აღმოსავლეთი ნაწილი აუთვისებელია, სადაც „ტყის ინდიელების“ მცირეოდენი ჯგუფებია დაქსაქსული.

ესპანელთა მოსვლამდე (1531 წელი) პერუს დღევანდელ ტერიტორიაზე ინდიელი ინკების სახელმწიფო იყო. ინკების სახელმწიფო მდინარე ურუმბას ველებში X საუკუნეში წარმოქმნილა. სხვათა შორის, XVI საუკუნეში ინკების დედაქალაქ *კუსკოში* უფრო მეტი მცხოვრები იყო, ვიდრე ევროპის ყველაზე დიდ ქალაქ ლონდონში. მათ საერთო-სახელმწიფო ენას *კეჩუას ენა* წარმოადგენდა. უფრო ადრე პერუს ტერიტორიაზე ბრწყინვალე კულტურა ჰქონდა შექმნილი *მოჩიკას ინდიელ ხალხს*; ამ სახელმწიფოს საზღვრები VIII საუკუნეში ძალიან გაფართოებულა. შემორჩენილია რთული სარწყავი არხების ნაშთები, გზები, აშენებული ჰქონდათ ბრწყინვალე ტაძრები და სასახლეები. მათ კერამიკულ ჭურჭელს ადამიანებისა და ცხოველთა ფიგურების სახე ჰქონდა. მოჩიკას სახელმწიფოს ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი – ჩიმუ ესპანელებთან ბრძოლაში განადგურდა. მცირე ნაწილი კი დღეისათვის პატარა საპორტო ქალაქში – პუერტო-ეტიენში ცხოვრობს. ინკები ესპანელებს წინააღმდეგობას

რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში უწყევდნენ. 1544 წელს ჩამოყალიბდა პერუს ვიცე-სამეფო. 1572 წელს დახვრიტეს ინკების უკანასკნელი მეთაური *ტუპაკ ამარუ*. 1821 წლიდან პერუ დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მართალია, პერუს დამოუკიდებლობა 1821 წელს გამოცხადდა, მაგრამ ესპანელთა ჯარმა იარაღი საბოლოოდ 1826 წელს დაეარა.

კოლონიურ პერიოდში ჩამოყალიბდა პერუელთა ეთნორასობრივი დანაყოფები: ესპანელები, კრეოლები (ესპანელთა შთამომავლები, რომლებიც პერუში დაიბადნენ), ესპანელ-ინდიელი მეტისები და ინდიელები. მეტისები და ინდიელები რამდენიმე ლოკალურ ჯგუფად იყოფიან. **ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით მოსახლეობის სამ ჯგუფს გამოყოფენ: სანაპიროს მოსახლეობა (კოსტა), მთის მოსახლეობა (სიერა) და ტროპიკული ტყეების მოსახლეობა (სილვა).** კრეოლები და კეჩუანიზიზებული ინდიელები ძირითადად მთებში მოსახლეობენ, მეტისები, ესპანელები და კრეოლთა ნაწილი კი – სანაპიროზე. სელვის ინდიელებს კოლონიზატორები ფაქტობრივად ვერ აკონტროლებდნენ. პერუში ზანგების რაოდენობა დიდი არაა. არც თეთრები (ევროპელები) არიან ბევრი, ეს უკანასკნელნი მთელი მოსახლეობის მხოლოდ ერთ მეათედს შეადგენენ.

1940 წლის აღწერით ინდიელები (კეჩუას და აიმარას ტომის ხალხი) მთელი მოსახლეობის ნახევარს შეადგენდნენ. ამავე აღწერით პერუელების 46,7% ლაპარაკობდა ესპანურ ენაზე, ხოლო 31% კეჩუას ენაზე. ერთდროულად კეჩუასა და ესპანურ ენებს ფლობდა 15,8%, აიმარას ენაზე მეტყველებდა 3,5%. ამ აღწერის მიხედვით აშკარაა, რომ პერუს მოსახლეობის უმეტესობას ინდიელები და მეტისები შეადგენდნენ. ზოგიერთი პერუელი მეცნიერის გამოკვლევით *ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის 70%-ს მკვიდრი მოსახლეობა წარმოადგენს. ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, პერუელები ერთ ხალხად ფაქტობრივად არ არიან ჩამოყალიბებულნი.* ესპანურენოვანი პერუელი ნაციის ჩამოყალიბება კოლონიურ პერიოდში დაიწყო და XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დამთავრდა. ამ ეთნიკურ ერთეულში მეტისები და ევროპელთა შთამომავლები შედიან. მეორე ხალხი კეჩუას ხალხია, რომლებიც რაოდენობრივად ესპანურენოვან პერუელებს უთანაბრდებიან. რაც შეეხება მესამე ხალხს – აიმარას, ისინი ქვეყნის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს შეადგენენ. კოლონიზაციის პერიოდში პერუს ტერიტორიაზე ევროპელთა მიგრაცია უმნიშვნელო იყო. ისინი არც პერუს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გააქტიურებულან.

მოსახლეობის ევროპული და შერეული ჯგუფები ესპანურ ენაზე ლაპარაკობენ. პერუელთა ესპანურ ენაში მნიშვნელოვანი რაოდენობითაა ნასესხობა კეჩუას ენიდან.

პერუელებს მოჰყავთ შაქრის ლერწამი, რომელიც ძირითადი საექსპორტო კულტურაა. მისი მოყვანით პერუს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. მოჰყავთ აგრეთვე კარტოფილი, ბრინჯი, მისი. კარტოფილი ინდიელთა ძირითადი საკვები კულტურაა. მეცხოველეობას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. განვითარებულია მეთევზეობა.

პერუს თანამედროვე ინდიელმა ხალხებმა – კეჩუამ და აიმარამ ბევრი ძველი ტრადიცია შეინარჩუნეს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მუსიკის, ცეკვის და ხელოსნობის სფეროები. კეჩუანელთა და აიმარელთა მუსიკალურმა კულტურამ ფაქტობრივად რაიმე ცვლილება არც კი განიცადა, რაც იმანაც განაპირობა, რომ ისინი ძირითადად ისევ სოფლის მცხოვრებლებად დარჩნენ და კვლავ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სფეროებში არიან დასაქმებულნი. ესპანურენოვანი პერუელების მუსიკას და ცეკვებს ესპანურის დიდი გავლენა აქვს, მაგრამ ინდიელთა და ზანგთა მოტივებიც არაა მათთვის უცხო.

2.20. ეკვადორელები

ეკვადორელების თვითსახელწოდებაა **ეკუატორიანოს**. სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ეკვადორის სახელმწიფოში მათი რაოდენობა 12 მილიონ 100 ათასით განისაზღვრება. **ეკვადორელები ლაპარაკობენ ესპანურ ენაზე. გავრცელებულია აგრეთვე კეჩუას ენა.** ინდიელების უმეტესობა ორენოვანია. მშობლიურ ენასთან ერთად, ისინი პრიმიტიულ ესპანურ ენასაც ფლობენ. ეკვადორელები ძირითადად კათოლიკეები არიან, გეხვდებიან პროტესტანტებიც. ეკვადორში კათოლიკური ეკლესია დიდი გავლენით სარგებლობდა, ვიდრე ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში. XIX საუკუნეში, დიქტატორ *მორენოს* დროს (1861-1875 წწ.) კათოლიკური ეკლესიის მოწინააღმდეგეებს მოქალაქეობას ართმევდნენ.

ეკვადორს ჩრდილო-აღმოსავლეთით კოლუმბია ესაზღვრება, სამხრეთ-აღმოსავლეთით პერუ, დასავლეთიდან წყნარი ოკეანე აკრავს. მჭიდროდ დასახლებულია მთიანი მხარე, ხოლო მეჩხერად – აღმოსავლეთი.

ესპანელთა დაპყრობებამდე (1532 წ.) *ეკვადორის ტერიტორიის დიდი ნაწილი ინკების სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა.* უფრო ადრე, XV საუკუნემდე აქ „*კიტუს სამეფო*“ იყო, რომელიც ინკებ-

მა დაიპყრეს. ამ სახელმწიფოს მოსახლეობის უმეტესობას კეჩუას ინდიელები წარმოადგენდნენ და მისი ოფიციალური ენა იყო კეჩუა. ინდიელთა ზოგიერთი ტომი (კანიარები და სხვ.), რომლებიც ინკებს ჰყავდათ დაპყრობილი, ინკების იმპერიის განადგურებაში ესპანელებს ეხმარებოდა. ესპანელთა კოლონიური ხელისუფლების დროს (1534-1822 წწ.) ინდიელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კეჩუას ენაზე ვადავიდა. ამ დროს ჩამოყალიბდა ესპანელ-ინდიელ მეტისთა ჯგუფი სხვადასხვა ლოკალური ვარიანტებით. ესპანეთიდან მოსულებთან ერთად კრეოლები უმაღლესი სოციალური ფენის ჩინოვნიკებს წარმოადგენდნენ. მათი კულტურა პრესტიჟულად ითვლებოდა. ესპანელთაგან გათავისუფლების შემდეგ (1822 წ.) ეკვადორის ტერიტორია (კიტოს სახელწოდებით) დიდი კოლუმბიის შემადგენლობაში შევიდა. 1830 წლიდან ეკვადორი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა.

ეკვადორელი ერის ბირთვს ესპანელ-ინდიელი მეტისები წარმოადგენენ. თეთრები ძირითადად ქალაქებში ცხოვრობენ. ჩრდილოეთ სანაპიროზე ზანგ-მულატთა კომპაქტური ჯგუფები გვხვდება. მათ შორის გამოიყოფა მონტუვიოს განსაკუთრებული ეთნიკური ჯგუფი. ისინი 1623 წელს მონათა ხომალდიდან გამოქცეული და ინდიელებთან შერეულ ზანგთა შთამომავალნი არიან. აფრიკიდან მონების შემოყვანა ესპანელებმა მაშინვე დაიწყეს. მას შემდეგ, რაც კოლონიზატორებმა ეკვადორის ტერიტორიაზე ოქროსი და ვერცხლის მარაგი ვერ იპოვეს, მათ პლანტაციების შექმნა დაიწყეს, სადაც, ინდიელებთან ერთად, ზანგებსაც ამუშავებდნენ.

ეკვადორის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს შერეული რასობრივი ტიპები შეადგენენ: მეტისები, მულატები და სამბო. 1942 წლის მონაცემებით ადგილობრივი ინდიელები ქვეყნის მთელი მოსახლეობის 39%-ს შეადგენდნენ, მეტისები 41% იყვნენ, თეთრები – 10%, ზანგები და მულატები – 5%. ინდიელები იმდენივე არიან, რამდენიც მეტისები.

ეკვადორელებს მოჰყავთ ბანანი, კაკაო, ყავა, ლიმონი, გრეიფრუტი, შაქრის ლერწამი და ბამბა. მარცვლეული კულტურებიდან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სიმინდს, ქერს, ბრინჯს. მთებში განვითარებულია მეცხვარეობა. ეკვადორში სამ სასოფლო-სამეურნეო ზონას გამოყოფენ. ესენია: **კოსტა**, სადაც ძირითადად საექსპორტო ტროპიკული კულტურები მოჰყავთ, **სერერა** – აქ უპირატესობა მეცხოველეობას აქვს მინიჭებული და **ორიენტე**. სოფლებში სახლების მშენებლობისას და მინდვრების დამუშავებისას ურთიერთდახმარების ტრადიციული ფორმებია შემორჩენილი.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეკვადორელთა კულტურა ესპანური და ფრანგული კულტურების ძლიერ გავლენას განიცდიდა,

თუმცა XIX საუკუნის ბოლოდან მუსიკაში ადგილობრივი ფოლკლორის გავლენა აშკარად იგრძნობოდა.

2.21. ბოლივიელები

ბოლივიელების თვითსახელწოდებაა **ბოლივიანოს**. ძირითადად მკვიდრობენ ბოლივიაში (7 მილიონ 900 ათასი კაცი), რომელიც სამხრეთ ამერიკის შუაში მდებარეობს. ესაა სამხრეთ ამერიკის ყველაზე „ინდიელთა“ სახელმწიფო. **ლაპარაკობენ ესპანურ ენაზე. გავრცელებულია აგრეთვე კეჩუას, აიმარასა და გუარანის ენები.** ესპანური, კეჩუასა და აიმარას ენები ბოლივიის სახელმწიფო (ოფიციალური) ენებია. ბოლივიელთა 95% კათოლიკეა; არიან პროტესტანტებიც (ბაპტისტები, მეთოდისტები, მეშვიდე დღის ადვენტისტები). აიმარასა და კეჩუას ხალხების რელიგია სინკრეტულია: მათ კათოლიკურ რიტუალებში პრიმიტიულ მიწათმოქმედ-მესაქონლეთა კულტებია შერწყმული. რაც შეეხება 40 ათას პროტესტანტს, ისინი ძირითადად ბოლივიაში მცხოვრები გერმანელები არიან. ესპანურენოვანი ბოლივიელი ნაცია ძირითადად ესპანელ-ინდიელი მეტისებისაგან შედგება (*ჩოლო*), რომელიც ინდიელთა ასიმილაციის გზით ივსება.

ბოლივია ესაზღვრება ბრაზილიას, პარაგვაის, არგენტინას, ჩილესა და პერუს. აქვს ზღვაზე გასასვლელი.

ბოლივიის თანამედროვე ტერიტორია XVI საუკუნის დასაწყისში ინკებმა დაიპყრეს. უფრო ადრე აქ აიმარასა და კეჩუას ხალხებს სახელმწიფოებრიობა და მაღალგანვითარებული კულტურები ჰქონდათ შექმნილი. ისევე როგორც ამერიკის სხვა ნაწილებში, ესპანელთა მიერ ბოლივიის ტერიტორიის დაპყრობასა და კოლონიზაციას თან ახლდა ინდიელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობის განადგურება. ბოლივიის ქალაქი პოტოსი XVI-XVII საუკუნეებში სამხრეთ ამერიკის ეკონომიკურ ცენტრად იქცა, რადგან მის სიახლოვეს მთებში ვერცხლის დიდი საბადოები ესპანეთის სამეფო სახლს დიდ შემოსავლს აძლევდა. ვერცხლის საბადოებში ესპანელები ძირითადად ადგილობრივ ინდიელებს ამუშავებდნენ. საბადოებში ათასობით ინდიელი იხოცებოდა, რომლებიც არაერთხელ აუჯანყდნენ ესპანელებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1780-1782 წლების აჯანყება, რომელსაც ძმები *კატარი* და *კონდორკანკი* ხელმძღვანელობდნენ. XIX-XX საუკუნეებში ბოლივიამ მეზობელ სახელმწიფოებთან (ჩილე, ბრაზილია, პარაგვაი) ბრძოლებში თავისი თავდაპირველი ტერიტორიების თითქმის 2/3 დაკარგა. ესპანელების მიერ ინკების სახელმწიფოს დაპყრობის შემდეგ, ზემო პერუს ტერიტორია (ასე ეწოდებოდა მაშინ ბოლივიას) შევიდა პერუს ვიცე-სამეფოს შემადგენლობაში. 1825 წელს ზემო პერუმ დამოუკიდებლობა გამო-

აცხადა და ბოლივიის სახელწოდება მიიღო. **ქვეყანას სახელი ესპანელთა წინააღმდეგ გამოჩენილი მებრძოლის – სიმონ ბოლივარის პატივსაცემად ეწოდა.**

XX საუკუნის შუა ხანებში ბოლივიის მოსახლეობის 53%-ს ინდიელები შეადგენდნენ, ინდომეტისები (ბოლივიაში მათ ჩოლოს უწოდებენ) – 33%-ს, თეთრები – 15%-ს. *ბოლივიის ინდიელები უმეტესწილად კეჩუას ხალხს მიეკუთვნებიან. აქვე ცხოვრობს აიმარას ხალხის ძირითადი მასა. დანარჩენი, 60-ზე მეტი ტომი, ინდიელთა სხვადასხვა ენათა ოჯახებს მიეკუთვნება. „ტეის ინდიელები“, რომლებიც თხუთმეტ ენათა ოჯახს მიეკუთვნებიან, დაახლოებით 100 ათასი კაცის ფარგლებში არიან. იმავე XX საუკუნის შუა ხანების მონაცემებით ბოლივიაში ესპანურ ენაზე მოსახლეობის 36% ლაპარაკობდა, კეჩუას ენაზე – 37%, აიმარას ენაზე – 25%. კეჩუას ხალხი, გარდა ბოლივიისა, პერუში, ეკვადორში, არგენტინასა და ჩილეშიც ცხოვრობს. აქ ისინი ყველაზე მეტნი (1,8 მილიონი) არიან. ძირითადად ცხოვრობენ ქვეყნის სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში. აიმარელები მკვიდრობენ აგრეთვე პერუში, არგენტინასა და ჩილეში. ბოლივიელი აიმარელები 1,2 მილიონის ფარგლებში არიან და ისინი აქ ამ ეთნოსის საერთო რაოდენობის 60%-ს შეადგენენ.*

ბოლივიის ინდიელთა ყოველდღიური ცხოვრება და მატერიალური კულტურა თითქმის არ განსხვავდება ძველ ინდიელთა ტრადიციული ყოფისაგან. როგორც კეჩუას, ისე აიმარას შემორჩენილი აქვს თავიანთი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ეთნიკური თავისებურებები და განსაკუთრებული მიდრეკილება მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მიმართ. მათი ძირითადი საკვები კარტოფილია. **ესპანელთა მოსვლამდე ბოლივიის ტერიტორიაზე კარტოფილის 240 სახეობა ჰქონდათ გამოყვანილი. აქ შეიძლება ვნახოთ შავი, წითელი, იისფერი, თეთრი, ყვითელი კარტოფილი.**

ბოლივიელთა სულიერ კულტურაში XVI-XVIII საუკუნეებში ესპანიზმი იყო გაბატონებული. XX საუკუნიდან კი დაიწყო ქვეყნის ძველი წარსულისადმი ინტერესი – ინდუანიზმი ბოლივიური კულტურის მთავარ მიმართულებად იქცა. ორიგინალობა შეინარჩუნა ბოლივიელთა მუსიკამ. ისინი კვლავ იყენებენ ისტორიულ სასულე და დასარტყმელ ინსტრუმენტებს. სოფლებში თუ ინდიელთა მუსიკაა გაბატონებული, ქალაქებში კრეოლთა მუსიკა, სიმღერები და ცეკვებია პოპულარული. ბოლივიელ ინდიელთა საცეკვაო ხელოვნება სხვადასხვა ტიპისაა. ზოგიერთი მათგანი კოლუმბამდელი ამერიკის ტოტემური და რიტუალური ცეკვების ამსახველია. რამდენიმე კი ისტორიულ მოვლენებსაც ასახავს. პოპულარულია კარნავალები. საკარნავალო ნიღბებს რამდენიმე სოფელში დღესაც აკეთებენ.

ევროპული და შერეული წარმომავლობის ბოლივიელები ძალიან ჰგვანან თეთრ პერუელებსა და ეკვადორელებს, მაგრამ მათ აქვთ ერთი თავისებურება. თეთრი ბოლივიელები მკვეთრად განსხვავდებიან სხვებისაგან. უპირველეს ყოვლისა, ეს განსხვავება იმაში გამოიხატება, რომ თეთრ ბოლივიელთა უმეტესობამ ორი და, ზოგჯერ, სამი ენაც იცის. ბოლივიელმა კრეოლებმა იციან ეკუაასა და აიმარას ენებიც. ბოლივიელთა ესპანურ ენაში ინდიელთა ენების ლექსიკური ერთეულები მნიშვნელოვანი რაოდენობითაა შესული.

2.22. ვენესუელელები

ვენესუელელი ხალხი სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ვენესუელას სახელმწიფოში ცხოვრობს. ვენესუელაში მათი რაოდენობა 21 მილიონ 700 ათასია. 1975 წელს ვენესუელის მოსახლეობა 12 მილიონი იყო, 1920 წელს – 2,4 მილიონი, 1823 წელს – 766 ათასი კაცი. მოსახლეობის მატება განპირობებული იყო როგორც ბუნებრივი, ისე მექანიკური მატებით. ეთნონიმი „ვენესუელელები“ მომდინარეობს ქვეყნის სახელწოდებიდან – ვენესუელა, რაც ესპანურად პატარა ვენეციას ნიშნავს. ეს სახელი მას წარმოშობით იტალიელმა ამერიგო ვესპუჩიმ უწოდა, რომელიც ესპანელთა ექსპედიციას ხელმძღვანელობდა. ვენესუელის სანაპიროზე ინდიელთა ქოხები ერთმანეთთან პატარა ხიდებით იყო დაკავშირებული, რამაც მას ვენეციის ასოციაცია შეუქმნა. ვენესუელელთა დაახლოებით 80% მეტისი, მულატი და სამბოა, 15% – კრეოლია და 5% – ზანგი. ლაპარაკობენ ესპანური ენის ლათინურამერიკულ ვარიანტზე. ვენესუელელები ძირითადად კათოლიკეები არიან; გვხვდებიან პროტესტანტებიც (ანგლიკანები, რეფორმისტები) და მორმონებიც. ვენესუელის თანამედროვე მოსახლეობის ეთნორასობრივი ფორმირება მიმდინარეობდა ესპანელების, ბასკების, ინდიელი აბორიგინებისა და ზანგების შერევით. ვენესუელის ტერიტორიაზე პირველი ევროპელები – ესპანელი კონკისტადორები 1499 წელს გამოჩნდნენ. ესპანელთა დაპყრობების დროს ვენესუელის ტერიტორიაზე პირველყოფილი საზოგადოების დონეზე მდგომი სხვადასხვა ადგილობრივი ტომები ცხოვრობდნენ, რომლებიც ძირითადად მონადირეობას, მეთევზეობას და შემგროვებლობას მისდევდნენ. მათი ხისა და ძვლის შრომის იარაღები პრიმიტიული იყო. არ გააჩნდათ ტომთაშორისი პოლიტიკური ორგანიზაციის არანაირი ფორმა.

ევროპელ კოლონიზატორებს ადგილობრივი მოსახლეობა თავდაპირველად დიდ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ თანდათან ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მათ ხელში გადავიდა. ევროპე-

ლებმა XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მიწათმოქმედებას მიჰყვეს ხელი. ევროპიდან მოტანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გარდა, მათ ადგილობრივი კულტურების – შაქრის ლერწმის და ინდიგოს მოყვანაც დაიწყეს, რომლებიც XVI და XVII საუკუნეებში კოლონიის ძირითად კულტურებად იქცა.

კონკისტადორები და პირველი ესპანელი მოსახლეები, ჩვეულებრივ, ევროპელი ქალების გარეშე მოდიოდნენ და ამის გამო ცოლებად ადგილობრივ, ინდიელ ქალებს ირთავდნენ. მათი შთამომავალი მეტისები კი ევროპელთა მიერ შემოტანილი დავადებების მიმართ უფრო მეტი იმუნიტეტით გამოირჩეოდნენ. XVI საუკუნის ბოლოდან XIX საუკუნის დასაწყისამდე შაქრის ლერწმის, ინდიგოს, თამბაქოს პლანტაციებში სამუშაოდ მრავალი მონა-ზანგიც შემოიყვანეს. მოსახლეობის სხვადასხვა რასობრივი ტიპების შერევამ გამოიწვია აგრეთვე მულატებისა და სამბოს გაჩენა.

სამი საუკუნის განმავლობაში ვენესუელა ესპანეთის კოლონია იყო. ვენესუელის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა თითქმის ათწელს გაგრძელდა და 1821 წელს ის ესპანელთა გაძევებით დამთავრდა. აჯანყების მეთაური სიმონ ბოლივარი (1773-1830) დიდი კოლუმბიის პრეზიდენტი გახდა, რომლის შემადგენლობაში ვენესუელაც შედიოდა. ბოლივარის სიკვდილის შემდეგ დიდი კოლუმბია დაიშალა და ვენესუელა დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა.

ვენესუელელთა ნაცია სხვადასხვა ეთნიკური და რასობრივი ჯგუფების შერევის შედეგადაა ჩამოყალიბებული. ესენი იყვნენ: ესპანელები, ბასკები, ინდიელები და ზანგები. XX საუკუნის 50-იან წლებში მათ ასეულობით ათასი ევროპელი იმიგრანტი (ესპანეთიდან, იტალიიდან, პორტუგალიიდან) დაემატა. მიუხედავად იმისა, რომ ზანგებმა გარკვეული როლი ითამაშეს ვენესუელელი ერის ფორმირებაში, საერთო ჯამში ქვეყნის მოსახლეობაში ზანგური მინარევი შედარებით ნაკლებია, ვიდრე კუბასა და ბრაზილიაში.

ვენესუელელთა ეთნოსი XX საუკუნის დასაწყისისათვის ჩამოყალიბდა. ვენესუელა ლათინური ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე მეტისირებული ქვეყანაა.

ვენესუელელთა 1/5-ზე ნაკლები სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. მათი ძირითადი საკვებია სიმინდი. კოლონიური პერიოდის განმავლობაში ვენესუელიდან ძირითადად ინდიგო და შაქარი გაჰქონდათ, XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში – ყავა და კაკაო, მაგრამ XX საუკუნის 20-იანი წლებში აქ „ნავთობის ბუმი“ დაიწყო. მას შემდეგ ვენესუელა „შავი ოქროს“ ერთ-ერთ მსხვილ მწარმოებლად იქცა. ვენესუელაში მოჰყავთ აგრეთვე ბამბა, თამბაქო, სიმინდი,

ბრინჯი, კარტოფილი, ბანანი, პარკოსანი კულტურები, არახისი, ბოსტნეული, ხილი.

ესპანელებმა ვენესუელაში თან მოიტანეს ენა, წეს-ჩვეულებები, რელიგია, არქიტექტურა. ქვეყანაში ესპანური კულტურის გავლენა ძალზე დიდია (ქალაქების სახელწოდებები და იერ-სახე, მუსიკა, სანახაობა), მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ინდიელთა და ზანგთა კულტურული პლასტებიც. ეს განსაკუთრებით ითქმის საჭმლის დამზადების წესებზე. ვენესუელელი გლეხები დღემდე იყენებენ თევზის ჭერის, ნადირობის ინდიელთა მეთოდებს.

ვენესუელელთა ესპანურ ენაზე ინდიელთა ენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა და არა მხოლოდ ლექსიკაზე, არამედ ფონეტიკასა და სინტაქსზეც. მასში დაახლოებით 3 ათასს ადგილობრივი სიტყვას ითვლიან. ფრიად საგრძნობია ინდიელთა გავლენა ვენესუელის ხალხურ ხელოვნებასა და ზეპირ ხალხურ შემოქმედებაზე. ძალზე პოპულარული ხალხური ცეკვა „მარ-მარე“ ინდიელთა ძველი რიტუალური ცეკვიდან მომდინარეობს, რომელსაც ღვთაებების – იაგუარის და მთვარის პატივსაცემად ასრულებდნენ. ადგილობრივი წარმოშობისაა სხვა პოპულარული ცეკვაც – „ტურე“.

ფოლკლორში და აგრეთვე დღესასწაულების (მათ შორის რელიგიური დღესასწაულების) აღნიშვნისას ესპანურის გვერდით შესამჩნევია ინდიელთა და აფრიკელთა კულტურის გავლენა. ვენესუელაში პოპულარულია ხარებისა და მამლების ბრძოლა.

2.23. ბრაზილიელები

ბრაზილიელები სამხრეთ ამერიკაში, ბრაზილიის სახელმწიფოში, ცხოვრობენ. ბრაზილიის ტერიტორიას სამხრეთ ამერიკის მატერიკის თითქმის ნახევარი უჭირავს. სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან ბრაზილიას სახმელეთო საზღვარი მხოლოდ ეკვადორსა და ჩილესთან არა აქვს. აღმოსავლეთით მას ატლანტის ოკეანე აკრავს.

ბრაზილიელთა თვითსახელწოდებაა **ბრაზილიენუშ**. 1996 წლის მონაცემებით მათი საერთო რაოდენობა 163 მილიონ კაცზე მეტია. **ქვეყნის სახელწოდება – ბრაზილია ძვირფასი ხის ჯიშისაგან „პაუბრაზილ“ მომდინარეობს.** (პორტუგალიელებმა თავდაპირველად ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები ბრაზილიაში ვერ აღმოაჩინეს. ყველაზე ძვირფასი კი წითელი ხე – პაუ-ბრაზილი იყო. ხე ძვირფას საღებავს შეიცავდა). ცხოვრობენ აგრეთვე პარაგვაიში, არგენტინაში და სხვ. ევროპული წარმოშობის ბრაზილიელები მთელი მოსახლეობის 50%-ს შეადგენენ, მეტისები და მულატები 20%-ის ფარგლებში არიან, ზანგებისა და ინდიელების რაოდენობა – 30%-ია. ბრაზილიელები

პორტუგალიური ენის ბრაზილიურ დიალექტზე ლაპარაკობენ. ბრაზილიელთა პორტუგალიურ ენაზე დიდი გავლენა მოახდინა ინდიელთა ადგილობრივმა ენებმა, ძირითადად ტუპი-გუარანიმ, აგრეთვე აფრიკელი მონა-ზანგების მრავალრიცხოვანმა ენებმა. ბრაზილიელთა პორტუგალიურ მეტყველებაში სამი დიალექტი გამოიყოფა: ჩრდილოური, ჩრდილო-აღმოსავლური და სამხრეთული. გავრცელებულია ესპანური ენაც. მეტისებისა და ინდიელების ნაწილი ლინგუა ჟენერალზე, ე.წ. საერთო ენაზე, ლაპარაკობს, რომელიც ინდიელთა ტუპი-გუარანის ენის საფუძველზე წარმოიქმნა. ზანგთა ზოგიერთი ჯგუფი აფრიკულ ენებზე მეტყველებს.

ბრაზილიელთა დაახლოებით 90% კათოლიკეა, დანარჩენები – პროტესტანტები (ბაპტისტები, მეთოდისტები) არიან.

დღეისათვის ბრაზილიელებმა კონსოლიდაციის მნიშვნელოვან ხარისხს მიაღწიეს, თუმცა ბრაზილიურ ნაციაში შედიან ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც მასში არ გათქვეფილან. ეს ჯგუფები მის სტრუქტურულ ელემენტებს წარმოადგენენ (ესენი არიან: ინდიელთა ზოგიერთი ჯგუფი, ევროპელი ემიგრანტები და იაპონელები). ბრაზილიელთა ეს ნაწილი ორმაგი ეთნიკური თვითშეგნების მატარებელია.

ბრაზილია პორტუგალიის კოლონია იყო. ამ ქვეყნის ტერიტორიის კოლონიზაცია პორტუგალიელებმა XVI საუკუნის დასაწყისში დაიწყეს. კაბრალის აღმოჩენის შემდეგ, კოლონიზაციის დროს, პორტუგალიელებს ბრაზილიაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობა დახვდა, ესენი იყვნენ ინდიელები – ბრაზილიის მკვიდრი მოსახლეობა. ინდიელები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მეურნეობის ტიპით, სოციალური ორგანიზაციით, ენითა და ტრადიციებით. ინდიელთა სხვდასხვა ტომები გვაროვნული წყობილების საფეხურზე იმყოფებოდნენ, ანდა სოციალურ ურთიერთობებში გვაროვნული ურთიერთობების ბევრი გადმონაშთი დომინირებდა. ინდიელთა ძირითადი ნაწილი თემებად ცხოვრობდა, რომლებიც გვაროვნული ურთიერთობებიდან სამეზობლო ურთიერთობებზე გადადიოდნენ. მიწა, ტყე, სანადირო და სათევზაო ადგილები თემის კოლექტიურ საკუთრებაში იყო. XVI საუკუნეში ინდიელთა სოფელი რამდენიმე დიდი სახლის ერთობლიობას წამოადგენდა. თითოეულში კი 15-დან 70-მდე ოჯახი ცხოვრობდა. ინდიელთა ძირითად რელიგიურ მსოფლმხედველობას ანიმიზმი წარმოადგენდა. მიაჩნდათ, რომ გარდაცვლილთა სულები ცხოველებში გადასახლდებოდნენ. ბავშვის ავი სულებისაგან დაცვის მიზნით, მას, ჩვეულებრივ, ორ სახელს არქმევდნენ, რომელთაგან ერთი ცხოველის აღმნიშვნელი იყო. მფარველ ცხოველთა პატივსაცემად განსაზღვრულ დღეებში აწყობდნენ ცეკვებს, შელოცვებს. სულებსა და ადამიანებს შორის შუამავლებად კი შამანები მიაჩნდათ.

პორტუგალიელები ყოველ დონეს ხმარობდნენ ინდიელები მონებად ექციათ, ამიტომ ბრაზილიის ინდიელებს ან თავი უნდა დაეცვათ, ან ქვეყნის სიღრმეში გადაენაცვლათ.

იმის გამო, რომ ბრაზილიის აღმონების შემდეგ (1500 წლის 22 აპრილი) პირველ ათწლეულებში, მეტროპოლიიდან ქალები იშვიათად გადმოსახლდებოდნენ ხოლმე, კოლონისტებისა და ინდიელი ქალების ქორწინება ძალიან ხშირი იყო. პორტუგალიელებისა და ინდიელების შთამომავლებმა ბრაზილიაში **მამელუკოს** სახელწოდება მიიღეს.

ბრაზილიის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე დიდი გავლენა მოახდინა შაქრის ლერწმის პლანტაციების დასამუშავებლად აფრიკიდან მონების შემოყვანამ. ზანგებმა თავისი კულტურითა და წეს-ჩვეულებებით პორტუგალიელებსა და ინდიელებთან ერთად დიდი როლი ითამაშეს ბრაზილიელი ხალხის ფორმირებაში. ამრიგად, *ბრაზილიის თანამედროვე მოსახლეობა წარმოიქმნა პორტუგალიელების, ინდიელებისა და ზანგების შერევის შედეგად. ბრაზილიაში მეტისაცია და კულტურული ურთიერთობის კვალი უფრო აშკარა იყო, ვიდრე სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებში.*

პირველი ოთხი ათასი მონა ზანგი ბრაზილიაში 1517 წელს შემოიყვანეს. ქვეყნის კოლონიზაცია ფაქტობრივად 1530 წლიდან დაიწყო. ამ დროს **მარტინ ალფონსო დე სოუზას** ექსპედიციამ 400 კოლონისტი შემოიყვანა, რომლებმაც თან მოიყვანეს საქონელი, მოიტანეს შაქრის ლერწმის თესლი. შაქრის ლერწამი მალე ძირითად კულტურად იქცა. სოუზას ექსპედიციის შემდეგ საბოლოოდ დადგინდა საზღვრები სამხრეთ ამერიკაში პორტუგალიურ და ესპანურ სამფლობელოებს შორის. 1600-დან 1750 წლამდე მხოლოდ შაქრის წარმოებისათვის შემოყვანილი ზანგების რაოდენობა 350 ათასი იყო. საერთოდ, ზანგების რაოდენობა 3 მილიონ 300 ათასია. ისინი ძირითადად დასავლეთ აფრიკიდან მოჰყავდათ. პლანტაციებში მონების მკაცრი ექსპლუატაცია მათ ტყვეებში გაქცევას იწვევდა. 1630 წელს ასეთმა მონა-ზანგებმა პალმეირასის რესპუბლიკაც კი დააარსეს, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტხანს (1630-1697) იარსება. 1694 წელს მის გასანადგურებლად სპეციალური არმია შეიქმნა. პალმეირასის დამცველები ბოლომდე იბრძოდნენ. როდესაც წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა, ცოცხლად დარჩენილებმა ტყვეობას სიკვდილი არჩიეს და კლდეზე გადაიჩეხნენ.

პირველ ხანებში ბრაზილიის დასახლება პორტუგალიელებით ნელა მიმდინარეობდა. 1648 წლის მონაცემებით აქ პორტუგალიაში დაბადებული 3 ათასი კაცი იყო. როგორც წესი, ბრაზილიაში გადმოსახლებულ პორტუგალიელთა შორის გლეხები არ იყვნენ. პორტუ-

გალია ამ დროს თვითონ განიცდიდა სამუშაო ძალის უკმარისობას. ბრაზილიაში გადმოსახლებულები ძირითადად გაკორტრებული მექანიკელები და სამხედროები იყვნენ. დიდი რაოდენობით გვხვდებოდნენ ვაჭრები, რომლებმაც მთელ ბრაზილიაში იგდეს ხელთ ვაჭრობა, მაგრამ პორტუგალიელები დიდხანს არ რჩებოდნენ აქ. ბრაზილიაში პორტუგალიელთა ის ნაწილი დარჩა, რომელმაც სოლიდური თანხა დააგროვა, შეიძინა შაქრის პლანტაციები და ასეულობით მონაზანგი იყიდა. ესენი იყვნენ **სენიორები – ენჯენიო**, რომლებიც ადგილობრივ ზედაფენას ჩაუდგნენ სათავეში.

1698 და 1729 წლებში მინას-ჟერაისის პროვინციაში ოქრო და ალმასი აღმოაჩინეს, რამაც მოსახლეობის დიდი მიგრაცია გამოიწვია. 25 წლის შემდეგ ამ პროვინციაში უკვე ბრაზილიის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობდა. XVIII საუკუნის ბოლოს ოქროსა და ალმასზე ფასების დაცემის შემდეგ, ბრაზილიის ეკონომიკაში წამყვანი კვლავ მიწათმოქმედება იქცა, კერძოდ, შაქრის ლერწამი, ბამბა, თამბაქო და ყავა.

პორტუგალიელებმა ბრაზილიაში თავიანთი წეს-ჩვეულებები მოიტანეს, რაც განსაკუთრებით გამოკვეთილად ქალაქებში ჩანდა. ბრაზილიის ოფიციალურ ენად პორტუგალიური იქცა, მაგრამ მალე სხვა გადმოსახლებულთა გავლენით ბრაზილიური წეს-ჩვეულებები მეტროპოლიელი თანამოქმედების წეს-ჩვეულებებისაგან განსხვავდებოდა. პორტუგალიური ენის ლექსიკური შემადგენლობა შეიცვალა ტუპი-გუარანისა და აფრიკული მეტყველების გავლენით. ქვეყანაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში უპირატესობა ჰქონდა ლინგუაჟენერალს. XVIII საუკუნის დასაწყისამდე ტუპის ენა უფრო იყო გავრცელებული, ვიდრე პორტუგალიური.

ბრაზილიაში მეტისებს უწოდებენ არა მხოლოდ ინდიელთა და თეთრი ადამიანების შთამომავლებს, როგორც ეს ესპანეთის ამერიკაშია, არამედ ყველას, ვინც შერეული ქორწინების შედეგად დაიბადა. 1810 წელს თუ მეტისები ბრაზილიის მთელი მოსახლეობის 19%-ს შეადგენდნენ, ერთი საუკუნის შემდეგ (1910 წლისათვის) მათმა პროცენტულმა რაოდენობამ 60-ს გადააჭარბა.

1822 წლის 7 სექტემბერს გამოცხადდა ბრაზილიის დამოუკიდებლობა. პორტუგალიამ ქვეყნის დამოუკიდებლობა მხოლოდ 1825 წელს ცნო. 1888 წელს მონობის გაუქმებამ, 1889 წელს ბრაზილიის რესპუბლიკის გამოცხადებამ და მრეწველობის განვითარებამ ბრაზილიელთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი დააჩქარა, რაც განსაკუთრებით XX საუკუნის 20-40-იან წლებში გაძლიერდა.

მონობის გაუქმებამ ბრაზილიაში ევროპელ ემიგრანტთა ნაკადის მკვეთრი ზრდა გამოიწვია. 1891 წლიდან 1900 წლამდე ბრაზილიაში

დაახლოებით 1,1 მილიონი მიგრანტი მოვიდა იტალიიდან, პორტუგალიიდან, ესპანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. 1900-1930 წლებში ამავე ქვეყნებიდან მიგრირებულთა რაოდენობას 2,5 მილიონით განსაზღვრავენ. გადმოსახლებულთა ეს ნაკადი ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ შტატებში მკვიდრდებოდა; ამათგან თითქმის ნახევარი სან-პაულუს შტატში დასახლდა.

მოსახლეობის შემადგენლობა სხვადასხვა რაიონის მიხედვით განსხვავებულია. ასე მაგალითად, ჩრდილოეთსა და დასავლეთ ბრაზილიაში ინდიელი და პორტუგალიელი მამაკაცებისა და ინდიელი ქალების ნაწვარი მეტისების შთამომავლები ჭარბობენ, ჩრდილო-აღმოსავლეთში აფრიკული ეთნიკური პლასტი პრევალირებს, სამხრეთში – ევროპული. მიუხედავად ამისა, ბრაზილიის ყველა მხარეში ნარევი მოსახლეობა ჭარბობს. ბევრ ბრაზილიელში, რომლებიც თეთრების შთამომავლებად თვლიან თავს, აშკარად შეიმჩნევა მონღოლოიდური და ნეგროიდული მინარევი. სუფთა ევროპეიდული ტიპი შედარებით იშვიათად გვხვდება. სუფთა ევროპელთა შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფები ძირითადად დიდ ქალაქებსა და, უფრო მეტად, სამხრეთის სამრეწველო ქალაქებში ცხოვრობენ.

პორტუგალიელებმა ბრაზილიაში თან მოიტანეს თავიანთი წესჩვეულებები, ენა, რელიგია, არქიტექტურა. პორტუგალიურმა კულტურულმა ტრადიციებმა დიდი გავლენა მოახდინა ბრაზილიური მხატვრული ლიტერატურის, მუსიკის განვითარებაზე. ამიტომ ბრაზილიური ნაციონალური კულტურა პორტუგალიურის, ინდიელთა და აფრიკელთა კულტურების შენადნობია. ასწლეულების განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარეობდა მათი ურთიერთშედწევა და ხარისხობრივად ახალი, თავისი ხასიათით შერეული კულტურის ჩამოყალიბება. ინდიელთა და აფრიკელთა გავლენა ბრაზილიური ნაციონალური კულტურის განვითარებაზე ძალიან დიდია.

ინდიელებმა პორტუგალიელებისაგან არაერთი შრომითი წესჩვეულება, ახალი კულტურული მცენარეები (მარცვლეული კულტურები), შინაური ცხოველები (ცხენი), ენა, რელიგია შეითვისეს. პორტუგალიელებმა ინდიელებისაგან საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ადგილობრივი სამიწათმოქმედო კულტურები, ლეგენდები, ცეკვები, ხალხური რწმენა-წარმოდგენები გაიცნეს. სოფლის მეურნეობაში დღესაც ინდიელთა მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას იყენებენ. ბრაზილიურ კულინარიაში ფართოდ იყენებენ ინდიელთა რეცეპტებს. მაგალითად, ბრაზილიელებს ძალიან უყვართ ინდიელთა თევზის კერძი – „მუკუმი“, რომელსაც სოუსის, მანიოკის და მაისის (სიმინდის) დანამატით ამზადებენ. ევროპელებმა ინდიელებისაგან შეისწავლეს ყველანაირი დგამ-ავეჯის დაწვნა, მაგალითად, ჰამაკების,

საგებლებს. სოფლის მცხოვრებთ **სახლების შესასვლელებში ხშირად მიმაგრებული აქვთ გადაჯვარედინებული დანები, რაც, მათი წარმოდგენით, ავი ძალებისაგან დაცვის საშუალებაა**, მაგრამ დღეს ქვეყნის მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა არც კი იცის საიდან მომდინარეობს ესა თუ ის წეს-ჩვეულება. განსაკუთრებით ეს ბრაზილიელთა სულიერი კულტურის შესახებ შეიძლება ითქვას.

ბრაზილიის ზოგიერთ ოლქში დღესაც რელიგიური სინკრეტიზშია შემორჩენილი. ქრისტიანული და ინდიელთა წარმართული რიტუალები ხშირად ერთმანეთის გვერდით სრულდება. მაგალითად შეიძლება ქორწინება დავასახელოთ. ოფიციალურად ჯვრისწერა ეკლესიაში ფორმდება. დღესასწაულში იწვევენ გრძნეულს, რომელიც ავი თვალისა და ავი სულებისაგან იცავს. ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული, რომ თავდაპირველი მნიშვნელობით ინდიელთა არც ერთი ტრადიცია და წეს-ჩვეულება არაა შემორჩენილი.

ბრაზილიელებში ფართოდ არის გავრცელებული „ინდიელთა სიმღერების ციკლი“, ლეგენდები, მითები, ცეკვები. თავისებურ ცეკვაში „საპატეალო“ ერთმანეთში გადაჯაჭვულია პორტუგალიური და ინდიელთა ტრადიციები. **ბრაზილიელთა საყვარელი გასართობებია დღესასწაულები და კარნავალები. კარნავალებში თითქმის ქვეყნის მთელი მოსახლეობა მონაწილეობს.** კარნავალებსა და ხალხურ თეატრალურ წარმოდგენებში ნათლად არის გამოვლენილი ზანგებისა და მულატების მუსიკალური თვითმყოფადობა. ბრაზილიელებმა კარნავალების მოწყობა ევროპელებისაგან ისწავლეს, მაგრამ ახალ პირობებში ის ვერსაცნობი გახდა და შეიცვალა აფრიკული წარმოშობის სიუჟეტებით, ზანგური მუსიკებით, ნიღბებით, ინსტრუმენტებით და აგრეთვე ინდიელთა წარმართული კულტების ელემენტებით. **კარნავალებზე ყველაზე პოპულარულია ცეკვა „სამბა“.** „სამბას“ რამდენიმე ნაირსახეობა არსებობს, მათ შორის, „სამბა ბატატა“ და „სამბა მატუტო“. ამ უკანასკნელში ასახულია შაქრის ღერწმის მოსავლის აღება. ის წრეში სრულდება და მას თან გუნდური სიმღერა ახლავს. „სამბა მატუტოში“ გაქცეული მონა-ზანგებისა და მათი მღვერების შებმის დრამატული მომენტია ასახული. კოლონიურ პერიოდში ჩასახულმა ცეკვებმა დღემდე უცვლელი სახით მოაღწია. ცეკვების განსაკუთრებულ ჯგუფს მაგიური ცეკვები შეადგენენ. ამ მხრივ **აღსანიშნავია „წყლის დედის“ ღვთაებისადმი მიძღვნილი რიტუალი.** დღესასწაულის დროს – იანვრის პირველ კვირას ნავით ზღვაში შესაწირს სწირავენ, თან რიტუალურ სიმღერებს ასრულებენ. შემდეგ, ღვთაების თანდასწრებით, წყალში განიბანებიან, საღამოთი კი წყლის დედის პატივსაცემად ტრადიციულ აფრიკულ კოსტიუმებში გამოწყობილები ცეკვავენ.

2.24. არგენტინელები

არგენტინელები არგენტინის სახელმწიფოს მკვიდრნი არიან. ქვეყნის სახელწოდება მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან არგენტუმ – „ვერცხლი“. არგენტინაში მათი რაოდენობა 36 მილიონზე მეტია. ისინი ცხოვრობენ აგრეთვე პარაგვაიში, ურუგვაიში, ჩილეში, აშშ-სა და მექსიკაში. ლაპარაკობენ ესპანური ენის არგენტინულ დიალექტზე. არგენტინაში არიან ორენოვანი ჯგუფებიც. არგენტინელები კათოლიკეები არიან.

სამხრეთ ამერიკაში არგენტინა სიდიდით მეორე ქვეყანაა. მისი ტერიტორიის ფართობი 2,8 მილიონ კვ. კმ-ს შეადგენს. როგორც კლიმატური, ისე გეოგრაფიული პირობების მიხედვით არგენტინა ხუთ ძირითად რაიონად იყოფა. ქვეყანა 22 პროვინციისა და ერთი ფედერალური (დედაქალაქის) ოკრუგისაგან შედგება. ყველაზე მეტად დასახლებულია ძველი რაიონები, რომლებიც ესპანური კოლონიზაციის ქვეშ იმყოფებოდა. პამპა ქვეყნის ფართობის მხოლოდ 22%-ს შეადგენს და მასში მოსახლეობის დაახლოებით 70% ცხოვრობს.

ესპანელთა მოსვლამდე თანამედროვე არგენტინის ტერიტორია მრავალი ტომით იყო დასახლებული, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ და საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. ეს ტომები მრავალრიცხოვნობით არ გამოირჩეოდნენ. ჩრდილო-დასავლეთში ბინადრობდნენ **დიალიტები** და **კენუანელები**, რომლებიც განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგნენ; ეწოდნენ ბინადარ ცხოვრებას. იცოდნენ ხელოსნობა, აშენებდნენ ხიდებს, გზებს, საირიგაციო ნაგებობებს, რომლებიც ნაწილობრივ დღესაცაა შემორჩენილი. ჩრდილო-აღმოსავლეთში **გუარანის** ეთნოსი მკვიდრობდა, რომლებიც მიწათმოქმედებას მისდევდნენ; აღმოსავლეთში, პამპაში, მომთაბარე ინდიელთა ტომები – **გარუა**, **კერანდი**, **ხეტი** და **პუელჩე** – ბინადრობდნენ. პატაგონიაში დასახლებული იყვნენ **ტუელჩე** და **ალაკალუფები**, რომლებიც მეზობელ ხალხებთან ტყავებითა და ქსოვილებით ვაჭრობდნენ. ცეცხლოვან მიწაზე **ონასა** და **იამანას** ტომები ბინადრობდნენ. ისინი მონადირეობასა და მეთევზეობას მისდევდნენ. დღეისათვის არგენტინეს 22 პროვინციიდან ინდიელები მხოლოდ 12-ში ცხოვრობენ. ევროპელები არგენტინის მიწაზე პირველად 1516 წელს მოვიდნენ. ეს იყო ექსპედიცია **დე სოლისის** მეთაურობით. ის და მისი თანამგზავრები ინდიელებმა მოკლეს. 1526 წელს აქ მოვიდა **სებასტიან კაბიტი**, რომელიც ესპანეთში დაბრუნდა. 1536 წელს იმ საფრთხის გამო, რომ პორტუგალიელები ახალ მიწებს დაიპყრობდნენ, კარლოს V-ემ **პედრო დე მენდესი** ლა-პლატოს ნაპირებზე ესპანეთის ხელისუფლების განსამტკიცებლად გააგზავნა. პედრო დე მენდესი ახალი მიწის ადელანტადოდ (გუბერნა-

ტორად) დაინიშნა. 1536 წელს მენდესიმ ბუენოს-აირესის სიმაგრე დააარსა, მაგრამ მას ინდიელები არაერთჯერ დაესხნენ თავს და 1541 წელს დაანგრეს კიდეც. ასუნსონას რაიონში კი, საიდანაც ესპანელთა კოლონიზაცია მიმდინარეობდა, შედარებით მშვიდი ინდიელები ცხოვრობდნენ. 1580 წელს ბუენოს-აირესი აღადგინეს. არგენტინის დასახლება ხდებოდა პერუდანაც და ჩილედანაც. ჩილედან გადმოსულებმა რამდენიმე ქალაქი დააარსეს. XVI საუკუნის დასასრულისათვის არგენტინის ტერიტორიაზე ესპანური კოლონიზაციის ორი ცენტრი არსებობდა: ერთი პამპოში, ბუენოს-აირესისა და სანტა-ფეს ირგველივ და მეორე – ანდეების მთისწინეთში. ქვეყნის დანარჩენი ნაწილი ინდიელებით იყო დასახლებული. კოლონია შედარებით ნელა ვითარდებოდა, რადგან ის ესპანეთიდან იმიგრანტების მცირე რაოდენობას იზიდავდა. აქ ძვირფასი ლითონების საბადოები არ იყო.

1766 წელს ჩამოყალიბდა ლა-პლატას ვიცე-სამეფო, რომლის დედაქალაქი ბუენოს-აირესი იყო. პერუს ვიცე-სამეფოდან ახალ ადმინისტრაციულ ერთეულში შევიდა თანამედროვე არგენტინა, ბოლივია, პარაგვაი და ურუგვაი. არგენტინაში (და ურუგვაიშიც) ინდიელები ან გაანადგურეს, ან ესპანელთა დასახლებების ფარგლებს გარეთ განდევნეს. XIX საუკუნის დასაწყისში ის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაიშალა: პარაგვაი, ურუგვაი და არგენტინა ბოლივიასთან ერთად (ბოლივია არგენტინას 1811 წ. გამოეყო). **1816 წ. 9 ივლისს ტუკუმანაში ნაციონალურმა კონგრესმა „ლაპლატის გაერთიანებული პროვინციების“ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1826 წელს ის არგენტინის ფედერაციულ რესპუბლიკად გარდაიქმნა.**

კოლონიურ პერიოდში არგენტინაში წამყვანი მესაქონლეობა იყო და არა მიწათმოქმედება. საგარეო ვაჭრობის ძირითადი საგანი საქონლის ტყავებით ვაჭრობა იყო. ტყავების ძირითადი მიმწოდებლები იყვნენ გაუჩოები – ესპანელი მამაკაცებისა და ინდიელი ქალების შთამომავლები, მაგრამ XIX საუკუნეში მიწათმოქმედების განვითარებამ არგენტინის ეკონომიკის სტრუქტურა საბოლოოდ შეცვალა და გაუჩომ თავისი ადგილი ევროპელ იმიგრანტებს დაუთმო. XIX საუკუნის მეორე ნახევარში არგენტინაში იმიგრაციამ ფართო მასშტაბები მიიღო. იმიგრანტთა დიდ ნაწილს დასაწყისში იტალიელი და ესპანელი გლეხი-მოჯამაგირეები და გაკოტრებული წვრილი მესაკუთრეები წარმოადგენდნენ. 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლებში მენდოსისაკენ რკინიგზის გაყვანამ აქ ჩამოსული ფრანგებისა და იტალიელების (ჩრდილოეთ იტალიელების) ნაკადის გაზრდა გამოიწვია. ესპანელები და იტალიელები უცხოელების 80%-ს შეადგენდნენ. გარდა ამისა, აქ დასახლდნენ ფრანგები, რუსეთის იმპერიიდან – ებრაელები, ლიტველები, უკრაინელები. იმიგრანტები,

ჩვეულებრივ, ჯგუფებად მიემზავრებოდნენ. ისინი სახლდებოდნენ ადგილობრივ და მოსულ მოსახლეობას შორის და ხშირად სხვა ეთნოსების წარმომადგენლებზე ქორწინდებოდნენ. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენდნენ გერმანელები, დანიელები, პოლანდიელები და ებრაელები, რომლებიც ცალკე კოლონიებად ცხოვრობდნენ. ადგილობრივ მოსახლეობას ასევე არ ერეოდნენ ინგლისელები.

არგენტინის ესპანური კოლონიზაცია სამი მიმართულებით მიმდინარეობდა: ჩრდილო-დასავლეთიდან (ბოლივიიდან, პერუდან), დასავლეთიდან (ჩილედან) და ოკეანის მხრიდან. XVIII საუკუნის შუა ხანებში ქვეყანაში დაახლოებით 400 ათასი კაცი ცხოვრობდა. 1800 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების დროს – სულ 500 ათასი. ესპანელთა კოლონიზაციის პერიოდში არგენტინის ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლა ძალიან გაძნელებული იყო. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მცირედ დასახლებული ქვეყნის იმიგრანტებით დასახლება არგენტინის ყველა მთავრობის უმთავრესი საზრუნავი იყო. **ერთ-ერთი პრეზიდენტის საყვარელი ფრაზა ასეთი იყო: „მართვა – ნიშნავს დასახლებას“.**

XIX საუკუნის დასაწყისში არგენტინაში 600 ათასი მცხოვრები იყო. 1869 წლის პირველი აღწერით მოსახლეობა 1 მილიონ 877 ათასამდე გაიზარდა, თანაც ამ დროისათვის უცხოელები მთელი მოსახლეობის 11%-ს შეადგენდნენ. მეორე აღწერის დროს (1895 წ.) მოსახლეობის საერთო რაოდენობა 7 მილიონ 885 ათას კაცს შეადგენდა და უცხოელთა რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი 30% იყო. 1940 წლის დასაწყისში უცხოელები 19%-ს შეადგენდნენ. უცხოელთა რაოდენობის კლება გამოწვეული იყო იმით, რომ არგენტინაში დაბადებული ადამიანი უკვე მის მოქალაქედ ითვლებოდა.

იმიგრანტთა სტატისტიკური აღრიცხვა 1857 წლიდან დაიწყო. ამ დროიდან მოყოლებული 1980 წლამდე ქვეყანაში 6 მილიონზე მეტი იმიგრანტი მოვიდა, თუმცა რეემიგრაციაც ხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, აქ ჩამოსულ უცხოელთაგან ნახევარი მაინც დასახლდა არგენტინაში. რეემიგრანტთა შორის უმეტესობა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სეზონური მუშა იყო, ძირითადად იტალიელები, რომლებსაც **"მერცხლებს"** უწოდებდნენ.

თანამედროვე არგენტინელები ძირითადად იმ ევროპელთა შთამომავლები არიან, რომლებიც აქ XIX–XX საუკუნეებში ემიგრირდნენ. ინდიელთა კენჭუას ტომი მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთის განაპირა მაღალმთიან რაიონებში მოსახლეობს. ინდიელი მოსახლეობა შენარჩუნებულია ჩაკოს ტყეებშიც. ცენტრალურ და სამხრეთ ოლქებში ინდიელები თითქმის მთლიანად გაანადგურეს. 1869 წლის აღწერით

არგენტინაში 93.138 ინდიელი იყო, 1914 წელს – 38.425. 1947 წლის მონაცემებით ნამდვილი ინდიელი იყო 130 ათასი კაცი.

ამრიგად, არგენტინელთა ეთნოსი ჩამოყალიბდა XVI საუკუნეში, ესპანელთა დაპყრობების შემდეგ, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხისაგან. არგენტინაში ესპანელთა კოლონიზაცია ძირითადად ჩილეს, პერუსა და პარაგვაის ტერიტორიებიდან მიმდინარეობდა. ესენი ძირითადად მეტისები იყვნენ. შემდგომ კოლონიის მოსახლეობის ზრდაში უპირატესად ესპანელები, კრეოლები (არგენტინაში დაბადებულ ესპანელთა შთამომავლები), მეტისები, ზანგები და მულატები მონაწილეობდნენ. არგენტინელთა ერთიანი თვითშეგნების ფორმირება 1810-1830 წლებში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ განაპირობა. არგენტინელთა შემდგომ განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედსა და XX საუკუნის დასაწყისში ევროპელთა მასობრივმა ემიგრაციამ. მნიშვნელოვნად გაიზარდა არგენტინის მოსახლეობა – 1,9 მილიონიდან (1869 წლის მონაცემები) 7,9 მილიონამდე (1914 წლის მონაცემები). 1941 წელს ევროპიდან მოსულები მოსახლეობის 30%-ს შეადგენდნენ. იმიგრანტთა 85% მოსული იყო რომანულენოვანი ქვეყნებიდან, ძირითადად იტალიიდან და ესპანეთიდან. იმიგრანტებმა და მათმა შთამომავლებმა შეითვისეს არგენტინელთა ენა, წეს-ჩვეულებები და კულტურა. არგენტინა ლათინური ამერიკის ყველაზე „თეთრი“ ქვეყანაა (ურუგვაისთან ერთად). აქ მეტისები და ინდიელები მოსახლეობის მხოლოდ 2%-ს შეადგენენ. ქვეყანაში საერთოდ არ არიან ზანგები. მეცნიერები ხშირად აღნიშნავენ, რომ არგენტინული ეთნოსი ერთადერთი ეთნოსია ლათინურ ამერიკაში, რომელშიც ევროპის თითქმის ყველა ხალხის წარმომადგენელია შესული. ესპანელების, იტალიელების და ფრანგების გარდა ესენი არიან: ბელგიელები, გერმანელები, შვეიცარიელები, პოლონელები, სამხრეთ სლავები, ჩეხები, რუსები, ებრაელები. სხვადასხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულებს თან მათთვის დამახასიათებელი შრომითი ჩვევები და ტრადიციები მოჰქონდა: ფრანგები და იტალიელები მეღვინეობას მისდევდნენ, ინგლისელები – მეცხვარეობას. არგენტინელთა ესპანურ ენაში იტალიური, ფრანგული და ინგლისური ენებიდან ბევრი ნასესხობაც გაჩნდა.

მეორე მსოფლიო ომისა და მის მომდევნო წლებში ინდუსტრიულმა აღმავლობამ სასოფლო ზონიდან ქალაქებში, განსაკუთრებით ბუენოს-აირესში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის 1/3 ცხოვრობს, არგენტინელთა მასობრივი მიგრაცია გამოიწვია. ღრმა პროვინციებიდან შიდა მიგრაციულ პროცესებს „კაბესიტას ნეგრასებსა“ (პროვინციელთა მეტსახელი) და „პორტენიოსებს“ (დედაქალაქის მკვიდრებს) შორის მკვეთრი კულტურული განსხვავებულობის წაშლა მოჰყვა.

მხოლოდ 1980-იანი წლებიდან დაიწყო არგენტინელთა უკუქცევა დედაქალაქიდან სხვა ქალაქებში. უკანასკნელ ათწლეულების ეთნოსოციალურ პროცესებზე განსაკუთრებული ზემოქმედება ჰქონდა მეზობელი ქვეყნებიდან მიგრაციებს. არგენტინის პროვინციებიდან მოსულებთან ერთად, სწორედ მეზობელი ქვეყნებიდან მიგრირებულები შეადგენენ ბუენოს-აირესის ღარიბთა კვარტლების ძირითად მოსახლეობას.

არგენტინაში კულტურის ლოკალური ვარიანტები შიდა პროვინციებში მცხოვრებ ინდიელებსა და მეტისს მოსახლეობაშია შემონახული. ამ თვალსაზრისით არგენტინაში რამდენიმე ეთნოგრაფიულ ოლქს გამოყოფენ: ჩრდილო-დასავლეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთი, სადაც ინდიელთა ენებია შემორჩენილი. განსაკუთრებით ხელოსნობის ტრადიციული დარგებია აღსანიშნავი (კერამიკა, დაწნული ჩანთები, კალათები). გაუჩოს საქმიანობასთანაა დაკავშირებული ტყავის დამუშავება, დანების, ცულების, ხანჯლების, სათუთუნეების წარმოება. არგენტინის ეკონომიკა ექსპორტზეა ორიენტირებული. XIX სუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XX სუკუნის დასაწყისში მსოფლიო ბაზრისათვის დიდი როდენობის სასოფლო-სამეურნეო საქონელი იწარმოებოდა; გაჰქონდათ ხორცი, მარცვლეული, მატყლი. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში საქონლის ხორცის ექსპორტით არგენტინას მსოფლიოში პირველი ადგილი ეკავა.

მდიდარია არგენტინელთა, განსაკუთრებით, გაუჩოს ფოლკლორი. შემორჩენილია ტრადიციული კოსტიუმის ელემენტებიც. არგენტინელთათვის დამახასიათებელია აგრეთვე ტრადიციული მუსიკალური ფესტივალები, კარნავალები. ცეკვები და სიმღერები არგენტინელთა საყვარელი სახალხო გასართობი საშუალებებია. განსაკუთრებით პოპულარული იყო **ტანგო**. ხალხში ფართოდაა გავრცელებული ჯგუფური ცეკვები. „გატო“ და „პალომა“ სწრაფ, ენერგიულ და ცოცხალ ტემპში, ხოლო ცნობილი ნაციონალური „პერიკანი“ მუსიკისა და სიმღერის თანხლებით სრულდება. ინდიელთა თემებში კი შემორჩენილია ჯგუფური და რიტუალური ცეკვები. არგენტინელთა მუსიკალური ხელოვნება ძირითადად იტალიური მუსიკის გავლენით ჩამოყალიბდა. არგენტინაში XX საუკუნეშიც ბევრი იყვნენ მოხეტიალე მომღერალი-პოეტები. არგენტინელები არიან მსოფლიოში ცნობილი მწერლები: **ხ. ლ. ბორხესი** (1889-1990) და **ხ. კორტასარი** (1914-1984).

2.25. ჩილელები

ჩილელების (თვითსახელწოდება **ჩილენოს**) ქვეყანა მკვეთრი კონტრასტებით გამოირჩევა. ის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ვიწრო

ზოლადაა გადაჭიმული 4.270 კილომეტრზე, მაშინ, როდესაც სივანე წყნარ ოკეანესა და კორდილიერების მთათა სისტემას შორის 276 კილომეტრს შეადგენს. ქვეყანას სახელწოდება ესპანელმა კონკისტადორებმა მისცეს – **ესპანურად ჩილე „ცხარე მწვანე წიწაკას“ ნიშნავს, რომელიც ადგილობრივ ინდიელებს მოჰყავდათ.**

ჩილელთა საერთო რაოდენობა 14,8 მილიონი კაცია (1957 წ. – 7 მილიონ 121 ათასი). ჩილელები ცხოვრობენ მეზობელ არგენტინასა (200 ათასი) და ამერიკის სხვა ქვეყნებში, აგრეთვე ევროპასა და ავსტრალიაში. ჩილელები ლაპარაკობენ ესპანური ენის ადგილობრივ ვარიანტზე. ჩილელთა ესპანურ ენას რიგი თავისებურებები ახასიათებს როგორც ლექსიკის, ისე ფონეტიკის, მორფოლოგიის და სინტაქსის თვალსაზრისით. ჩილეს ესპანური ენის თავისებურებები განპირობებულია ადგილობრივი ენების, განსაკუთრებით, მაპუჩესა და კეჩუას ზემოქმედებით. ჩილელები კათოლიკეები არიან. პროტესტანტებს შორის ორმოცდაათიანელები ჭარბობენ. მთელი მოსახლეობის 90% ცენტრალურ ჩილეშია თავმოყრილი. ჩილე 25 პროვინციისაგან შედგება. პროვინციები იყოფა დეპარტამენტებად.

ჩილეში ესპანელების მოსვლამდე ინდიელთა სხვადასხვა ტომები ცხოვრობდნენ. ესპანელები ჩილეს ტერიტორიის დაპყრობას პირველად 1535 წელს შეეცადნენ პერუდან, მაგრამ მალე, 1539 წელს, ესპანელებმა ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც ინკების მიერ დაპყრობილი მოსახლეობა ცხოვრობდა, ადვილად დაამყარეს თავიანთი ხელისუფლება. მაგრამ ჩილეს ცენტრალურ რაიონში, რომელიც **არაუკანებით** იყო დასახლებული, ისინი დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. გააფთრებული ბრძოლები არაუკანებთან თითქმის 300 წელს გრძელდებოდა. ერთი ესპანელი გუბერნატორის თქმით, არაუკანიის დაპყრობა ესპანეთს იმდენი დაუჯდა (ფული და ხალხი), რამდენიც მთელი ახალი სამყაროს დამორჩილება და დაპყრობა. ესპანელთა მიერ აგებულ სიმაგრეებსა და ქალაქებს ინდიელები ანგრევდნენ. შუა ჩილეს სამხრეთი ნაწილი XIX საუკუნის ბოლომდე ინდიელთა მიწად რჩებოდა.

ჩილე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ 1818 წლის 1 იანვარს გამოცხადდა. 1879-1883 წლებში ჩილე პერუსა და ბოლივიასთან ომში იყო ჩაბმული. ამ ომის შედეგად ჩილემ როგორც ერთ, ისე მეორე მოწინააღმდეგეს ტერიტორიები დაათმობინა: ანტოფაგასტა – ბოლივიას, ტაპანაკა – პერუს.

ჩილელთა მატერიალური კულტურა ესპანური მატერიალური კულტურისა და ადგილობრივი მოსახლეობის კულტურების შერწყმის შედეგადაა ჩამოყალიბებული. ჩილელი ხალხის კულტურაში, პერუელთა და ბოლივიელთა კულტურებისაგან განსხვავებით, ესპანური

საწყისები უფრო მეტადაა წარმოდგენილი, რასაც ინდიელთა შედარებით მცირერიცხოვნობით და მათი მატრიალური და სულიერი კულტურის შედარებით დაბალი დონით ხსნიან, კენუასა და აიმარას ხალხებთან შედარებით, რომლებიც პერუსა და ბოლივიის ტერიტორიებზე მკვიდრობდნენ. მნახველს ესპანეთს ახსენებს კოლონიური ეპოქის შენობა-ნაგებობები: საცხოვრებელი სახლები და ეკლესიები. სოფლის სახლები სხვადასხვა გეოგრაფიული რაიონების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება ქვისა და აგურის სახლებით დაწყებული და ხისა და მოწნული სახლებით დამთავრებული.

ჩილეში ძალიან პოპულარულია სიმღერები და ცეკვები, განსაკუთრებით ცეკვა – **კუკა**. იგივე შეიძლება ითქვას დეკორატიული ხალხური შემოქმედების შესახებ (კერამიკა, ხის ნაკეთობები, საბნები, ხალიჩები, ლითონის მორთულობანი). საინტერესოა ცხოველთა გამოსახულებიანი კერამიკული ნაწარმი, ხისაგან გაკეთებული სათამაშოები.

ჩილეელი ხალხი ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ერთგვაროვანია. **ჩილეელთა უმეტესობა მეტისია**. თეთრი მოსახლეობა 20%-ს შეადგენს, ინდიელები – 4-5%-ს. XVIII ს-ის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ჩილეში ემიგრირდნენ ბასკები და ფრანგები, რომლებიც თანდათან ჩილელებს შეერივნენ. „ახალი ნაციის გული“ იყო ცენტრალური ჩილე. ძირითადად აქ ჩამოყალიბდა ის მოსახლეობა, რომელმაც ახალი ხალხის ბირთვი შეადგინა. 1843 წელს ესპანურენოვანი მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 1 მილიონ 500 ათასი კაცით განისაზღვრებოდა. ინდიელთა ზემოთ დასახელებული მცირე რაოდენობა კი მათმა განადგურებამ გამოიწვია. ინდიელებთან შეჯახებისას ესპანელები მამაკაცებს კლავდნენ, ქალებს კი მქდავებად აქცევდნენ. ასეთი ურთიერთობის შედეგი მეტისი მოსახლეობის გამრავლება იყო. მეტისების მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი ცხოვრების წესითა და ენით ახლოს იდგა ინდიელებთან.

ჩილეში, ძირითადად ჩრდილოეთში, რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნისას ქრისტიანული ტრადიციები მჭიდროდაა გადაჯაჭვული ინდიელთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან. განსაკუთრებით პოპულარული იყო დღესასწაული ანდაკოლოში, რომელშიც უშუალოდ 2 ათასი კაცი მონაწილეობდა. მონაწილე მოცეკვავეები რამდენიმე ჯგუფად იყოფოდნენ, რომელთაგანაც ყველას თავისი, სხვებისაგან განსხვავებული კოსტიუმი ჰქონდა. მსგავსი დღესასწაულები სხვა რაიონებშიც არსებობდა.

XX საუკუნეში მსოფლიო აღიარებდა მოიპოვეს პოეტებმა, **ნობელის პრემიის ლაურეატებმა გაბრიელ მისტრალმა** (1888-1957) და **პაბლო ნერუდამ** (1904-1973). სხვათა შორის, პაბლო ნერუდას ნობელის

პრემიის მიღებამდე (1971 წელი) ბევრად ადრე, 1950 წელს მიღებული ჰქონდა ლენინური პრემია მშვიდობის დარგში.

ჩილეს დედაქალაქი **სანტიაგო 1541 წელსაა დაარსებული**. ის **წმინდა იაკობის (ესპანურად იაგო იგივე იაკობია) ქალაქს ნიშნავს**. თავდაპირველად სანტიაგო გენერალ-გუბერნატორის რეზიდენცია იყო, 1918 წლიდან – დედაქალაქი. ქალაქში 4,5 მილიონი კაცი ცხოვრობს; ის ძალიან თვალწარმტაცია და მას „პარიზის უმცროს ძმას“ უწოდებენ.

2.26. პარაგვაელები

პარაგვაელები (თვითსახელწოდება **პარაგუაიოს**) სამხრეთ ამერიკის ცენტრალურ ნაწილში მდებარე პარაგუაის სახელმწიფოში მკვიდრობენ. **პარაგუაის სახელწოდება მომდინარეობს პაიგუას ტომის სახელწოდებიდან**, რომელსაც დღევანდელი პარაგუაის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკავა. პარაგვაელები ცხოვრობენ აგრეთვე არგენტინასა და ბრაზილიაში. მათი საერთო რაოდენობა 5 მილიონ 300 ათასი კაცია (1957 წლის მონაცემებით – 1 მილიონ 638 ათასი მცხოვრები). **პარაგვაიში დღეს ესპანურთან ერთად მეორე სახელმწიფო ენად გუარანის ენა გამოცხადებული**, რომელიც ტუპი-გუარანის ენათა ოჯახში შედის. **გუარანის ენაზე მოსახლეობის 90%-ზე მეტი ლაპარაკობს**. გუარანის ენა ესპანურის დიდ გავლენას განიცდის (დაახლოებით 30-40% ესპანურიდან ნასესხობებია). გუარანის ენა ტომთაშორისი ურთიერთობის ფუნქციასაც ასრულებს. მასზე იბეჭდება ლიტერატურა, გამოდის გაზეთები (ორენოვანი), არსებობს რადიოგადაცემები, გუარანი აუცილებელი საგანია დაწყებით სკოლებში. გუარანის ენის დამწერლობა დაფუძნებულია ლათინურ ანბანზე. გუარანის ენაზე პირველი ტექსტები 1607 წელს დაიბეჭდა. დღეს ბევრი პოეტი, მწერალი, დრამატურგი ნაწარმოებებს ამ ენაზე ქმნის. პარაგვაიში ესპანური ენა მოსახლეობის მხოლოდ 50%-მა იცის. პარაგვაელები კათოლიკეები არიან.

პარაგვაელი ერის ბირთვს შეადგენენ ინდიელ-გუარანისა და ესპანელთა ქორწინების შედეგად დაბადებულთა შთამომავალნი, მცირე რაოდენობით – ზანგები. პარაგვაელი ერის ჩამოყალიბება ესპანელ კოლონიზატორებთან ბრძოლისას მიმდინარეობდა. 1811 წლიდან პარაგვაი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 1864-1870 წლებში არგენტინასთან, ბრაზილიასთან და ურუგვაისთან ომში პარაგვაელებმა თავიანთი ტერიტორიის ნახევარი და თითქმის მთელი მამრობითი სქესის მოსახლეობა დაკარგეს (ამ დროს გაწედა მოსახლეობის 75%).

1870 წლიდან პარაგვაიში ესპანეთიდან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან ბევრი იმიგრანტი გადმოსახლდა.

პარაგვაის ტერიტორიაზე ესპანელები პირველად 1527 წელს მოვიდნენ. თავდაპირველად პარაგვაის დაპყრობა და კოლონიზაცია მხოლოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილით შემოისახლდებოდა. გუარანის ინდიელთა წინააღმდეგობა მხოლოდ მრავალრიცხოვანი შეჯახებებისა და ინდიელთა მასობრივი განადგურების შემდეგ დაძლიეს. დასავლეთ პარაგვაის (ჩაკო) ინდიელებს ესპანელები პირველად 1537 წელს შეხვდნენ. 1617 წ. პარაგვაი ლიმის (პერუს) ვიცე-სამეფოს ნაწილად გამოცხადდა. 1774 წელს ის ლიმიდან გამოყოფილ ლა-პლატას ვიცე-სამეფოში შეიყვანეს. **ქვეყნის სამხრეთში კი იეზუიტების ორდენმა დააარსა ე.წ. „ქრისტიანული რესპუბლიკა“.** ფაქტობრივად ეს იყო თეოკრატიული მონათმფლობელური ქვეყანა, რომელმაც საუკუნებახევარზე მეტხანს (XVI საუკუნის ბოლოდან 1768 წლამდე) იარსება. ამ პერიოდში იეზუიტებმა გუარანის ინდიელთა თვითმყოფად კულტურას თითქმის ბოლო მოუდეს და გუარანის ტომიც განადგურების პირას მიიყვანეს. 1767 წელს იეზუიტები ესპანეთიდან ამერიკაში გარეკეს და „ქრისტიანულმა რესპუბლიკამ“ არსებობა შეწყვიტა. 1810 წელს პარაგვაი ლაპლატას გამოეყო. 1811 წელს პარაგვაის დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

თანამედროვე პარაგვაელები ძირითადად გუარანები არიან, რომელთა შორისაც დამპყრობლები და მათი შთამომავლებიც გაითქვიფნენ.

პარაგვაიში, ისევე როგორც ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში, გაბატონებულია კათოლიკური რელიგია. ყველა სოფლისა და ქალაქის ცენტრალურ მოედანზე აგებულია კათოლიკური ეკლესია. პარაგვაის სკოლებში რელიგია აუცილებელი საგანია. ამასთანავე, სოფლის მოსახლეობაში დიდია რწმენა გუარანის პანთეონის სხვადასხვა მითიურ არსებათა სულების შესახებ. გუარანელთა რწმენით ღვთაებათა პანთეონის სათავეში დგას ღვთაება **ტუპანი**, რომელიც სამყაროს განასახიერებს. ის ადამიანებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ტუპას ექვემდებარება მზე, მთვარე და ცა. კუარასი-იარა, რომელიც დედამიწაზე სიცოცხლეს ქმნის, მზეს ასახიერებს. ღვთაება იაგუარა კი, რომელსაც ადამიანის სახე და ხუთი თვალი აქვს, დროს მართავს. იაგუარა ცხოვრების დროსაც აწესებს. ხალხის რწმენით, დადგება დრო, როდესაც იაგუარა ღამის თვალებს საერთოდ აღარ გაახელს, დედამიწაზე ყოველთვის დღე იქნება და აღარასოდეს არავინ მოკვდება.

პარაგვაიში დღემდე არსებობს ბავშვების დანიშვნის ჩვეულება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გოგონები თოთხმეტ წლამდე მამის სახლ-

ში რჩებიან. გუარანები მიიხნევენ, რომ გარდაცვლილი ცდილობს დაუბრუნდეს ადრინდელ ცხოვრებას. მიცვალებულებს ბარგი-ბარხანით, ხაბაკ-ხუბაკით მარხავენ მიწაში. ზოგიერთი ტომი მიცვალებულს პირდაპირ ქოხში მარხავს, რომელსაც მაშინვე ტოვებენ.

პარაგვაიში განვითარებულია მესაქონლეობა, მიწათმოქმედება (ძირითადი სასაქონლო კულტურაა ბამბა), ტყის მეურნეობა. პარაგვაელთა დიდი ნაწილი სოფლებში ცხოვრობს. თითოეული სოფელი დაახლოებით 100 – 130 კომლისაგან შედგება. პარაგვაელებში ძალიან პოპულარულია სიმინდისაგან დამზადებული საჭმელები (ღვეზელი, სიმინდის ფაფა).

პარაგვაელთა კულტურის ფორმირებაზე ინდიელმა გუარანებმა მოახდინეს გავლენა. ესპანელთა მოსვლამდე ეს ხალხი არ ცნობდა არც ბორბაღს, არც სახენელს, არც შინაურ ცხოველების გამწვევ ძალად გამოყენება იცოდნენ; არ იცნობდნენ ლითონს, მაგრამ ისინი იარაღს ხისა და ძვლისაგან დიდი ოსტატობით ამზადებდნენ. ძალიან პოპულარულია თიხის ნაკეთობანი. ტრადიციულია დაწნული ჩანთები, კალათები შავი გეომეტრიული მოხატულობით. ცნობილია პარაგვაული მაქმანიც.

პარაგვაელთა კვების რაციონში, ისევე როგორც სუკუნეების წინ, დიდი ადგილი უკავია **სიმინდს. მისგან იღებენ ალკოჰოლურ სასმელსაც ჩიჩი. ამ სასმელს, ინდიელთა რწმენით, მაგიური ძალა გააჩნია და ის მტრის დამარცხებაშიც ეხმარებოდა მათ.**

ინდიელ გუარანებში განვითარებული იყო მუსიკალური კულტურა. შემორჩენილია სამხედრო და საწესჩვეულებო ცეკვები. კრეოლთა ხალხურ მუსიკაში კი ევროპული მუსიკალური ტრადიციები ჭარბობს.

2.27. ურუგვაელები

ურუგვაელები (თვითსახელწოდება **ურუგუაიოს**) სამხრეთ ამერიკის ყველაზე პატარა სახელმწიფოში – ურუგვაიში ცხოვრობენ. **სახელმწიფომ სახელწოდება მდინარე ურუგვაიდან მიიღო, რომელიც დასავლეთით არგენტინისაგან გამოყოფს.** ურუგვაი ესაზღვრება არგენტინასა და ბრაზილიას. სამხრეთიდან აკრავს ატლანტის ოკეანე. ურუგვაელთა საერთო რაოდენობა 3,2 მილიონი კაცია. ისინი ესპანური ენის ადგილობრივ ვარიანტზე ლაპარაკობენ. ურუგვაელთა ესპანური მეტყველება არგენტინელთა ესპანური ენის ანალოგიურია (ურუგვაელთა და არგენტინელთა მჭიდრო კავშირი კულტურის სფეროებშიც მუდავნდება. მათ იმდენად საერთო ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული და ყოფითი ტრადიციები აქვთ, რომ ურუგვაელსა და არგენტინულ კულტურასა და ყოფას შორის საზღვ-

რის გავლენა პრაქტიკულად შეუძლებელია). ურუგვაელები კათოლიკეები არიან; გვეხდებიან პროტესტანტი-ვალდენსებიც. ურუგვაელთა ეთნიკურ ბირთვს შეადგენენ ესპანელი კოლონისტების (XVI-XVIII სს.) შთამომავალნი და მოგვიანებით (XIX ს-ის შუა ხანები – XX ს-ის პირველი მესამედი) დასავლეთ ევროპიდან გადმოსახლებულები (ესპანელები, იტალიელები, ფრანგები და სხვ.). ურუგვაიში მცირე რაოდენობითაა ადგილობრივი მოსახლეობა (ინდიელი ჩარუა და სხვ.). ისინი თითქმის მთლიანად გაანადგურეს. ინდიელთა მხოლოდ მცირე ნაწილი შეერია ესპანელებს. უმნიშვნელო რაოდენობის მეტი-სი მოსახლეობა თავმოყრილია არგენტინისა და ბრაზილიის მოსაზღვრე რაიონებში. ზანგმა მონებმა, რომლებიც XIX საუკუნეში შემოიყვანეს აქ, უმნიშვნელო როლი ითამაშეს ურუგვაელთა ეთნოსის ფორმირებაში.

ესპანელთა კოლონიზაციამდე ურუგვაის ტერიტორია ინდიელთა ტომებით იყო დასახლებული. ესპანელი კონკისტადორები აქ XVI საუკუნეში გამოჩნდნენ და ის ვრცელ კოლონიურ იმპერიაში შევიდა. მაგრამ, იმის გამო, რომ ქვეყანა ესპანური და პორტუგალიური კოლონიური სამფლობელოების საზღვარზე მდებარეობდა, *ესპანელი და პორტუგალიელი კოლონისტები მას ერთმანეთს ვდავებოდნენ*. 1726 წელს ესპანელებმა საფუძველი ჩაუყარეს ქალაქ მონტევიდეოს (ერთ-ერთი ევრსიით მაგელანის მეზღვაურმა ხომალდიდან მიწის დანახვისთანავე შესძახა: **“Monte vide eu!”** – „*ვხედავ მთას*“ (1828 წლიდან მონტევიდეო ურუგვაის დედაქალაქია). ურუგვაის ტერიტორიისათვის ბრძოლა ესპანელთა გამარჯვებით დამთავრდა. 1750 წელს აღმოსავლეთ სანაპიროზე ესპანელები საბოლოოდ დამკვიდრდნენ.

1776 წელს ურუგვაის ტერიტორია ესპანეთის ვიცე-სამეფოს რიოდელა-პლატას შემადგენლობაში შევიდა, 1778 წელს კი მონტევიდეომ თავისუფალი ვაჭრობის უფლება მიიღო, რასაც ეკონომიკური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ ქალაქისათვის, არამედ მთლიანად ქვეყნისათვის. 1806 წელს მონტევიდეოს ოკუპაცია ინგლისელებმა მოახდინეს, მაგრამ მალე მათ ქალაქი დაატოვებინეს.

XIX საუკუნეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა გაჩაღდა. 1811 წელს განმათავისუფლებელმა არმიამ, რომელსაც **არტიგასი** ხელმძღვანელობდა, ესპანელთა ჯარზე გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის კიდევ დიდხანს გაგრძელდა. ურუგვაისათვის ბრძოლამ არგენტინასა და ბრაზილიას შორის სამხედრო შეტაკებაც კი გამოიწვია. რამდენიმე ხნით ურუგვაის ტერიტორია პორტუგალიის ჯარს ჰქონდა ოკუპირებული და ის ბრაზილიის შემადგენლობაშიც შედიოდა. **1828 წელს არგენტინამ და ბრაზილიამ შე-**

თანხმებას მოაწერეს ხელი, რითაც ორივე ქვეყანამ ურუგვაის ტერიტორიაზე უარი თქვა. ამ შეთანხმების შედეგად ჩამოყალიბდა ურუგვაის დამოუკიდებელი სახელმწიფო.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ურუგვაისათვის სამოქალაქო დაპირისპირება იყო დამახასიათებელი. ხელისუფლებისათვის ერთმანეთს ორი პოლიტიკური პარტია ებრძოდა – „კოლორადო“ (წითლები) და „ბლანკო“ (თეთრები). სამოქალაქო ომის დროს ურუგვაიაში არგენტინის ჯარიც შეიჭრა. ათ წელზე მეტხანს მიმდინარე ომში საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთიც მონაწილეობდა.

XVIII საუკუნის ბოლომდე ურუგვაი ლაპლატას ესპანური ვიცე-სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. 1828 წელს ურუგვაი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ურუგვაის დასახლება თავდაპირველად ნელა მიმდინარეობდა. მხოლოდ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაიძრა იმიგრანტთა ნაკადი ევროპიდან. 1800 წელს ქვეყანაში 50 ათასი მცხოვრები იყო, 1830 წელს – 70 ათასი, 1860 წელს – 224 ათასი, 1900 წელს – ერთი მილიონი. გადმოსახლებულთა ძირითად მასას იტალიელები, ესპანელები და აგრეთვე ფრანგები შეადგენდნენ. მოსულთა ძირითადი ნაწილი სანაპიროზე დასახლდა. ურუგვაიაში არის სლავთა (რუსები, უკრაინელები, ჩეხები, ბულგარელები, პოლონელები) პატარა კოლონია (დაახლოებით 30 ათასი კაცი). ურუგვაი, არგენტინასთან ერთად, სამხრეთ ამერიკის ყველაზე „თეთრ“ ქვეყნად მიიჩნევა. აქ ინდიელთა და მეტისთა რაოდენობა მხოლოდ 10%-ის ფარგლებშია.

ურუგვაელთა ნაციის ბირთვის ესპანელი კოლონისტების შთამომავლები – კრეოლები შეადგენენ. თანამედროვე მოსახლეობის 90%-ზე მეტი ურუგვაელები არიან. ქვეყნის ჩრდილოეთში მეტისების უმნიშვნელო რაოდენობა ცხოვრობს. ცალკეულ რაიონებში XIX საუკუნის დასაწყისში აფრიკიდან შემოყვანილი მონების შთამომავალი ზანგები და მულატებიც მკვიდრობენ.

ურუგვაიაში სოფლის მოსახლეობა მცირეა. ქალაქებში ქვეყნის მოსახლეობის 80% მკვიდრობს.

ურუგვაის ეკონომიკის საფუძველს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. წამყვანი დარგი – მეცხოველეობა ექსპორტზეა ორიენტირებული. სამიწათმოქმედო კულტურებიდან მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, შვრია, ქერი.

ურუგვაელთა კულტურის საფუძველი კრეოლურია. ინდიელთა ფოლკლორიდან ფაქტობრივად აღარაფერი არაა შემორჩენილი. ისევე, როგორც ლათინური ამერიკის სხვა ხალხებში, ურუგვაელებშიც ძალიან *პოპულარულია კარნავალები*. დღესასწაულების დროს გაუწოები ცხენოსნობის დემონსტრირებას ახდენენ. თვითმყოფადი ფოლკლ-

ორის საფუძველია ხალხური სიმღერები, ბალადები, ცეკვები გიტარის აკომპანემენტით.

2.28. გვიანელები

გვიანელებით დასახლებულია **საფრანგეთის გვიანა**. გვიანას აღმასრულებელ ხელისუფლებას – პრეფექტს ნიშნავს საფრანგეთის ხელისუფლება. სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გვიანის სახელმწიფოში მოქმედებს საფრანგეთის კონსტიტუცია. გვიანელთა რაოდენობა ერთი მონაცემებით 128 ათასი კაცია, მეორეთი – 157 ათასი. გვიანას მოსახლეობა ძირითადად **ზანგებისა და მულატებისაგან შედგება**. ლაპარაკობენ გვიანურ კრეოლურ ენაზე (რომელიც შექმნილია ფრანგულის საფუძველზე). გავრცელებულია აგრეთვე ესპანური და ინგლისური ენები. **ოფიციალური ენაა ფრანგული**. გვიანელები კათოლიკეები არიან. მათი ფორმირება ძირითადად XVII-XIX საუკუნეებში ორი კომპონენტის შერევის შედეგად მოხდა. ესენი არიან აფრიკელი მონების შთამომავლები და ევროპის ქვეყნებიდან (ძირითადად საფრანგეთიდან) XIX საუკუნეში გადმოსახლებულები. გვიანელების ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესში გაძლიერდა ინდიელებისა და "ტყის ზანგების" ასიმილაცია.

გვიანის ტერიტორია 1499 წელს ქ. კოლუმბო აღმოაჩინა. პირველი ფრანგი კოლონისტები აქ 1604 წელს დასახლდნენ. XVII-XVIII საუკუნეებში გვიანის ხელში ჩაგდებას არაერთხელ შეეცადნენ პოლანდიელები და ინგლისელები. საფრანგეთის ხელისუფლება ქვეყანაში საბოლოოდ 1817 წელს განმტკიცდა. 1852 წლიდან 1946 წლამდე **გვიანა კატორღის ადგილს წარმოადგენდა**. საფრანგეთის განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებს ტროპიკულ ტყეებში ასახლებდნენ. მეტროპოლია გვიანაში პოლიტიკურად არასაიმედო პირებსაც მიუჩენდა ხოლმე ადგილს (1848 წლის რევოლუციის მონაწილეები და 1871 წლის პარიზის კომუნის დამარცხებული კომუნარები). 1852 წლიდან 1939 წლამდე საფრანგეთიდან აქ სულ 70 ათასი პატიმარი იქნა შეყვანილი. **გვიანის ტერიტორიაზე განთავსებულია საფრანგეთის სარაკეტო-კოსმოსური ცენტრი „კურუ“**.

ადამიანთა მიერ გვიანის ტერიტორიის მხოლოდ 6%-ია ათვისებული. ესაა ძირითადად სანაპირო ზოლი. 90% ტროპიკულ ტყეებს უკავია.

ადგილობრივი მოსახლეობა – ინდიელები მცირე რაოდენობითაა არიან შემორჩენილნი. ტროპიკულ ტყეებში მცხოვრები ვაიანას ტომი სულ 900 კაცისაგან შედგება. მათი ძირითადი საქმიანობაა ნადირობა, მეთევზეობა და პრიმიტიული სოფლის მეურნეობა. გალიბას ტო-

მი მხოლოდ ორ პატარა სოფელში მკვიდრობს და მტკიცედ იცავენ ძველ წეს-ჩვეულებებს. საფრანგეთის გვიანის მოსახლეობის ძირითად ნაწილს 1652-1848 წლებში პლანტაციებში სამუშაოდ შემოყვანილი ზანგების შთამომავლები წარმოადგენენ, აგრეთვე – კრეოლები, მეტისები და ევროპელები (ძირითადად ფრანგები). **1977 წელს საფრანგეთის ხელისუფლებამ გვიანის სოფელ კაკაოში 700 ლაოსელი, ეთნიკური ხმონგი დაასახლა.** ოცი წლის შემდეგ ლაოსელებმა ის პატარა აყვავებულ ქალაქად გადააქციეს. შრომისმოყვარე ხმონგებს ქვეყანაში ბოსტნეულისა და ხილის 90% მოჰყავთ.

2.29. სურინამელები

სურინამელები სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე სურინამის სახელმწიფოში მკვიდრობენ. ის ყოფილი ნიდერლანდების გვიანაა. **ქვეყანამ სურინამის სახელწოდება მდინარისაგან მიიღო.** სურინამელები ძირითადად ორ ეთნიკურ ჯგუფად იყოფიან: **სურინამელი-კრეოლები** და **სურინამელი-ინდოპაკისტანელები.** სურინამელ კრეოლთა რაოდენობა 449 ათასია. 90 ათასი სურინამელი ჰოლანდიაში ცხოვრობს. ლაპარაკობენ სურინამულ-კრეოლურ ენაზე (ჩამოყალიბდა ჰოლანდიურიდან, პორტუგალიურიდან და სხვა ენებიდან ნასესხობებით ინგლისური ენის საფუძველზე). გავრცელებულია აგრეთვე ჰოლანდიური ენა. სურინამელთა უმეტესობა პროტესტანტია (ჭარბობენ "მორავიელი ძმები"). ინდოეთიდან მიგრირებულთა შთამომავლები ინდუისტები არიან, ინდონეზიელები – ძირითადად მუსლიმები. „ტყის ზანგები“ და ინდიელები, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია კათოლიკობას არიან ნაზიარები, წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს ინარჩუნებენ.

ევროპელთა მოსვლამდე სურინამში რამდენიმე ადგილობრივი ტომი მკვიდრობდა. სურინამის ზღვის სანაპირო 1499 წელს იქნა აღმოჩენილი. XVI საუკუნეში აქ ინგლისელთა დასახლებები გაჩნდა, XVIII საუკუნეში კი – ჰოლანდიელთა. **1667 წელს სურინამის ტერიტორია ინგლისმა ჰოლანდიას გადასცა;** ის ახალ ამსტერდამში (დღევანდელი ნიუ-იორკის ტერიტორია) გაუცვალეს. მას შემდეგ, 1799-1802 და 1804-1816 წლების გამოკლებით, სამი საუკუნის განმავლობაში სურინამი ნიდერლანდების ტერიტორია იყო. XVI-XIX საუკუნეებში პლანტაციებში სამუშაოდ აფრიკელი მონები შემოიყვანეს. შეფასებითი მონაცემებით, აფრიკიდან სურინამში სულ 380 ათასი აფრიკელი მონა იქნა შეყვანილი. XVIII საუკუნეში ზანგი მონები რამდენჯერმე აჯანყდნენ. მონების ნაწილი XVII-XVIII საუკუნეებში ტროპიკულ ტყეებში გაიქცა. გაქცეულებმა საფუძველი ჩაუყარეს

„ტყის ზანგებს“. XIX-XX სუკუნეების მიჯნაზე ქვეყანაში 60 ათასი ინდოელი და ინდონეზიელი შემოიყვანეს. 1922 წელს ის ნიდერლანდების სამეფოს მიერთებულ ტერიტორიად გამოცხადდა. 1954 წელს მიიღო ნაწილობრივი ავტონომია და მხოლოდ 1975 წლის 25 ნოემბერს მიადწია დამოუკიდებლობას. აფრიკელთა და მათ შთამომავალთა უმეტესობა კრეოლთა მეტისური ეთნიკური ჯგუფის საფუძვლად იქცა. 1975 წელს, სურინამის ნიდერლანდებისაგან გაათავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ეთნოსთა შორის ინტეგრაციისა და ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესი გაძლიერდა. ინტეგრაციის პროცესში ფაქტობრივად მონაწილეობას არღებულობენ სურინამელი ინდოპაკისტანელები, „ტყის ზანგები“ და ინდოელები.

სურინამელი ინდოპაკისტანელები 1873-1916 წლებში ინდოეთიდან კონტრაქტით შემოყვანილ მუშათა შთამომავლები არიან. ისინი 34 ათასის ფარგლებში იყვნენ, დღეს კი მათი რაოდენობა 160 ათასს შეადგენს. ისინი ძირითადად სოფლებში ცხოვრობენ. დაახლოებით 100 ათასი სურინამელი-ინდოპაკისტანელი ომის შემდეგ ნიდერლანდებში გადასახლდა. ყოფაში იყენებენ ჰინდის ენას. სურინამელი-ინდოპაკისტანელთა 3/4 ინდუსტია, დანარჩენი – მუსლიმი-სუნიტი. სურინამელი ინდოპაკისტანელებისა და დანარჩენი ეთნიკური ჯგუფების ერთმანეთში შერევა თითქმის არ ხდება.

XX საუკუნის 70-იან წლებამდე სურინამის მოსახლეობა სწრაფი ტემპით მატულობდა. XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში უმუშევრობამ მასობრივი ემიგრაცია (ძირითადად ჰოლანდიაში) განაპირობა.

სურინამში დასახლებული ხალხები დასაქმებულობით და პროფესიული საქმიანობით ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებიან. ზანგები და მულატები ძირითადად სურინამის სამრეწველო მუშები არიან. მათ შორის ბევრნი არიან ინტელიგენციის წარმომადგენლები, სახელმწიფო მომსახურეები და ჩინოვნიკები. დღეს ზანგები პლანტაციებში მუშაობას სირცხვილად თვლიან.

სურინამის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ბრინჯი, ბანანი, შაქრის ლერწამი, ციტრუსები, სიმინდი, ყავა, კაკაო, ქოქოსის კაკალი. ბრინჯის ექსპორტით სურინამს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია.

2.30. გაიანელები

გაიანელები სამხრეთ ამერიკის გაიანას სახელმწიფოში ცხოვრობენ. ეს ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში ამ რეგიონის ერთადერთი ბრიტანული კოლონია იყო (1966 წლამდე). გაიანა მდინარეებითა და

ტბებით მდიდარი მხარეა და ინდიელ არაგაკთა ენაზე „მდიდარი წყლების ქვეყანას“ ნიშნავს.

გაიანელებს სხვანაირად აფროგაიანელებს და გაიანის კრეოლებსაც უწოდებენ. გაიანის მცხოვრებთა რაოდენობა 1997 წლის მონაცემებით 900 ათასი კაცია. ლაპარაკობენ ინგლისური ენის კრეოლურ ვარიანტზე. გაიანელები ძირითადად პროტესტანტები არიან (ჭარბობენ ანგლიკანები; არიან პრესვიტერელები, მეთოდისტები); გვხვდებიან კათოლიკეებიც.

გაიანაში ევროპელთა მოსვლამდე ინდიელი *არაგაკების* ტომი ცხოვრობდა. ისინი მიწათმოქმედებასა და მეთუნეობას მისდევდნენ. ევროპელებმა ინდიელები ნაყოფიერი მიწებიდან გაყარეს, ანდა გაანადგურეს. გაიანას ტერიტორიას ერთმანეთს ინგლისელი, ფრანგი და ჰოლანდიელი კოლონისტები ედავებოდნენ. ბრძოლა განსაკუთრებით XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე გამწვავდა. XVII საუკუნის დასაწყისიდან პლანტაციური მეურნეობების განვითარებას ჰოლანდიელებმა მიჰყვეს ხელი. ძირითადად მოჰყავდათ თამბაქო, ბამბა, ყავა და შაქრის ლერწამი. მას შემდეგ, რაც პლანტაციებში ინდიელები ვერ დაასაქმეს, XVII საუკუნის შუა ხანებიდან აფრიკიდან მონა-ზანგების შემოყვანა დაიწყო, რომლებიც პლანტაციებს გარდა, მუშაობდნენ ხიდებისა და გზების მშენებლობაზე. ზანგები არაერთხელ აჯანყდნენ. განსაკუთრებით დიდი აჯანყება 1763 წელს მოხდა. XVIII-XIX საუკუნეებში გაიანასათვის ბრძოლა მოწინააღმდეგე ქვეყნებს შორის კვლავ გრძელდებოდა. ტერიტორია არაერთხელ გადადიოდა ხელიდან ხელში. 1813 წელს ტერიტორიის ჰოლანდიური და ინგლისური ნაწილები ერთიან კოლონიად გაერთიანდა ბრიტანეთის გვიანას სახელწოდებით. გაიანელი კრეოლები იმ აფრიკელი მონების შთამომავლები არიან, რომლებიც ქვეყანაში XVII-XVIII საუკუნეებში შემოიყვანეს. ისინი ძირითადად ქალაქებში ცხოვრობენ.

გაიანაში მკვიდრობენ აგრეთვე გაიანელი ინდოპაკისტანელები, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის 49,4%-ს შეადგენენ (400 ათასი კაცი). ისინი ძირითადად კრეოლურ ენაზე ლაპარაკობენ, რელიგიურ და ყოფით სფეროში კი – ჰინდისა და ურდუს ენებს იყენებენ. მორწმუნეთა უმეტესობა ინდუისტია, 1/5 – მუსლიმი-სუნიტი. გაიანელი-ინდოპაკისტანელთა შორის არიან პროტესტანტებიც და კათოლიკეებიც. გაიანელი ინდოპაკისტანელები ქვეყანაში 1838-1917 წლებში შემოყვანილი ინდოელი იმიგრანტების შთამომავალნი არიან. ისინი აფრიკელი მონების ნაცვლად შემოიყვანეს აქ, რადგან მონობის გაუქმების შემდეგ ზანგები პლანტაციებიდან მიდიოდნენ. გაიანელი ინდოპაკისტანელები ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას ნაკლებად ერევიან.

მათ შემონახული აქვთ თავიანთი ტრადიციული კულტურა, თუმცა მიმდინარეობს კასტების გაქრობის პროცესი.

თანამედროვე მასობრივი კულტურა ძალიან ავიწროვებს აფრიკულ, ინდიელთა და ინდოელთა კულტურულ ტრადიციებს. ამავე დროს შემორჩენილია ზოგიერთი რწმენა-წარმოდგენა, წეს-ჩვეულება, ტრადიციული ხელოსნობა. ტრადიციული ელემენტები უფრო მეტად ინდოგაიანელებს აქვთ შენარჩუნებული, ვიდრე აფროგაიანელებს (კრეოლებს). სხვადასხვა ელემენტების შერევამ ხალხური შემოქმედების ახალი ფორმების წარმოქმნა განაპირობა, ასე მაგალითად, სიმღერები ჯავრის შესახებ, რომელიც გაიანაში მცხოვრები ყველა ხალხის სასიმღერო რიტმებს ეფუძნება. ეს სიმღერები *კალიპსოს* სახელითაა ცნობილი. ბოლო დროს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები და სოციალური ფენები საერთო კარნავალებსა და საერთო-სახალხო ქრისტიანულ დღესასწაულებში დებულობენ მონაწილეობას. აფრიკელთა რელიგიური კულტი – „ობია“; რომელიც კრეოლურ მოსახლეობაში ჩამოყალიბდა, დღეისათვის საერთო-გაიანურ რელიგიურ კულტად იქცა. კულტურული ინტეგრაციის პროცესთან ერთად, ყოფაში გეხვდება რასობრივი კონფლიქტებისა და ეთნიკური დაპირისპირების ნიშნები. მაგალითად, კრეოლები ინდოგაიანელებს „*კულის*“ სახელით მოიხსენიებენ, რაც „*მათხოვარს, გლახაკს*“ ნიშნავს. ინდოგაიანელები კრეოლებს „*კარიფების*“ (*წარმართების*) საღანძღავი სიტყვით მოიხსენიებენ.

2.31. ბელიზელები

ბელიზელები ცენტრალური ამერიკის ბელიზის რესპუბლიკის მკვიდრნი არიან. ბელიზი ცენტრალური ამერიკის ერთადერთი ინგლისურენოვანი ქვეყანაა. 1998 წლის მონაცემებით ბელიზელების რაოდენობა 210 ათასი კაცი იყო. 5 ათასი ბელიზელი ჰონდურასში ცხოვრობს. ეთნოკულტურული თვალსაზრისით ბელიზი ჰეტეროგენული ქვეყანაა. ბელიზელები ძირითადად სამი ეთნიკური ჯგუფისაგან შედგებიან: ა. კრეოლები – ზანგები და მულატები (ე.ი. აფრიკიდან გამოსულთა შთამომავლები), ბ. ესპანო-ინდიელი მეტისები და გ. გარფუა ანუ გარიფები (ინდიელი კარიბები, ანუ „შავი კარიბები“). აქ ცხოვრობენ აგრეთვე ინდიელი *იუკატეკები*, *მოპანი* და *კეჩი*. ქვეყანაში მკვიდრობენ აგრეთვე: ესპანეთიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან, ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, ინდოეთიდან, ჩინეთიდან და არაბეთიდან მოსულები.

კრეოლები (აფრობელიზელები) მოსახლეობის 39%-ს შეადგენენ; ისინი ძირითადად ქალაქის მცხოვრებნი არიან. ტრადიციული აფრი-

კული კულტურა შემორჩენილია რელიგიურ სფეროში, მუსიკალურ-საცეკვაო ფოლკლორში და საოჯახო ყოფაში. აფრობელიზაციას ძალიან უყვართ კარნავალები და ბრწყინვალე რელიგიური დღესასწაულები.

რაოდენობით მეორე ჯგუფს ესპანურენოვანი მეტიცები (ლადინო) შეადგენენ (33%). ე.წ. „შავი კარიბების“ ეთნიკურ ჯგუფს ინდიელი მოსახლეობა მიეკუთვნება. კულტურით ისინი კრეოლებთან უფრო ახლოს არიან, ვიდრე მაიას ინდიელებთან. როგორც აფროაზიელები, ისე შავკანიანი კარიბები ევროპული ტიპის ტანსაცმელს ატარებენ. მხოლოდ ქალები არ ივიწყებენ ძველ დაწნულ ჩაღის შლიაპებს, რომლებიც კალათებს მოგვაგონებს. მაიას ინდიელები, რომლებიც ოდესღაც ბელიზის მთელ ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებულნი, შიდა რაიონებში იზოლირებულად ცხოვრობენ. მათ თავიანთ ძველ კულტურასთან კავშირი დაკარგული აქვთ.

მოსახლეობის 50%-ზე მეტი ინგლისური ენის ადგილობრივ დიალექტზე ლაპარაკობს, 32% – ესპანურზე. ინდიელებს შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ენა. ქვეყნის მცხოვრებთა ძირითადი მასისათვის ეთნოსთაშორის საურთიერთო ენაა *კრიულუ*. ბელიზელთა 62% კათოლიკეა, 28% – პროტესტანტი. დანარჩენები ისლამისა და ინდუიზმის მიმდევრები არიან.

ევროპელთა დაპყრობებამდე ბელიზი ინდიელი მაიას ხალხით იყო დასახლებული. XVI საუკუნის დასაწყისში ბელიზის ტერიტორია ესპანელებმა დაიპყრეს. პირველი დასახლებული პუნქტი მდინარე ბელიზის შესართავთან ბრიტანელმა მეზღვაურებმა 1638 წელს დააარსეს. ისინი ახლოს მიმავალ ესპანელთა გემებს ძარცავდნენ, შემდეგ კი თანდათან სანდალოზის ხის (სადებავენის საწარმოებელი ძვირფასი ნედლეული) დამზადებაზე გადავიდნენ. მათ მალე ხე-ტყის მოსაპოვებელ სამუშაოებზე აფრიკელი მონების შემოყვანა დაიწყეს.

XVIII საუკუნეში ბელიზის ტერიტორიას ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი ეპაექრებოდა. ბელიზზე ესპანელთა 1798 წლის შეტევა წარუმატებლად დამთავრდა. 1862 წელს ქვეყანა ოფიციალურად ბრიტანეთის კოლონიად გამოცხადდა. 1964 წელს კოლონიამ შიდა თვითმმართველობა მიიღო. 1973 წელს მას ბელიზი ეწოდა. 1981 წელს ბელიზმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ბელიზელთა ძირითადი საექსპორტო კულტურებია შაქრის ლერწამი, ციტრუსები, წვენები და ხე-ტყე. მოჰყავთ აგრეთვე ანანასი, ბანანი, ბრინჯი, სიმინდი, ლობიო, კარტოფილი. სამხრეთში განვითარებულია მეცხოველეობა. სანაპიროზე იჭერენ თევზს, კიბოს, კუს.

2.32. კუბელები

კუბელების თვითსახელწოდებაა **კუბანოს**. 1999 წლის მონაცემებით მათი საერთო რაოდენობა 11,7 მილიონი კაცი იყო. ცხოვრობენ აგრეთვე აშშ-ში (1 მილიონი), კანადაში (10 ათასი), ესპანეთში (20 ათასი). ლაპარაკობენ ესპანური ენის კუბურ ვარიანტზე. კუბელთა უმეტესობა კათოლიკეა; არიან პროტესტანტებიც: ამერიკის ეპისკოპალური ეკლესია, ბაპტიტები, მეთოდისტები, პროქრისტიანული სინკრეტული კულტების მიმდევრები.

კუბაში ევროპელები პირველად 1492 წელს მოვიდნენ. ინდიელები განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ – მათ არც სახელმწიფოებრიობა და არც განვითარებული მეურნეობის ფორმები არ ჰქონიათ. თითქმის შიშველი ინდიელები ევროპელებს თბილად შეხვდნენ; მათ ესპანელები ღმერთებად და ღმერთების გამოგზავნილებად მიიღეს. ესპანელთა კოლონიზაცია 1510 წელს დაიწყო. 1514 წელს ესპანელებმა კუბის ტერიტორიაზე შვიდი ქალაქი დააარსეს. იმ დროისათვის აქ ინდიელთა რამდენიმე ტომი ცხოვრობდა. ევროპელთა კოლონიზაციას თან ახლდა ადგილობრივი მოსახლეობის განადგურება. ინდიელებს თავდაცვაში კუბის რელიეფი (მთების არარსებობა) უშლიდა ხელს. კუბაში აფრიკელი მონების შემოყვანა XVI საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო. მონები შემოჰყავდათ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ აფრიკიდან. მათი რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობდა. მაგალითად, 1774 წელს ზანგები მთელი მოსახლეობის 26%-ს შეადგენდნენ, 1827 წელს უკვე – 41%-ს, ხოლო 1861 წელს ზანგებსა და მულატებზე მთელი მოსახლეობის თითქმის 2/3 მოდიოდა. ზანგები ესპანელებმა ძირითადად პლანტაციებსა და მესაქონლეობაში დაასაქმეს. მესაქონლეობის განვითარებას ვრცელი საძოვრები უწყობდა ხელს. ამავე დროს, აქ მესაქონლეობა მრავალრიცხოვან მუშახელსაც არ საჭიროებდა. მათი შთამომავლები (მულატების ჩათვლით) მთელი მოსახლეობის 40%-ს შეადგენენ. დღეისათვის მულატთა რაოდენობა იზრდება. ესპანეთიდან გადმოსახლებულთა შორის ჭარბობდნენ კასტილიელები, გალისიელები, კატალონიელები, აგრეთვე ნავარიისა და კანარის კუნძულების მკვიდრნი. **ესპანეთიდან ყველა მოსულს და ზოგჯერ ყველა ქერათმიანს ხალკეოს (გალისიელებს) უწოდებენ.** XVIII საუკუნის 90-იან წლებში ჰაიტიდან ფრანგების აქტიური იმიგრაცია დაიწყო, რომელთაც თან თავიანთი მონებიც მოჰყავდათ. ისინი ძირითადად კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში დასახლდნენ. XIX საუკუნის დასაწყისში კუნძულის მხოლოდ მეოთხედი იყო დასახლებული. XIX საუკუნის 20-იან წლებში „შაქრის ბუმმა“ იმიგრანტების დიდი ჯგუფების მოსვლა განაპირობა – ამ დროს ასეულ ათასობით ესპანელი, ათეულ ათასობით

აღმოსავლეთ ევროპელი ჰავანასა და მის მიდამოებში დასახლდა. ჰაიტიდან და იამაიკიდან კი ასი ათასზე მეტი ზანგი შემოიყვანეს პლანტაციებში სამუშაოდ. ისინი ძირითადად ქვეყნის აღმოსავლეთში დაასახლეს. XIX საუკუნის შუა ხანებში სამხრეთ ჩინეთიდან მუშების შემოყვანა დაიწყო, მექსიკიდან – ინდიელებისა. სხვა იმიგრანტებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ფრანგებისა და იტალიელების დასახლება. კუბელთა ეთნოსის ფორმირებისათვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში ესპანელი კოლონიზატორების წინააღმდეგ აჯანყება.

ამრიგად, **კუბელები ევროპელთა (ძირითადად ესპანელთა) და ზანგების შერევის შედეგად არიან ჩამოყალიბებულნი. ადგილობრივი ინდიელი მოსახლეობის წილი კუბელთა ეთნოსის ჩამოყალიბებაში ძალზედ უმნიშვნელოა.** მხოლოდ კუნძულის აღმოსავლეთში ცხოვრობს დაახლოებით ათასი კაცი, რომლებიც ადგილობრივ ინდიელთა შთამომავლებად თვლიან თავს, თუმცა ბევრი სახელწოდება – ქვეყნის, დედაქალაქის, სხვა ქალაქების, მდინარეების მცენარეებისა და ცხოველების – ინდიელთა ენებიდან მომდინარეობს. ესპანელთა შთამომავლებმა, როგორც წესი, კარგად იციან ესპანეთის რომელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან არიან გადმოსახლებული მათი წინაპრები. გალისიიდან გადმოსახლებულებს „გალეგოს“ უწოდებენ, კატალონიიდან მოსულებს „კატალანის“ სახელით მოიხსენიებენ, კანარის კუნძულებიდან მიგრირებულნი კი „კანარიოს“ სახელს ატარებენ.

XIX საუკუნეში კუბელებმა, სამხრეთ ამერიკის სხვა ესპანური კოლონიების მსგავსად, დამოუკიდებლობა ვერ მოიპოვეს. 1868 წელს კუბელთა მიერ დაწყებული აჯანყება ათი წლის შემდეგ ესპანელთა გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ კუბელები ბრძოლას აგრძელებდნენ. მოძრაობის ლიდერი გახდა კუბის ეროვნული გმირი, მწერალი **ხოსე მარია მარტი** (1853-1895). კუბამ დამოუკიდებლობა მხოლოდ 1898 წელს მოიპოვა.

თავდაპირველად კუბაში ძირითადად ორიენტირებულნი იყვნენ თამბაქოს მოყვანაზე, მაგრამ XVIII საუკუნის შუა ხანებიდან პრიორიტეტული შაქრის ღერწმის მოყვანა გახდა. მალე ქვეყანა შაქრის ერთ-ერთი მთავარ ექსპორტიორად იქცა. სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგებია: შაქრის ღერწმის, თამბაქოსა და ბრინჯის მოყვანა. ტრადიციული საკვებია ბრინჯისა და ლობიოს კერძები, რომლებსაც როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკეც აკეთებენ. სანაპირო რაიონებში იკვებებიან თევზით, კიბოსნაირებით, მოლუსკებით, კუეებით და სხვა ქვეწარმავლებით. ხალხური შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ესპანური და აფრიკული ელემენტების შეთანაწყობა,

მაგრამ კუბელი ნაციის მატერიალური და სულიერი კულტურის ფორმირებაში, თვითმყოფადობისა და ტრადიციების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი მანინც აფრიკულმა კომპონენტმა ითამაშა. ამ თვალსაზრისით კუბა გამოირჩევა ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებისაგან და უახლოვდება კარიბის ზღვის კუნძულოვან ქვეყნებს. მეცნიერები კუბას ხშირად ნამდვილ ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მუზეუმს უწოდებენ, რადგან აქ მცხოვრები ზანგებიც კი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომლებიც შემოყვანილი არიან არა მარტო დასავლეთ აფრიკიდან, არამედ აღმოსავლეთ აფრიკიდან, ჰაიტიდან და იამაიკიდან. კუბელთა მხატვრულ შემოქმედებაში, განსაკუთრებით სიმღერებსა და ცეკვებში, პრიორიტეტი აფრიკულ საწყისებს აქვს მოპოვებული.

კუბის ბევრ სოფელში სახლების ფანჯრებს მინებს არც უსვამენ, რადგან აქ ტემპერატურა 20 გრადუსზე ქვემოთ იშვიათად ეცემა, მინები ხის ქაღალხებით აქვთ შეცვლილი.

კუბელი იყო მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში *ხ.რ. კაპაბლანკა* (1888-1942).

2.33. ჰაიტელები

ჰაიტელების თვითსახელწოდებაა **ჰაიტანე**. ისინი მოსახლეობენ ჰაიტის რესპუბლიკაში, რომელსაც კუნძულ ჰაიტის დასავლეთი ნაწილი და ახლომდებარე მცირე კუნძულები უკავია. ინდიელ არავაკთა ენაზე “Haiti” „მალალ მიწას“ აღნიშნავს. აღმოსავლეთიდან მას დომინიკანის რესპუბლიკა ესაზღვრება, ჩრდილოეთიდან – ატლანტის ოკეანე, სამხრეთიდან – კარიბის ზღვა. 1999 წლის მონაცემებით ჰაიტელთა რაოდენობა 6 მილიონ 800 ათასი კაცი იყო. ჰაიტელების 90%-ზე მეტი ზანგია, დანარჩენები – ძირითადად მულატები არიან. ლაპარაკობენ კრეოლიზებულ ფრანგულ ენაზე. **სახელმწიფო ენა ფრანგულია**. სახელმწიფო ენაზე მხოლოდ მოსახლეობის 10-15% ლაპარაკობს. მოსახლეობის ძირითადი ნაწილის სამეტყველო ენა ჰაიტის კრეოლური ენაა, რომელიც ჩამოყალიბებულია ფრანგული ენის ნორმანდიული კილოს საფუძველზე. ამ ენაში არაერთი ნასესხობაა აფრიკული ენებიდან, ინგლისური და ესპანური ენებიდან. ფრანგული კრეოლური ენა კოლონიურ ეპოქაში წარმოიქმნა პლანტატორებსა და მონებს შორის ურთიერთობის დროს. გლეხობა მხოლოდ კრეოლურ ენაზე ლაპარაკობს, ელიტა – კრეოლურზეც და ფრანგულზეც. ჰაიტელთა უმეტესობა სინკრეტული კულტებისა და რწმენა-წარმოდგენების მიმდევარია. ფორმალურად სხვადასხვა ქრისტიანულ კონფესიებს აღიარებენ. მათ უმეტესობას კათოლიკეები შეადგენენ, არიან

აგრეთვე ანგლიკანები, ორმოცდაათიანელები, მეშვიდე დღის ადვენტისტები. 1987 წლის კონსტიტუციამ ოფიციალური რელიგიის სტატუსი მიანიჭა აფრიკელთა კულტს – „ვოდუს“.

ევროპელთა მოსვლამდე ჰაიტი არავაკის ენათა ოჯახის ენებზე მოლაპარაკე ინდიელებით იყო დასახლებული. ტომი ტაინო ბინადარ ცხოვრებას მისდევდა; მოყავდათ მაისი და ბამბა. ისინი ხისა და ქვის იარაღებით სარგებლობდნენ. სიბონეს ტომი ერთ ადგილას არ ბინადრობდა; მხოლოდ მონადირეობასა და შემგროვებლობას მისდევდნენ. XVI საუკუნის ბოლოს კუნძულის მცხოვრებთა რაოდენობა დაახლოებით ერთი მილიონი იყო.

1492 წელს კუნძული ჰაიტი ქ. კოლუმბმა აღმოაჩინა და მას ესპანოლი (პატარა ესპანეთი) უწოდა. ინდიელთა გაწყვეტის შემდეგ ესპანოლში ზანგების შემოყვანა დაიწყო. მათი ძირითადი ნაწილი კი დასავლეთ აფრიკიდან XVII-XVIII საუკუნეებში შემოიყვანეს ფრანგებმა პლანტაციებში სამუშაოდ. XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში ჰაიტის (ესპანოლის) დასაუფლებლად ერთმანეთს ებრძოდნენ ესპანეთი, ინგლისი და საფრანგეთი. ფრანგმა პირატებმა და ავანტურისტებმა, რომლებიც ერთ-ერთ პატარა კუნძულზე იყვნენ გასახლებულნი, ნელ-ნელა დაიკავეს ესპანოლის დასავლეთი ნაწილი – დღევანდელი ჰაიტის ტერიტორია. XVII საუკუნის ბოლოს კუნძულის ეს ნაწილი ოფიციალურად გადავიდა საფრანგეთის ხელში და მას სან-დომინიგო ეწოდა. რაც შეეხება აღმოსავლეთ ნაწილს ის სანტო-დომინიგოს სახელწოდებით ესპანეთს დარჩა. XVII საუკუნეში სან-დომინიგოს ფრანგული კოლონია მსოფლიოს ბაზარზე ტროპიკული კულტურების (ყავა, კაკაო, ბამბა, ინდიგო, შაქარი) ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელი იყო.

ჰაიტელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს (1791-1804) კუნძულის თეთრი მოსახლეობა ან გაიქცა, ან გაანადგურეს. სან-დომინიგომ პირველად ვესტ-ინდოეთსა და საერთოდ ლათინურ ამერიკაში მოიპოვა დამოუკიდებლობა (1804 წ.), რაც განპირობებული იყო ჰაიტელთა ეთნოსის ჩამოყალიბებით. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე კუნძულის მობინადრეებმა მას ადრინდელი სახელწოდება – ჰაიტი დაუბრუნეს. საფრანგეთმა ჰაიტის დამოუკიდებლობა მხოლოდ 1825 წელს ცნო.

ჰაიტელთა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგია ყავისა და შაქრის ლერწმის მოყვანა. განვითარებულია მხატვრული ხელოსნობა – ხეზე კვეთა, ქსოვა. საზოგადოებრივი ყოფისათვის მინდვრების გასუფთავების დროს, ანდა საირიგაციო სამუშაოებისას გლეხებმა იცოდნენ ურთიერთდახმარება.

2.34. დომინიკანელები

დომინიკანელები დომინიკანის რესპუბლიკაში ცხოვრობენ, რომელსაც კუნძულ ჰაიტის აღმოსავლეთი ნაწილი უკავია. კუნძულ ჰაიტს ინდიელები „კისკეხას“ უწოდებდნენ, რაც მათ ენაზე „ყველა მიწის დედას“ ნიშნავს. ქვეყანა ატარებს ლეგენდარული წმინდანის – დომინიკის სახელს.

ესპანელთა მოსვლამდე ქვეყნის ტერიტორიაზე ინდიელები (არავაკები და კარიბები) ცხოვრობდნენ. შემორჩენილია მათი ხელოვნების ნიმუშები – ქვისა და ხის სკულპტურები. ინდიელი მოსახლეობა კუნძულზე ფაქტობრივად აღარაა დარჩენილი. 1492 წელს კუნძულზე გადმოსულმა კოლუმბმა მას ესპანოლი უწოდა. 1697 წელს კუნძულის დასავლეთი, მესამედი ნაწილი საფრანგეთმა დაიპყრო, ხოლო 1795 წელს მან სანტო-დომინგოც (ჰაიტის აღმოსავლეთი ნაწილი) დაიქვემდებარა. 1801-1821 წლებში კუნძულისათვის ერთმანეთს ჰაიტის რესპუბლიკა და ესპანეთი ებრძოდა. 1822-1844 წლებში ჰაიტის რესპუბლიკა მთელ კუნძულს ფლობდა. დომინიკანის რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა 1844 წელს მოიპოვა, თუმცა 1861-1863 წლებში ესპანეთი მას კვლავ ფლობდა.

1697 წელს კუნძულის დასავლეთი ნაწილი ფრანგების ხელში გადავიდა, აღმოსავლეთი ნაწილი კი ესპანელებს დარჩა. დომინიკანელთა რაოდენობა 8 მილიონია. მოსახლეობის დაახლოებით 75% მულატია, 15% – თეთრი, დანარჩენი კი – ზანგები. ლაპარაკობენ ესპანური ენის ადგილობრივ ვარიანტზე. დომინიკანელთა 90% კეთილიკვა, დანარჩენები პროტესტანტები (მეშვიდე დღის ადვენტისტები) არიან.

მოსახლეობის უმეტესობა დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. მოჰყავთ: შაქრის ლერწამი, ყავა, კაკაო, ბანანი, ბრინჯი, ხილი და ბოსტნეული. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი საქონელი.

ქვეყანა განთქმულია კარნავალებით, რომლებშიც თავისებურად შერწყმულია ევროპული და აფრიკული ტრადიციები. ნაციონალურ ტრადიციებს თან ახლავს ბრწყინვალე პროცესიები და ეკზოტიკური ცეკვები. ეროვნულ საჭმელებს შორის აღსანიშნავია ბარდის წვნიანი და მოშუშული თხის ხორცი. ძალიან პოპულარულია იამსთან და ბანანთან ერთად შემწვარი ხორცი და შემწვარი ბანანი. დომინიკანელთა სიამაყეა 1538 წელს დაარსებული უნივერსიტეტი, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქვეყნის კოლონიური წარსულისა და ინდიელთა შესწავლას.

2.35. დომინიკელები

დომინიკელები კარიბის ზღვაში მცირე ანტილიის არქიპელაგში დომინიკის კუნძულზე ცხოვრობენ. დომინიკელთა რაოდენობა 70 ათასი კაცია. კუნძული 1493 წელს ესპანელებმა აღმოაჩინეს. 1763 წელს ბრიტანეთის კოლონიად იქცა. 1958-1962 წლებში ვესტ-ინდოეთის ფედერაციაში შედიოდა. დომინიკა 1978 წლიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოა. **დომინიკელები ზანგების შთამომავლები არიან, რომლებიც ნაწილობრივ ფრანგებსა და ინგლისელებთან არიან შერეულნი.** დომინიკელთა აბსოლუტური უმრავლესობა ზანგია, მულატები 10%-ზე ნაკლები არიან. უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდებიან კუნძულის ძველი მკვიდრნი – ინდიელები. ლაპარაკობენ ადგილობრივ ინგლისურ კრეოლზე, რომელმაც თანდათანობით პატუა – ფრანგული კრეოლი შეავიწროვა (XX საუკუნის შუა ხანებამდე ეს ენა დომინიკელთა ძირითადი სალაპარაკო ენა იყო). განიცადეს ფრანგული კულტურის ძლიერი გავლენა. დომინიკელები კათოლიკეები არიან; გვხვდებიან ანგლიკანები და მეთოდისტებიც.

2.36. პუერტორიკელები

თვითსახელწოდებაა **პუერტორიკენოს**. ძირითადად დასახლებულნი არიან პუერტო-რიკოში (აშშ-ს სამფლობელო ვესტ-ინდოეთში, **იურიდიულად „თავისი ნებით შეერთებული სახელმწიფო“**). პუერტო-რიკოს სახელმწიფო ვესტ-ინდოეთში – კუნძულებზე: პუერტო-რიკო, ვეკესი, კულებრა, მონა მდებარეობს, რომლებიც დიდი ანტილიის კუნძულების აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენს. პუერტო-რიკო ესპანურად „მდიდარ ნავსადგურს“ ნიშნავს. პუერტორიკელთა რაოდენობა 5 მილიონ 600 ათასი კაცია; პუერტო-რიკოში ცხოვრობს 3 მილიონ 900 ათასი. აშშ-ში 2 მილიონი პუერტორიკელი მკვიდრობს. ლაპარაკობენ ესპანური ენის ადგილობრივ ვარიანტზე. მოსახლეობის 85% კათოლიკეა. პროტესტანტებს შორის არიან ორმოცდაათიანელები და პრესვიტერელები.

კუნძული პუერტო-რიკო 1493 წელს კოლუმბმა აღმოაჩინა. ესპანელთა მოსვლამდე კუნძული ინდიელი არავაკებითა და კარიბებით იყო დასახლებული.

კუნძულის კოლონიზაცია ესპანელებმა 1508 წელს დაიწყეს, რომლებმაც გვიან აქ ზანგი მონები შემოიყვანეს. XVIII საუკუნეში არსებობა შეწყვიტეს ინდიელებმა, მაგრამ ესპანელი მამაკაცებისა და ინდიელ ქალთა კავშირმა მეტისურ მოსახლეობას მისცა დასაბამი. ინდიელი მოსახლეობა ზანგებსაც ერეოდა. XIX საუკუნეში

სამივე კომპონენტის შერევის შედეგად პუერტორიკელთა ეთნოსი ჩამოყალიბდა, რომელმაც როგორც ესპანური, ასევე ინდიელთა და აფრიკელთა კულტურის ელემენტებიც შეითვისა.

ესპანეთ-ამერიკის ომის დროს – 1898 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ჯარი კუნძულზე გადასხდა. იმავე წლის პარიზის სამშვიდობო მოლაპარაკებით რამდენიმე სხვა მცირე კუნძულთან ერთად პუერტო-რიკო ამერიკას გადაეცა. 1947 წელს ქვეყნის მოქალაქეებმა გუბერნატორის არჩევის უფლება მიიღეს. **1952 წელს პუერტორიკო „ამერიკასთან თავისუფლად მიერთებულ სახელმწიფოდ“ გამოცხადდა.**

პუერტორიკელები XVI-XIX საუკუნეებში ესპანელი კოლონისტებისა და ინდიელების შერევის შედეგად არიან ჩამოყალიბებული. პუერტორიკელთა შორის თეთრები 30% არიან, ზანგები და მულატები – 50%.

პუერტორიკელებში ოჯახის ნუკლეარული ტიპი ჭარბობს, მაგრამ გვხვდება დიდი ოჯახებიც. გავრცელებულია ფაქტიურ-არაფორმალური ქორწინება. **ბევრია მატრიფოკალური ოჯახი**, რომელიც დედისა და შვილებისაგან შედგება, რომლებიც მას სხვადასხვა მამაკაცისაგან პყავს გაჩენილი.

პუერტორიკელებს თავისებური ხალხური კულტურა აქვთ შექმნილი. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია: დაწვნის ხელოვნება, ქარგვა, გროტესკული ნიღბების მოჩუქურთმება. კუნძულზე გავრცელებულია აზარტული თამაშები, მამლების ბრძოლა. ყოველწლიურად პუერტორიკოში ეწყობა კლასიკური მუსიკის ფესტივალი.

2.37. იამაიკელები

იამაიკელები კარიბის ზღვის აუზში მდებარე კუნძულოვანი სახელმწიფოს – იამაიკის მცხოვრებნი არიან (2 მილიონ 500 ათასი). **იამაიკა ინდიელ არავაკთა ენაზე „წყაროების მიწას“ ნიშნავს.** დამოუკიდებლობის მოპოვებამდე (1962წელი) იამაიკა დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო. ახლა ის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში შედის. ცხოვრობენ აგრეთვე ამერიკის ქვეყნებში (აშშ – 280 ათასი, კანადა – 95 ათასი) და დიდ ბრიტანეთში (400 ათასი). ისინი ინგლისური ენის საფუძველზე ჩამოყალიბებულ კრეოლურ ენაზე საუბრობენ. იამაიკის მცხოვრებნი ძირითადად პროტესტანტები არიან (ანგლიკანები, ბაპტისტები, მეთოდისტები, პრესვიტერიელები); გვხვდებიან კათოლიკეებიც. მოსახლეობაში გავრცელებულია ზოგიერთი აფრიკული კულტი, მაგალითად, **ობიას** კულტი.

ესპანელებმა იამაიკა 1494 წელს აღმოაჩინეს. კუნძულზე ინდიელი არაეაკები ცხოვრობდნენ. ესპანელთა მოსვლამდე დიდი ხნით ადრე ისინი სამხრეთ ანტილიის კუნძულებზე გადასახლდნენ. ევროპელთა მოსვლამდე ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 60 ათასი იყო. ესპანელებმა ისინიც მთლიანად გაანადგურეს. 1611 წლისათვის მხოლოდ 74 კაციღა იყო ცოცხალი. 1655 წელს კუნძული ინგლისელებმა დაიპყრეს. ოფიციალურად მათ ხელში ის 1670 წელს გადავიდა. ინგლისელთა მოსვლის შემდეგ კუნძულზე აუარებელმა პირატმა მოიყარა თავი. აქედან პირატები ესპანელთა ხომალდებს ეს-ხმოდნენ თავს. წართმეული სიმდიდრე 8000-იან ქალაქ პორტ-როიალ-ში იყრიდა თავს, სადაც 1500 პირატი ცხოვრობდა, მაგრამ ზღაპრულად მდიდარი ქალაქი 1692 წელს მიწისძვრის შედეგად ზღვის მო-რევეში ჩაიძირა.

XVIII საუკუნე პლანტაციური მეურნეობებისა და პლანტატორების-თვის „ოქროს საუკუნე“ იყო. ყოველწლიურად შიმშილისაგან ათეულ ათასობით მონა კვდებოდა. არსად მონებს იმდენი აჯანყება არ მოუ-წევიათ, რამდენიც იამაიკაზე. XVII საუკუნიდან XIX საუკუნის დასა-წყისამდე კუნძულზე 30-ზე მეტი აჯანყება მოხდა. ინგლისელები ყვე-ლა მათგანს მკაცრად ახშობდნენ.

იამაიკელთა ეთნოსის საფუძველს XVII-XVIII საუკუნეებში შემოყ-ვანილი ზანგები და მულატები, ევროპელთა შთამომავალი (ძირითა-დად ინგლისელების), ინდიელთა და ჩინელთა ჯგუფები შეადგენენ. მოსახლეობის 77%-ზე მეტს მონების შთამომავალი ზანგები წარმოა-დგენენ. დაახლოებით 18% მულატია. ინდოელები 3-4 %-ის ფარგლე-ბში არიან. ინდოელებმა აქ ბრინჯის კულტურა შემოიტანეს; შემოიყ-ვანეს საქონლის ახალი ჯიშიც. ინდოელთა მხოლოდ 17% მისდევს ინდუიზმს, დანარჩენები პროტესტანტები არიან. თეთრების რაოდენო-ბა 1%-ია. იმავე რაოდენობით არიან ჩინელები. ეს უკანასკნელნი დღეს ძირითადად ვაჭრობას მისდევენ. იამაიკაში პალესტინელები და ლიბანელები პირველად 1891 წელს გამოჩნდნენ. აქ მათ სირიელებს უწოდებენ. ამ არაბი ქრისტიანების ძირითადი საქმიანობა ვაჭრობაა.

იამაიკელთა ძირითადი საქმიანობაა შაქრის ლერწმის, ბანანისა და ციტრუსების მოყვანა.

იამაიკელთა კულტურა აფრიკული და ინგლისური კულტურების შენადნობია. ნაციონალური ცეკვებიდან აღსანიშნავია „მანგო“, რო-მელიც ტანგოსი და ხაბარერას მსგავსია, მაგრამ ის მელოდიურად ინგლისურ ხალხურ მუსიკას ენათესავება.

2.38. ტრინიდადელები

ტრინიდადელები სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით კარიბის ზღვაში მდებარე კუნძულოვანი სახელმწიფოს – ტრინიდადისა და ტობაგოს მკვიდრნი არიან. 1898 წლის მონაცემებით აქ 1 მილიონ 310 ათასი კაცი ცხოვრობდა. სახელმწიფო ენა ინგლისურია. მოსახლეობის დიდი ნაწილი კათოლიკე პროტესტანტია (60%), ინდუსები 30 %-ის ფარგლებში არიან, მუსლიმები – 6%.

კუნძულები კოლუმბმა 1498 წელს აღმოაჩინა. 1532 წელს ესპანეთის კოლონიად იქცა. დაპყრობისთანავე დაიწყო ინდიელების გაუქმება. XVI საუკუნის ბოლოს პლანტაციებში სამუშაოდ აფრიკიდან მონეების შემოყვანა დაიწყო. XVII საუკუნეში კოლონია განიცდიდა ჰოლანდიელთა, ფრანგთა და ინგლისელთა თავდასხმებს. 1797 წელს ტრინიდადი დიდმა ბრიტანეთმა დაიპყრო, 1802 წელს კი ოფიციალურად დაიმკვიდრა. ტობაგო ინგლისელების 1877 წელს გახდა, 11 წლის შემდეგ კი ადმინისტრაციულად ტრინიდადთან გააერთიანეს. მონობის გაუქმების შემდეგ, 1834 წელს, ყოფილმა მონებმა, მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე მეურნეობას მიჰყვეს ხელი, ნაწილობრივ კი ქალაქებში გადასახლდნენ. ზანგების შემცველებად კონტრაქტით ინდოელთა შემოყვანა დაიწყო (უმნიშვნელო რაოდენობით ჩინეთიდან, პორტუგალიიდან და სხვა ქვეყნიებიდან). მათი შემოყვანა 1914 წლამდე გრძელდებოდა. 1958-1962 წლებში ტრინიდადი და ტობაგო ვესტ-ინდოეთის ფედერაციაში შედიოდა, რომელიც დიდმა ბრიტანეთმა თავისი კარიბის ზღვის კოლონიების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების თავიდან აცილების მიზნით შექმნა. 1962 წელს ვესტ-ინდოეთის ფედერაციის დაშლის შემდეგ ტრინიდადელებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

ტრინიდადის მოსახლეობა ორი ეთნიკური ჯგუფისაგან შედგება. ტრინიდადის დასავლეთში ცხოვრობს 450 ათასი კაცი, რომლებიც ინდოარიული ჯგუფის ენებზე (უპირატესად ჰინდი) ლაპარაკობენ, მაგრამ უმეტესობამ ინგლისურიც იცის. მათი 2/3 სარწმუნოებით ინდუისტია, დანარჩენები – მუსლიმები და ქრისტიანები (პრესვიტერელები) არიან. ტრინიდადელ-ინდოპაკისტანელთა ჯგუფები აქ XIX საუკუნის მეორე ნახევარში შემოიყვანეს. ჩრდილოეთ ინდოეთიდან კონტრაქტით შემოყვანილი 143 ათასი კაცის მნიშვნელოვანი ნაწილი კუნძულზე დარჩა. ისინი იცავენ თავიანთ ტრადიციულ კულტურას და იშვიათად ერევიან სხვა ტრინიდადელ კრეოლთა ეთნიკურ ერთობას.

ტრინიდადელი კრეოლები ცხოვრობენ ტრინიდადსა და ტობაგოში. მათი რაოდენობა დაახლოებით 910 ათასია. უმეტესი ნაწილი ზანგია. არიან მულატებიც (ინგლისელთა და ფრანგთა ნარევი ზანგებთან).

ლაპარაკობენ ტრინიდადის კრეოლურ ენაზე (ინგლისურის საფუძველზე). ძირითადად ქრისტიანები არიან (1/3 კათოლიკე, 20% – პროტესტანტი). შემორჩენილი აქვთ აფრიკული რწმენა-წარმოდგენები. ტრინიდადელი კრეოლები ინგლისელთა მიერ შემოყვანილი მონების შთამომავლები არიან (XVI-XIX სს.).

ტრინიდადელებს მოჰყავთ: შაქრის ღერწამი, კაკაო, ყავა, ბრინჯი, თამბაქო, ბანანი, ციტრუსები; განვითარებულია მეცხოველეობა და მეთევზეობა. ამზადებენ ხე-ტყის ძვირფას ჯიშებს.

ქვეყნის მოსახლეობის სპეციფიკურმა ეთნიკურმა შემადგენლობამ ხალხის კულტურული მრავალფეროვნება განაპირობა. აფრიკელთა ტრადიციები უფრო მეტად რელიგიურ სფეროსა და მუსიკალურ-სასიმღერო სფეროს შემორჩა. ინდოეთიდან მიგრირებული მოსახლეობისათვის დამახასიათებელია ენდოგამიის ტრადიციის შენარჩუნება, ამიტომ ისინი მოსახლეობის სხვა ჯგუფებს საერთოდ არ ერევიან.

2.39. ვირგინიელები

ვირგინიელები ვირგინიის კუნძულების მცხოვრებნი არიან. მათი რაოდენობა დაახლოებით 102 ათასი კაცია. ლაპარაკობენ ინგლისურ ენაზე. მოსახლეობის 4/5 პროტესტანტია (ანგლიკანები, მეთოდისტები, ლუთერანები, ბაპტისტები, მორავიელი ძმები). არიან კათოლიკეებიც.

ვირგინიელთა ეთნოსი ჩამოყალიბების სტადიაშია; მოსახლეობის 3/4 აფრიკიდან შემოყვანილი მონების შთამომავლები არიან, აგრეთვე – პუერტორიკელი იმიგრანტები და მათი შთამომავლები. ვირგინიელთა 1/5 მულატია. უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობენ თეთრებიც. ისინი საფრანგეთიდან მიგრირებულთა შთამომავლები არიან და ყოფაში ძველი ფრანგული ენაც აქვთ შენარჩუნებული. ფრანგები კუნძულ სენტ-ტომასზე XVII საუკუნეში დასახლდნენ (უწოდებდნენ „თეთრ ღატაკებს“). თეთრები, რომელთა შორის ესპანელთა, პოლანდიელთა და ინგლისელთა შთამომავლებიც არიან, ხშირად ქორწინდებიან ადგილობრივ ხანგებსა და მულატებზე. ვირგინიელებს ენითა და კულტურით ახლოს მდგომი ანტილიელებიც ერევიან. ვირგინიელები ძირითადად ტურისტთა მომსახურების სფეროში, მიწათმოქმედებაში (შაქრის ღერწამი, ციტრუსები, ყავა), მეცხოველეობაში, მეთევზეობასა და კუსტარულ-ხელოსნურ წარმოებაში (სუვენირები) არიან დასაქმებულნი.

2.40. ანტიგუელები

ანტიგუელები ძირითადად ვესტ-ინდოეთის ანტიგუას, ბარბუდას და რედონდას კუნძულებზე არიან გასახლებულნი (მცირე ანტილიის კუნძულები). შედიან დიდი ბრიტანეთის სამეფოს თანამეგობრობაში. ძველად დასახლებული იყო ინდიელებით. კუნძულები 1493 წელს კოლუმბო აღმოაჩინა. თავდაპირველად ესპანეთის კოლონია იყო, შემდეგ – ინგლისის. მონობა გაუქმდა 1834 წელს. ანტიგუამ და ბარბუდამ დამოუკიდებლობა 1981 წელს მოიპოვა.

ანტიგუელები 80 ათასის ფარგლებში არიან. ლაპარაკობენ ანტიგუურ კრეოლურ ენაზე, რომელიც ჩამოყალიბებულია ინგლისური ენის საფუძველზე. ანტიგუელთა უმეტესობა ანგლიკანია; გვხვდებიან კათოლიკეები, მორავიელი ძმები, მეთოდისტები, ორმოცდაათიანელები და სხვები. შემორჩენილია აფრიკული კულტების გადმონაშთებიც.

ანტიგუელთა უმეტესობა აფრიკელი მონების შთამომავლები არიან, რომლებიც აქ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე შემოიყვანეს. მულატების რაოდენობა უმნიშვნელოა. თეთრები ძირითადად ინგლისელთა შთამომავლები არიან და მათი რაოდენობა დაახლოებით 3%-ია. ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი ძისითადად მას შემდეგ დაიწყო, რაც კუნძულებმა „დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოსთან ასოცირებული“ სტატუსი მიიღო (1967 წელი). ანტიგუელები მიწათმოქმედებაში (შაქრის ლერწაში, ბამბა, ციტრუსები) არიან დასაქმებულნი. კულტურით ახლოს არიან კარიბის აუზის სხვა კრეოლურ ხალხებთან. ყოფასა და კულტურაში შემორჩენილი აქვთ აფრიკული ტრადიციები.

2.41. გვადელუპელები

გვადელუპელები „საფრანგეთის ზღვისიქითა დეპარტამენტის“ – გვადელუპის მკვიდრნი არიან. მათი რაოდენობა 300 ათასი კაცია. ცხოვრობენ აგრეთვე საფრანგეთში (დაახლოებით 100 ათასი კაცი). ლაპარაკობენ ფრანგული ენის საფუძველზე ჩამოყალიბებულ კრეოლურ ენაზე. ამ ენას აფრიკული და კარიბული ენების არაერთი ელემენტიც აქვს შეთვისებული. გვადელუპელები კათოლიკეები არიან.

გვადელუპელთა ეთნოსის საფუძველს წარმოადგენენ მულატები, რომლებიც ფრანგი კოლონისტებისა და აფრიკელი მონების შერევის შედეგად წარმოიქმნენ. აფრიკელები აქ XVII საუკუნიდან შემოიყვანეს. მულატების შემადგენლობაში სამხრეთ ინდოეთიდან გამოსული მუქკანიანი დრავიდულენოვანი მოსახლეობაც შედის, რომლებიც პლანტაციებში სამუშაოდ XIX საუკუნის II ნახევარში დაიჭირავეს. მულატები, კანის ფერისა და, ნაწილობრივ, სოციალური მდგომარეობის

რეობის მიხედვით, სამ ჯგუფად იყოფიან. ზანგებისა და ინდოელი მოსახლეობის ჯგუფები კულტურით მულატებისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდებიან. განსაკუთრებულ თავისებურებას ინარჩუნებს თეთრი მოსახლეობა – „კრეოლი ბეკე“. ისინი სამ ეთნოგრაფიულ ჯგუფად იყოფიან: ნორმანდიელების, საფრანგეთის დასავლეთ რაიონებიდან გადმოსახლებულთა და ბრეტონელთა შთამომავლები.

თეთრებს ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ. გვადელუპელები ძირითადად შაქრის ლერწმის, ბანანის და ციტრუსების პლანტაციებში არიან დასაქმებული. მათი კულტურა კრეოლური ტიპისაა. ეთნიკური ისტორიითა და კულტურით გვადელუპელები მარტინიკელებთან არიან ახლოს.

2.42. მარტინიკელები

მარტინიკელები საფრანგეთის „ზღვისიქითა დეპარტამენტის“ კუნძულ მარტინიკზე ცხოვრობენ. მარტინიკელების საერთო რაოდენობა 500 ათასი კაცია. საფრანგეთში 150 ათასი კაცი მკვიდრობს. ცხოვრობენ აგრეთვე კუნძულ გვადელუპასა და ვირჯინიის კუნძულებზე (აშშ). ლაპარაკობენ ფრანგული ენის საფუძველზე წარმოქმნილ კრეოლურ ენაზე. ამ ენაში დიდი რაოდენობითაა შესული ლექსიკური ერთეულები აფრიკული და კარიბო-ინდიელთა ენებიდან. მარტინიკელები კათოლიკეები არიან.

მარტინიკელთა ეთნოსის საფუძველს მულატები შეადგენენ, რომლებიც ფრანგი კოლონისტებისა და XVII საუკუნეში შემოყვანილი აფრიკელი მონების შერევის შედეგად არიან ჩამოყალიბებული; მულატების შემადგენლობაში შედიან სამხრეთ ინდოეთიდან გამოსული მუქკანიანების შთამომავლებიც, აგრეთვე – უმნიშვნელო რაოდენობით ჩინელები. მარტინიკელებში შედის თეთრი მოსახლეობის განსაკუთრებული ჯგუფი –კრეოლები.

2.43. სენტლუსიელები

სენტლუსიელები კარიბის ზღაში მცირე ანტილიის არქიპელაგის სამხრეთ-აღმოსავლეთით კუნძულ სენტ-ლუსიზე მკვიდრობენ. 2000 წლის მონაცემებით მათი რაოდენობა 154 ათასი კაცია. სენტლუსიელების დიდი ნაწილი ინგლისური ენის ადგილობრივ დიალექტზე ლაპარაკობს (ინგლისური სახელმწიფოს ოფიციალური ენაა). შემორჩენილია ფრანგული ენის ადგილობრივი დიალექტიც, რომელიც ინგლისური ენით მას შემდეგ შეიცვალა, რაც კუნძული 1814 წელს ინგ-

ლისის კოლონიად იქცა. ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლომდე ის მოსახლეობის 80%-ის სალაპარაკო ენა იყო. სენტლუსი-სელების უმეტესობა კათოლიკეა, დანარჩენები – მეშვიდე დღის ადვენტიანები და ორმოცდაათიანელები არიან. შემორჩენილია აფრიკული კულტების, მაგალითად *კელეს კულტის*, გადმონაშთები.

კუნძული სენტ-ლუსის კოლუმბა 1502 წელს აღმოაჩინა. XVIII საუკუნის შუა ხანებიდან კუნძულს ერთმანეთს დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ეცილებოდა. 1814 წლიდან სენტ-ლუსის დიდი ბრიტანეთის სამფლობელოა. 1958-1962 წლებში ვესტ-ინდოეთის ფედერაციაში შედიოდა. 1967 წლიდან „დიდი ბრიტანეთთან ასოცირებული სახელმწიფოა“, 1979 წლიდან – დამოუკიდებელი სახელმწიფო.

სენტლუსი-სელები ეთნოსის საფუძველს ძირითადად XVII-XIX საუკუნეებში აფრიკიდან შემოყვანილი მონების შთამომავლები შეადგენენ, რომელთა შორის ზანგები 90,3% არიან, მულატები – 5,5%, ხოლო 3,2% – ინდოეთიდან გადმოსული შთამომავლები. ინგლისელთა და ფრანგთა შთამომავლები 1%-ზე ნაკლებნი არიან. სენტლუსი-სელების უმეტესობა დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში (ბანანი, ქოქოსის პალმა, კაკაო) და მომსახურების სფეროში. მათი კულტურა კრეოლური ტიპისაა.

2.44. სენტვისენტელები

სენტვისენტელები კარიბის ზღვაში სენტ-ვისენტეს და გრენადის კუნძულების ჯგუფის ჩრდილოეთ ნაწილში მოსახლეობენ. 2000 წლის მონაცემებით სენტვისენტელების რაოდენობა 114 ათასი კაცი იყო. ლაპარაკობენ ინგლისური ენის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ადგილობრივ კრეოლურ ენაზე. უფროს თაობაში შემორჩენილია ფრანგული ენის ადგილობრივი დიალექტი (პაპუა). სენტვისენტელები ძირითადად ანგლიკანები და მეთოდისტები არიან; გვხვდებიან აგრეთვე ადვენტიანები, ბაპტიანები, კათოლიკეები. შემორჩენილია აფრიკული კულტების გადმონაშთებიც.

კუნძული სენტ-ვისენტი კოლუმბა 1498 წელს აღმოაჩინა. XVII საუკუნემდე ის ესპანეთის სამფლობელო იყო, XVII-XVIII საუკუნეებში კუნძულს ერთმანეთს დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ეპაექრობდნენ. 1783 წლიდან სენტ-ვისენტი და გრენადა დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო. 1858-1962 წლებში ვესტ-ინდოეთის ფედერაციის შემადგენლობაში შედიოდა. 1979 წლიდან სენტ-ვისენტი და გრენადა დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

სენტვისენტელთა ეთნოსის საფუძველს XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის ბოლომდე შემოყვანილი აფრიკელები წარმო-

ადგენენ (დაახლოებით 66%), რომლებიც ნაწილობრივ შეერივნენ ჯერ ფრანგებს და შემდეგ ინგლისელებს; ისინი თავიანთ თავს კრეოლებს უწოდებენ. სენტვისენტელების უმეტესობა დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, მომსახურების სფეროში. განვითარებულია მეთევზეობაც.

2.45. გრენადელები

გრენადელები ვესტ-ინდოეთში მდებარე გრენადეს სახელმწიფოში ცხოვრობენ. გრენადელების რაოდენობა 105 ათასი კაცია. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ზანგები (დაახლოებით 75%) და მულატები არიან. 4%-ზე მეტი ინდოელთა შთამომავლები არიან, დანარჩენები – თეთრები (ინგლისელთა და ფრანგთა შთამომავლები). სოფლებში შემორჩენილია ფრანგული ენის დიალექტი – პატუა. მოსახლეობის 55% კათოლიკეა, დანარჩენები – პროტესტანტები (ანგლიკანები, მეთოდისტები, მეშიდე დღის ადვენტიისტები). გვხვდებიან ორმოცდაათიანელებიც. ძველად გრენადა ინდიელებით იყო დასახლებული. 1498 წელს კუნძული ესპანელებმა აღმოაჩინეს. 1783 წლიდან ის დიდი ბრიტანეთის კოლონიაა. 1974 წლიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოა. გრენადელების უმეტესობა სოფლის მეურნეობაშია დაკავებული (მოჰყავთ ჯავზი – მსოფლიო პროდუქციის 1/3, კაკაო, შაქრის ლერწამი). გრენადელთა კულტურა ძირითადად აფრიკული ტრადიციების საფუძველზეა ჩამოყალიბებული (ფოლკლორი, მუსიკა, ცეკვები). შემორჩენილია აფრიკული რწმენა-წარმოდგენები.

2.46. ბარბადოსელები

ბარბადოსელები ვესტ-ინდოეთის ბარბადოსის სახელმწიფოში ცხოვრობენ. ბარბადოსელების თვითსახელწოდებაა ბეჯენს. მათი რაოდენობა 350 ათასი კაცია. ბარბადოსში მხოლოდ 250 ათასი ცხოვრობს, დანარჩენები მკვიდრობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში (35 ათასი), დიდ ბრიტანეთში (35 ათასი) და კანადაში (30 ათასი). მოსახლეობის 92%-ს XVII-XIX საუკუნეებში აფრიკიდან შემოყვანილი მონების შთამომავლები შეადგენენ. დაახლოებით 4% მულატია, 4% – თეთრები (ძირითადად ინგლისური წარმოშობის), დანარჩენები – ინდოელთა და ჩინელთა შთამომავლები. თეთრ მოსახლეობას შორის შემორჩენილია „თეთრი ღატაკების“ განსაკუთრებული ჯგუფი, რომელთა წინაპრებიც XVII-XVIII საუკუნეებში ინგლისიდან არიან გადმოსახლებულნი. ისინი ინგლისური ენის ადგილობრივ დიალექტზე ლაპარაკობენ. ბარბადოსელების 70% ანგლიკანია. არიან მეთოდის-

ტები, მორავიელი ძმები, კათოლიკეები, შემორჩენილია აფრიკული კულტების გადმონაშთები.

ძველად ბარბადოსი ინდიელებით იყო დასახლებული. XVI საუკუნის დასაწყისში კუნძული ესპანელებმა აღმოაჩინეს. 1625 წლიდან დიდი ბრიტანეთის კოლონიაა. 1961 წელს მიიღო შინაგანი თვითმმართველობა. 1966 წლიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

მეურნეობის საფუძველია შაქრის ლერწმის მოყვანა და მისი გადამუშავება. ბევრი ბარბადოსელი ტურისტების მომსახურების სფეროშია დასაქმებული. ბარბადოსელების კულტურა სხვა კრეოლთა კულტურის ანალოგიურია, რომელიც აფიკელთა და ევროპელთა ტრადიციების შერწყმის შედეგადაა ჩამოყალიბებული. ზეპირ ხალხურ შემოქმედებაში შემორჩენილია აფრიკული კულტურის ელემენტები. თავისებურია ცეკვები („ლიმბო“ და სხვ.) და მუსიკა.

2.47. ბაჰამელები

ბაჰამელები ვესტ-ინდოეთში ბაგამის კუნძულების მკვიდრები არიან. ბაჰამელების რაოდენობა 200 ათასი კაცია. ლაპარაკობენ ინგლისურ ენაზე. ბაჰამელები ძირითადად ანგლიკანები არიან. გვხვდებიან ბაპტიტები, პრესვიტერიანები, მეთოდისტები, მეშვიდე დღის ადვენტისტები. მოსახლეობის 20%-ზე მეტი კათოლიკეა. შემორჩენილია აფრიკული კულტების გადმონაშთები. ბაჰამელების 35%-ს ზანგები და მულატები შეადგენენ, რომელთა წინაპრებიც აქ ინგლისელებმა აფრიკიდან XVIII საუკუნის ბოლოს შემოიყვანეს. ბაჰამელების შემადგენლობაში მნიშვნელოვანი წილი უდევთ ამერიკელებსა და ბერძნებს. XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ჰაიტიდან იმიგრანტები მოზღვავენ. ბაჰამელთა ეკონომიკის საფუძველია ტურისტების მომსახურება. დასაქმებული არიან ნავთობის გადამამუშავებაში, მარილის მოპოვებაში. მოჰყავთ ხილი და ბოსტნეული.

ძველად ბაჰამის კუნძულებზე ინდიელები ცხოვრობდნენ. კუნძული 1492 წელს ესპანელებმა აღმოაჩინეს. 1783 წლიდან ის დიდი ბრიტანეთის კოლონიაა. 1964 წელს შინაგანი თვითმმართველობა მიიღო. 1973 წლიდან ბაჰამის კუნძულები დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა	5
ნაწილი I – ეთნოსთა კლასიფიკაციის საფუძვლები	7
1.1. ხალხები (ზოგადი მიმოხილვა)	7
1.2. ენა – ეთნოსის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი	8
1.3. ენათა კლასიფიკაცია	10
1.4. ტერიტორია – ეთნოსის ერთ-ერთი ნიშანი	15
1.5. ეთნიკური კულტურა – ხალხთა ერთ-ერთი ნიშანი	17
1.6. ხალხთა სახელწოდებანი – ეთნონიმები	19
1.7. მოსახლეობის მიგრაციები და ეთნოსები	29
1.8. რელიგია და ხალხები	33
1.9. ადამიანთა რასები	36
ნაწილი II – ამერიკელები	44
2.1. ამერიკის ხალხები	44
2.2. ესკიმოსები	47
2.3. ალეუტები	48
2.4. ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელები	48
2.5. მაია	51
2.6. აცტეკები	53
2.7. ინკები (კეჩუა)	55
2.8. ამერიკელები	58
2.9. კანადელები	63
2.10. ლათინური ამერიკის კოლონიზაცია	67
2.11. მექსიკელები	73
2.12. გვატემალელები	78
2.13. ჰონდურასელები	79
2.14. სალვადორელები	81
2.15. ნიკარაგუელები	82
2.16. კოსტარიკელები	84
2.17. პანამელები	86
2.18. კოლუმბიელები	87
2.19. პერუელები	92

2.20.	ეკვადორელები	94
2.21.	ბოლივიელები	96
2.22.	ვენესუელელები	98
2.23.	ბრაზილიელები	100
2.24.	არგენტინელები	106
2.25.	ჩილელები	110
2.26.	პარაგვაელები	113
2.27.	ურუგვაელები	115
2.28.	გვიანელები	118
2.29.	სურინამელები	119
2.30.	გაიანელები	120
2.31.	ბელიზელები	122
2.32.	კუბელები	124
2.33.	ჰაიტელები	126
2.34.	დომინიკანელები	128
2.35.	დომინიკელები	129
2.36.	პუერტორიკელები	129
2.37.	იამაიკელები	130
2.38.	ტრინიდადელები	132
2.39.	ვირჯინიელები	133
2.40.	ანტიგუელები	134
2.41.	გვადელუპელები	135
2.42.	მარტინიკელები	135
2.43.	სენტლუისელები	135
2.44.	სენტვისენტელები	136
2.45.	გრენადელები	137
2.46.	ბარბადოსელები	137
2.47.	ბაჰამელები	138

The Ethnology of America

**ამერიკის
ეთნოლოგია**

გამომცემლობის რედაქტორი	მარინე ვარამაშვილი
გარეკანის დიზაინი	თინათინ ჩირინაშვილი
კომპ. უზრუნველყოფა	ნათია დვალა

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

0128, Tbilisi, 14, I. Chavchavadze Av.

www.press.tsu.ge (25-14-32)

